


1937

სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალი  
ГРУЗИНСКИЙ ФИЛИАЛ АКАДЕМИИ НАУК СССР  
FILIALE GÉORGIENNE DE L'ACADÉMIE DES SCIENCES DE L'URSS



480/5

აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა  
და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის

35 მ რ ა მ ბ ე

ИЗВЕСТИЯ

ИНСТИТУТА ЯЗЫКА, ИСТОРИИ И МАТЕРИАЛЬНОЙ  
КУЛЬТУРЫ им. акад. Н. Я. МАРРА

BULLETIN

DE L'INSTITUT MARR DE LANGUES, D'HISTOIRE  
ET DE CULTURE MATÉRIELLE

II 3

ტფილისი  
1 9 3 7

**BULLETIN**

DE L'INSTITUT MARR DE LANGUES, D'HISTOIRE  
ET DE CULTURE MATÉRIELLE

**II 3**



აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა  
და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის

გ რ ა მ ბ ე

ИЗВЕСТИЯ

ИНСТИТУТА ЯЗЫКА, ИСТОРИИ И МАТЕРИАЛЬНОЙ  
КУЛЬТУРЫ им. акад. Н. Я. МАРРА

II 3

3464

3464



დაიბეჭდა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის  
საქართველოს ფილიალის განკარგულებით  
თავმჯდომარე პრინცი. ნ. შერსტალინიძე

რედაქტორი პროფ. სიმონ ჯანაშია

ტექნიკური თ. ანდრეაძე

---

გადაცემულია ასაწყობად 3.10.1937  
ქალაქის ზომა 72×105 სმ. ანაწყობის ზომა 7×11, 8,5 სამკედი თაბახი  
მთაწილი № 395. შეკვეთა № 267. ტირაჟი 1000  
სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის სტამბა. ტფილისი, წყნეთის ქ. 7

შ ი ნ ა ა რ ს ი

ქართველურ ენათა განყოფილება

I. ანგარიშები 1937 წლის საზაფხულო მივლინებებისა ქართლური კილოს შესწავლად და ქართლური დიალექტოლოგიური მასალების შესაგროვებლად

1. ს. ჩხენკელი, ქსნის ხეობა (ლენინგორის რაიონი) 275—276

2. ივ. გიგინეიშვილი, მდ. კავთურას ხეობა (კასპის რაიონი) . . . . . 276

3. შ. გაფრინდაშვილი, წითელქალაქი (კასპის რაიონი) . . . . . 277

4. ვ. შილაკაძე, სოფელი ხიდისთავი (გორის რაიონი) 277—278

II. ალ. ჯიშიაშვილი, ანგარიში საზაფხულო მივლინებისა მეგრულ ენაზე სამუშაოდ (წალენჯიხისა და ზუგდიდის რაიონებში) . . . . . 278

III. ვახ. გაჩეჩილაძე, ანგარიში 1937 წ. საზაფხულო მივლინებისა სვანური ენის შესასწავლად და სვანური ტექსტების ჩასაწერად (ზემო-სვანეთში) . . . . . 279

ფონეტიკის კაბინეტი

I. ს. ელენტი, ანგარიში 1937 წლის საზაფხულო მივლინებისა აფხაზური ენის ფონეტიკაზე სამუშაოდ . . . . . 281—282

კავკასიურ ენათა განყოფილება

I. თ. გდნიაშვილი, ანგარიში 1937 წ. საზაფხულო მივლინებისა საჩაჩნო-ინგუშეთის ავტონ. ს. ს. რესპუბ. . . . . 283—289

II. ქ. ლომთათიძე, ანგარიში საზაფხულო მივლინებისა აფხაზური ენის შესასწავლად ლიხნში . . . . . 289—292

III. გ. როგავა, შაფსულური დიალექტის შესასწავლად 1937 წლ. ზაფხულს წარმოებული მუშაობის შესახებ . . . . . 292—293

IV. ვლ. ფანჩვიძე, ქედური ენა და მისი კლოები (1937 წ. საზაფხულო მივლინების წინასწარი ანგარიში) . . . . . 295—316

## ლექსიკოლოგიის განყოფილება



- I. ქართლში ჩატარებული სალექსიკოლოგიო მუშაობის ანგარიში ქართული  
ენის ლექსიკონი
1. შ. ძიძიგური, ქსნისა და ლიახვის ხეობა . . . . . 317—324
  2. პ. ხუბუტია, სკრისა და ატენის ხეობა (ჯორის რ.) . 325—326
- II
1. მ. ქალდანი, სოფ. თავრალი და კუბერი (ზემო-სვანეთი) . . . . . 327
  2. ა. დავითიანი, სოფ. ლახამულა (ზემო-სვანეთი) . . 327—327
- III. დავ. კანტურია, ზუგდიდისა და წალენჯიხის რაიონები . . 329—330

## ეთნოგრაფიული განყოფილება

- I. ანგარიშები 1937 წლის ეთნოგრაფიული ექსპედიციებისა
1. რ. ხარაძე, ზემო-სვანეთი . . . . . 331—333
  2. გ. ჩიტაია, იმერეთის ექსპედიცია (ბაღდათის რაიონი) 334—342
  3. ლ. ბოჭორიშვილი, თელავის რაიონი . . . . . 343—359

## არქეოლოგიური განყოფილება

- I. ანგარიშები არქეოლოგიურ კვლევა-ძიებათა 1937 წლ. გაზაფხულსა და ზაფხულში.
1. გ. ნიორაძე, სოფ. არხილო . . . . . 361
  2. გ. ნიორაძე, სოფ. კასპი . . . . . 362
  3. გ. ნიორაძე, ბაშკინეთის რაიონი . . . . . 362—363
  4. ა. კალანდაძე, არმაზის არქეოლოგიური ექსპედიციის წინასწარი ანგარიში . . . . . 365—400

СО Д Е Р Ж А Н И Е

Отчеты о летних экспедициях и поездках ИЯИМК в 1937 г.

Отдел картвельских языков . . . . .	275—279
Кабинет фонетики . . . . .	281—282
Отдел кавказских языков . . . . .	283—316
» лексикологии . . . . .	317—330
» этнографии . . . . .	331—359
» археологии . . . . .	361—400

TABLE DES MATIÈRES

Rapports sur les expéditions scientifiques de l'Institut Marr l'été 1937.

Section des langues kartvèles . . . . .	275—279
Cabinet de phonétique . . . . .	281—282
Section des langues caucasiques . . . . .	283—316
» de lexicologie . . . . .	317—330
» d'ethnographie . . . . .	331—359
» d'archéologie . . . . .	361—400

# ენობის

1937 წლის

სამეცნიერო მივლინებათა

და

ეთნოგრაფიის ანგარიშები



ანბარიშები 1937 წლის საზაფხულო  
მივლინებაშისა ქართულური კილოს შესასწავლად და  
ქართულური დიალექტოლოგიური მასალების შესაბროვებლად

ქსნის ბოგა (ლენინგორის რაიონი)

აკად. ნ. მარის სახ. ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის ქართველურ ენათა განყოფილების მესამე ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულია, სხვათა შორის, აღმოსავლეთ საქართველოს კილოების საფუძვლიანი შესწავლა: 1938-39 წ. წ. ქართლური დიალექტისა, 1940 წელს კახური დიალექტისა და 1941-42 წ. წ. შიის კილოებისა.

1937 წლის გეგმის თანახმად განყოფილება შეუდგა ქართლური დიალექტის შესწავლას, რისთვისაც მოწყობილ იქნა მივლინებები ქართლის სხვადასხვა რაიონში დიალექტოლოგიური მასალების შესაკრებად.

რაიონების განაწილებისას წილად მხედა ლენინგორიდან ჩრდილოეთით 3 კილომეტრზე მდებარე სოფელი იკოთი, რომელიც ლენინგორის რაიონში მდებარე სოფელთაგან ყველაზე დიდი და მრავალრიცხოვანია და რომელიც ყველაზე უფრო ხელსაყრელი აღმოჩნდა სამუშაოდ. დიდი უმრავლესობა ჩაწერილი მასალისა სწორედ ამ სოფელზე მოდის. ეს იქიდანაც ჩანს, რომ 14 მთქმელისაგან 10 იკოთელია, ხოლო 2 ყანჩაველი, 1 კორინთელი და 1 ალვეელი. ყანჩავეთში (ლენინგორიდან ჩრდილოეთ-დასავლეთით 6 კილომეტრის მანძილზე, იკოთიდან ჩრდილოეთ-დასავლეთით 5 კილომეტრის მანძილზე), კორინთაში (ჩრდილოეთით ლენინგორიდან 7 კილომეტრის მანძილზე და ჩრდილოეთითვე იკოთიდან 4 კილომეტრის მანძილზე) და შუა-ალვეში (ლენინგორიდან ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით 10 კილომეტრის მანძილზე, იკოთიდან აგრეთვე ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით 6 კილომეტრის მანძილზე და კორინთიდან აღმოსავლეთით 4 კილომეტრის მანძილზე) მუშაობა ატარებდა უფრო ცდის ხასიათის იმის გამოსარკვევად, არის თუ არა ამ სოფლებში რაიმე დიალექტოლოგიური თავისებურება იკოთთან შედარებით. აღმოჩნდა, რომ არავითარ განსხვავებას ადგილი არ ჰქონდა. ამაში დამარწმუნა იმ პირთა მეტყველებაზე დაკვირვებამაც, რომელნიც იკოთის გარშემო მდებარე სოფლებიდან ჩამოდიოდნენ იკოთში რაიმე საქმეზე.



ამის შემდეგ ისევ იკოთი დაეიტოვე სამუშაო პუნქტად, ვინაიდან უკმაყოფილონი შეწონილად მიმაჩნდა ასე თუ ისე ამომწურავი მასალა შემეფარებოდა მასალის მსხვილ პუნქტში, როგორცაა იკოთი. ამას ხელს უწყობდა ისიც, რომ აქ მოქმედების შოვნა შედარებით უფრო ადვილი იყო.

სულ ჩაწერილია 98 ზღაპარი და ამბავი (უმთავრესად ზღაპრები), 85 ლექსი, 22 შაირი და გავრნილი ცალკე ფრაზეოლოგია (რვეულის 6 გვერდი).

დასასრულ, შევამოწმე 4 სასოფლო საბჭოს ფარგლებში მდებარე სოფლების სახელწოდებები.

## ბ. ჩხენკელი

### მდ. კავთურას ხეობა (კასპის რაიონი)

მუშაობდი კასპის რაიონში, მდინარე კავთურას ხეობაში, კავთისხევსა და მის ახლომახლო მდებარე სოფლებში 50 დღეზე მეტი. ჩემი მუშაობის არც ორი სასოფლო საბჭოთი შემოიფარგლებოდა: კავთისხევისა და წინარებისა (სოფლები: ჩოჩეთი, კავთისხევი, იდღეთი, ეზათი, თვალადი, წინარები, ხვედრელიანი და სხვ.). ძირითად ბაზად სოფ. თვალადი ავირჩიე. იგი აღნიშნული რაიონის ცენტრში მდებარეობს და თითქმის ყველა სოფლისაგან თანაბარი მანძილითაა დაშორებული. ბუნებრივია, რომ ასეთი ადგილი ყველაზე ხელსაყრელი იქნებოდა.

ამ რაიონში მუშაობისას ანგარიშის გაწევა მიხდებოდა იმ ფაქტისათვის, რომ ამ რაიონში, მთებისაყენ, ცხოვრობენ გუდამაყრელები (და ფშაელებიც), რომლებიც, როგორც გადმოვცემენ, გასულ საუკუნეში გადმოსახლებულან ამ რაიონში (მათი სოფლებია: ვარჯაანი, პარეტისი და სხვ.). ესენი აქ ყველანი „მთიულების“ სახელწოდებით არიან ცნობილინი. ამათ ახლო ურთიერთობა აქვთ კავთისხევს და წინარებს ქართლებთან (სამეურნეო ხასიათისა, ერთმანეთში ქალის გათხოვება და სხვა). ბუნებრივია, რომ ამათი ენობრივი გავლენაც ანგარიშგასაწევეა.

მუშაობა უმთავრესად იმაში გამოიხატებოდა, რომ ვაკვირდებოდი იქაური მეტყველების თავისებურებებს და ვიწერდი ტექსტებს. სულ ჩავეწერე 14—15 სასტამბო თაბახის მოცულობის ტექსტები (ზღაპრები, თქმულება-გადმოცემანი, ლექსები, სასაუბრო მასალა...). გარდა ამისა, სალექსიკოლოგიო განყოფილების დავალებით შევამოწმე ქართლური დიალექტოლოგიური ლექსიკონის მასალები და შევავაროვე მცირეოდენი სალექსიკოლოგიო მასალაც.

ენობრივ თავისებურებათაგან მრავალი მოვლენა იპყრობს ყურადღებას (II პირის სუბიექტური და III პირის ობიექტური პრეფიქსები და მათი ხმარების წესი, ზმნის შეთანხმება რიცხვში სახელთან, ი-ს ხმარება ენიანი აორისტის I და II პირში, მრავალი ფონეტიკური მოვლენა და სხვ.). ეს ენობრივი თავისებურებები ცალკე წერილში იქნება აღნუსხული და წარმოდგენილი.

### ივანე გიგინიშვილი



წითელქალაქი (ქასპის რაიონი)

საქართველო  
საზოგადოებრივი

1937 წლ. 15 ივლისიდან 15 აგვისტომდე მივლინებული ვიყავი ქასპის რაიონის სოფ. წითელქალაქში (ყოფ. ახალქალაქი). წითელქალაქს გარდა ერთი დღე დავყავი მეტეხსა და ჩოჩეთში, ერთიც ახალციხეში, რამდენიმე დღე გარიყულაში (წითელქალაქს აკრავს), ორიც გორის რაიონის სოფ. ხიდისთავსა და ატენში.

ჩემ მიერ შესრულებულ იქნა შემდეგი სამუშაო: ჩაწერილია ტექსტები 181 გვერდი. შემოწმებულია 1260-მდე სიტყვის მნიშვნელობა. შემოწმებულია ქასპის რაიონის რუკა და სოფლების თუ მთა-მდინარეების სახელები.

ტექსტების ჩაწერისას უმთავრესად ხელს მიწლიდა ხალხის მოუცლევლობა. ამიტომ მიხედობოდა გასვლა მინდვრად (კალო, რწყვა, საძოვრები). ამ გარემოებაში თავისი დალი დააჩნია ჩანაწერის რაოდენობას.

შოთა გაფრინდაშვილი

სოფელი ხიდისთავი (გორის რაიონი)

გმუშაობდი გორის რაიონში, სოფ. ხიდისთავში, ყოველდღე ეახერხებდი რამდენიმე გვერდის ჩაწერას.

პირველ ხანებში ნაწყვეტებს ვიწერდი, რომ უფრო კარგად შემესწავლა ადგილობრივი საუბარი, მისი მოსმენა და ჩაწერა. ხანდახან მახვილსაც კი მივსდევდი, ასევე ვადევნებდი ყურს გრძელ ხმოვნებს, რომელნიც ინტონაციით არიან მიღებული და ჩვეულებრივ მოვლენად ქართულურისათვის (ისევე, როგორც საერთოდ ქართულისათვის) არ უნდა ჩაითვალოს, რადგან მას არა აქვს სისტემატური ხასიათი. ინტონაციის შესასწავლად კი ამ ორ ფონეტიკურ მოვლენას (მახვილს და გრძელ ხმოვანს) — ყურადღებას ვაქცევდი პირველ ხანებში.

ტექსტების ჩაწერისას ვცდილობდი, რამდენადაც შეიძლებოდა სიხუსტე ყოფილიყო დაკული, მაგრამ უნებლიე შეცდომები მაინც არის ზოგჯერ, ეს იმ ჩვეულებრივი მიზეზის გამო, რომ, როცა რომელიმე თავისებურებას მოჰკრავ ყურს და კარგად ვერ დარწმუნებულხარ ასეა თუ ისე, — მას გამეორება აღარ ეხერხება. ძალიან დახელოვნებულადაც რომ მიუდგეთ და ის სიტყვა გამეორებინოთ, ის მაინც არ არის, რაც წინათ გაიგონეთ. ასე, მაგ.: მეორე პირის ობ. პრეტ. მრ. რ. გვ აკუსტიკურად ძალიან ხშირად ტოვებს შთაბეჭდილებას, თითქოს შეტათვისისი მოსვლოდეთ გ-ანაა და ვ-ინს: ვქშია, ვკ/ქწურს და სხ. ან: ქ, ჯ, ჩ-სთან პრეტ. მ დადასტურებულ შ-დ არ ისმის ხანდახან: დაშქედა თუ დაჰქედა; მოშჩამს თუ მოჰჩამს და სხ. ასეთი შემთხვევები სხეაც არის, როცა არ ხარ დარწმუნებული, როგორ გაიგონე და იძულებული ხარ ალლოსა და გამოცდილებას დაეყრდნო მხოლოდ. ამ შემთხვევების აღნუსხვა (და სხვ. თავისებურებებისა საერთოდ) მიზნად არ დამისახავს.

ჩასაწერად ყოველთვის ვარჩევდი ამბავს: ზღაპარს, ირაკს, მოგონებას, თავგადასავალსა და სხვა. ჩვეულებრივი საუბრიდან მხოლოდ ნაწყვეტები ვამომ-



ქონდა და დაკვირვება. ლექსების ჩაწერას დიდიდ არ გამოვდევნივარ. მგ-  
რამ მაინც საკმაოდ მოგროვდა. მუდმივი სამუშაო ადგილი იყო სოფ. ხიდის-  
თავი, რომელიც გორიდან 3 კილომეტრითაა დაშორებული და მდებარეობს  
გორიდან აღმოსავლეთით. მოსახლეობა აქ მთლიანად ქართულია, ზოგიერთი  
გამონაკლისის გარდა, მეტყველება კი მხოლოდ ქართული. ორიოდ ტექსტი  
ჩაწერილია ატენში (ფუხანთ უბანში).

სულ ჩაწერილია 294 გვ., 143 ტექსტი—ლექსადაც და პროზითაც.

უნდა აღინიშნოს რომ თითქმის 3 დღე მოითხოვა სალექსიკოლოგიო სექ-  
ციის დავალების შესრულებამ: 2000-მდე სიტყვა უნდა შეგვემოწმებინა. ესეც  
შესრულებულია: ადგილობრივ რაც იცოდნენ და როგორც იცოდნენ, განმარ-  
ტებულია. ახსნა მთქმელის ვნითაა სიტყვებზე მიწერილი. გარდა ამისა, ამავე  
სექციისათვის შევავროვე 200-მდე სიტყვა.

### ვ. შილაკაძე

ანბარიში საზაფხულო მივლინებისა მგერულ ენაზე სამუშაოდ  
(წალენჯიხისა და ზუგდიდის რაიონებში)

1937 წლ. 5 აგვისტოდან 5 სექტემბრამდე მივლინებული ვიყავი წალენ-  
ჯიხისა და ზუგდიდის რაიონებში მგერულ ენაზე სამუშაოდ. მუშაობის ძირი-  
თადი მიზანი იყო მგერული ენის პრაქტიკულად დაუფლება და, შესაძლებლო-  
ბის ფარგლებში, ზოგიერთ დიალექტოლოგიურ მასალათა შეგროვება.

ჯერ მუშაობა ჩავატარე წალენჯიხის რაიონის სოფ. ჯვარის სას. საბჭოში.  
აქ შესრულებულ იქნა ჩემ მიერ შემდეგი სამუშაოები:

1. ჩაწერილია რვეულის 78 ფურცელი (156 გვერდი) მასალა (ზღაპრები,  
ლექსები, ლეგენდები და სხვა).

2. შეგროვებულია შემდეგი სალექსიკოლოგიო და დიალექტოლოგიური  
მასალები: 1) მცენარეთა სახელები, 2) ცხოველთა სახელები, 3) ადამიანთა და  
ცხოველთა სხეულის ნაწილთა სახელები, 4) ნათესაობის აღმნიშვნელი ტერმინ-  
ები, 5) ადამიანთა ხელობის აღმნიშვნელი ტერმინები, 6) ადამიანთა და ცხო-  
ველთა ავადმყოფობათა სახელები, 7) საქმელთა სახელები, 8) სხეულისა და ნაგე-  
ბობათა და მათ ნაწილთა სახელები, 9) დროისა და ბუნების მოვლენათა სახე-  
ლები, 10) ზოგიერთ საზომ ერთეულთა სახელები. სულ შეგროვებულია 1300-ზე  
მეტე სიტყვა.

3. შედგენილია ორი სოფლის (ლექარდე და ჯვარხენი) მიხედვით დაწერი-  
ლებითი სია საყანე მიწებისა, მინდვრებისა, გორაკებისა, მდინარეებისა და ლე-  
ლების სახელწოდებათა.

4) ვმუშაობდი ენის პრაქტიკულად დაუფლებისათვის. ამ მიზნით ვმუშა-  
ობდი ზუგდიდსა და დარჩელში.

შეგროვებულ და შევსებულ იქნა სალექსიკოლოგიო და დიალექტოლოგი-  
ური მასალები.

აღ. ჯიშიაშვილი



ანბარიში 1937 წლ. საზოგადოებრივი მივლინებისა სპანური ენის შესასწავლად და სპანური ტექსტების ჩასაწერად (ჯამო-სპანური ტექსტები)

მივლინებული ვიყავი ზემო-სვანეთის სვანური ენის შესასწავლად და ტექსტების ჩაწერა-შემოწმებისათვის.

ემუშაობდი მესტიაში. 10 დღის განმავლობაში ვამუშავებდი უკვე ჩაწერილ სვანურ ენობრივ მასალებს, შემდეგ დავიწყე ზღაპრების ჩაწერა. მოქმედებად იყვნენ სოფ. სოფ. ლეხთაგის, ლალამის, სეტის, ლანჩვალისა და მულახის თემის მცხოვრებნი. შევაგროვე 20-მდე ზღაპარი და 40 ეპიკური სასიმღერო ლექსები, ამავე დროს ვკრებდი სვანურ ლექსიკოლოგიურ მასალებსაც. ჩაწერილი მაქვს დაახლოებით 1000-მდე სიტყვა.

ტექსტების ჩაწერასთან ერთად ვცდილობდი ამ უკანასკნელთა გარჩევას გრამატიკული თვალსაზრისით. ამ მხრივ შევძელი, ძირითადად მაინც, სვანური ენის გრამატიკული აგებულების ელემენტების გათვალისწინება.

საჭიროდ მიმაჩნია აღენიშნო აქ ერთი გარემოება: სვანეთში ზემოთა მომიხდა ისეთ დროს, როდესაც სოფლად გაცხარებული მუშაობა ჰქონდა გლეხებს და ჩვენთან სამუშაოდ არ გააჩნდათ საკმარისი დრო.

ვახტანგ გაჩეჩილაძე

ანგარიში 1937 წლის საზაფხულო

მივლინებისა აფხაზური ენის ფონეტიკაზე საშუაოდ

მივლინების მიზანს შეადგენდა, პირველ რიგში, აფხაზური ენის რთული ბგერითი სისტემის გაცნობა ცოცხალს მეტყველებაში და მისი ფონოგრაფზე ჩაწერა; გარდა ამისა, აფხაზური ენის სტრუქტურის გაცნობა საერთოდ.

მუშაობა ჩავატარე გუდაუთის რაიონში. „14 ოქტომბრის სახელობის“ კოლმეურნეობაში. ეს რაიონი აფხაზური მეტყველების თვალსაზრისით ფონეტიკურად საყურადღებო რაიონია.

ვინაიდან აფხაზური ენა ბგერითი შედგენილობის მხრით, სხვა კავკასიურ ენებთან შედარებით, ყველაზე უფრო რთული შედგენილობისაა, ამიტომ ამ ენის ნიმუშების ზუსტად ჩაწერისათვის ერთად ერთი საშუალებაა მისი ფონოგრაფზე ჩაწერა.

პირველ რიგში ფონოგრაფზე ჩავეწერე აფხაზური ენის ბგერითი სისტემისათვის დამახასიათებელი რთული ბგერები. თითოეული მათგანი ჩაწერილია ჯერ ცალკე-ცალკე (3-ჯერ) და შემდეგ ბგერითს კომპლექსებში — სათანადოდ შერჩეულს სიტყვებში.

ჩაწერილია შემდეგი რთული ბგერები:

1. დი სიტყვები: ა) ადიგბგა — მელა.  
ბ) ადიგ — მოედანი.  
გ) არდიგნა — შაშვი.
2. თი სიტყვები: ა) არუთია — გაზი.  
ბ) ათიან — თივა.  
გ) ამათია — ტანსაცმელი.
3. ქი სიტყვები: ა) აქა — კურდღილი.  
ბ) აქაჰა — ჩაქუჩი.  
გ) აქიროა — მკედელი.
4. ტი სიტყვები: ა) ატიჯა — რქა.  
ბ) ატიგმ — უცხო.  
გ) ატიგლა — მზარე, ქვეყანა.
5. ში სიტყვები: ა) აშიაგ — ფეხი.  
ბ) აშიხა — ფუტკარი.  
გ) ახში — მიმინო.
6. ში სიტყვები: ა) აში — დათვი.  
ბ) აშით — ყვავილი.  
გ) აში — კარი, ყველი.

3464

7. ც სიტყვები: ა) აც — ხარი.  
ბ) აცუმზა — სანთელი.  
გ) აცა — ტყავი.
8. ძ სიტყვები: ა) ძძძარა — რეცხვა.  
ბ) ძძგ — ერთი კაცი.  
გ) ძძძალა — თითო თითო (გონიერი)
9. წ სიტყვები: ა) აწა — ჭიჭა.  
ბ) აწა — ვაშლი.  
გ) აწგუტ — ანკესი.
10. ქ სიტყვები: ა) აქე — შეშა.  
ბ) აქე — პირი.  
გ) ქეც — ხალი.
11. ჯ სიტყვები: ა) აჯაგ — ნიორი.  
ბ) აჯაგ — ფოლადი.  
გ) აჯაჯა — ფართო.
12. პ სიტყვები: ა) აპუზა — დანი.  
ბ) აპა — ჭლიაფი.  
გ) აპუ — ხმო.
13. ჩ სიტყვები: ა) აჩე — ცხენი.  
ბ) აჩაჩა — აქლემი.  
გ) აჩაჯა — თოხი.

ზემოხსენებულ ბევრებს ფონოგრაფთან წარმოთქვამდნენ და ეით ს მ ი რ ი და ქ ჯ ა ზ ი მ ა რ ძ ე ნ ბ ა (პირველმა წერა-კითხვა იცის).

გარდა ამისა, ფონოგრაფზე ჩაწერილია სხვადასხვა პირისაგან აღზახური მეტყველების ნიმუშები საკმაო რაოდენობით.

1. ხასვრად ს მ ი რ ი ს თქმით ჩაწერილია: ა) „როგორ მოჰყავთ თუთუნის“. ბ) „როგორ იტყვენ და წრთენიან მიმინოს“.

2. თ ვ რ კ ი ლ ყ ა ნ ს ო ს თქმით ჩაწერილია: ა) ზლაპარი: „აბეთა ბესლან“ (6 ფირფიტა). ბ) „ორი ძმის მოკელის (ისტორიული) ამბავი“ (3 ფირფიტა). გ) „ქუჭა კატუსა და მანჩა უჩერდიას შორის ბრძოლის ისტორია“ (3 ფირფიტა). 4. „არძენა“ ისტორიული ამბავი (3 ფირფიტა).

თ ვ რ კ ი ლ ყ ა ნ ს ო ყველაზე უხუცესი იყო იმ პირებს შორის, რომლებთანაც შე მქონდა ურთიერთობა (დაახლოებით 80 წ.) და როგორც ობიექტიც მეთად საინტერესო აღმოჩნდა იგი (წერა-კითხვა არ იცის).

3. არძენა ქაამილის თქმით ჩაწერილია:

ა) ზლაპარი: „სამი ამხანაგი“. ბ) „მეფე და მწყემსი“ (ზლაპარი).

4. არგუნ ახმედის თქმით (კოლ. თავმჯდომარე) ჩაწერილია:

1. „14 ოქტომბრის სახელობის“ კოლმეურნეობის ისტორია“. 2. „ქურდის ზლაპარი“.

სულ ჩაწერილია 23 ფონოგრაფის ფირფიტა. ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის ფონეტიკის კაბინეტის 1938 წლის გეგმაში შეტანილია ზემოხსენებული მასალების გაშიფრვა-დამუშავება და მისი ბიულეტენის სახით გამოცემა.



ანგარიში 1937 წ. საზღვარგარეშო მიმდინაობისა

საჩინო-ინგულისტის ავტორ ივანე ს. ს. რეპუბლიკაში

1937 წლ. ივლისში ავად. მარის სახ. ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტმა საზღვარგარეშო მიმდინაობის საჩინო-ინგულისტის ავტორ. რესპუბლიკაში ჩაჩინო-ინგულისტის გასაცნობად, შემდეგში ერთერთ მათგანში დასპეციალების მიზნით. საბოლოო არჩევანს ვფიქრობდი ადგილობრივ, სახელდობრ, ქ. გროზნოში, ენისა, ისტორიისა, ლიტერატურისა და ხელოვნების ჩაჩინო-ინგულისტ სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში, სადაც წარმოებს მუშაობა ენის საკითხებზე და სადაც გაირკვეოდა მთავარი, ჩემთვის საინტერესო საკითხი: როგორ არის დაყენებული ჩაჩინო-ინგულისტ-ბაცბიურის მეცნიერული კვლევა. სამწუხაროდ, ხსენებულ ინსტიტუტში საკანთმეცნიერო მუშაობა დამაკმაყოფილებლად არ ტარდება (ეს გარემოება ადგილობრივ პრესაში რამდენჯერმე აღინიშნა).

ჩემი შთაბეჭდილებით, ინსტიტუტის ხელმძღვანელსა და ნაწილობრივ მეც. თანამშრომლებს სათანადოდ არ წარმოუდგენიათ ის ფაქტები, რომელშიც გაივლის ენათა ხსენებული ჯგუფის პრობლემატიკა. თუ ჩაჩინო-ინგულისტზე მუშაობა ასე თუ ისე ტარდება, სრულიად უფლებიერყოფილია ბაცბიური (შედარების თვალსაზრისით ჩაჩინო-ინგულისტის არ სცილდება). სამართლიანობა მოითხოვს საგანგებოდ აღინიშნოს, რომ საგრძნობად ბევრი კეთდება ჩაჩინო-ინგულისტის მომავალი უნიფიცირებული სალიტ. ენის გამომუშავებისა და ნორმების დასადგენად, რადგან მთავრობის გადაწყვეტილებით ახლო მომავალში განზრახულია სახელმწიფო აპარატისა და სახალხო განათლების ქსელის ადგილობრივ ენაზე გადასვლა. მე შემთხვევა მქონდა გავცნობოდი ხსენებული დაწესებულების სტრუქტურას და ინსტიტუტის მოამბის II ტომისათვის დასაბეჭდად გამზადებულ მასალებს. ტომში საკმაოდ საგულისხმო წერილები იყო. მათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია განსვენებული ზაურბეკ მალსაგოვის გამოკვლევები: ბაცბიურის გრამატიკა მდიდარი თემატიკური ლექსიკონით და მოსაზრებები და რეალური წინადადებები სალიტერატურო ჩაჩინო-ინგულისტისთვის.

გამოირკვა, რომ სპეციალისტთა რაოდენობა ჩაჩინო-ინგულისტისათვის თითქმის თანაბარია და რომ მომავალ ერთიან სალიტერატურო ენას პირველი უკანასკნელთან შედარებით მეტ მასალას მიაწვდის. ამგვარად, გამოსული ლიტერატურის ენა ძირითადად ჩაჩინო-ინგულისტის ბარის კილოკავს ეყრდნობა. ს. შატოვი (ადგილობრივი გამოთქმით შუტა)—ბუნქტი, რომელზედაც მე შევჭრდი გროზნოს ინსტიტუტის მუშაკთა რჩევით—ენობრივად ჩაჩინო-ინგულისტის მთის კილოკავს ეკუთვნის, მაგრამ მაქსიმალურად დაახლოებულია ბარის კილოკავთან. შატოვის გარდა, მასალის შესამოწმებლად სამი დღით ვიყავი იტუმ-კალის რაიონის სოფ.





კინახ(ოჲ)ში და ამავე მიზნით ერთი დღით, შატოს რაიონში შექმნილ უკანონო მანდაროსა და ბარზოიში. საჩიასსრ-ს ტერიტორიაზე, სეფიძეების მიერ აღდგენილ 28 დღე იქნა გამოყენებული. გაკეთებულია შემდეგი: შეძლებისამებრ შემოწმდა უსლარის „ჩაჩნური ენის“ გრამატიკული ნაწილი და საფუძვლიანად ამ შრომას დართული ჩაჩნურ-რუსული (და რუსულ-ჩაჩნური) ლექსიკონი; აგრეთვე, იქვე მოთავსებული „სიტყვათა კრებული“ აკად. ა. შიფნერისა. ამას გარდა, შემოწმდა Н. Чуликов-ის «Правописание чеченского языка»-ს ბოლოში დართული მოკლე სიტყვარი. ჩემს მიზანს, პირველ ყოვლისა, ჩაჩნურის პრაქტიკული შესწავლა შეაფგენდა, ამიტომ ჭიწრდი სასაუბრო მეტყველების მარტივ ნიმუშებს ლექსიკური მარაგის დაგროვების მიზნით, პრაქტიკული მხარეცა და საკითხის თეორიული ინტერესი მიკარნახებდა მთავარი ყურადღება კლას-კატეგორიათა ნიშნებისა და მრავლობითი რიცხვის წარმოებისათვის მიმეჭკია. უსლარის, ელდარხანოვისა და სხვათა მიერ შეკრებილ ტექსტებზე ვარჯიშობა სრულიად შეუძლებელი აღმოჩნდა, რადგან ინფორმატორების მომზადება ამ მხრივ შეტად სუსტი იყო, და სუსტი იმდენად, რომ მეთოდი, რომლითაც თავდაპირველად ჩემი მუშაობის წარმატებას ვაპირებდი—დაწყებითი სასკოლო სახელმძღვანელოების თარგმანა—განუხორციელებელი შეიქნა და „აბატ“-ის (დედაენა) დამუშავებას ვერ გასცილდა.

ენის სწავლას შევედგე ბგერითი სისტემის გაცნობით. ლათინური დამწერლობის ის ვარიანტი, რომელიც საფუძვლად უძევს ჩაჩნურს, ვერ ჩაითვლება მაინცდამაინც მოხერხებულ ანხანად. მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც მას დავყარდენით, ოღონდ, საჭიროებისამებრ, ფონეტიკური სიზუსტისათვის მიემართავდით დამატებით ნიშნებს, როგორცაა, მაგ., კ, ძ, ჯ, გ და სხვა. ჩაჩნურის ბგერით სისტემასა და მასთან დაკავშირებული ფონეტიკური მოვლენების შესახებ შენიშვნები, ალბათ, ცალკე იქნება წარმოდგენილი, ხოლო წინასწარ ყურადღება მიიბურო შემდეგმა საკითხებმა: რატომ არა გვაქვს რ-ბგერაზე დაწყებული სიტყვა (თუ მხედველობაში არ მივიღებთ ნასესხებ რალუ, რემა, რამა, რუზბან-სა და საკუთარ სახელთა წყებას), რა ბუნებისაა ჩაჩნური მკვეთრ-ხშულები ქართულთან შედარებით, ცხვირისმიერი დანართი ბგერის ბუნება სიტყვის დასასრულში, უმლაუტები, გრძელი ხმოვნები და განსაკუთრებით მახვილი, რომლის სტაბილურობა (ბაზარ, ჭაშანდაროჲ) მეორეული ჩანს, და რომელიც ოდესღაც აქტიური მოზიარე უნდა ყოფილიყო ხმოვანთა მორფოლოგიურ ფუნქციითა მისისა (დღესაც ხომ უპირატესად ხმოვნები და არა თანხმოვნები გვევლინებიან მორფოლოგიურ-სემანტიკური ფუნქციის მატარებელ ელემენტებად ჩაჩნურ ენაში, მაგ., დჷა—წილი, ნაწილი, მაგრამ დაჷა—მკედარი).

შემოწმებამ გამოარკვია, რომ უსლარის ჩანაწერი გრამატიკული ფორმები და ლექსიცა მთლიანად ბარის კილო-თქმებზე როდია აგებული, არამედ გამოყენებულია მთის ზოგი კილოკავიც და მასთან ისეთი შორეული, სუციალისტების თქმით არქაიზმების შემცველი, როგორცაა ჩებერლოს კილოკავი. შუტას (შატოს) ენამ უსლარისა და აბატ-ის (ჩაჩნ. დედაენა) მასალასთან შედარებით დიდი დაცილებლობა არ წარმოადგინა და ასევე მეტ წილად ლექსიკისა და ცალკეულ სიტყვათა ფორმებში იჩინა თავი (მაგ., უსლარით ჯალლარ ნაცკლად ბეპიგ-ისა, უსლ. ცას-

ტარ—ასტგრგ, ცეროგ—ცერგ, წე—წე, ჩა—ჩე, ჩუორბა—ჩარბა, ორკე—ორსე, პხა—პხე, ბარული ას წანაო, შუტას მიხედვით ას წადო და მისთანანების ჩაწერა არამართუ პირველ ხანებში, არამედ სამუშაო პერიოდის მიწოდებისთვისაც მეტად მიჭირდა და მხოლოდ უკანასკნელ დღეებში ვცადე რამდენიმე ტექსტის ჩაწერა სანიმუშოდ და გასაფარჯიშებლად. ამგვარად, უმთავრესად ვკრებდი ლექსიკურ მასალას იმ თემატიკური მაჩვენებლის მიხედვით, რომელიც წინასწარ იყო მითითებული, და ონომასტიკურსა და ტოპონიმიკურ სახელებს. ენობრივი მასალის გრამატიკული გარჩევისას (ამოსავალ წერტილად უსლარია მიჩნეული) წესისამებრ, სიტყვა ყოველთვის ფრაზაშია აღებული. უსლარის მიერ მოცემული ბრუნებისა და უღვლილებების სქემები ყველგან ვერ გავიკვამ (დროები, ზოგი „ბრუნვა“), ზოგჯერ იმიტომ, რომ შუტას კილოკავი იძლეოდა განსხვავებულ ჩვენებებს, ხან კი იმიტომ, რომ ინფორმატორებს ვერ ვახვედრებდი, რისი თქმა იყო საჭირო. ყურადღება გამახვილებული იყო შემდეგზე: რამდენად მართლდება უსლარის ამოსავალი დებულება იმის შესახებ, რომ ჩაჩნურში ზმნა მოქმედებითი გვარისა არ არის, და რომ მაშასადამე, იგი თავისი ბუნებით პასიურია; მართლა ასეა და რატომ, ან ზომ არ ჩარჩენილა ჩაჩნურ ზმნაში მისი წარსულში აქტიურობის ნიშნები, ან ეგების ამჟამად დაეტყო აქტიურობის ტენდენცია? ამის მიკვლევა უმეშვეოდ უნდა ებჯინებოდეს ზმნის გარდამავლობა-გარდაუვლობისა და კლას-კატეგორიათა საკითხს, რადგან, როგორც ცნობილია, სწორედ ობიექტის კლასია გადამწყვეტი ზმნის გვარობაში. უსლარის თავისდათავად შესანიშნავი პროგნოზი ჩაჩნურ-ხუნძური ზმნის პასიურობის შესახებ დღეს არსებითი კორექტივის შეტანას საჭიროებს სწორედ იქ, სადაც უსლარს სრული მეორეს დამთხვეულად მიაჩნია ზმნის პასიურობა გვარისა და სემანტიკის მიხედვით. ზმნა ამ ენებში პასიურია არა გვარის მიხედვით, არამედ, თუ შეიძლება ასე ითქვას, სემანტიკურად, და მაშასადამე, არსებითად იგი აქტიურია. ბუნებრივად, აქვე ამოტივტივდა მოქმედებით-ბრუნვიანი სახელის სინტაქსური როლი ზმნის გააქტიურებაში, ამ ბრუნვის ის ერგატიულობა, რომელიც ჩაჩნურში (ხუნძურისა და ლეზგიურის მსგავსად) ქმნის ე. წ. ერგატიული წინადადების ტიპს. ამას გარდა, ზმნის თემის მიაქტივებლად, ხშირად, ზმნის ფუძეს დართული მეშველი ზმნა გვევლინება, როგორც მოქმედებით-ბრუნვიანი სუბიექტის თანმდევი (იხ. მაგ., სუო ყონა ვუ, მაგრამ ას ყონდუო, სუოპნუ, მაგრამ ას პნხადუო და მისთ.). საგულისხმოა, რომ დ კლასნიშანი მრავალ შემთხვევაში ნეიტრალურად, უკეთ, ობიექტის (კლას-კატეგორიისა და დამოუკიდებლად) გამოხატულებად ქცეულა (ეს პროცესი, რომელიც ჩაჩნურისათვის ჯერ კიდევ მკრთალია, განსაკუთრებით გამოკვეთილია ბაცბურში). მაგ., წერა ზმნა, რომელიც უმეშველზმნოდ უკვე აღარ იხმარება და რომელსაც მეტწილად დ კლასნიშანიანი ობიექტი გააჩნია (თუმცა ბ კლასნიშანიანი ობიექტიც შეიძლება ახლდეს), ხშირად ახზარს ახზარის ნაცვლად ხმარობს (ჩვენ მიერ ფიქსირებული მასალის მიხედვით). ახზარ-ი გამოხატვისი არ არის და ამგვარად დ-შეყინული ფუძე რამდენიმე სხვა ზმნაშიც შეგვხვდა. გასარკვევია, რატომ დ გვევლინება ასეთად და არა სხვა რომელიმე კლას-ნიშანი? ჩვენის აზრით, იმავე მეშველი ზმნის (დ, ვ, ა, ბ-არ, რომელიც დაახლოებით werden-ის მნიშვნე-



ლობისა) უკლასნიშნო ფუძე უნდა იყოს გამოყენებული სახელშვნის საწარმოებლად ჩაჩურში (ირბ-არ „ოლა“, დაშ-არ — „ღნობა“, „ლოლა“, ტაყაშვილი, ფუძე და ა. შ.). ეს არ ფუძე (თუ ძირი) ეტიმოლოგიურად და სემანტიკურად მონათესავე უნდა იყოს ქართველურ ენებში ფართოდ გავრცელებული არ ძირისა.

ჩაჩურში კლას-კატეგორიების ვითარების ნათლად წარმოსადგენად ყოველი ჩვენს მიერ ფიქსირებული სიტყვა აღებულია ან სათანადო კლას-ნიშნით (ზოგი ზნა და ზედსართავი) ან კლას-კატეგორიების მიხედვით დიფერენცირებული მეშველი ზნის დაართვით. უსლარის მიერ წარმოდგენილი კლას-კატეგორიების ექვსი დანაყოფი იწვევს ამ რაოდენობის მეორეულობის სასარგებლოდ საკითხის დასმის აუცილებლობას (რათქმუნდა, ჩაჩურ-ინგუშურ-ბაქციურის შედარებით ფონზე). როგორც ვიცი, ამჟამად სიტყვა ჩაჩურში თავისი კლასურ დეტერმინაციას ახორციელებს ან მეშველი ზნის დაართვით (ახ ბევიგ დუ, ახ ზორბუზ აუ, ახ ყაფ ბუ, ახ საგ ვუ), ან კლას-ნიშნის პრეფიქს-ინფიქსურად დაართვით (ვეზი საგ, ბეზი უსტალ, დეზი ციციგ, აეზი ძუდა). ამათგან პირველადი მეორე ტიპი უნდა იყოს და დღეს ამ ტიპის სახელებისა და ზნეების უდაო დაკლების წინაშე ვდგავართ. ამასთან, კლას-ნიშნადობას ეცილება უკვე სხვა დანიშნულება, სახელდობრ, მნიშვნელობითი დიფერენციაციის მომენტი. ასე დაკარგა გაცილებით უფრო ადრე თავისი პირვანდელი ფუნქცია ლ-ნიშანმა (თითქოს მხოლოდ პრეფიქსულად ხმარებულმა). დაკული მაგალითებიდან ჯერ ხნობით არა ჩანს, რომელი კლას-კატეგორიის ნიშანი უნდა ყოფილიყო იგი. დღეს კი მას ეკისრება სემანტიკური შემოქმედებითობა. ლ-ს კლას-ნიშნად გამოყენების რელიქტები, ლიტერატურაში პირველად ზ. შალსაგოვის მიერ დამოწმებული (ვ, ზ, დ, ბ-იეარ, მაგრამ ფონდურ ლიეარ, აღარ- „გამოსვლა“, ლ-იელარ „სიარული“, „სვლა“, ეცარ—აღება, ლ-აეერ—შეპყრობა, წატაცება [ხელის], [და]ქერა; იხ. მისი «К вопросу о классных элементах в нахском языке», Изв. Ингуш. научно-исслед. Инст. Краеведения, II—III, 1930), რამდენიმე ახალი მაგალითით შეიძლება გაიზარდოს; მაგ., ზნა ლაქყარ, რომელიც ნიშნავს მალვას, პარვას (შდრ. ხუნძ. წოპარ—ქურდი), ჩვენ მიერ ჩაწერილია კუორ-ის სახით: ჰუმალა-კუორ ყოლუგარ—რაიმეს მოპარვა, ე. ი. პრეფიქსად აქ ლ რჩება; ასეთივეა იეცარ—შესყიდვა, აღება, გაცრა, მაგრამ ას ლოკუ დგმა—ცარი ფქვილს (შდრ. უსლარით ას იცინ ცუნიგირი დამა—შე ვიყიდე მისგან ფქვილი) და ას ლოკუ საგ—შე ვაპატიმრებ კაცს. ამავე ხასიათისა უნდა იყოს ლ ზნებში ლალლარ (ქ. გალაღწა), ლარდალარ (ქ. მორიდება), ლადლოლარ და ა. შ. ხომ არ არის ეს ის ლ ელემენტი (სათანადო გახმოვნებით), რომელიც სეანურში მასდარის თავსართადაა გამოყენებული?

კლას-კატეგორიების საკითხს კარგად აშუქებს სხვადასხვა დროს ნასესხებ და შეთვისებულ სიტყვათა კლას-ნიშნები; მაგ., ვუ-ს გაჰყვებიან: ჩტავოდ, სიკრიტარ, პრსიდატელ, ბუ-ს: რუჩა, ყოლუმ, პატარმა, ხობ, ხიერხ, ზგანოკ, დუ-ს: ჩაა, შიეკარ, სნაა, სგვა, სოლ, ეპპიზ, თქმა, აუ-ს: ისპრავეა, იშკოლ, ფურაშვეგ პეშ და ა. შ. როგორც ვხედავთ, ნასესხებ ლექსიკონში სიტყვა კლასურად დეტერმინირებულია მეშველი ზნის მეოხებით; ე. ი., პირველი ტიპის წარმოებასთან გვაქვს საქმე. უსლარის მიერ მოცემული სალექსიკონო მასალის შემოწმებისას ზოგი სიტყვის კლას-ნიშანი თანხედენილი არ აღმოჩნდა ამავე მასალისათვის ჩემ მიერ ჩაწერილი კლას-ნიშნებისა, მაგ., ასეთი დაკლებია:

უსლარიტ: ვირ—აუ, აუ, გა—ბუ, დუ, გუეზინ—აუ, აუ, გუოფუკუმეტი ბუე  
ჩვენიტ: —დუ, დუ, —დუ დუ, გუეზინ—ბუ, ბუ:—აუ, აუ. შიგლნიქსეჩა

უსლარიტ: დაბკა ბუ დუ, დნცა—ბუ დუ, დინ—ბუ, დუ, ჯბ—დუ დუ, ჰუორდ  
—ბუ, დუ, ხაშტიგ—აუ, აუ.

ჩვენიტ: ბუ ბუ, —ბუ ბუ, —ბუ ბუ, ბუ ბუ, —ბუ ბუ:—დუ, დუ.

უსლარიტ: სინდა—ბუ დუ მუობ—ბუ ბუ.

ჩვენიტ: ბუ ბუ, მოხ ბუ დუ და ა. შ. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მამაკაც-  
თა კლასის გამოხატველი ვუ კლასნიშანი თითქმის უ-დ გამოითქმის.

ჩაჩნურს (ისე როგორც მრავალ სხვა კავკ. ენას) ახასიათებს გრამატიკულ-  
ლი ნაგებობის უღარესი ტეხადობა. მასში თავმოყრილია სხვადასხვა სისტემის  
ფორმალური მექანიზმები. ეს ტეხადობა მრავლობითი რიცხვის წარმოების მრავ-  
ლობაშიც აისახა. ჩაჩნურში მრავლობითობა გამოხატულია რამდენიმე ურთიერთ  
განსხვავებული ნიშნით. ამასთან, მრავლობითობა სათავეა შეტად ღრმა ფონე-  
ტიკურ ცვლილებათა სიტყვის ფუძეში. მრავლობითობის ნიშანთა რეგისტრა-  
ციაშიც აგრეთვე ადგილი ჰქონდა დაცილებას უსლართან. მაგ.,

უსლარიტ: მუობ-მეხნიშ, ყა—ყინუოშ, ტარა-ტარაშ, ჩუო-ჩუეშ.

ჩვენიტ: მოხ-მეხნიშ, ყე-ყენაშ, ტარა-ტარანაშ, ჩო-ჩოშ და ა. შ.

ყურადღება მიიპყრო ლუო (იშვიათად რუო) სუფიქსმა სახელებში, რომე-  
ლიც შეტ წილად nom. agentis-ის მაწარმოებლად იხმარება: ტუმ (ომი), ტე-  
მელუო (მეომარი), ლამ (მთა), ლამარუო (მთიული), მეკირ (ვერაგობა), მეკირლუო  
(ვერაგო), შა (ყინული), შიელუო (სიცივე, ვაცივება), ბუორზ—ბერზელუო, ბუოყ—  
ბეიელუო.

შთაბეჭდილება, რომელიც ჩაჩნურთან პირველი გაცნობისთანავე რჩება,  
არის ამ ენის უღარესი მრავალფენიანობა, როგორც სიტყვა-ძირებისა, ისე  
ფორმალური აღნაგობის მხრით. კავკასიურ ენათა ჯგუფიდან, თუ რომელიმეს  
შესწავლა საჭიროებს კავკასიურ ენათა ზოგად კრილში განხილვას, ყველაზე შე-  
ტად ეს ჩაჩნურზე ითქმის. თუ ჭარბეულურ ენათა შესწავლა მთის კავკას. ენა-  
თა გარეშე გარკვეულ ეტაპზე მაინც წარმოსადგენია, სრულიად წარმოუდგენე-  
ლია ჩაჩნურის შესწავლა ამ ენათა მოუშველებლად რომელიმე ეტაპზეც კი. ისე,  
მაგ., ზოგი მორფოლოგიური მაჩვენებელი და სიტყვა-წარმოების ზოგი ელე-  
მენტი ზიარია არაკავკასიური აგებულების ოსურთან. ჩაჩნურის მიმლეობისა  
და არსობითების მაწარმოებელი სუფიქსი იკ/აგ (გურიგ, დოჭზიგ, საგ, ლერიგ,  
შელიგ) მოგვაგონებს ოსურში აგრეთვე მიმლეობებისა და ზედსართავ-არსები-  
თების ანალოგიურ დაბოლოებას (სტონგ, საინჰგ სააგ და სხ.), რომ არაფე-  
რი ვთქვათ ისეთ აშკარად ოსურ შენატანზე, როგორცაა ჩაჩნური შოჭდა და  
მისთ. ამას გარდა, კლას-კატეგორიების ზოგადად და კერძოდ კლას-ნიშნების  
საკითხი მხოლოდ და მხოლოდ გარსშემორტყმული ენათა მეოხებით თუ მიიკ-  
ვლევა მთელი სისასით, ზმნის მექანიზმი, მაგ., არსებით სტრუქტურულ გა-  
მობაძილს ჰპოებს ზუნძურსა და ლეზგიურში. იმავე ზუნძურში წავაწყდებით ხ-ზე,  
თუ ახ-ზე დაბოლოებულ მოქმედებით (resp. ერგატივის) ბრუნვას (ჩაჩნ. ვაშ-ას,  
ზუნძ. ვაქ-ას) და სხვა. სემანტიკურ ძიებაში ჩაჩნური გვერდს ვერ აუხვევს კავკას.  
ენათა თითქმის ვერც ერთ წევრს. საილუსტრაციოდ იგივე ზუნძური რომ



ავილოთ, წავაწყდებით არა მარტო ისეთს შებვედრებს, როგორცაა პიტ (ჟუჟი)—ხუნძ. პატ (თხა), ჩ. მოტ (ენა) ხ. მაწ (id., შდრ. მაწ <sup>მარტო</sup>), პალ (მეთხავეი)—ხ. პალ (id.), ჩ. ვაშა და მიშა, ხ. ვაც და ჰეც <sup>მარტო</sup> (ლოცვა)—ხ. დუპა (შლოცავი), ჩ. მიკ, ხ. მიკ, ჩ. მაქ (წვერი, —ნიცაჟა)—ხ. მეგეჟ (id.), ჩ. კოუ (kopora) ხ. კაუ (id.), არამედ წავაწყდებით სრულიად გარკვეული ფონეტიკური კანონზომიერების ნიშნებს ბტერათშესატყვისობაში, მაგ., ხუნძ. ბერ (თვალი) ჩაჩნ. ბჰარგ (id.), ხ. ბო (ჯარი) ჩაჩნ. ბჰუო (id.), მაგრამ ჩაჩნ. მარა (ცხვირი), ხუნძ. მეყერ (id.) და ა. შ.

ჩაჩნურს ბევრ რამეში შეუძლია დამოწმოს ენობრივი შებვედრები ქართველურ ენებთან. სადღაც, ოდესღაც მათ ერთად განვლეს კულტურულ-ეკონომიური ცხოვრების კარგა მოზრდილი მანძილი და ხშირ შემთხვევაში ერთი წყაროს წყალი უსვამთ. თუ დღეს ამ ურთიერთობის კვალი ძირეულ აღნაგობაში დანრდილულია და მხოლოდ პერიფერიულად მელანდება, ეს იმას არ ნიშნავს, რომ შემდგომი ძიება ამ მიმართულებით არ დაადასტურებს უფრო კანონზომიერი შესატყვისობის არსებობის მოლოდინს. ამჟამად, ჩვენთვის ნათელია, რომ ჩაჩნურ-ქართველურ ენათა ურთიერთობა გულისხმობს სრულიად გარკვეულს ენობრივ სუბსტრატს, რომელიც ისტორიზმის ნიადაგზე დგომას და სათანადო დასკვნების გამოტანას გვაძლებს. მაგ., არ შეიძლება არ დაგვაფიქროს იმ გარემოებაში, რომ დღესდღეობით უცნობ მ ელემენტთან სვანურ ერთ-ერთ ირიბ ბრუნვაში (ნათესაობითში)—მარ-მ-იშ, ლგრ-მ-იშ, გუ-მ-იკან(ე) ე—მ— შეიძლება გავიხსენოთ ქისტურის სახელობითი ბრუნვის პრაელობითში აღმდგარი მ-ანი ზოგი სიტყვისათვის (მარ—მარ-მ-ოშ, დალ—დალ-მ-უშ, ლაქ—ლოქუ—მ—უშ და მისთ.), რომ ჩაჩნურის მ-ს, რომელიც ფუნქციონალურად იმეორებს ქართული ნუ-ს სემანტიკას—საერთო მომენტი უნდა ჰქონდეს სვან. მ-სთან მშა და მ-ში (ჟარყოფ. ნაწ.), რომ სვან. თავსართ-ბოლოსართ ჩუ-ს (თხუპ-ჩუ, ნებგვა-ჩუ...) აგრეთვე საზიარო ნიუანსი უნდა ჰქონდეს ჩაჩნურის ჩუ(ბ)-თან (წა-ჩუჰ — სახლში, ჩუ-ხაარ — ჩაჯდომა, ჩუ(b)ლიქლარ — შიგნი სვლა) და ა. შ.

უფრო ღრმად რომ არ ჩავიდეთ, საკვირვლად გვემცნაურება შეიდეულში შემავალი ზოგი დღის სახელწოდება, როგორცაა, კირანდი (კირადლე), ორშოტდი (ორშაბათი დღე), პერისკანდი (პარასკევი დღე), შუოტანდი (შაბათი დღე); სიტყვათა რიგი, რომელიც ზიარია სხვა ენებთანაც: მახა (მახათი), ჰავა (ჰავა), ერზო (არწივი), ზიენ (ზიანი), პილ (ძვ. ქართ. პილო), სუპი (სვან. სუფ), კჷრი (ქორი), ხუობ (ხახვი), ისეთი სიტყვები, რომლებიც ქართულ სიტყვებად არიან დღემდის მიჩნეულნი: ხიენ (ძელი, ქართ. ხე), ჯჷარ (ჯვარი), ტრლლე (ტალღა), აგა (აკვანი), ნაბ ან ნაბაარ (ძილი, ქართ. განაბვა), წოწყუმ (წამწამი და წარბი), კუოტამ (ქათამი) და ა. შ.

მუშაობის შედეგად შეგროვილია 3000 სიტყვა, 300-ზე მეტი ონომასტიკური და 200 ტომონიმიკური სახელი. საცდელად ჩაწერილია ეთნოგრაფიული და ფოლკლორული ხასიათის ტექსტები მცირე რაოდენობით (სულ 40 გვერ-

დამდე: 6 სასიძღვრო ლექსი, 4 ზღაპარი, 10 საკმაოდ საინტერესო ფიქციური-ფილური ხასიათის ნაწყვეტი და რამდენიმე ანდაზა).

გონიაშვილი

თ. გონიაშვილი

### ანბარში საზაფხულო მივლინებისა ავხაზური ენის შესასწავლად ლიხნში

— 1937 წლის ივლისში ენიმკის კავკასიურ ენათა განყოფილებამ თენახვერით მიმავლინა აფხაზეთში სამუშაოდ.

მივლინების მთავარი მიზანი იყო პროფ. ს. ჯანაშიას მიერ შეკრებილი აქტიური (აბჟუა) ფოლკლორული ძეგლებისათვის ლექსიკონის შედგენა და ადგილობრივ შემოწმება.

ეს სამუშაო უკვე დაწყებული გქონდა. ამოწერილი და განმარტებული იყო 70 გვერდის მასალიდან სიტყვები. დანარჩენი სამუშაოს შესრულება და უკვე ამოწერილის შეჯერება უნდა მომხდარიყო ადგილობრივ.

ვინაიდან აბჟუის მეტყველება, ასე თუ ისე, ნაცნობი იყო ჩვენთვის და ეს მასალაც არა სალექსიკონოდ, მაგრამ მაინც, დამუშავებული და შედარებული გქონდა ჯგერდაში, ახლა ჩვენ ავირჩიეთ ბზიფი (სოფ. ლიხნი, აფხ. ლეხნე), რათა საშუალება მოგვემოდა ბზიფის მეტყველებასაც გავსცნობოდით. ლექსიკონშიც ისეთი განსხვავება არ იყო მოსალოდნელი, რომ ამის იქ დამუშავება არ შეძლებულიყო. ეს არჩევანი იმანაც გააკვივართლა, რომ იქვე ვიშოვეთ აბჟუელი, რომელთანაც მოხერხდა მისი დამუშავება.

ობიექტების მხრივ საერთოდ დიდ სიმკირეს განვიცდიდი. ზაფხული აფხაზეთში მოძალებული სამუშაოების პერიოდია (თამბაქო, ჩაი, სიმინდი...) და თავისუფალი პირი ამ დროს ძნელი საშოვნელია. სოფლის მასწავლებლობა საზაფხულო დასვენებას იყენებდა და ადგილობრივ ვერც ერთ მათგანს ვეღარ იპოვიდით. რომელიმე სხვა ენის მკოდნე-კი (რუსული, ქართული) ჩვენი მუშაობისათვის აუცილებელი იყო. ჩვენ შეგვეძლო მხოლოდ აფხაზურის მკოდნითაც დავკმაყოფილებულიყავით, უმთავრესად მაინც ასეთ პირთან მომიხდა მუშაობა, მაგრამ აფხაზურისათვის ამას თან სდევს გარკვეული ნაკლიც. აფხაზური სიტყვის თავისებური აღნაგობის წყალობით შეიძლება რომელიმე მათგანი რამდენსამე ცნებას გამოხატავდეს, მომდინარეს ძირითადი მნიშვნელობისგან. აფხაზისათვისაც ამოსავალი სწორედ ეს არის და განმარტების დროსაც ამ ძირითადს მნიშვნელობას უსვამს ხაზს. უკეთ რომ ვთქვათ, ახდენს მისს ანალიზს და კონკრეტული მნიშვნელობა სიტყვისა მიუწვდომელი რჩება. ამისთვის ყოველთვის არც კონტექსტი შევლის ადამიანს. ასეთს პირობებში თარგმნა ყველაზე უფრო სანდო საშუალებაა, ჩვენ კი მას ნაწილობრივ მოკლებული ვიყავით.



სოფ. ლიხნში (გულ. რ.) დაეყავი 40 დღეს.

ამ ხნის განმავლობაში:

ცალკე ბარათებზე ამოვწერე და განვმარტე დანარჩენი 200-ოდე გვერდის მასალიდან სიტყვები.

ერთხელ კიდევ შევამოწმე ჩემ მიერ ჯგერდაში ჩაწერილი ტექსტები.

ამოვწერე და განვმარტე 1936 წ. გამოსული აფხაზური ზღაპრების (ap-sua lakokua) გაუგებარი სიტყვები და ფორმები (142 ნაბეჭდი გვერდისა).

ჩავიწერე ტექსტები ხსენებულს დიალექტზე დაახლოებით 50 რვ. გვერდის რაოდენობით.

გეოგრაფიული განყოფილების დავალებით შევამოწმე გუდაუთის რაიონის გეოგრაფიული ნომენკლატურა.

ვახდენდი დაკვირვებას ბზიფურს დიალექტზე.

ამ დიალექტებს შორის (აბჟურის, ბზიფურის) განსხვავება განსაკუთრებით ჩაღად ფონეტიკაში მოჩანს. ბზიფურს შთელი რიგი თავისებური ბგერები გააჩნია. ჩვენც ვახერხებდით, თუ არა ზუსტი გამოთქმით, აკუსტიკურად მაინც მათს შორის განსხვავების დამყარებას. ამ ბგერებს წარმოადგენს ერთი მხრივ ხა და მეორე მხრივ თავისებური სისინა თანხმოვნები სჰ, ზჰ, ცჰ, წჰ, ძჰ.

ყველა მკვლევარს, რომელიც კი ბზიფურის ბგერითს სისტემას შეკვებია, ამასთანავე აღნიშნული აქვს განსხვავებული ფ, ფ-ს არსებობა. რამდენადაც შეიძლება ჩვენს სმენას დავეყრდნობთ, განსხვავება შჰ შჰ-სა და ფჰ ფჰ-ს შორის თითქოს აქ არ არსებობს. ყოველშემთხვევაში ეს განსხვავება ჩემთვის შეუნიშნავი დარჩა. თვით იქაური აფხაზებიც, ჩაკითხვისას ევრაიეთარს სხვაობას გამოთქმის მხრივ ვერ ხედავდნენ აშჰ-სა (კარი) და აშჰ-ს (წიფელი) შორის, აფჰ-სა (ძველი, მოხუცი) და აფჰ-ს (ძროხა) შორის. შეიძლება ეს მდგომარეობა დამახასიათებელი იყოს ლიხნის მეტყველებისათვის და სხვა სოფლებში ასეთი განსხვავებაც ჩანდეს.

ხსენებული სისინა თანხმოვნები თითქოს უფრო შიშინისაკენ იხრებიან. ამხმრივ სწორედ საინტერესოა შესატყვისობები ბზიფურსა და აბჟურს შორის. ხშირად ბზიფური ხ-ს შესატყვისად აბჟურში შ-გვაქვს. ირკვევა, რომ სწორედ ამ თავისებური ბზიფური ხ-ს შესატყვისია შ აბჟურში მაგ.: აბჟ. აშქქს ბზიფ. ასაქქს, აბჟ. აშგშჰჰს ბზიფ. ასაგსჰჰს, აბჟ. იშგჰჰოუ ბზიფ. ისაგჰოუ და სხვ.

მართალია, ბზიფურს ბგერითი მხარე უფრო მდიდრულად და კარგად აქვს წარმოდგენილი, მაგრამ ზოგს შემთხვევაში ბგერის გამოთქმა იქ უფრო შერყეულა. კერძოდ ზ ბგერა გაცილებით უკეთ აქვს დაცული აბჟურს, ვინემ ბზიფურს. აქ უ-დ ჰქეულა გარკვეულს შემთხვევაში, გარკვეულშია ც-ო-დ (შღრ. ბზიფ. („ცოცხი“) ამშსაგ, ააჟჰ („ოცი“) აბჟ. აშგშსაგ, ააჟჰ).

ასევე ითქმის ჰ-ზედაც ა-ჰა-რა (თქმა) ზნაში. ამ ზნიდან ძირი ჰა გამოყენებულია სხვათა სიტყვისათვის ბზიფში მის ჰა-თი გადმოსცემენ. მაგ. დცეატ-



ჰა—წავიდაო, იზბეტ-ჰა—ენახეო. ზოგჯერ თვით ზმნაშიაც მარტივდება იგი მაგ., იზბეტ—თქვა და სხე.

თანხმოვანთა ასიმილაცია ბზიფში უფრო განვითარებული ჩანს (მაგ., სტიმგრშენ || სტიმგრშენ—სტიმგრშენ ჩემს თავს ნუ მოაკვლევინებ მას (კაცს); ისამმჰარ—ისამმჰარ (არ მოთხრა ქალო რამე); ეაძბა—ეაწბა (უმცროსი); იკვდებრშუა—იკვდებრშუა).

გვაქვს თითო-ორი შემთხვევა ბგერათა შენაცვლებისა დიალექტთა შორის მაგ.: აბე. ამჰანდტრ ბზიფ. ამჰანდტრ (ფანჩატური); აბე. ატარჰაჰ ბზიფ. ატარჰალ (ხალიჩა) და სხე.

დადასტურდა, უკვე ჩვენ მიერ აღნიშნული, გარკვეულ დროთა წარმოებისათვის დამახასიათებელი ა ხმოვნის შეცვლა ბზიფურში და ამავე ხმოვნის სხვა მთელს რიგს შემთხვევებში მოკვეცა ან შეცვლა გ ხმოვნად. მაგ.: აბე. ანტაჟა ბზიფ. ანტაჟ (წყავი), აბე. არანცა ბზიფ. არანც (ნახშირი), აბე. აკტრცხა აკტრცხ, ადარდტ ბზიფ. ადგრდტ (თითისტარი), ათრან ბზიფ. ათრტ (ბუდე) და სხვა მრავალი.

ამ მხრივ აბეურში უფრო სრულად იცავს სიტყვის ფუძეს, მაგრამ ზოგჯერ გვხვდება სრულიად საწინააღმდეგო მოვლენაც. შეიძლება აბეურში დაიკარგოს ფუძის ა ხმოვანი ან იქცეს გ-დ, ბზიფურში კი ამ კერძო შემთხვევაში გადაარჩინოს იგი დაკარგვასა და რედუქციას. მაგ.: აბეურში გვაქვს ააჰაბტ (უფროსი), ააწბტ (უმცროსი), ბზიფურში კი—ააჰაბა, ააწბან. სიტყვის აღნაგობითაც ეს სახეა მოსალოდნელი. აბეურში ერთის აღმნიშვნელად გამოდის აკტ ბზიფურში—აკა; თანდებული აყნტ (აბეურში) იქ წარმოდგენილია ა-ყა-ნტ||ა-ყნტ-ს სახით.

მრავლობითის ვინ კლასის მაწარმოებელი ცა ბზიფში ზოგჯერ შეიძლება ც-ს სახითაც მოგვევლინოს, მაგ., აშარაცა (მონადირეები). აქაც ალბათ ბზიფურისათვის დამახასიათებელი ბოლო ხმოვნის მოკვეცის წესი მოქმედობს.

ვითარების აღმნიშვნელ ელემენტად აბეურში შ-ს ნაცვლად ხა გამოდის მაგ., დგსაჟყოუ—როგორც არის (გონ.), დგსაბაყოუ—როგორ არის (გონ.)? (კითხვითი -ბა- ნაწილაკი ამ შემთხვევაში ასიმილაციას არ განიცდის ბზიფურში). ამ ხა-ს გვერდით გვხვდება ზა-ც და შ-ც (ეს უკანასკნელი ბზიფურის კუთვნილება არაა); შეიძლება მაშასადამე დგსაბაყოუ-ც. უნდა ვიფიქროთ რომ აქ ზა ბ-სთან გამტერებით მიღებულია სა-საგანო, მაგრამ ისიც უნდა აღნიშნოთ, რომ არა თუ კითხვითს ფორმებში, სადაც ბა გვხვდება, არამედ არა კითხვითშიაც სა-ს პარალელურად ხა გამოდის, მაგ., დგსაჟყოუ „როგორც არის“ (გონ.), იზგლთაბაჟ „როგორც უნდოდა ქალს“. ამ შემთხვევაში დიდს სიჭრელს აქვს ადგილი, ერთი და იგივე პირი ხმარობს, როგორც სა-ს, ისე ზა-ს და შეიძლება შ-საც. ანდა შეიძლება ერთი პირი ყველგან ატარებდეს სა-ს, მეორე კი (იმავე სოფლისა) ზა-ს.

ზმნაში ადგილის („სადაც“) აღმნიშვნელად გამოდის (ა)ხ და არა ახს, მაგ.: ტონეჟა (სადაც მიღებარ), იხნაფშეზ (სადაც მიიხედეს).





მნიშვნელოვანი სხვაობა ჩანს ლექსიკაში. აბეჭურვი სიტყვა ზოგჯერ გამოგზავნილია ბზიფელისათვის და პირუტყვ. ხშირ შემთხვევაში ბზიფელისათვის შედარებით უფრო დიფერენცირებული ცნებები და მათი შესაფერი სიტყვიერი გამოხატულება მოეპოვება. მაგ., აკუტგაწარა აბეჭურვი ნიშნავს როგორც ბუდეს ქათმისას, ისე საქათმეს. ბზიფელში აკუტგაწარა ბუდეა (ქათმისა), საქათმე კი—აკუტგარაწარა; წაყ აბეჭურვი ნიშნავს ქვეშ, ქვევით. წაყ ბზიფელში იქნება ქვეშ, ხოლო ხაარა—ქვევით, ძირს (მიწაზე); აბეჭურვი თითზე ჩამოცმა, წელზე შერტმა გამოხატება ერთი სიტყვით—ამლაწარა. ბზიფელში ამლაწარა ნიშნავს წელზე შერტყმას, ხოლო ამხაწარა—თითზე ჩამოცმას. ასევეა განსხვავებული სხვა აბეჭურვის მლა-თი შედგენილი სიტყვები.

ამასვე ერთვის სპეციფ. ბზიფური ბგერებით განსხვავებული სიტყვები. მაგ.: ახსრა აბეჭურვი ნიშნავს: 1. სროლას, 2. თავის წაყვეთას, 3. რაზედმე გადასვლას. პირველისათვის ბზიფელში არის ახსრა, მეორე-მესამისათვის—ახსსრა; აწარა აბეჭურვი ნიშნავს ქმნას (კვერცხის დებას) და სწავლას, ბზიფელში პირველისათვის რჩება აწარა, მეორისათვის—აწარა.

თუმც მორფოლოგიაში დიდი სხვაობა მაინც არ ჩანს აბეჭურვიან შედარებით, მაგრამ ზემოაღნიშნული მოვლენები საკმაოდ თავისებურ სახეს აძლევს ბზიფურს მეტყველებას. აბეჭურვს ყოველთვის თავისუფლად არც შეუძლია მისი გაგება.

ქ. ლომთათიძე

### შავსულური დიალექტის შესასწავლად

1937 წლ. შავსულს წარმოგებული მუშაობის შესახებ

მივლინებული ვიყავი ჩრდილო კავკასიაში ადიღური ენის შესასწავლად. ვემუშაობდი ქვემოადიღური ენის შავსულურ დიალექტზე. სამუშაო ადგილად არჩეული მქონდა შავსულების რაიონი, რომელიც ამჟამად შედის კრასნოდარის მხარეში. მდებარეობს ქალ. ტუაფესესთან ახლოს. რაიონი შედარებით პატარაა. შედგება სულ 13 აულისაგან, რომელშიაც მხოლოდ ოთხი აულია მობრძილი. აულები საკმაო მანძილითაა ერთმეორისაგან დაშორებული.

შავსულური დიალექტი საფუძვლიანად განსხვავდება ქვემოადიღური ენის სხვა დიალექტებისაგან. განსხვავება შესამჩნევია როგორც ლექსიკასა და მორფოლოგიაში, ისე განსაკუთრებით ფონეტიკაში. თვით დიალექტის შიგნითაც არის საგრძნობი განსხვავება. განკერძოებულად დგას კუბიშევის აული (აგუშ), რომელსაც უახლოვდება დიდი და მცირე ფსეფშო. ამათგან განირჩევა კრასნი ალექსანდროვსკის აული.

განსხვავებულია აული ქიჩმაიც. ქიჩმაის მახლობლად მდებარე აული გოლოვინკა დასახლებულია სხვადასხვა კუთხიდან გადმოსახლებული ადიღებით. გადმოსახლებული არიან განსაკუთრებით ყუბანის ადიღები.

შავსულური დიალექტის ლექსიკაზე დიდი გავლენა აქვს რუსულ ენას. ხშირია შემთხვევა, როცა რთული წინადადების (დაქვემდებარებულის) შედგენის შემთხვევაში შავსულები ხმარობენ რუსულიდან ნასესხ კავშირსაც (потому что, когда და სხვა).



ინსტიტუტისაგან მჭონდა მტკიცე დავალება შემეგროვებინა ლექსიკონური დიალექტის ლექსიკოლოგიური მასალა.

ჩემ მიერ შეგროვებულია დაახლოებით 6000-მდის სიტყვა.

ადილეურ ენაზე მუშაობის პროცესში ჩემი ყურადღება მიიქცია შემდეგმა საკითხებმა:

1. პირის საკითხი ადილეურში (განსაკუთრებით მესამე პირის ნიშანთა თავისებურება).
  2. წინდებულის საკითხი ადილეურში დაკავშირებით ქართველური ენების წინდებულებთან.
  3. ბრუნვები ადილეურში.
  4. ადილეურ და ქართველურ ენათა შორის საერთოიერო ზეგავლენა ლექსიკაში.
  5. ზოგიერთი ქართული სიტყვის ეტიმოლოგია ადილეური ენის ანალიზით. ყველა ზემოხსენებული საკითხი ჩემ მიერ იქნება დამუშავებული.
- ბოლო ხანებში რამდენიმე დღით ვმუშაობდი ქვაშეხაბლის რაიონში ყაბარდოულ ენაზე. მომავალი ჩემი მუშაობა მიმართული იქნება ყაბარდოული ენის შესწავლაზე.

გ. როგავა

32. უაზრობა

## უფური ენა და მისი კილოები

(1937 წლის საზღვრულ მივლინების წინასწარი ანგარიში<sup>1</sup>)

1. მიმდინარე (1937) წლის ზაფხულში: 18. VII. — 30. VIII. მივლინებულ ვიყავი უფურ ენაზე საუბრად. ეს ენა ამჟამად მოგვეპოვება მხოლოდ სამ სოფელში, რომელთაგან ორი — ვართაშენი და ნიჯი (ადგილობრივი გამოთქმით — ნიჯო) — არის აზერბაიჯანის სსრესპუბლიკაში, ხოლო ერთი — ზინობიანი — საქართველოში (მცხეთის რაიონის სოფ. ვართაშენიდან).

უფურ ენას, როგორც ცნობილია, აქვს ორი კილო: ნიჯური და ვართაშენული; ჩვენ მიზნად გვქონდა დაკვირვება გვეწარმოებინა ორივე კილოზე. არსებული ლიტერატურა შეეხება მხოლოდ ვართაშენულს, ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება ჩვენ მივაპყროთ ნიჯურს, რომლის შესახებაც თითქმის არაფერია ცნობილი და რომელიც საყურადღებო აღმოჩნდა მრავალმხრივ. გუშაობა ჩავატარეთ ვართაშენული კილოს გასათვალისწინებლად სოფ. ზინობიანში, ხოლო ნიჯურისათვის — სოფ. ნიჯში.

სოფ. ზინობიანი მდებარეობს ვართლის რაიონში — 18 კმ. მანძილზე თვით ვართლიდან (15—16 კმ. სადგ. მუქუზნიდან). იგი დასახლებულია მხოლოდ უფებით, რომელნიც 1922 წ. გადმოსახლდნენ სოფ. ვართაშენიდან. სულ არის 120 კომლამდის, 700 სული მოსახლეობით<sup>2</sup>.

მოსახლეობა გაერთიანებულია კოლმეურნეობაში გარდა იმათი, ვინც მეშაობს საქარხნო არტელეებში. არტელი სამია: აბრეშუმის ძაფსახვევი, ხე-ტყის სახერხი და აკურისა. მთავარი სამეურნეო საქმიანობაა მემინდერეობა და მევენახეობა.

ძირითადი სასაუბრო ენა უფური, თუმცა იციან თურქული, ესმით სომხური და ახალგაზრდობამ იციან ქართული ენაც. არის დაწყებითი სკოლა (4 კლასი), რომელშიც სწავლა წარმოებს ქართულ ენაზე. მხოლოდ I კლასში აწავლიან უფურ ენაზე (ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი<sup>3</sup>).

<sup>1</sup> წაკითხულია მოხსენებად ვნიშკის კავასირი ენების განყოფილების სტომაზე — 1937. XI. 2.

<sup>2</sup> 1926 წლ. საკავშირო აღწერით უფები საქართველოში მოხსენებულია მხოლოდ 5 სელი (2 კ. + 3 კ.) ინიტ ტფილისში. იხ. „Вс. перен. насел. 1926 г.“ т. XIV, ЗСФСР. Отд. I. т. IV, გვ. 18.

<sup>3</sup> Samçi das, 1934.



ნიჯი წარმოადგენს დიდ სოფელს, რომელშიც 800-მდის კომუნალური მდის მცხოვრებით<sup>1</sup>.

ძველად იგი გაყოფილი ყოფილა 15 მაჰალად (უბნად), რომელთაგან 13-ში უღები, ხოლო ორში თურქები მოსახლეობდნენ. მდებარეობს კუტკაშენის რაიონში, 20 კმ დაშორებით თვით კუტკაშენიდან.

მოსახლეობა ქრელია. სასაუბრო ენა სამია: უღური, თურქული, სომხური. სამივე ენა ისე კარგად იციან, რომ თითქმის ძნელი გასარჩევია, თუ რომელია დედა-ენა. გასაგებია თურქულის კარგი ცოდნა, ხოლო სომხურის კარგ ცოდნას იწვევს სკოლა და განსაკუთრებით ის, რომ ოჯახში რძალი ჩვეულებრივ სომეხთა მოსახლეობიდან მოჰყავთ (ალბათ, სარწმუნოების ნიადაგზე ძველი მახლობლობის გამო). ამასთან ერთი ნაწილი ვადმოსახლებულია გარშემო სომხური სოფლებიდან, ისინი ასიმილირებულნი არიან ენობრივად უღებთან და თავის თავს უღებს უწოდებენ.

ძლიერია თურქული გარემოს გავლენა. ეს ჩანს განსაკუთრებით ფოლკლორში: ზღაპრები, ლექსები, სიმღერები უმთავრესად თურქული წარმოშობისაა, თუმცა არის შერეული სომხური ელემენტიც. ძველი უღური ხალხური ჩვეულებანი დღეს ნაკლებად შეიგრძნობა.

სოფელში არის არასრული საშუალო სკოლა, რომელშიც სწავლა მიმდინარეობს სომხურ ენაზე (ასე ყოფილა ძველთაგანვე). პირველ წელს აქაც ასწავლიან უღურ წერა-კითხვას და საკითხავ წიგნს.

მუშაობაში დაეყავ სულ 43 დღე. აქიდან სოფ. ზინობიანში 25 დღე (17.VII — 10.VIII) და სოფ. ნიჯში — 18 დღე (13.VIII — 31.VIII). მუშაობის პირობები კარგი იყო. როგორც სასოფლო საბჭო, ისე კერძო პირები ორივე სოფელში დიდის გულისყურით ეკიდებოდნენ მუშაობას და ყოველმხრივ ხელს მიწყობდნენ. ეს უნდა ითქვას უფრო სოფ. ზინობიანის შესახებ, სადაც განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა ამხ. ივ. დ. სილიკაშვილი — ოჯახითურთ. ხოლო წინასწარი მოსამზადებელი მუშაობისას დიდად დამეხმარა ამხ. ალ. აჯიაშვილი (ტფილისში).

2. როგორც აღვნიშნეთ, მივლინების ძირითადი მიზანი იყო ნიჯური კილოს თავისებურებათა გამოკვლევა. მაგრამ ამ მიზნისათვის საჭირო იყო ვართაშნულიც გაგვეთვალისწინებინა და შეგვემოწმებინა არსებული ლიტერატურის მონაცემები ამ კილოს შესახებ. ჩატარებულმა მუშაობამ აღმოაჩინა მნიშვნელოვანი ახალი ფაქტები თვით ვართაშნულისთვისაც. რაც შეეხება ნიჯურს, იქ ვადაიშალა სრულიად ახალი მასალა, დადასტურდა მრავალი თავისებურება, როგორც ფონეტიკურის, ისე მორფოლოგიური ხასიათისა. ზოგი ფაქტი იმდენად ახალი და მნიშვნელოვანია, რომ საერთოდ უღური ენის აგებულების ძირითად საკითხებს სვამს და მათი ახალი თვალსაზრისით გადაწყვეტის საშუალებას გვაძლევს.

<sup>1</sup> 1926 წლ. აღწერით 2083 (1151 კ. + 932 ქ. „Вс. пер. нас. 1926 г.“, т. XIV. Отд. I, ч. II, стр. 74.

უდური ენის ყველა მკვლევარი ჩვეულებრივად იკვლევდა ვარულა<sup>1</sup> და მისი კილოებს. ორი ძირითადი შრომა უდურის შესახებ ა. შიფნერისა და ფილტონისაა. შიფნერისა და ფილტონისა შეეხება მარტოოდენ ამ კილოს<sup>1</sup>.

პირველ რიგში ჩვენ შევეცადეთ შეგვემოწმებინა ამ ორი შრომის მონაცემები. უნდა ითქვას, რომ მათგან პირველ წყაროს წარმოადგენს ა. შიფნერის შრომა, რადგანაც ა. დირი მთლიანად ემყარება ა. შიფნერის „Versuch...“-ს და მისი შრომისათვის თითქმის არაფერი მიუმატებია. ზოგ შემთხვევაში ი. შიფნერს უკეთესადაც ესმის უდური ენის აგებულება. გამონაკლისს წარმოადგენს ფონეტიკური მხარის გადმოცემა, რაც ა. შიფნერს ხშირად მცდარად აქვს წარმოდგენილი (მას ცოცხალი უდური მეტყველება არც მოუსმენია!). ა. დირი შედარებით ზუსტად და თანმიმდევრობით გადმოგვცემს უდურის ფონემებს, მაგრამ მრავალ შემთხვევაში იგი იძლევა ეტიმოლოგიურ დაწერილობას, და არა ცოცხალი მეტყველების ფაქტებს...

ვართავშულზე მუშაობა ჩვენ დავიწყეთ სწორედ ამ ორი შრომის მონაცემთა შემოწმებით. ამ მუშაობის დროს განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა უდური ენის აგებულების ძირითად საკითხებს. ამასთანავე ცოცხალი მეტყველების ჩვენებათა მიხედვით შევაიმოვეთ ა. შიფნერის შრომას დართული ლექსიკონი (2500 სიტყვამდის).

ქვემოთ ჩვენ შევეცადეთ, აღგვეჩვენება ჩატარებული მუშაობის ძირითადი შედეგები. აქ წარმოდგენილი იქნება მოკლე შენიშვნები მთავარი საკითხების შესახებ, ხოლო ამ საკითხების ვრცელი განხილვა და სათანადო მასალის ანალიზიც მოცემული იქნება შემდგომ.

3. უპირველეს ყოვლისა საყურადღებოა უდურის ბგერითი შედგენილობა, რაც მკვლევართა მიერ სხვადასხვაგვარად არის განსაზღვრული. ა. შიფნერი გამოჰყოფს 45 ბგერას (ნიშანსაც), ა. დირი — 46 ბგერას, ხოლო უდურის საანბანო წიგნი („სამუჯი დს“, 1934) — 50 ბგერას.

თუ მხედველობაში მივიღებთ უდურის დღევანდელ ვითარებას, ჩვენ შეგვიძლია შემდეგი ბგერითი შედგენილობა მივიღოთ უდურისათვის.

#### A. ხმოვნები:

ა, ე, ო, ი, უ — მარტივნი

ა, ო, უ — უმლაუტირებულნი

აი, ეი, ოი, იი, უი — ხორხისმიერნი

#### გ — გაურკვეველნი.

ხმოვანთა ამ რაოდენობას მეტ-ნაკლებად ღებულობს ა. შიფნერიც და ა. დირიც. მაგრამ ზოგიერთი ხმოვნის კვალიფიკაცია არაა მართებული. კერძოდ, ხორხისმიერ ხმოვნებს ა. შიფნერი ასე ახასიათებს:

„გარდა უმლაუტიან („getrübten“) ა, ო, ი ხმოვანთა... მე იძულებული ვიყავი კიდევ გამოვეყენებინა ნიშნები a, o, u, იმ შემთხვევებისათვის, სადაც ჩემ-

<sup>1</sup> A. Schiefner, Versuch über die Sprache der Uden, 1863.

A. Дирр, Грамматика удинского языка, Сб. МОИМК, ХХХІІІ, 1903.



თვის ხელმისაწვდომი წყაროები ამ ხმოვნების უფრო რბილ (sic!) წარმოთქმას გადალევს...<sup>1</sup>

ბოლო შემდეგ მას მოჰყავს მ. კოვალენსკის ცნობა და ამბობს: „კოვალენსკის მიერ მოცემულ შენიშვნებში ამ უფრო რბილ (sic!) ხმოვანთა წარმოთქმის შესახებ მოიპოვება მითითება, რომ ა წარმოითქმის როგორც ა ფრანგულ la-ში, ი როგორც eu heure სიტყვაში და u, როგორც u სიტყვაში une...“<sup>2</sup> ბოლო ა. დირი ამ ხმოვნების შესახებ ამბობს: „a, ô, y, занимает среднее место—первое между а и ä, второе между о и ö, третье между у и ü“<sup>3</sup>.

არც ერთი ეს დახასიათება ზუსტი არ არის. ყოვლად შეუძლებელია, მათი „სირბილის“ შესახებ ლაპარაკი, რაიმე თვალსაზრისით. ამასთან ა. შიფნერს მათი ხმარება არეულ-დარეული აქვს. ჩვენი სმენითი დაკვირვებით, ისინი წარმოადგენენ მარტივ ბგერებს, რომელთა წარმოებას შემდეგი დახასიათებს: ენა იწევს უკან ხორხისკენ, პირის ღრუ ვიწროვდება, სახმო სიმებში დაძაბული ვიბრაციაა. განსაკუთრებული სიწმინდით ისინი გამოითქვიან ხორხის მიერ (ყ, ჯ...) თანხმოვნებთან.

არც ა. შიფნერს და არც ა. დირს ეს და იხ არა აქვს მოხსენებული. ხმოვანთა შესახებ უნდა აღინიშნოს აგრეთვე ისიც, რომ ხშირად ო-ს დაჰკრავს უ-ს ელფერი (თითქოს ელვებულობით ოფ დიფტონგს) და ე-ს ი-სა (ელვებულობით ეა დიფტონგს): ამას სჭირდება ექსპერიმენტული კვლევა.

### В. თანხმოვნები:

1. ბ, პ, ფ, ვ, ჭ, ტ — ბაგისმიერნი
2. დ, ტ, თ, ს, ზ, შ, ძ — წინაენისმიერნი  
შო, ქო
3. ა — შუაენისმიერნი
4. რ, ლ, ლ', მ, ნ, ჳ — სონორნი
5. ხ, გ, ჯ, ლ, ხ — უკანაენისმიერნი
6. ყ, ჯ — ხორხისმიერნი
7. წ, ძ, ც, ქ, ჯ, ჩ — აფრიკატები  
ქო, ჯო, ჩო

სულ — 40 თანხმოვანი.

ამათ უნდა მივიმატოს თავისებური თანხმოვნება, რომელთაც ელვებულობით მკვეთრებისგან სიტყვის ბოლოში. მკვეთრნი ამ შემთხვევაში გადალევენ ყრუ media-ს, რომელიც რაღაც საშუალოს წარმოადგენს ფშვინიერსა და მკვეთრს შორის. ეს გარემოება დღემდის არაა აღნიშნული, საჭიროა მისი ექსპერიმენ-

<sup>1</sup> ა. შიფნერი, Versuch..., გვ. 9: „Ausser den getrübbten Vocalen ä, ö, ü, ... bin ich genötigt gewesen, noch die Zeichen a, o, und u für die Fälle anzuwenden, wo die mir zu Gebote stehenden Quellen eine weichere Aussprache dieser Vocale angeben“.

<sup>2</sup> იტვე, გვ. 9: „In den von Kovalensky gegebenen Notizen in Betreff der Aussprache dieser weicheren Vocale finde ich ausgezeichnet, dass a wie das a in dem Französischen la, o wie eu in dem Worte heure und u wie ü in dem Worte une ausgesprochen werde...“

<sup>3</sup> ა. დირი, Грамм..., გვ. 1.

ტული ძიება. შესაძლებელია, უღურშიც დადასტურდეს ხშულთა ფუნქციონირება როგორც ეს გვაქვს ზოგ კავკასიურ ენაში (მაგ. ლეზგიურში  $\text{ჩხვლ} \text{ჩჩხვლ} \text{ჩჩხვლ}$  ძირითადად უღურის ფონემები მეტ-ნაკლებად შეესაბამება ქართულს. განმარტებას საკვიროებს მხოლოდ:

ა. შ, თ, ჭ, ჩ, ჯ ჩვეულებრივისაგან განსხვავდებიან იმით, რომ ენა ცოტა უკან იწევა, ფართოდ ეღება მაგარ სისას და აკუსტიკურად გვაქვს მაგარი ეფექტი, თითქოს ორი ბგერა იყოს.

ბ. ზ — უკანაენისმიერი „ზ“ გვაქვს უკანაენისმიერთა წინ, კომპლექსებში: ზკ, ზგ, ზღ...

უღური ენის ბგერითი შედგენილობის სხვა წვრილობებს აქ აღარ შევხებით.

4. ახლა თუ მივმართავთ ფონეტიკურ მოვლენებს, შეინიშნება ზოგი რამ მნიშვნელოვანი:

ა. უკანაენისმიერთან — გ, კ, ქ — უმლაუტიან ხმოვანთა წინ ვითარდება „ა“ (რაც ცნობილია სხვა ენათა სინამდვილიდანაც):

სამე გაჰრღ ( || სამე ვირღა)

ქარმზგ „შემწე, დამხმარე“

ქამღზ „ქალაღდი, წერილი“

ბ. ნ ასიმილაციით ემსგავსება წინა რ, ლ, ტ, დ-ს, და ლ რ-ს, ხოლო შემდეგ გემინირებული თანხმოვანი მარტივდება და რჩება ერთი თანხმოვანი. ე. ი. ვართაშნულისათვის, შეიძლება ითქვას, გემინაცია აღარ არის დამახასიათებელი. ეს მოვლენა საყურადღებოა ზმნაში პირის აღნიშვნის თვალსაზრისით (შდრ. აჭვე, გვ. 302).

გ. საყურადღებოა რედუქციის მოვლენა. ხმოვნის ამოდებისას მხედველობაში მიიღება, თუ როგორ ნაწილდება სიტყვაში თანხმოვან-ხმოვანი მარცვლის შესაქმნელად.

ცამ + ფესუნ — „წერა“

აათ + ფესუნ — „სიტყვის თქმა“

ააზა + ფ'სუნ ( — \*ააზა-ფესუნ ) — „ადგომა“

ეს მოვლენა მნიშვნელოვანია მთელი უღვლილების სისტემისათვის.

სხვა ფონეტიკური მოვლენები მეტ-ნაკლებად წარმოდგენილია სათანადო შრომებში და მათ აქ არ შევხებით<sup>1</sup>.

5. ვართაშნულის ძირითადი მორფოლოგიური მოვლენები შედარებით კარგად არის წარმოდგენილი ლიტერატურაში, მიუხედავად ამისა მაინც დადასტურდა ზოგი რამ ახალი.

<sup>1</sup> შდრ. რ. შორიკ, К вопросу о т. н. «теминатах» (усиленных смычных) в яфет. яз. Дагестана. კრებ. „Языки Севери. Кавказа и Дагестана“, I, გვ. 135 შმდ.

<sup>2</sup> შდრ. ა. შიფნერი, Versuch..., გვ. 10 შმდ., ა. დირი, Грамм., გვ. 5 შმდ.

პირველ რიგში უნდა შევეხოთ სიტყვაწარმოებას. სიტყვაწარმოების ელემენტები, საერთოდ, მცირე გვაქვს უდურში, და ისიც უმთავრესად ნასესხები თურქულიდან.

ასეთებია: ლულ, -ლუ ( || რუ || დუ), -მიშ, -სუზ, -ჩი...

თითქოს საკუთარი უნდა იყოს: -ლა, -ბა, -ზა, -ო... -ნუთ, -ა.

თურქულიდან ნასესხები სუფიქსები ა. დირს დასახელებული აქვს (§ 4 B). მას გამორჩენია მხოლოდ ამ სუფიქსთა ზოგიერთი ნიუანსი. რაც შეეხება მეორე რიგის სუფიქსებს, ზოგი მას მოხსენებული აქვს, მაგრამ კვალიფიკაციას და მაგალითებს არ იძლევა (-ზა და -ა მას აღნიშნული არა აქვს).

ა. -ბა და -ლა ფუნქციით ერთგვარია: ორივე აწარმოებს ზედსართავს და უახლოვდება ქართულ -იან || -ოვან სუფიქსებს.

მაგალ.

ა. ად -ბა — „სუნიანი, მყრალი“ (ად — „სუნი“).

თშში ზ-ბა — „სუფთა“

ეყ-ბა — „ხორციანი, мясистый“

იყ-ბა || იყ-ენ — „ნაცირიანი“

ინ-ბა — „ტილიანი“

ქირაჯ-ბა — „ქირიანი“

მდრ. „შეტა ტოლოალ ეყუნერი გრლო ჯინბა -ტლოზ“

(მათ. VIII, 16).

„... К нему привели много бесноватых“.

ბ. უკ-ლა — „გულიანი“ (გულიანი)

პასო-ლა — „მოდრუბლული“

ქალა სპს-ლა — „დიდ -ხშიანი“ „წკრიალა-ხშიანი“, „с звонким, громким голосом“.

ქალქალა თუმ-ლა — „დიდ-დიდ ძირიანი“

სა ქულ-ლა — „ცალხელა“ (ერთხელანი)

ბაშ-ლა — „მთვარიანი, ნათელი“, „светлая, лунная“

მდრ. „შუმ ბეში ლაზუმლა თადა ძაღე“ (მათ. VI, 11).

„... хлѣн наш насущный дай нам на сей день“.

განსხვავება ამ ორ სუფიქსს შორის არაა ნათელი. შეიძლება ითქვას, რომ -ბა თითქოს აღნიშნავს გარეგნულ კუთვნილებას, ხოლო „ლა“ უფრო შინაგან თვისებას.

ბ. „-ო“ სუფიქსის შესახებ ა. დირი აღნიშნავს:

„Суффикс о присоединяясь к некоторым словам, служит для образования имен существительных“ (ა. დირი, Грамм., გვ. 11).

ეს განმარტება არსებითად სწორია. მხოლოდ უნდა აღინიშნოს, რომ ეს სუფიქსი შეიძლება მიემართოს არა მარტო „ზოგ სიტყვას“, არამედ შეტყვილები ს ყველა ნაწილს და მისგან მივიღებთ არსებით სახელს.



მაგალ.:

აპი-ო — „მწიფე“ (სუბსტანტიური გაგებით) მასდ. აპსუნ, ჯპრ<sup>ა</sup>—მწიფეობა  
მანდი-ო — მასდ. — მანდ-ესუნ — „დარჩენა“, მიმლ. — მანდი.

სმ | ხო — სა-ო — „ერთი“ (სუბსტანტ. გაგებით), სა — „ერთი“.

ბისი-ო — „ძველი“ (სუბსტ. გაგებით), ბისი ფართალ „ძველი ტანსაც-  
მელი“.

ბულზაკალ-ო — „ხელმძღვანელი“ („თავის გამწევი“).

საყურადღებოა ამ სუფიქსთან დაკავშირებით მოვიგონოთ ის საყვედური, რომელსაც ა. დირი ეუბნება ა. შიფნერს. სახელდობრ „გომბალო“ — „მღებავი“, Färber, ა. დირს ჰგონია, რომ მხოლოდ „ხელობას“ აღნიშნავს. მას არა აქვს გათვალისწინებული ის, რომ აქ შეიძლება იყოს ჩვეულებრივი Nom. act.

с. -ზა სუფიქსი ა. დირს არა აქვს აღნიშნული. უდრის ის ქართულს: „უ-“ პრეფიქსს.

ხენე-ზა — „უწყლო“, „მწყურვალი“ (ხე — „წყალი“).

d. „-ნუთ“ სუფიქსი ა. დირს აღნიშნული აქვს მხოლოდ ზმნის ფორმებთან. მაგრამ ის გვაქვს სახელთა საწარმოებლადაც:

ქალანუთ — „უთავო“

თოგანუთ — „უფასო“ („ძვირფასი“)

ბახტანუთ — „უბედო“

e. საყურადღებოა „-ა“ სუფიქსი, რომელიც ა. დირს აღნიშნული არა აქვს. იგი ერთვის აწმყო-ყოფადის მიმღებობას და უდრის ქართულ „ხა — ელ-“ აფიქსს.

ააზაპელად-ა — „ასაწონი“ მასდ. ააზაპსუნ „აწონვა“, მიმლ. ააზაპელად.  
ჩხარკესტალ-ა — „გასათავებელი“, ჩხარკესტესუნ „გათავება“, მიმლ. „ჩხარ-  
კესტალ“.

6. ბრუნების სისტემა დღევანდელ უფურში ძირითადად იმგვარადვე არის, როგორც ეს ა. შიფნერს და ა. დირს აქვთ მოცემული. მხოლოდ გვაქვს გამარტივებისა და უნიფიკაციის ტენდენცია: ნიშანთა მრავალფეროვნებას სცვლის ერთი ფორმანტი. ეს განსაკუთრებით შეეხება ნათესაობით ბრუნვას, რომლისთვისაც მოგვეპოვება ტიპოლოგიურად სამი ძირითადი ფორმანტი<sup>1</sup>:

I -ი, -ინ

II უნ, -უნ, -უნან

III აა, -ეა -ნ-აა, -ნ-ეა ..

დღევანდელ მეტყველებაში ბატონდება -უნ -ტიპი, სხვა ფორმანტი კი ნაკლებ ხმარება. ახლად შეესული სიტყვის ნათესაობითს აწარმოებს მხოლოდ -უნ.

<sup>1</sup> შდრ. ჩვენი „სახელთა ბრუნებისათვის უფურ ენაში“. „ენიმიკის მოამბე“, I, გვ. 125.



მაგალ.: კალხოზ... გი. კალხოზ-უნ.

არქანუზი

გამარტივება ხდება მრავლობითი რიცხვის წარმოშობისას. ნახსენებებს სახელთა ორი ჯგუფი: I. ერთმარცხლოვან და II. ორ- და მრავალმარცხლოვან სახელთა. პირველთა მრავლობითში აქვთ -ურ-უხ, ორმაგი მრავლობითის ფორმანტი:

კოჯ — „სახლი“, მრავლ. კოჯ-ურუხ.

ხოლო მეორეთ კი — უხ:

მუცა — „რქა“, მრავლ. მუცი-უხ.

-მუხ სუფიქსი მხოლოდ ზოგ სიტყვასთან იხმარება და არის ტენდენცია, რომ ის შესცვალოს ცოცხალმა „-ურ-უხ || -უხ“ სუფიქსმა.

რაც შეეხება ცალკე ბრუნვათა ვითარებას, უნდა აღინიშნოს შემდეგი:

a. საყურადღებოა ე. წ. Causativus-ი, რომელიც ქართული თვის თანდებულის ბრუნვის მნიშვნელობას გვაძლევს. აქ ფორმანტად გვაქვს -ენქ:

ადამარ-ენქ — „კაცისთვის“.

ამის შესატყვისად ა. შიფნერი და ა. დირი გვაძლევენ ფორმას: ადამარ-ენქენა, რომელიც ამჟამად იშვიათად დასტურდება.

საყურადღებოა ის, რომ ამ ბრუნვის მაგიერად ხშირად გვაქვს აღწერიითი ფორმა: ნათესაობითი ბრუნვა სრული მნიშვნელობის მქონე სიტყვის დართვით:

ადამარი ბახტინქ... კაცისთვის...

ა. შიფნერი და ა. დირი გვაძლევენ ამ „ბახტინ“ სიტყვას და ის მიანიხიით თანდებულად — „ЛІЯ, fir“ მნიშვნელობით. ნამდვილად იგი წარმოსდგება ცალკე სიტყვისაგან: ბახტ — „ბედი, სვე“ (შდრ. ბახტ-ნეთ სონა — „უბედო სონა“).

იგი ლებულობს Causat. ფორმას: ბახტ-ინქ — „ბედისთვის“... ხოლო შემდეგ დაერთვის ნათესაობით ბრუნვას და ვლებულობთ ქართულის ანალოგიურ მოვლენას:

ადამარ-ი ბახტ-ინქ — „კაცის-გულისთვის“ (= ბედის-თვის).

ამ გარემოების გათვალისწინება უნდა მიგვითითებდეს, რომ Causativus-ის ფორმანტის პირვანდელი სახეა -ინქ<sup>1</sup> და არა -ენქ<sup>2</sup>, რომელიც სხვაგან გვაქვს და რომელიც მიღებული უნდა იყოს ფონეტიკურ ნიადაგზე.

b. აგრეთვე საყურადღებოა ე. წ. Locativ-ის საკითხი.

ა. შიფნერი ამბობს: „მხოლოდ მცირე მაგალითებით შემიძლია მე „ადგილობითი“ ბრუნვა [ლოკატივი] -ის დაბოლოებით დავადასტურო...“<sup>1</sup>

ხოლო ა. დირი იმეორებს: \*

„ix — сурфикс местного падежа (locativus)“ და შემდეგ უმატებს: „весьма вероятно, этот locativus есть остаток древняго винительного падежа или наборот“ (Грамм., გვ. 21).

<sup>1</sup> „Nur durch wenige Beispiele kann ih einen Locativ auf ih [ob] belegen; s'amatih in der Woche p'akih, im Garten“ (Versuch, § 59, გვ. 18).



ის, რაც ირკვევა მიცემითისა და ბრალდებითის ურთიერთობაში (შდ. აქვე, გვ. 314), გვარწმუნებს, რომ უფროში არ უნდა იყოს სხვა ენობრივი ლოკატორი. ამ ბრუნვის ფუნქციას ასრულებს მიცემითი, როგორც სხვა ენებშიც გვაქვს. მოტიანილ შემთხვევებში უნდა გვექონდეს გაქვეყნებული ი-ფუნქციანი სახელების მიცემითის ფორმები, რომელშიც შერჩენილია სრული სახე:

**ფაქიზ -- \*ფაქი + აზ.**

ეს უფრო სარწმუნოა იმიტომ, რომ ამჟამად ამ ფუნქციით გვაქვს ჩვეულებრივი მიცემითი:

ფაქი-ი — „ბაღში“, ქუნჯი — „კუთხეში“, ყაჯი — „სოფელში“...

ც. მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ მოქმედებითი ბრუნვის ფორმა გამოყენებულია სიტყვაწარმოებაში.

ი ა ე-ენ „ზამთარი“ (სიტყვა-სიტყვით: თოვლ-ით-ი, ი ა ე — „თოვლი“)

ტ ა მ-ენ „გემრიელი“ (ტ ა მ — „გემო“)

ე უ-ენ „ხორციანი“ (სიტყვა-სიტყვით: ხორცი-ით-ი, ე უ — „ხორცი“).

დ. ზმნისართთა უმრავლესობა ნაწარმოებია ბრუნვის ფორმებით. ა. შიფნერი და ა. დირი ამ გარემოებას არ აღნიშნავენ, ზმნისართები დამოუკიდებელ ძირებად შიანიათ. მაგ. ტოლოლ — „у, поле“ — „пелен“. ნიჯურში გვაქვს სრული მნიშვნელობის სიტყვა: ტოლოლ „ნაპირი, მხარე“. ამგვარად, ეს ზმნისართი იენება Terminativ-ის ფორმით: \*ტოლოლ-ალ — ტოლოლ.

7. რიცხვითი სახელი იმგვარად არის ვართაშნულში, როგორც ა. შიფნერი და ა. დირსაც აქვთ წარმოდგენილი. საყურადღებოა მხოლოდ ერთი საკითხი. სახელდობრ, ა. შიფნერი აღნიშნავს:

„ჩანს თავდაპირველად რიცხვითი რიცხვის წარმოდგენა უფროში არა გვექონდა; იხ. § 151; ამჟამად მას გამოხატავენ ნათესაობითის — უნ დაბოლოების დართვით; მაგალ.: 1. საუნ — პირველი, 2. პააუნ — მეორე...“<sup>1</sup>

ა. დირი იხსენიებს შიფნერის აზრსა და ამბობს: „Шифнер говорит, что имена числительные порядковые тождественны с родительным пад. числительных количественных, но теперь употребляются только формы на **შჯი**...“<sup>2</sup> დღეს რიგობით რიცხვით სახელს მართლაც აწარმოებს „უ-შჯი“ უ-შჯი“ (საფუძველია თურქ. „-შჯი“). მაგრამ საყურადღებოა, რომ იგ. სილიკაშვილს, რომელთანაც მე ვმუშაობდი, რიგობითის საწარმოებლად მიაჩნდა „-უნ“ ნათესაობითის ფორმანტი: სა-უნ, პაა-უნ...

შეიძლება დავუშვათ, რომ ეს ვითარება მიღებული გვაქვს ლიტერატურული გზით, მაგრამ მიუხედავად ამისა ფაქტი მაინც საყურადღებოა. მით უფრო, რომ ცალკეული ფრაზები, რომელთაც იგი მაწვდიდა, სხვებშიც არ იწვევდა ეჭვს:

<sup>1</sup> ა. შიფნერი, Versuch..., გვ. 20: „Ursprünglich scheint der Begriff der Ordnungszahl im Udishen zu fehlen; s. § 151. man drückt dieselbe jetzt durch Anfügung der Genetivendung *un* aus...“

<sup>2</sup> ა. დირი, Грамм., გვ. 15: იხ. დამატებ. და შევდ.

მაგალ:

«... ეო-უნ კოჯ შონო-ნე» «მეზუთე სახლი ის არის»  
«... ოაშუანტინ უკალ-ლე» «შემდგომი ვტყვიხ...»

**მ. ზმნა ვართაშნულში.**

**ა.** როგორც ცნობილია, უდურ ზმნას გააჩნია პირის ნიშნები: ეს ნიშნები წარმოდგენილია სათანადო ნაცვალსახელოვანი ნაწილაკებით. ამათგან 2. პირის „ნუ“ და 3. პირის „ნე“ თანხმოვანი ელემენტი განიცდის ასიმულაციას წინა რ, ლ, ღ, ტ -სთან, შემდეგ კი გემინირებული თანხმოვანი მარტივდება და გვაქვს:

2. პ.: ნუ — რუ || ლუ || დუ || ტუ — უ

3. პ.: ნე — რე || ლე || დე || ტე — ე

მაგალ.: მახლარი: ქარ-ხ-ეს უნ — „ცხოვრება“

ზუ ქარ-ზუ-ხსა — მე ვცხოვრობ

უნ ქარ-რუ-ხსა (— ქარ-ნუ-ხსა) — ქარ-უ-ხსა — შენ სცხოვრობ

შონო ქარ-რე-ხსა (— ქარ-ნე-ხსა) — ქარ-ე-ხსა — ის ცხოვრობს.

**ბ.** მეორე საყურადღებო თავისებურება უდურის პირის მარჯვენელთა ისაა, რომ ისინი მეტად მოძრავნი არიან: ისინი ხან ფუძის ბოლოს, ხან შიგნით და ხან თავში დაისმიან (შდ. ა. დირი, გვ. 50—51.).

მაგალ.:

ზუ ფი თე-ზ-უხსა — „მე ლეინოს არ ვსვამ“.

ამ მოვლენას დღემდის ახსნა არ მოეპოვება. ცოცხალ მეტყველებაზე დაკვირვება და უდურის აგებულების გათვალისწინება გვაფიქრებინებს, რომ ამგვარ შემთხვევებში ზმნის მთლიან ფორმად უნდა გავიგოთ საკუთრივ ზმნა და მის წინ დასმული სიტყვა, ე. ი. ისინი წარმოადგენენ ერთ ფუძეს. ზმნა იქნება არა „უხსუნ“ — „სმა“, არამედ თე-უხსუნ — „არ-სმა“. ეს ვითარება შეესაბამება სწორედ უდურის აგებულებას: უღვლილების სისტემა ჩამოყალიბების პროცესშია. ამას მიუთითებს პირის ნიშანთა ვითარებაც (პირის ნიშნები წარმოადგენენ იმავე პირის ნაცვალსახელებს!)..

**გ.** მეტად საყურადღებო მოვლენა გვაქვს ე. წ. მიცემითიან ზმნებში. თუ ავიღებთ ზმნას „მაცივებს“, მისი უღვლილება იქნება თავისებური. სახელდობრ:

ზა ილარი-ზა-ფსა- || ილარი-ზა-ბსა — მაცივებს

ვა ილარი-ვა-ფსა — გაცივებს

შეტუ ილარი-ტუ-ფსა — აცივებს

და ილარი-და-ფსა — გვაცივებს

ვაა ილარი-ვაა-ფსა — გაცივებსთ

შოტლო ილარი-ჟო-ფსა — აცივებს...

ამ ზმნებთან ლოგიკური ქვემდებარე დაისმის მიცემითი (თუმცა არა ყოველთვის), სათანადო პირის ნიშნებიც წარმოადგენენ ნაცვალსახელებს მი-



ცემით ბრუნვაში. ეს მოვლენა ლიტერატურაში ცნობილია (შენიშვნა № 444-რი, Einführ., გვ. 338—339).

მაგრამ ამასთანავე დადასტურდა ახალი ფორმები, რომელნიც ახალი თვალსაზრისით აზუქებენ ამ ზმნების აგებულებას. სახელდობრ, გვაქვს:

- «ზა || ზუ თე-ზა-ბუყსად, თე ილარიბა-ზაზ-ი
- ზა || ზუ თე-ზა-ბუყსად, თე უნ ილარიბა-ვაზ-ი
- ზა || ზუ თე-ზა-ბუყსად, თე შოტუ ილარიბა-ტუ-მ
- ზა || ზუ თე-ზა-ბუყსად, თე მა ილარიბა-ააზ-ი  
|| მან ილარიბა-აან-ი
- ზა || ზუ თე-ზა-ბუყსად, თე ვაზ ილარიბა-ვააზ-ი  
|| ვაზ ილარიბა-ვაა-მ
- ზა || ზუ თე-ზა-ბუყსად, თე შოტლო ილარიბა-ყო-მ  
|| შოტლო ილარიბა-ყო-მ».

- „შე არ მინდა, რომ მაცივებდეს
- „ „ „ „ შენ გაცივებდეს
- „ „ „ „ მას აცივებდეს
- „ „ „ „ ჩვენ გვაცივებდეს
- „ „ „ „ თქვენ გაცივებდეს
- „ „ „ „ მათ აცივებდეს...“

მნიშვნელოვანი აქ ის არის, რომ მიცემითის მაგვირად ფორმანტად გვაქვს დღემდის ბრალდებითად (ა. შიფნერით — Affectiv, ა. დირით — винительный падеж) მინეული ფორმები (ზაზ, ვაზ... ააზ, ვააზ...). შესამე პირში გვაქვს ჩვეულებრივი ფორმები.

ასეთი ფორმები არაა საყოველთაო, მაგრამ აქა-იქ გვხვდება.

მაგ.:

- უნ ქაშლან აბავაზ?
- ჰო, აბაზაზ!
- „შენ ეს საქმე იცი? —ჰო, ვიცი!...“

იშვიათად გვხვდება ნაბეჭდ ტექსტშიც:

—აბავაზ ზაკონლობ... [უღურო ოთხთავი, მარჯ., 10<sub>19</sub>]

ამ ფორმების დადასტურება საყურადღებოა ჯერ ერთი თვით ამ ზმნის აგებულების გასათვალისწინებლად, ხოლო, მეორე მხრივ, ისმის მნიშვნელოვანი საკითხი დღემდის ბრალდებითად (აკუზატივად) ცნობილი ბრუნვის შესახებ.

სახელდობრ კითხვა ისმის: ბრალდებითად მინეული ბრუნვა ხომ არ არის იგივე მიცემითი, მხოლოდ სრული სახით წარმოდგენილი? ნიჯური კილოს



ჩვენება გვიკარნახებს, სწორედ ამგვარად გადავწყვიტოთ ეს **საქმისადაც** (ქვემოთ, გვ. 314).

d. ამავე ზნებში საყურადღებოა მრავლ.—2. პირის ფორმები. მხოლოდ-ბიოსა და მრავლობითში 2. პირი განსხვავდება ბმოენით: I -**ვა** II -**გა**. მაგრამ ხორხისმფერი ახ გვაძლევს ზოგჯერ მარტივ ა-ს, განსხვავება იკარგება და საჭირო ხდება მეორეული ფორმანტის დართვა.

ეფაინ || ვაინ ილარი-ვა-ბსა-ნან

უ. იყოს: ილარი-ვა-ბსა..

e. საყურადღებო ფორმები გვაქვს აგრეთვე „ყოუნა || ქონება“ ზნეში.

ბეზი უმუდ-ბეზ-ბუ

ვი უმუდ-ვი-ბუ

შეტაჲ უმუდ-ტაჲ-ბუ

ბეში უმუდ-დე-ბუ

ეფი უმუდ-დე-ბუ (— უმუდ-ნე-ბუ)

შოტლო უმუდ-ყო-ბუ

აქ პირის ნიშნებად გამოყენებული გვაქვს მხოლოდბითის სამივე პირში ნაცვალსახელის ნათესაობითი, მრავლობითის 1. და 2. პირში „ნე“ — სახელობითიანი ზნების 3. პირი (ფორმა აგებულია განსხვავებულად!), ხოლო 3. პირში — მიცემითიანი ზნის -ყო. უღვლილების სისტემა კრულ ფორმებს გვაძლევს. ეს ფორმები უცნობი იყო დღემდის ლიტერატურაში. ა. დირი მხოლოდ შემდეგს ამბობს: «Подлежащее глагола „иметь“ ставится в родительном падеже (это, впрочем, способ выражения, так как глагол иметь не существует на удийском языке и заменяется глаголом быть)»<sup>1</sup>.

თვითონ ზნის ფორმები კი არსადაა მოყვანილი, თავი რომ დაეანებოთ შემტლარ აზრს, რომ „ქონება“ ზნის ფორმები უღურში არ გვაქვს.

საერთოდ ეს ფორმები ახალი წარმოშობისა უნდა იყვნენ და მნიშვნელოვანი არიან იმდენად, რამდენადაც აქ გვაქვს ენობრივი აზროვნების მიდრეკილება ობიექტური უღვლილებს ჩამოყალიბებისადმი<sup>2</sup>.

ნიჯურში ამ შემთხვევაში ჩვენ გვაქვს მიცემითიანი ფორმები (შდრ. ქვემოთ, გვ. 314).

f. დრო-კილოთა წარმოებისას საყურადღებოა ის, რომ ყველა დრო-კილოს (სულ 16-მდისაა!) აწარმოებს ორი ფუძე: I გავრცობილი „ეს“ — ელემენტით, II — უამელემენტოდ:

მაგალ.:

მასდარი: მან-დ-ეს-უნ „დარჩენა“

I ჯგუფის ფუძე: მან-დ-ეს-

II „ : მან-დ-

<sup>1</sup> ა. დირი, Грамм., გვ. 81.

<sup>2</sup> ამ საკითხს ვებებით ცალკე მოხსენებაში: „უ. წ. მიცემითიანი ზნები უღურში“.



I ფუძე აწარმოებს მხოლოდ ორ დროს, მეორე კი — ყველანაირად. დრო-კილოთა წარმოება აგლუტინაციურია. ამასთან საყურადღებოა, რომ ერთეულ დრო-კილოებში ყველა იწარმოება მიმდებარისაგან (ნამყოს ან აწმყო-მყოფადის მიმდებარისაგან).

დამახასიათებელია აგრეთვე კავშირებითა სიმრავლე, რომელთა ფუნქცია და კვალიფიკაცია ლიტერატურაში ზშირად შემცდარად არის წარმოდგენილი. მათ ანალიზს აქ ვერ შევუდგებით.

გ. გვარი უღურში არა გვაქვს. ა. შიფნერი და ა. დირიკ ცდილობდნენ მონახათ უღურში სპირი გვარი. ნამდვილად უღურში უნდა გვქონდეს ორგვარი ზნა: გარდამავალი და გარდაუვალი. გარჩევა მათ შორის ეწყობა მნიშვნელობას, რაც იწვევს სინტაქსურ სხვაობასაც: გარდამავალი ზნა თხოულობს ლოგიკურ სუბიექტს მოთხრობით ბრუნვაში, ხოლო გარდაუვალი — სახელობითში.<sup>1</sup>

მაგალ:

«ნიკალაა ნახზრჩი-ნე» (Sd 57a<sub>1</sub>-a) «ნიკალა (სახელ.) მენახირე-ა (არის)»  
მაგრამ:

«ნიკალაენ ტუტთაგ-ნე-ფერება...» (Sd 57a<sub>2</sub>-;) «ნიკალა (მოთხრობ.) სალაურს უკრავს...»

h. საყურადღებოა ამასთან, რომ გვაქვს კაუზატივის კატეგორია, რომელსაც ვღებულობთ გარდამავალი ზმნიდან, თუ მას ემატება „დესუნ“. იგივე „დესუნ“ თუ გარდაუვალ ზნას მიემატა, მაშინ ვღებულობთ ჩვეულებრივ გარდამავალ ზნას.

მაგალ:

ურ-ტ-ესუნ «ვართავ» (ფუძე: ურ-ტ-)

ურ-ტ-ეს-ტესუნ (— ურტეს-დესუნ) «ვართვევინებ»...

ასეთია, მოკლედ, უღურის ვართაშნული კილოს ვითარება მორფოლოგიურ მოვლენების მხრით. დაწვრილებითი დამუშავება ამ საკითხებისა ცალკე მოხსენებათა საქმეა.

დასასრულ, დაგვრბა ლექსიკის საკითხი. ამ მხრივ აღსანიშნავია ის, რომ უღურ ენაში მრავლადაა შესული სომხური და თურქული სიტყვები და საკუთარი ძირების მოძებნა საძნელოა.<sup>2</sup>

ჩვენ ვაგროვებდით ლექსიკურ მასალას და გზადაგზა შევამოწმეთ ა. შიფნერის ლექსიკონი. აღმოჩნდა საყურადღებო სხვაობანი და ახალი მასალაც, რაც სათანადო ლექსიკონის შედგენისას აღინიშნება.

<sup>1</sup> ამ საკითხს სპეციალური დამუშავება სჭირდება.

<sup>2</sup> მაგალ. ა. დირი ამ საკითხის შესახებ ამბობს: «...составление удинского словаря — вещь довольно щекотливая. Не знаясь, нужно ли ограничиться одними удийскими словами, или же ввести в него также и слова татарские, армянские и персидские. В первом случае получится настоящий ограниченный поразмерам словарь, что слов не хватит на обозначение самых обиходных вещей: а. დირი, გრამ., წინას გვ. II



ზნიშვნელოვანია ის, რომ, როგორც ირკვევა, ლექსიკის მხრივაც, უფროს საკმარისად ახლო ურთიერთობა უნდა ჰქონდეს ქართულ ენასთან. ეს ურთიერთობა ადვილი ასახსნელია, რამდენადაც ორივე ეს ენა კავკასიურ ენებს წარმოადგენს. სანიშნოდ შეიძლება რამდენიმე ძირი მოვიყვანოთ:

1. ნანა — დედა;  
შდრ. კილოური — ნენა, ჰან. ნანა.
2. ბაბა — მამა;  
შდრ. კილოური — ბაბაჲ, ჰან. — ბაბა.
3. ბეილ — მზე;  
შდრ. ძვ. ქართ. ბლ-უარი — სამხრეთი.
4. გა (gen. გან-ეჲ) — ადგილი;  
შდრ. ქართ. გან-ი; გან- (პრევ-).
5. მაილ — სიმღერა;  
შდრ. მღ-ერ-ა.
6. წი — სახელი;  
შდრ. ვუ-წი-ოდ-ებ...
7. კუა — კვამლი;  
შდრ. ძვ. ქართ. კუ-ამ-ლი.
8. ღი (gen. ღენ-) — დღე;  
შდრ. ღღ-ენ-.
9. ხე (ხენ-) — წყალი;  
შდრ. ხევი || კევი...
10. -ყუნ- || -ყო- — სუბიექტის 3. პირის აფიქსი (იხ. აქვე, გვ. 304—305);  
შდრ. ქართ. -ყე ნაწილაკი.

აქ მოკლებულია მხოლოდ მეტად თვალსაჩინო მაგალითები. შემდგომი კვლევა ალბათ დაადასტურებს უფრო მჭიდრო ურთიერთობას უღურსა და ქართულს შორის. ცხადია, ეს ურთიერთობა უნდა გვესმოდეს არა ვიწროდ, არამედ საერთოდ კავკასიური ენების ურთიერთობის თვალსაზრისით<sup>1</sup>.

\* \*

9. გადავიდეთ ახლა ნიჯური დიალექტის განხილვაზე. როგორც აღვნიშნეთ, ცნობები ნიჯური კილოს შესახებ ლიტერატურაში სრულიად არა გვაქვს. დღემდის არაა აღნუსხული ნიჯურის თავისებურებანი და არაა გარკვეული მისი მიმართება ვართაშნულთან (ა. ში ფნერს მოეპოვება მხოლოდ ორიოდგ მითითება). ამიტომ ჩვენ მიზნად დავისახეთ პირველ რიგში შეგვედარებინა ნიჯური ვართაშნულისათვის და გამოგვეკვია ფონეტიკური და მორფოლოგიური თავისებურებანი ნიჯურისა. ამ მხრით დადასტურდა ბევრი ახალი და საყურადღებო მოვლენა. ცხადია, ყველაფრის აქ აღნუსხვა შეუძლებელია, ჩვენ შევჩებებით მხოლოდ ძირითად მოვლენებს.

<sup>1</sup> უფრო-ქართული ლექსიკური შეხვედრების საკითხი სპეციალურად მუშავდება და წარმოდგენილი იქნება ცალკე მოხსენების სახით...





1. ბგერითი შედგენილობა ნიჯურში ისეთივეა, როგორც ვართაშნულში უნდა გვქონდეს დაბატებით „ა“ ხმოვანი [ა], რომელიც თავისებურ ნაენისმიერ „ა“-ს წარმოადგენს. იგი უფრო ხშირად სიტყვის დასაწყისში გვხვდება. გაცილებით ხშირია ნიჯურში „გ“: იგი ჩვეულებრივ ეჭა გვაქვს, სადაც ვართაშნულში სრული ხმოვანია...

2. თუ შევუდარებთ ახლა ერთმანეთს ვართაშნულსა და ნიჯურის ლექსიკას, ნიჯურში ვნახავთ გარკვეულ ფონეტიკურ ცვლილებებს. სახელდობრ:

a. ხმოვნით დაწყებული სიტყვების თავში ნიჯურს ჩვეულებრივ გააჩნია „ა“-ს წინ „ჰ“-ს და „ე“-ს წინ „ა“:

ჰაყსუნ		ვართ.	აყსუნ — „აღება“
ჰაფხესუნ		„	ყაფხესუნ — „ადგომა“
ჰემა		„	ემა — „რამდენი“
ჰუნ		„	უნ — „შენ“
ჰეც		„	ეც — „ხორცი“

b. ვართაშნულ მარტივ „ა“-ს შეესატყვისება „ჰ“- უმლაუტიანი:

ჰაშაშა		ვართ	კაშა — „თითი“
ჰაშა		„	აშა — „საქმე“
ჰაჩი		„	აჩი — „თამაში“

c. ხმოვნით დათავებული სიტყვის ბოლოს გვხვდება „ა“:

ტალა-მალა		ვართ.	ტალა-მალა — „იქით-აქეთ“
ოყალო		„	ოყალო — „დაბალი“

ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა ის, რომ ნანათესაობითარ მსაზღვრულში შენარჩუნებული გვაქვს ბრუნვის „ა - ი“:

კოოცხო კოკო || ვართ. კოკოცხო კოჯ (-კოკოცხო კოჯ) — „ჭათების სახლი“, „საჭათმე“

შეტაა წი || შეტაა წი (- შეტაა წი) — „მისი სახელი“.

d. უმლაუტიანი ზ, ზ ზოგჯერ გვაძლევს მარტივ „ი, ე“-ს:

სიჭტინ		ვართ.	სუჭტინ — „პირველად“
გელე		„	გოლ — „ბევრი, ძალიან“

e. თუ აფიქსების დართვისას ორი ხმოვანი ხვდება ერთმანეთს, მათ შორის „ა“-ს ეპოვებთ:

ფი-ა-ინ იზიხ		ვართ.	ფ-ინ ხაზ — „თვალის ჩინი, გუგა“
ხაა-ა-ე ბულ		„	ხა-ე ბულ — „ძალღის თავი“
ნიკალა-ა-ენ		„	ნიკალა-ენ — „ნიკოლოზმა“

f. „ბ“, მეტადრე ორ ხმოვანს შორის, გვაძლევს „ვ“-ს:

ბავა		ვართ.	ბაბა — „მამა“
ჩუტუხ		„	ჩუბუხ — „დედაკაცი, ცოლი“
ბეზ ვახტინ		„	ბეზ ბახტინქ — „ჩემთვის“
თე-ზ-ავა		„	თე-ზ-აბა — „არ ვიცი“

გ. უკანაენისმიერნი „გ, კ, ქ“ განსაკუთრებით უმლაუტიან ხმოვნებთან გვაძლევს „ა“-ს:



შაპრ	ვართ.	შაპრ — „თუ, если“
გრიანი	„	გრინი — „ცისფერი“, შვედურში — „საფრთხილი“
ქრამა-ე	„	ქრამა-ნე — „დამხმარე არს“
კალმა	„	კალმა — „ტყე“
შაქა	„	შაქა — „ხვალ“
დალმა	„	დალმა — „დალაქი“.

საყურადღებოა ის, რომ ნასესხებ სიტყვებს დედა-ენაში (მაგ. თურქულში) ეს ბგერები შენარჩუნებული აქვთ; ზოგჯერ კი თვით უდურშიც შეარჩენილია. მაგალ. ტომონიმიკაში გვაქვს „ალ-დალმაქლი“ (ნიჯის ერთერთი მკაპალას სახელია), საერთოდ კი — „დალმა“ — „დალაქი“. უნდა ვიფიქროთ, ამ შემთხვევაში საკმე გვაქვს მოგვიანებით სესხებასთან, როცა ეს ფონეტიკური წესი აღარ მოქმედებდა.

**h.** „ჟ“ საერთოდ იშვიათია უდურში (გვხვდება არაბულიდან მომდინარე სიტყვებში), ხოლო ნიჯურში იქაც გვაქვს: „ჟ“ — „ჟ“:

კოე	ვართ.	კოე — „სახლი“
კოჟა	„	კოჟა — „მოხუცი“
ბიხაჟუხ	„	ბუხაჟუხ — „ღმერთი“
ქოეჟრ	„	ჯეჟრ — „ბაგე“.

**i.** ძლიერ პიკრე შემთხვევაში გვაქვს „ქ“ — „ტ“:

ტილინ კაშა	ვართ.	ტილინ კაშა — „ნეკი“
შოროხ ბა-ტუნ-ცი	„	შონორ ბა-ჟუნ-ცი — „ისინი შევიდნენ“.

უკანასკნელ შემთხვევაში „ტუნ“ — „ჟუნ“ მორფოლოგიური ელემენტია და მთელ უღვლილებას გასდევს. ამდენადვე შეიძლება აქ საკმე გვქონდეს მორფოლოგიურ მონაცვალებასთანაც?!

**j.** უდურისათვის დამახასიათებელია თანხმოვანთა ასიმილაცია: **ლნ — ლლ რნ — რრ, ტნ — ტტ, დნ — დდ...**

ნიჯურში ეს ასიმილაცია არ გვაქვს ზნის პირის აღნიშვნისას:

ჟუნ აბთკალნუ || ვართ. ჟუნ აბთკალლუ (— „აბთკალ-ნუ“) — „შენ იტყვი“

**k.** ხმოვანთა ჰარმონია, რომელიც ვართაშნულში სუსტად არის წარმოდგენილი, ნიჯურში ფართოდ არის გავრცელებული: იგი უკვე ფორმანტიკადაც შეეხება (თუმცა გვაქვს მერყეობაც).

**l.** ნიჯურში უფრო ხშირია ხმოვანთა რედუქცია: ვლებულობთ „გ“-ს; იგივე „გ“ ჩაერთვის ზოგჯერ სხვა ადგილს თანხმოვანთ გასაყარად:

მულაბითგზაქსა	ვართ.	მუსაბით-ზუ-ბაქსა — „ვჯლი“
ყოლაშგუსა	„	შელ-ზუ-ბესა — „ვარჩენ“
ყოლაშგუსა	„	შელ-ლუ-ბესა — „არჩენ“.

**m.** საყურადღებოა ხმოვანთა შეკვეცა: ვართაშნულში იკვეცება ფუძის ბოლო ხმოვანი, ხოლო ნიჯურში — აფიქსის დახაწვის ხმოვანი<sup>1</sup>.

ვა-ანაქ || ვართ. ვენქ (— „ვა-ინქ“) — „შენთვის“

ზა-ანაქ || „ ზენქ (— „ზა-ინქ“) — „ჩემთვის“...

<sup>1</sup> ფუძისა და აფიქსის ურთიერთობის შესახებ ქართველურ ენებში შდრ. ა. ჩიქობავა, კანტორის გრამ. ანალიზი, გვ. 56 შმდ.

ასეთია ძირითადი ფონეტიკური მოვლენები, რომელნიც ნიჯურსკე უცხადე  
ვებენ ვართაშნულსაგან. მათი დაწვრილებითი და სისრულით გვანაშნულსაგან  
უადგილო იქნებოდა.

10. თუ გავითვალისწინებთ მორფოლოგიურ მოვლენებს, შეიძლება ით-  
ქვას, რომ აგებულების მიხედვით ნიჯური ძირითადად იმავე სისტემას გვაძლევს,  
რასაც ვართაშნული. ამიტომ დიდი განსხვავება მათ შორის არ გვაქვს, თუმცა  
ნიჯურს ზოგჯერ გააჩნია საყურადღებო თავისებურებანი, რომელთაც პრინ-  
ციპული მნიშვნელობა აქვთ საერთოდ უფურის აგებულების გასათვალისწი-  
ნებლად.

სიტყვაწარმოების აფიქსები ისეთივეა ნიჯურში, როგორც ვართაშნულ-  
ში. საერთოდ ტენდენციაა მხოლოდ ის, რომ თურქული აფიქსების ხმარება მეტ  
ადგილს იკავებს, ხოლო საკუთარი იქმნალება. ასე მაგალ., „**ლ**“ — მასუბსტანტი-  
ვებელი სუფიქსი ზოგჯერ აღარ იხმარება და შეიძლება პარალელური ფორმე-  
ბი გვექონდეს:

მო ამდარ ფარკალ-ო-ნე... || ფარკალ-ე

„ეს კაცი დამკვრელია“.

ამასთან საყურადღებოა, რომ „**ა**“ სუფიქსი უფრო ხშირად გვხვდება ნი-  
ჯურში, ვიდრე ვართაშნულში, სადაც ის იშვიათად იხმარება (შდრ. აქვე,  
გვ. 301).

11. ბრუნების სისტემა ნიჯურს ძირითადად საერთოდ აქვს ვართაშნულ-  
თან<sup>1</sup>. მაგრამ მას გააჩნია თავისებურებანიც.

a. ნათესაობითი ბრუნვის ნიშნად დამატებით გვაქვს — ნ<sup>5</sup>ა (ხმოვანთა  
პარაზონით) და — გნ (— უნ || ინ რედუქციით). ამასთან, როგორც აღვნიშნეთ,  
ნანათესაობითარი მსახლვრელი ინარჩუნებს დაბოლოების „**ა** — ი“ — ელემენტს.

კალხოზ-გნ || ვართ კალხოზ-უნ

კოოწ-გნ || „ კოკოწ-უნ

შეტაა-წი || „ შეტა წი

b. მეტად საყურადღებო მოვლენაა ის, რომ ნიჯურში დღეს თითქმის  
აღარ გვაქვს ე. წ. ბრალდებითი ბრუნვა (ა. შიფნერიტ — Affectiv, ა. დი-  
რიტ — винительный п.). მის ფორმანტად ვართაშნულში გამოყოფილია — ა-ზ  
(რომელშიც „**ა**“ — ს მივიჩნევდით მიცემითის ფორმანტად). მისი, სინტაქსური  
ფუნქცია არეულია. ჩვეულებრივ მით აღინიშნება „პირდაპირი“ ობიექტი, მაგ-  
რამ ამ ფუნქციაში მას სხვა ბრუნვებიც ენაცვლება (სახელობითი, მიცემითი).  
ნიჯურში კი მის ფუნქციას ყველგან მიცემითი ასრულებს:

„შოტლონ შოტროლო ქორუზ-ტუნ-თასტა“

|| ვართ. შოტლოზ

„ისინი მათ სტანჯავენ“

<sup>1</sup> ჩვენ წერილში: „საბელთა ბრუნვისათვის უფურ ენაში“ („ენაშე-ს მოამბე“, 1) უშთავ-  
რესად ვეშარებოდით ვართაშნულ მასალას; აქ წარმოდგენილ მასალას ნაწილობრივ შეაქვს  
დამატებები და შეაწორებანი ზემოაღნიშნულ წერილში.



«მოტოლონ და || მახ თნგვ-ტუნ-თაღი»  
|| ვართ. თნგინ-ჰხ

„მათ ჩვენ ფული მოგვცეს“.

მაგრამ ამ ბრუნვის ნაშთი ჩვენ გვხვდება ნაცვალსახელებთან და ისიც ერთ —  
„ყოფნა || ქონება“ ზმნასთან. აქ ისმება საკითხი თვით ამ ბრალდებითი ბრუნვის  
რაობის შესახებ, მაგრამ მას ქვემოთ შევხებით (იხ. აქვე, გვ. 214).

c. ვართაშნულის ორი ბრუნვა Ablativus (გან-ბრუნვა) და Comitativus  
(I თან-ბრუნვა) ნიჯურში გაერთიანებულია და მათ საერთო ფორმანტი მოვპო-  
ვებათ: ესაა — ხუნ. ვართაშნულში კი გვაქვს: Ablat. — ა-ხო, Comit. — ა-ხოლ

კულა-ხუნ || ვართ კულახო — „მიწისგან“  
ვიჩა-ხუნ || „ვიჩებოლ — „ძმასთან“

მაგალ:

«ხუ ბეხ ბავახუნ-თასცი || თაკცი»

„მე ჩემ მამასთან წავედი“

«ხუ ჰაზუი ბავახუნ ქაშღუზ (ნამაკ)»

„მე მივიღე მამისგან ქალაღდი (წერილი)“.

d. Allativus-ის (მღის-ბრუნვა) ფორმანტი წარმოდგენილია ფონეტიკური  
სხვაობით: -ჩ- ვართ. -ჰ-

„უსაჩ“ || ვართ. უსაჰ — „ხარამღის“

ზაჩ || „ზაჰ“ — „ჩემამღის“

e. აგრეთვე ფონეტიკურად სხვა სახეს გვაძლევს Causativus (-თვის —  
ბრუნვა): — ანაქ/კ || ვართ. — ენქ/კ. ამ ფორმანტის წინ ჩვენ სრულად გვაქვს მი-  
ცემითის ფორმა, მაშინ, როდესაც ვართაშნულში ის არ გვაქვს.

ვა-ანაქ || ვართ. ვენქ — „შენთვის“

ზა-ანაქ || „ზენქ“ — „ჩემთვის“

ეშყარე-ანაქ || „ეშყარენქ“ — „მამაკაცისთვის“

ამ ბრუნვის ნიჯური ფორმა გვაფიქრებინებს, რომ ძირითადი სახე ამ ფორ-  
მანტისა არის — „ინაქ/კ — ანაქ“, რომელიც ვართაშნულში ფონეტიკურ ნიადაგ-  
ზე გვაძლევს „ენქ“ სახეს. ამასთანავე ირკვევა, რომ იგი არ უნდა იყოს და-  
კავშირებული მოთბრობით ბრუნვასთან, რომლის ფორმანტია „ენ“.

f. მრავლობითის ფორმანტები და მათი ხმარების წესი ძირითადად ისე-  
თივეა, როგორც ვართაშნულში. მაგრამ გვაქვს ერთი საყურადღებო მორფო-  
ლოგიურ-სინტაქსური მოვლენა: სახელობითი და მიცემითი ბრუნვა  
მრავლობითში გაერთიანებულია ფუნქციით და ფორმანტით.  
ამის გამო თითქოს ეღებულობთ მრავლობითის ახალ ფორმანტს: უჩხო, ხო,

ეჰ — „ცხენი“ Pl. Nom. ეჰქურხო || ვართ. ეჰქურუხ

Pl. Dat. ეჰქურხო || „ეჰქურხო...“

მაგალ:

«ბეხ ეაქურხო ტი-ტუნ-ტერი» „ჩემი ცხენები გაიქცნენ“, «ხუ ბეხ ეაქურ-  
ხო ბესგზბი» „მე ჩემი ცხენები მოვკალ“.

ზოგჯერ ძველი ვითარება შერჩენილია, ზოგჯერ კი გვაქვს პარალელური  
ფორმები:



ჩუტუბ	— მრავლ.	Nom.	ჩუფუბ    ჩუფხო	— „დედაცაი“
		Dat.	ჩუფხო...	
თურ	— „	N.	თურმუბ	— „ფები“
		D.	თურმუხო	
ჩო	— „	N.	ჩოაფურ[უბ]	— „სახე“
		D.	ჩოაფურხო	

ეს მოვლენა მნიშვნელოვანია უღერ ბრუნვათა ბუნებისა და ფუნქციის გასათვალისწინებლად.

12. რიცხვითი სახელი ნიჯურში თავისებურია: თვისის ოცობითი სისტემა დაცულია მხოლოდ ოცამდის (რიცხვთა სახელები ისეთივეა, როგორც ვართაწნულში), შემდეგ კი გვაქვს ათობითი სისტემა და სათანადო 30, 40, 50, 60, 70, 80, 90 უღერი სახელები შეცვლილია თურქულით. 20—ყა, 30—ოთუზ, 31—ოთუზა... 40—ყერხ, 41—ყერხსა, 50—პლი, 51—პლისა... 60—ალთმიშ, 70—გეთმიშ, 80—საქსან, 90—დოხსან, 100—საბაჩ (უღური!)

რიგობათი რიცხვითი სახელების წარმოება კი ჩვეულებრივია.

13. ზმნა ნიჯურში.

a. პირის აღნიშვნა ზმნაში 1. და 2. პირში ჩვეულებრივია, ოღონდ ხმოვნითი ელემენტი უფრო ხშირად ამოვარდება ხოლმე: ზუ—ზ (|| ზგ || გზ), ნუ—ნ (|| ნგ || გნ). ამასთან, როგორც აღვნიშნეთ, თანხმოვანი „ნ“ ასიმილაციას არ განიცდის წინამავალ ლ, რ, ტ, დ-სთან. განსაკუთრებული თავისებურება გვაქვს 3. პირში: მხოლოდობითში „ნე“ აფიქსის გვერდით გვაქვს „ე“—აფიქსიც, როგორც, როგორც ჩანს, არ უნდა იყოს მიღებული ფონეტიკური ვითარებით. მათი ხმარება ამგვარადაა განაწილებული: ხმოვნთან ფუძეს ერთვის „ნე“, ხოლო თანხმოვნთანს „ე“. მრავლობითის 3. პირში კი ყველგან გვაქვს „ტუნ“, ვართაწნულის „ყუნ“ აფიქსის შესატყვისად. მთლიანად პირის აღნიშვნა ნიჯური უღვლილების სისტემაში ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ:

მახდარი: უახსუნ (— უაღ-ეს-უნ)—„სმა“,

აწმყო:

ზუ	უა-ზგ-ხსა,	დან	უა-აან-ხსა
პუნ	უა-ნგ-ხსა,	ვიან	უა-ნან-ხსა
შოტინ	უა-ნე-ხსა,	შოტოღონ	უა-ტუნ-ხსა

მყოფადი I:

ზუ	უაღალ-ზუ,	დან	უაღალ-აან
პუნ	უაღალ-ნუ,	ვიან	უაღალ-ნან
შოტინ	უაღალ-ე,	შოტოღონ	უაღალ-ტუნ.

b. პრინციპული მნიშვნელობა აქვს ე. წ. მიცემითიანი ზმნების უღვლილებას (შდ. აქვე, გვ. 305). ნიჯურში ჩვენ გვაქვს სრული უნიფიკაცია უღვლილების: მიცემითიანი ზმნები პირის აღნიშვნაში უთანაბრდებიან სახელობითან ზმნებს ანდა მიცემითიანი ზმნის შესაბამისად ნიჯურში გვაქვს ახალი ფუძე, რომელიც ჩვეულებრივი წესით იღვლეება.



მაგალ:

მასდარ: აკსუნ „ხედვა“

ზეუ	ა-ზ-კი	ვართ. ზა	ა-ზა-კი—მე ვებდავ
ბუნ	ა-ნ-კი	ვა	ა-ვა-კი—შენ ჰხედავ
შოტინ	ა-ნე-კი	შოტუ	ა-ტუ-კი—ის ხედავს
ჟან	ა-ჯან-კი	ჟა	ა-ჯა-კი—ჩვენ ვხედავთ
ვაჟინ	ა-ნან-კი	ვაჟინ	ა-ვაჟ-კი—თქვენ ჰხედავთ
შოტოლონ	ა-ტუნ-კი ო ა-ნე-კი	შოტლო	ა-ყო-კი—ისინი ხედვენ

მიცემითიან ზმნას „ბუყსუნ—ნდომა, ყვარება“—ნიჯურში შეესაბამება სხვა ზმნა იმავე მნიშვნელობით: „ჩურეხუნ“, რომელიც ჩვეულებრივად იულ-ლება.

მაგრამ ეს თავისებური უღვლილება ნაშთის სახით შემორჩენილი გვაქვს ერთ ზმნაში (და მისგან ნაწარმოებ ფუძეებში), რომელსაც ვართაშნულში პირის ნიშნები ნათესაობითში აქვს და რომლის შესახებაც აღვნიშნეთ, რომ ეს ფორმები ახალი წარმოშობისა უნდა იყვნენო (შდრ. აქვე, გვ. 306).

სახელდობრ, ჩვენ გვაქვს შემდეგი ფორმები:

ბეზ	კოე ზახ-ბუ (ზახ-ბუ)	—მე სახლი მაქვს
ვი	კოე ვახ-ბუ (ვახ-ბუ)	—შენ სახლი გაქვს
შეტაჟ	კოე ტუხ-ბუ (ტუხ-ბუ)	—მას სახლი აქვს
ბეშ	კოე აახ-ბუ (აახ-ბუ)	—ჩვენ სახლი გვაქვს
ენტ	კოე ვაჟხ-ბუ (ვაჟხ-ბუ)	—თქვენ სახლი გაქვთ
შოტოლოჟ	კოე ტუჟხ-ბუ (ტუჟხ-ბუ)	—მათ სახლი აქვთ

ამრიგად უნდა ვივარაუდოთ, რომ მიცემითიანი ზმნის უღვლილება ნიჯურში შემორჩენილი გვაქვს ამ ზმნაში, მაგრამ საყურადღებოა ის ვარაუდება, რომ მოსალოდნელი პირის ნიშნები წარმოდგენილი გვაქვს სრული ფორმებით: „ზახ, ვახ, ტუხ, აახ, ვაჟხ, ტუჟხ“, ე. ი. დღემდის ცნობილი „ბრალდებითის“ ფორმებით. როგორც ჩანს, აქ უნდა გვქონდეს ძველი ვითარება. ამასთან ეს ფორმები იძლევიან იმის აშკარა მითითებას, რომ დღემდის ბრალდებითად მიჩნეული ფორმები ნამდვილად უნდა წარმოადგენდნენ მიცემითის, მის სრულ სახეს.

საყურადღებოა, რომ ზოგ შემთხვევაში მიცემითი სხვაგანაც გვაქვს სრულ ფორმას (მაგ. ირიბი ობიექტის გადმოცემისას):

„ზეუ ვახ-გზ-თასტა ქაპლგზა“ „მე შენ გაძღვე წიგნს“.

აქ ირიბი ობიექტი გადმოცემულია სრული მიცემითით (ვახ-გზ-თასტა), ხოლო პირდაპირი კი შეგვეცილი მიცემითით. მიცემითის სრული სახით შენარჩუნებას ამ შემთხვევაში, ალბათ, ის უწყობს ხელს, რომ ის გვაქვს ნაცვალ-სახელში და მას ენკლიტიკურად ერთვის ზმნის ფორმა<sup>1</sup>.

<sup>1</sup> ე. წ. ბრალდებითის საკითხს ჩვენ ვებებით ცალკე წერილში: „აქხატაიის გენეზისისათვის უღერ ენაში“.



ც. დრო-კილოთა ფუძე იმგვარადვე იწარმოება ნიჯურში, რომელიც ვაჟთაშნულში. თავისებურება გვაქვს მხოლოდ „ფესუნ“ ზმნის (და მოციხე-ნიჯურში) მოციხე-ნიჯურში:

მახდარი: ა მ თ ფ ე ს უ ნ — „ლაპარაკი“

ზუ	ამთგზნე	ვ ა რ თ.	ზუ ამთ ზუ-ეზა
ბუნ	ამთგნნე	"	უნ ამთ ნუ-ეზა
შოტინ	ამთ-ე-ნე	"	შოტინ ამთ ნე ზა
ჟან	ამთჟანნე	"	ჟან ამთჟანეზა
ვან	ამთვანნე	"	ვან ამთვანეზა
შოტლონ	ამთტუნნე	"	შოტლონ ამთუტუნეზა.

\* \*

14. ამგვარია მოკლედ ის ძირითადი ფონეტიკური და მორფოლოგიური მოვლენები, რომელნიც ასხვავებენ ნიჯურს ვართაშნულისაგან და რომელთა შენიშვნაც ჩვენ მოვახერხებთ მიმდინარე ზაფხულის მუშაობის დროს. ცხადია, არის გარდა ამისა სხვა წვრილანი თავისებური მოვლენები, რომელთაც სჭირდება შემდგომი შემოწმება, და რომელთა აქ აღნუსხვა შეუძლებელი იყო. დამატებითი მუშაობა და ნიჯურის გაღრმავებული კვლევა ალბათ, კიდევ ბევრ საყურადღებო მოვლენას წარმოგვიდგენს, უფრო სრულად გაგვათავალისწინებს ამ ორი კილოს ურთიერთმიმართებას და უღურის აგებულებას.

რაც შეეხება ნიჯურის ლექსიკას, მასში კიდევ უფრო მეტად, არის შესული უცხოური მასალა, ვიდრე ვართაშნულში. საკუთარი ძირები აქ კიდევ უფრო მცირედ მოგვეპოვება. ჩვენ ვაგროვებდით ლექსიკურ მასალას და აგრეთვე ვამოწმებდით ა. შიფნერის მიერ მოცემულს და ჩვენ მიერ ვართაშენში შეგროვებულ ლექსიკას...

\* \*

როგორც თავში აღვნიშნეთ, ჩვენი დაკვირვების საგანი იყო უღურის ენობრივი აგებულების ძირითადი საკითხები. გარდა ამისა განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევდით უღური ტექსტების ჩაწერას. ამ მხრივ მუშაობის შედეგი გამოიხატა შემდეგით:

I. ვართაშნულზე 25 ღლის მუშაობის შედეგად შეგროვებულია და ჩაწერილი:

- a. ტექსტები—ჩვეულის 82 გვ. (7 ზღაპარი და 14 გამოცანა),
- b. ფრაზეოლოგია და ლექსიკური მასალა (სეარჯიშოვებითურთ) — 180 გვ.
- c. შემოწმებულია ა. შიფნერის ლექსიკონი (2500 სიტყვამდის)—152 გვ.

II. ნიჯურ კილოზე 15 ღლის მუშაობის შედეგად შეგროვებულია და ჩაწერილი:

- a. ტექსტები — რვ. 235 გვ. (13 ზღაპარი და 15 ლექსი),
- b. ფრაზეოლოგია და ლექსიკური მასალა (სეარჯიშოვებითურთ)—170 გვ.
- c. შემოწმებულია ა. შიფნერის ლექსიკონის ნაწილი — რვ. 60 გვ.



ორივე კილოზე მუშაობის შედეგად:

a. ტექსტები —	317 გვ.
b. ფრაზეოლოგია —	350 გვ.
c. ა. შიფნერის ლექს. შემოწმება	212 გვ.
	<hr/>
	სულ 879 გვ.

ასეთია ზოგადად უდურზე მუშაობის შედეგი. მოკლე მიმოხილვა კიდევ ერთხელ გვარწმუნებს იმაში, რომ უდურს გააჩნია მრავალი საყურადღებო, კავკასიურ ენათა სინამდვილისათვის დამახასიათებელი მოვლენა (რომელთაგან ბევრი ჯერ კიდევ უცნობია და ელის გამოშუქებას). აქ მოცემულია ცდა უდური ენის ამ ორი კილოს ურთიერთმიმართების გარკვევისა. მომავალი მუშაობის მიზანი უნდა იყოს ამ მოხსენებაში დასმული საკითხების ს'ეციალური დამუშავება და უდური ენის აგებულების სრული გათვალისწინება...

1937. X. 8.

ტფილისი.

P. S. დასასრულ სასიამოვნო მოვალეობად მიმაჩნია მადლობა გამოფეხადო ყველა იმ ორგანიზაციას და ცალკე პირთ, ვინც ყურადღებით ეპყრობოდა ჩემს მუშაობას და ყოველ მხრივ ხელს მიწყობდა. ესენია: უპირველეს ყოვლისა ორივე სოფლის სასოფლო საბჭოები და მათი თავმჯდომარეები, ხოლო პერსონალურად: სოფ. ზინობიანში — ივ. სილიკაშვილი, ილექსანდრა აჯიაშვილი და ზინ. აჯიაშვილი, სოფ. ნიჯში — ლეონ გუქასოვი და ნიკოლოზ გუქასოვი.



ქართლში ჩატარებული სალექსიკოლოგიო მუშაობის ანგარიში

ქსნისა და ლიახვის ხმობაში (1937. VII)

აკად. მარის სახ. ენის, ისტორიისა და მატერ. კულტურის ინსტიტუტის ლექსიკოლოგიის განყოფილების 1937 წლ. საწარმოო გეგმით გათვალისწინებულია ქართლური დიალექტოლოგიური ლექსიკონის შედგენა. მასში შევაქართლში გავრცელებული სიტყვები, რომელთაც არ შეიცავენ ქართული ენის ძირითადი ლექსიკონები (საბა, ერისთავი, ჩუბინაშვილი, ჯყონია, ბერიძე).

ქართული დიალექტოლოგიური ლექსიკონის შესადგენად ორი მიმართულებით უნდა წარმართულიყო მუშაობა: ა) ამოწერილიყო კუთხური სიტყვები და თქმები ქართლიდან გამოსულ მწერალთა (პირველ რიგში კლასიკოსთა) თხზულებებიდან და ბ) ადგილობრივ ქართლში შეკრებილიყო ახალი მასალა.

ამ თვალსაზრისით მწერალთაგან შესწავლილ იქნენ: სოფრ. მგალობლი-შვილი, იაკ. გოგებაშვილი, დ. ქონჭაძე, ლ. არღაზიანი, ნიკო ლომოური, შიო არაგვისპირელი, იოსებ დავითაშვილი, შიო მღვიმელი, ან. ერისთავ-ხოშტარიასი და სხვ. ამოიწერა მათ ნაწარმოებთაგან—ცალ-ცალკე ბარათზე—დიალექტურად მიჩნეული სიტყვები და თქმები სათანადო კონტექსტებში. შედეგად მივიღეთ დაახლოებით 2500 სიტყვა-თქმა.

საზღვრული მივიღებთ მიზანს შეადგენდა: შემოწმებულიყო, ერთი მხრივ, ეს ლიტერატურული ძეგლებიდან ამოღებული სიტყვები ქართლის სხვადასხვა რაიონში (რამდენად ცოცხალია ესათვის სიტყვა ხალხში, რა მნიშვნელობით იხმარება და სხვ.); აგრეთვე ადგილობრივ შეგვრებულიყო ვ. თ. ფ. უ. რ. ი. ს. მიერ ლიახვის ხეობაში 1923 წ. შეკრებილი სალექსიკონო მასალა, და, მეორე მხრივ, შეკრებილიყო დამატებითი მასალები. სამუშაო ადგილებად არჩეულ იქნა ქსნისა და ლიახვის ხეობები: ლენინგორისა და გორის რაიონები, ბაზად კი სოფ. იკოთი (ლენინგორის რაიონში) და სოფ. ტყვიავი (გორის რაიონში). განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობდა ქსნის ხეობა. რადგანაც ეს რაიონი დექსიკოლოგიურად (და საერთოდ დიალექტოლოგიურად) სრულიად შეუსწავლელია.

ლენინგორის რაიონის ეთნიკური შემადგენლობა კრელია: აქ ბინადრობენ ქართველებთან ერთად ოსები და სომხები. ძირითადი მოსახლეობა ქართლებია, მაგრამ შეივადამივ ურევიან მთიულნიც. მუშაობისას შემოვიფარგლე სოფლების



გარკვეული წრით, რომლის მოსახლეობას ქართულენოვანი შეადგენენ (იკოთი, კორინთა, ყანჩავეთი, ერეკლე და სხვ.).

თანწილებული მასალების შემოწმებისას მოსალოდნელი იყო შემთხვევა: 1. მოცემული სიტყვა სრულებით გაუგებარი იქნებოდა ადგილობრივ მცხოვრებთათვის (მაგალ., „აშურმა, ვახრემილი, დელო, გაეშარა“); 2. სიტყვა გასაგები იქნებოდა მხოლოდ იმ მნიშვნელობით, რომელიც კონტექსტიდან ჩანს. ასეთ შემთხვევაში ბარათი რჩებოდა უცვლელად („მოხეტიალეთა ჯურის ხალხი-და დანდალებდა აქა-იქ“; „იყო გაშფოთებული“); 3. სიტყვას იქნებოდა დამატებითი, ე. ი., ერთზე მეტი მნიშვნელობა. ამ შემთხვევაში ბარათზე აღნიშნებოდა ახსნა-განმარტება სათანადო კონტექსტებში, ხშირად მთქმელი-სავე სიტყვით (ა. „აბუტეტი კაცი, საქონელი—გაკერებულნი, უხვირო, თავის კუეახე რო დადის“. ამას ემატება ახალი მნიშვნელობაც: „იტყვიან აბუტი-ტიო — ცუდადმხედველი, ელაში“; ბ. „სადრლე წერილები საქონლის [ლორის,] თხის დასამწყვედვი“. დამატებითი მნიშვნელობა: „მოსაგზად რო არი ცხვარი მოზადებული, სადოლე ცხვარ ვეტყვით“; გ. „საწელური—უნაგირის შესამოსავი“. ემატება სხვა მნიშვნელობა: „ქამარი ყოველნიარი“; დ. „შენი ამანათები იყვნენ ისინი და შენ დაიფარე“. განმარტება მიეცა: 1. სტუმარი, 2. მიბარებული რამ“); 4. სულ სხვა მნიშვნელობა ან მკარგოდენი ნიუანსი იქნებოდა სიტყვას. ვცდილობდი ეს უკანასკნელი მომენტი დამეკვირა სხვადასხვა კონტექსტში, მაგ.: ა. „ბატა-ბუტი თამაშობაა“, მიწერილია: „სინინდია“; ბ. ბაია თვალისა; მიწერილია: „პატარა ბავშვი“; ბაკლა ცერცვი; მიწერილია: „ლობიო რო მოვხარშამთ და არ შევანელებთ, ცარიელ ბაკლას ამოვიღებ [resp. კირკაი]“; „ბალყუმი მიწა მიწა რო არაა ქვიანი ან მაგარი; სანამდისაც რო გვინდა, ჩავთხრით და ხელს არაფერი გვიშლის; ბალყუმი მიწაა: რბილი, სუფთა მიწა“); 5. მოცემული სიტყვა გასაგები იქნებოდა შეცვლილი გამოთქმით (ბარყუმი—ბალყუმი; ბელერიალა—ბჰერიალა; ფოხოლა—ბოხოლა).

იმ მიზნით, რომ ამოკრებილი სალექსიკონო მასალა შემოწმებულიყო ქართლის სხვა რაიონებშიც, იგი გადაბეჭდილ იქნა რამდენიმე ცალად და მიეცა შემდეგ პირებს: პ. ხუბუტიას (ატენის ხეობაში), ი. შილაკაძეს (ს. ხიდისთავში), შ. გაფრინდაშვილს (ქსნის ახლო სოფლებში), ი. გიგინეიშვილს (კავთისხევის რაიონში). მიუღიანებულებმა მასალა დააბრუნეს და ამ თანწილებულ, დაახლოებით 2700 სიტყვათაგან ადგილებზე გაუგებარი აღმოჩნდა: 1. პ. ხუბუტიას ეგზემპლარის მიხედვით 20-მდის სიტყვა, 2. შილაკაძე-გაფრინდაშვილისაში—30-მდის, 3. ი. გიგინეიშვილისაში—100-მდის, ხოლო 4. ჩემს ეგზემპლარში—30-მდის. ახსნა-განმარტებები მოცემულია, როგორც ჩამწერის, ისე მთქმელის სიტყვით. ფრაზეოლოგიით განსაკუთრებით მდიდარია ი. შილაკაძის ეგზემპლარი. უმთავრესად სხვადასხვა ცალში განმარტებები ერთმანეთს ემთხვევა, იშვიათად კი ერთმანეთს ავსებს. თითო-ოროლა განსხვავებათაგან აღსანიშნავია, მაგალ., ბაბრია ძალის სახელი (პ. ხუბუტიათი); — ბავშვი იქნება სუქანი, ძალღუედაც იტყვიან (ი. გიგინეიშვილით); — ბაბრია ის არი, რო სუქანია და კარქია, პატარა (ი. შილაკაძით); — ბებერი კაცი რო ცუდუბრალოდ



ილანძღება, შე ბაბრიავო, ვეტყვი (შ. ძიძიგურით). ან კიდევ: ყორღლი სა-  
თიბის, ტყის შეკვა, რომ არაფერმა გაიაროს (ხუბულთათი), — ბაღნებ ვა უსა  
თიბავენ, საქონელს არ მოაძუებენ, ნიშნად სარს დაუსვამენ (ი. გიგინეიშვი-  
ლით), — სათიბი ბაღახი (შ. ვაფრინდაშვილით), — სათიბ ვეტყვი; იქ ვერავინ  
შევა, შანახულა; გლეხებმა იციან და არავინ შეუშვებს საქონელს, დაკული  
აღაგია (შ. ძიძიგურით).

ახალ მასალას კი ვაგროვებდი შემდეგი წესით: ინფორმატორს ვაძლევდი  
კითხვებს თემ ტიკურად, დარგობლივად: ავიღებდი, ვთქვათ, მცენარეულობას  
და ვცდილობდა მოქმელს ამოეწურა ეს დარგი. შემდეგ გადავიდოდი ახალ  
დარგზე და ა. შ. ბოლოს ვამოწმებდი ჩაწერილის სისწორეს სხვების გამო-  
კითხვით, ამ საშუალებით შემიგროვდა 2000-ზე მეტი ახალი სიტყვა-თქმა.

ნიმუშად აი რამდენიმე სიტყვა, რომლებიც ძირითად ლექსიკონებში არ  
გვხვდება.

ა ბ უ ე ტ ი 1. ელაში; 2. მოსულელო, წინდაუხედავი ადამიანი; 3. ჯიუტი,  
გაეკრებულნი საქონელი.

ა ო დ ა, ა ო დ ე ა 1. ნაწვიმარზე რომ სიკვხე ჩამოწვება, ქირნახული გა-  
ფუჭდება, აოდდება. შდრ. აჩალა; 2. პაპანაქება სიციხისაგან რომ ადამიანი ან  
საქონელი შეწუხდება.

ა ჩ ა ლ ა, ა ჩ ა ლ ე ა, ხშირი წვიმებით ან სათანადო დაუმუშავებლობის გამო  
ყანა რომ ამოვა წვრილად და გრძლად, მარცვალს არ გაიკეთებს და მალე წა-  
იქცევა. ყანა არჩალა.

ახალული ნახევრად შემწვარი.

ბ ი შ მ ა ცხერის ავადმყოფობა.

ბ ო შ ა თ დაწნული, ბ ო შ ი ა თ დაწნული, მოშვებით, არამქიდროდ  
დაწნული. ნ. ბოშე.

ბ ო შ ე ღუნე, მოშვებულა.

გ ა მ ო ჭ ი ა ტ ე ბ ა [შხისა] შხის გამონათება ღრუბლებში შემაღვის შემდეგ.  
დაჩიხავებულ ბ დასახიჩრებული, ინვალიდი.

კ რ ო ლ ე ა: გ ა კ რ ო ლ ე ა, დ ა კ რ ო ლ ე ა. თხილის ან კაკლის ქერქის,  
წინგოს ვახდა, გასუფთავება. გ ა კ რ ო ლ ი ლ ი გ ა წ მ ე ნ დ ი ლ ი, გასუფთავე-  
ბული.

ნ ა კ ე დ ა ლ ი მდინარიდან საგანგებოდ გადაყვანილი რუ ნათესების მო-  
სარწყავად.

ნ ა ყ ი შ ე ბ ა: გ ა ნ ა ყ ი შ ე ბ ა ნაწილ-ნაწილ წალება, შემოფუტქენა, გამოკ-  
ლება. ნ. ნაყიშ-ნაყიშ. შდრ. გ ა მ ო ნ ა ყ ი შ ე ბ ა.

ნ ა ყ ი შ -ნ ა ყ ი შ ნაწილ-ნაწილ.

ს ა კ ე კ ი ჭ ა რ ი ნახევარი თავის ტკივილი, შაკიკი.

წ რ ი ა პ ა წერილი მწუკები.

კიდევ რამდენიმე სიტყვა, რომელთაც ადგილობრივ განსხვავებული  
მნიშვნელობით ხმარობენ, ვიდრე ეს ლექსიკონებშია აღნიშნული.



არსებული ლექსიკონებით:

ქართული დიალექტოლოგიური  
ლექსიკონი

1. პორწიალი, და-პორწიანება  
ჩამოკიდება და ქანაობა. „კაი ქალი  
ხყო, მარა ასე უტიფრათ ქე ჩამეგპორ-  
წილა იმ კაცს კისერზე“ (ვ. ბე-  
რიძე).
2. ავშარა ქორაკი, ავშარიკი (ავშა-  
რიკი) თოკის ავშარა ცუდი (საბა  
ორბელიანი);  
ავშარა (სპარ. აფსარ.) სილა, ქო-  
რაკი, ულაგმო აღვირი, недоуздок  
(დ. ჩუბინაშვილი).
3. აზარი (ვაეა-ფშ.) ასი წმინდა ნაღი-  
რი, მონადირისაგან მოკლული, რის  
შემდეგ მონადირე ხმალს დროებდო  
მიწაში ჰტლავს (ი. ჯყონია).
4. აივარი (თათრ.) გმირი, ჭებული  
ჰაეროვანებითა, ჭკუითა და მოხერხე-  
ბითა (დ. ჩუბინაშვილი).
5. ალაო ფქვილი დანოტიებული (ს.  
ორბელიანი);  
ალაო დაწეიული ფქვილი, რომე-  
ლიც კარგად არ მოიზიდება და არც  
გაღვივდება, подмоченная мука, со-  
лод (დ. ჩუბინაშვილი).
6. ალაკი საცორავი (ს. ორბელიანი);  
ლაჯა, ალაჯა მარხილის შვშის ან  
სხვა რისაზე დასაქორავი ღვლეკი (ვ.  
ბერიძე).
7. ალეში მდარე, ნაკლები. „ი ბოში  
რომ ცოტა ალეში ქალი არ იყოს,  
მზითევი კარგი აქვს“. ალეში ღვი-  
ნო თხელი, მდარე ღვინო (ვ. ბე-  
რიძე).
1. აბროწიანება ვადმოყირა-  
ვებით ვადმოტრიალება.
2. ავშარა ცხენის თავზე წამოც-  
მული ღვედი ან თოკი საძო-  
ვარზე დასაბმელი.
3. აზარი ვეებერთელა. აზარ-  
ქალი, აზარი ძროხა და  
სხვ.
4. აივანი [ხალხი] ჭკუიანი.
5. ალაო „პური რო გამოღვივდე-  
ბა, ვავაშრობთ და უშვრებით  
ირაყს, ბურახს, ლუდს“.
6. ალახი მარხილის ფეხზე ან  
ურმის ბორბალზე ამოდებული  
წნელი, რათა არ დაცურდეს და  
მძიმედ წამოვიდეს.
7. ალეში 1. მოუნდომებელი,  
უხეირო ადამიანი. 2. ცუდი  
საქონელი. ალეში ხარი  
ცუდადგამწევი ხარი.



8. ამანათი საწინდარი; მზევალი; ანაბარი, ნივთი მიბარებული ან გაგზავნილი ვისთანმე; заклад, залог, аманат, заложник, вещь отданная на сохранение, посылка (დ. ჩუბინაშვილი).
9. ამბარი (სპარს.) საფქვილე ზანდუკი ან სახლი პურის შესანახავი, ბეღელი, амбар, житница (დ. ჩუბინაშვილი).
10. აფსკა თხელი რამ კანი (ს. ორბელიანი).  
აპსკა ფრიად აწეული კანი кора, рилона ნ. აფსკა (დ. ჩუბინაშვილი).
11. არნადი ბზის ჩასახვეტელი (ს. ორბელიანი).
12. აფრაკი ფიცარი პირმრუდი (ს. ორბელიანი).
13. აყალო ესე არს მიწა საპნის მსგავსი, მწიკულთა გამრეცხელი (ს. ორბელიანი).  
აყალო მიწა საპნის მსგავსი, მწიკულთა გამრეცხელი; алюминий, глинозем (დ. ჩუბინაშვილი).
14. აშარი თავბედი, буйный (დ. ჩუბინაშვილი).
15. ჩული ჩუჟვა, ფუჟვა, ცეცხლს როცუდად ეკიდება და დიდი კვამლი ადგება (ვ. ბერიძე).
8. ამანათი 1. მიბარებული, ქაჩი, 2. სტუპარი. „შენი ამანათი იყენენ ამალამ ისინი და შენ დაიფარე“ (არაგვ. 149).
9. ამბარი წისქვილში დადგმული სამინდოე კურკელი, გატიხრული სამად: ხორბლისათვის, ქერიისათვის და სიმინდისათვის.
10. აბჟკა 1. კვერცხის შიგნი თხელი კანი, ფერფლი (ნ.); 2. ხის ან ფიცრის თხელი, გიწრო და მოგრძო აგლეჯილი ნაწილი.
11. არნადი ბზის, თოვლისა და სხვათა ასახვეტი.
12. აფრაკი 1. მრუდე ფიცარი; 2. ქკუაზე აფრაკი ქკუანაკლები.
13. აყალო რბილი მიწა, მსუბუქი სამუშაო. აყალო ადგილი კარგი დასათესი, კარგი მოსავლიანი ადგილი.
14. აშარი მოჩხუბარი, თავშეუკავებელი, ბოროტი. მოგიაშრებიო [თავი] მოსდგომიხარ და ლანძღავ ყველას, ეურჩები. აქედან სალანძღავი სიტყვა: „შე აშარო!“
15. აჩულემა ცეცხლის დანთება.



16. ბაბაყული, ბობოყველა მფრინველია (დ. ჩუბინაშვილი).
16. ბაბაყული ცუდფრინველია. ბაბაყული გმგამობაყული საქონელი, ბაბაყული ღამე და სხვ.
17. დაბუკება ფერკო მოჭირვება (ს. ორბელიანი).  
დაბუხება (ვბუხდები) დაფჯირჯვდები, распухнуть, затвердеть (დ. ჩუბინაშვილი).
17. ბუხება, დაბუხება, მობუხება მოკუნტვა, გაშეშება (ნამეტურ სიცივისაგან).
18. ბლლარძუნი უგვანი შემოხვევა (ვებლლარძუნები, ვებლლარძუნობ) უგვანოდ ვებვევი, облагить, обнять по медвежьей (დ. ჩუბინაშვილი).
18. ბლლაძაბლლუძი „რო მოგლეჯამ რასმე და ლაწალუწით (მტერევეთ) წამოვა; ყამირ რო ვხნამთ, ბლლაძაბლლუძით გადადის ბელტები“.
19. ბრჯა მჯა, ერთბამად ძნეული (ს. ორბელიანი).  
ბრჯა დამდგარი ზვინი ძნათა, ძნეული, скиря, копыа (დ. ჩუბინაშვილი).
19. ბჯა „ყანას რო დავდგამთ ვასალეწად“.
20. გაოგნება გაყეყებება, გალენჩება (ი. ჭყონია).
20. გაოგნება 1. გადაყრუება, გამოლენჩება, 2. შეწუხება. „ნუ გაპაოგნე!“
21. გოგროხი დიდი გოდორი (ს. ორბელიანი).  
გოგოხი მცირე გოდორი, корзинка (დ. ჩუბინაშვილი).
21. გოგროხა, გოგროხი გოდორი ნაცარ-ნეხვით შელეხილი.
22. იმლიკი ახირებული, უცნაური, чудаკ (დ. ჩუბინაშვილი).
22. იმლიკი ეშმაკი, ვაიძვერაკაცი.
23. კანტური უნებურად თავის ქნევა (ს. ორბელიანი).  
მოკანტურება (მოვიკანტურებ თავს, —რე) თავს დავლუნავ, ან თავს მოვიმდაბლებ склонить голову, присмиреть (დ. ჩუბინაშვილი).
23. კანტრუში, კატრუში თვლემის დროს თავის ქნევა. „ემანდ რალაცას აკატრუშებ ე თავსა მომავკდავი გველივითა“.



24. კვანწვა ქალთ როცაში უსულიანად მიმოგრება (ს. ორბელიანი).  
 კვანწალი, კვანწალება უბრალო რაზედმე გულის მოსვლა. „რო აკვანწალდი და დაგვლანძმე ყველაი, რა იყო საკვანწალო ამისთანა უბრალო საქმეში?“ (ვ. ბერიძე).

25. მარქათა (არაბ.) ჯინიბი(მეორე ცხენი) (ს. ორბელიანი).  
 მარქათა ჯინიბი, მეორე ცხენი, запасная лошадь (დ. ჩუბინიშვილი).

26. ფშუტურო შიგნით ცარიელი: „ფშუტურო კერპის წინაშე მუხლმოდრეკილი იდგა“ („მეგობარი“, 1906, № 53, გვ. 3), გურულად ფშუტურაი. წინაგზი ფშუტურაი გამოდგა“, ე. ი. ლენქეპოს შიგნით გული არ მქონდა (ი. ჭყონია).

27. ფხორვა გაფხორვა გაბერვა, дуться, „რავა ინდოურივით იფხორები?“ (ვ. ბერიძე).

**თქმათა ნიმუშები**

„ახი ავიღე“ ჯავრი ვიყარე (შდრ. ჩუბ. ახი).

„ბედის კვერმა გვითათა“ ბედი გვეწია.

„ბრაგვა გააქვივდა“ ბრაგვანი მოიღო, დადი ხმაურათ დაეცა, ჩაწოვარდა (შდრ. ქუ. ბრაგვანი).

„გამოიკარა დღემ“ გამოიღარა.

„გულის შევარდნა“ გულში ჩავარდნა; მოწონება. „თეიმურაზიც არ არის დასაწუნი, — განაგრძო კოსტანტინემ, — მაგრამ მიხეყოზე გული შევარდა“ (არდაზიანი, მორჩ. 180).

„გულისწადილს მოსწია“ ასურვებინა, შეაცდინა. „უკანასკნელმა ბერხმა გულისწადილს მოსწია ისინი და ვეფხვი [მართლაც] გაება გათხუწნულს ფოთლებში“ (გოგებაშვ., კონა. 143).

24. კვანწალი, ეტყენწმე  
 1. პრანქვა-გრება მსაბიჭუნეკ  
 შეთამაშება. 2. კვანწავა ათამაშა (ბავშვი); 3. ფთილის სადაფედ გაგრძელება. „აკვანწავა ფთილაი“.

25. მარქათა 1. სათადარიგო ხარი, კამეჩი, ცხენი...; ტივის გვერდებზე მიზმული ზედმეტი ხე. ადამიანზედაც იტყვიან: მარქათა მებრე; 2. „დასვენებულად რო ცხენი წაიყვანო, ისიც არი“, ე. ი. ნელნელა; 3. მოსარწყავად გადაყვანილ საერთო რუდან ინდივიდუალური მოხმარებისათვის განკუთვნილი განშტოება.

26. ფშუტება აფშუტება დაცლა, გამოკვმა. გამოკალიერება. „გულს უქამენ ნედლს მარცვალსა და აფშუტებენ“ (გოგებაშვ., მოს. მც. 42); უამინდობის გამო ყანის გაფუჭება, მარცვლის ვერ გაკეთება. ნ. დაფშუტება.

27. ფხორვა აფხორვა გაფხორვა ინდოურის მიერ ფრთების აქეცა და გაბერვა.



„გულისხმის გადევნით“ გულისხმიერად, გულმოდგინედ, ყურთმად მუროს, როგორც გულისხმის გადევნით უგდებს ყურს თავის პატარას სურ. ციხე, 22).

ლექსიკონში თავ-თავის ადგილას იქნება გამოყენებული ქართლიდან გამოსულ კლასიკოსთაგან ამონაქრები ფრაზეოლოგია. ნიმუშები:

ავილოთ-დავილოთ უდრის ჩვეულებრივ გამოთქმას მსჯელობის დასაწყისში: „მაგალითად, ავილოთ“... „ავილოთ-დავილოთ, ე მაგითანა ხალხი, ვინც არის ჩვენში, ავარჩიოთ და მერე მოუტივდეთ“ (მგალობ., I, 80).

ამოყურებული ამოჩრილი, უხეიროდ ამოშვერილი. „ეს კუნძი ცუდად არი ამოყურებული წყლიდამ“ (ლომ., 12).

აშალლარა მეტისმეტად თამამი. „გარაზბონიკებულ, გაკინტოებულ კაცზე ვიტყვი, აშალლარა კაციაო!“ „რა გინდა, შე აშალლარავ, ჩემგან?“ (ან. ერისთ., 15).

გადადებული სიკვდილის პირზე მიმდგარი. „ბადოს ბავშვიც სწორედ ეგრე იყო გადადებული, მაგრამ... თურმე მორჩა“. (მგალობ., I, 20).

სისიიანება: ასისიიანება (გასისიიანება, შემოსიიანება) ძალის ან ბატის შეგულიანება, რომ ვინმეს შეუტოოს. გადატანით აღნიშნული ურთიერთობაზედაც იტყვიან: „სულ ანიკოს ბრალია! ის ასისიანებს შენსა და ჩემს წინააღმდეგო“ (ან. ერისთ., 119). შდრ. საბა, ჩუბ. სისინი.

ლანლალი, ლანლარი 1. ყანყალი „აი, მაგალითად, ხე დაბერდა და ნელ-ნელა, ხმება, გასაქნობი არის და უნა წაიჭკეს, აი ლანლალებს“; 2. პირში დაგუბებული წყლის ან ლექმის ყბებში მოძრაობა, ლალლალი. „დაიგუბე პირში წყალი, ალივლივე, ალანლარე“ (მღვიმელი, I, 426).

ქუჭკვა: ამოქუჭკვა, შექუჭკვა ამოკეცა, შემოკეცა. „საბანი შემომიჭუჭკე“; „ცოტა კიდევ ამომიჭუჭკე ფრთა“ (არაგვ. 338).

იშვიათად მოცემულია მხოლოდ ინფორმატორის განმარტება.

ნიმუშები:

არახჩინი „ყმაწვილი რო დაიბადება, იმი თავზე დასახურავი იცოდნენ; ბებერ ღედაკაც რო თმა გაასცივიოდათ, ისინიც იყვრავდნენ“ (შდრ. ჩუბ.).

ბარტყი „დიდ ხეს რომ ძირში წვრილები ამოუა, ბარტყებ ეტყვიან“.

ბოგანო 1. მცენარეთა მავნე ჭია, ცუანაქია, 2. „ახალ შემოსულ კაცს ვეძახდით, სხვაგანიდან რო მოვიდოდა ამ სოფელში და დაიწყებდა ცხოვრებას და ჭონება არა ჭჭონდა“. შდრ. საბა, ჩუბ. ჭყ.

ბლლაძაბლლუძი „რო მოგლეჯამ რასმე და ლაწალუწით წამუა; ყამირ რო ვხნამთ, ბლლაძაბლლუძით გადადის ბელტები“. შდრ. ჩუბ. ბლლარძუნი.

ყარყუმი კაცი „ყველგან რო ყური აქვს, ყველა ახალ ამბავს რო უწინ გაიგებს“ (შდრ. ბაბაყული კაცი).

თავმოყრილი მასალების შესწავლიდან ირკვევა, რომ ჩვენ ხელთ არსებული 4.700 სიტყვიდან ქართლურ დიალექტოლოგიურ ლექსიკონში შევა 3.300-ზე მეტი სიტყვა.





სკრისა და ატენის ხეობა (გორის რაიონი)

ქართული  
ენციკლოპედია

აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მიერ მივლინებული ვიყავი ერთი თვით გორის რაიონში, სახელდობრ სკრისა და ატენის ხეობაში სალექსიკოლოგო განყოფილების მიერ დამზადებული ქართლური დიალექტოლოგიური ლექსიკონის მასალების შესამოწმებლად და ახალი მასალებით შესავსებად.

ატენის ხეობაში სალექსიკონო მასალების შემოწმება-შეცებაში სისტემატურად მუშაობდნენ: დ. საბიაშვილი, ვ. და ლ. მიხანაშვილები, გ. შერმადინი და ა. დოლოშვილი. მიუხედავად სხვადასხვაგვარი ხელშეშლელი პირობებისა, მუშაობის შედეგი ასეთია:

შემოწმებულია და განმარტებული სალექსიკოლოგო განყოფილების მიერ ამოკრებილი 2.700 სიტყვა, ახსნა-განმარტება ამგვარადაა მიწერილი (ხშირად ინფორმატორთა განმარტება უცვლელადაა დატოვებული):

ბოწკინტი—ნაყოფით დახუნძლული ტოტის შესაყენებელი ბიჯგი.

აჩმუჩნდა—შეიშუშნა, აჩმუჩნა („გავალვიძე, აჩმუჩნდა, მაგრამ ისევ წავეტა“).

გავღვარცლე—გავარჩიე, გავასუფთავე („პური სარეველესაგან გავღვარცლე“) და სხვა.

ჩემ მიერ შეგროვილია და ახსნა-განმარტება მიწერილი აქვს 1200 ახალ სიტყვას, მაგ.:

გამწყო ტანისამოსი—მორგებული ტანისამოსი.

დუმა—ურმის თვალთან ხელნაზე მიკედელი მუშტისოდენა ხის ნაჭერი, რომ ხელნა არ დასუსტდეს თელის ხაზუნით.

დაკორულება—ხის თავის მრგვლად ჩაქრა თოკისა თუ ჯაჭვის მოსადებად.

ამას გარდა ჩავწირე ექვსი პროზული ტექსტი ძველი თუ ახალი ყოფის შესახებ, ხალხური საყოფაცხოვრებო ლექსები 31, შელოცვები, გამოცანები და სხ. 12.

ამ სამუშაოთა შესრულებას მოვანდომე 22 დღე, რის შემდეგ გადავედი სკრაში და აქ თავიდანვე შევამოწმე მთელი მასალა. შემოწმებისას აღმოჩნდა ფონეტიკური, თუ სხვა ხასიათის განსხვავებანი, მაგ.:

ეჭიმი (ატენის ხეობა)—ჰეჭიმი (ახალხიზა, სკრიდან 3 კილომეტრითაა დაშორებული).

ინდოვილი (სკრა)—ინდოული (ატენის ხეობა) ინდაური.

სათივე—ხეზე აყრილი თივის ზენი (სკრა)—თივის ზენი—თივა ზეზე აყრილი ან ძირს დადგმული (ატენის ხეობა).

ნახირი—ხარების, ძროხების ჯოგი (ატენის ხეობა)—ხარობა—ხარების ნახირი, ძროხობა—ძროხების ნახირი (სკრა) და სხვა.

ზემო და ქვემო სკრაში ვიმუშავე ხუთ დღეს, ხუთი დღე კი ატენის ხეობისა და სკრის ახლომახლო ადგილების გაცნობას მოვანდომე. ამგვარად, მივლინებაში დავეყვი სულ 32 დღე.

აქვე ვურთავ ჩემ მიერ ჩაწერილი ხალხური სიტყვიერების მასალებს მცირე ნიმუშს, რომელთა მიხედვით ცალკე იქნება წარმოდგენილი დიალექტის თავისებურებათა მიმოხილვა.

### ნ ა თ ლ ო ბ ა

ჩვენ ხუთი ლექსი გამოვიცვალეთ ამ სოფელში. ბავშვი ან უნდა მოენათლა მეჯვარეს, ან გლეხაკს. ეკლესიაში მიიყვანდნენ, იამბაზში, წყლით საესეში, ჩასვამდნენ. ნათლის ხელსახოცი უნდა მიეცა ლეღლისათვის: ხელი შეიწმინდეო. მანეთი იყო თუ ორი მანეთი, ნათლიაი აჩუქებდა ლეღელს. ლეღელი მონათლავდა. თუ ლეღელი არ იყო, გლეხაკი მონათლავდა და ესე ეტყოდა: —აჰა, ქალო, შენი შეილი ძველი რჯულიდან გაცარცული, ახალი რჯულიდან შემოსილი. სახელითა მამისათა და სულისა წმინდისათა, ამინ. მერმე ლეღელ ეტყოდნენ: ესე, ესე მონათლა და ესე თქვაო, —ეს კარქიაო. —იტყოდა ლეღელი. შემდეგ იმართებოდა ქეფი, ლეღელსაც მიიპატიებდნენ.

დექოდა დევი ეშმაკს და ვერ მოერია. —რა გვარი ხარო? —ჭკითხა დევა. —შერმადინო.

—შენ შერმადინთა ბეჩიო,  
მე შენ არაფერ გერჩიო;  
მე დორეული შეგონე,  
გადაგადებდი ხეჩიო.

### ხ ა ლ ხ უ რ ი ლ ე ქ ს ე ბ ი :

აზნაურობა მიყვარდა,  
გვერდზე დახურვა ქუდისა;  
გავლა-გამოვლა ბაზარში,  
გადაკიდება ჩხუბისა.

აზნაურო, განა გლეხო,  
კარგ ჯოხებსაც გაგაგრეხო.

### გ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი :

თავი უგამ ბუსა, ფეხები უგამ ჩალასა, ნახტომი—მდევი ჭალასა (კალია).  
ძირი დედამიწასა, შუა წელი საბძელსა, თავი მკვდარსა და ცოცხალსა (პური).

### თ ქ მ ე ბ ი :

ერთმა ქალმა დაიწუწუნა: —ქერი ჰურმა და დომა შვილები დამიხოცაო.  
მეორემ უპასუხა: —კიდევა გაქო? და: —არაო. —აბა ახლა დაგეხოცებაო.

სოფ. თამარალი და ზუზუბერი (ზემო-სვანეთი)

ერყენულაჲ  
ზიზულქთქაჲ

ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის სალექსიკოლოგიო განყოფილების მიერ დავალებული მქონდა შემგროვებინა ახალი (დამატებითი) სალექსიკონო მასალები ზემო-სვანეთში სოფ. თავრალსა და ჭუბერში (ჩუბებურ დიალექტზე), სახელდობრ ის, რაც აკლდა განყოფილების განკარგულებაში არსებულ მასალებს.

ადგილობრივ ამ ახალი სალექსიკონო მასალების შეგროვებაში დიდი დახმარება გამიწივ, შედარებით მოკლილობის გამო, დიასახლისობამ. მათგან ჩავიწერე საკმაოდ დიდძალი მასალა (განსაკუთრებით კნინობითი ფორმები არა მარტო არსებითი სახელებისა, რომელთაც ყველა ხმარობს ყოველდღიურ სალაპარაკო სვანურში, არამედ კნინობითი ფორმა ზმნებისაც, რომელთაც ყველაზე მეტად მოჰქირნე დიასახლისები იყენებენ მეტყველებაში. მათგანვე ჩავიწერე ლოცვები (16), ანდაზები (274-მდე), გამოცანები და თქმები.

ძლიერ ნაყოფიერი აღმოჩნდა ახალი სალექსიკონო მასალების შეგროვებისათვის სასოფლო-სამეურნეო მეშაობაში მონაწილეობის მიღება; იქ ბევრ ახალ სიტყვებს, თქმებს, ანდაზებსა და სხვას მოვკარი ყური, რომელთაც გავონებისთანავე უბის წიგნაკში ვიწერდი. ასევე ნაყოფიერი იყო მწყემსებთან ყოფნა მთაზე, სადაც ხუთი დღე-ღამე დავყავი (აქ ჩავიწერე ოახიოდე რჩეული ზღაპარი, რამდენიმე ანდაზა და გამოცანა).

აგვისტოს 9-დან 20 რიცხვამდე ვმუშაობდი ჭუბერში (40 კილომეტრით დაშორებულია სოფ. თავრალიდან დასავლეთის მიმართულებით).

ამ ხნის განმავლობაში შევიძელი 7.400 ახალი სიტყვისა, 16 შელოცვისა, 300-მდე ანდაზისა, თქმისა და სხვათა ჩაწერა.

უნდა აღინიშნოს, რომ მხარისა და ხალხის პირადმა ნაცნობობამ დიდად შემიწყო ხელი მასალის შეგროვებაში; ინფორმატორი თავისუფლად გრძნობდა თავს და დაუზარებლად მწვდიდა საჭირო ცნობებს.

მ. ქალდანი

სოფ. ლახამულა (ზემო-სვანეთი)

განყოფილების დავალებით გავეშვ ზავრე (1937 წლ. ივლისში) ზემო-სვანეთში, ლახამულის თემში, სვანურ-ქართულ-რუსული ლექსიკონისათვის დამატებითი მასალების შესაკრებად. ლახამულა ძირითადი სოფელია, საიდანაც წარმოდგა დღევანდელი ლენხერის თემი. თიბვის, მკისა და ლეწვის პერიოდმა ჩემი მუშაობის ფართოდ გაშლას ხელი შეუწყო, რადგანაც ამ დროს ლახამულაში სამუშაოდ მოდიოდნენ ლენხერის შორეულ სოფლებიდანაც კი, როგორც არის ედ, იღლაან, კაიშუ და სხვა, შედარებით ახლომახლო სოფლებში კი მე თითონ დავდიოდი.

ჩემს მთავარ მიზანს შეადგენდა ლახამულურ კილოზე ჩამეწერა სიტყვები, თქმები, ანდაზები, თქმულებები, ხალხური ლექსები, ძველი ყოფაცხოვრებითი



ამბები, ხალხური შელოცვები, გადმოცემები, ნადირობა, სანადირო იარაღები, აღმეწერა ხელობები და სხვა.

თითქმის თვენახევრის განმავლობაში:

1. შეეკრიბე ახალი (დამატებითი) სალექსიკონო მასალა 2871 სიტყვის რაოდენობით და ვთარგმნე ქართულად;

2. ჩავიწერე სვანური 1288 ანდაზა და თქმა და ვთარგმნე ქართულად სიტყვა-სიტყვით (რამდენადაც კი ეს შეიძლებოდა); მაგ.: „ედუკიშ ნექაღ ბედუკს ხავხა“ — „ედუკის ანადენი ბედუკს მოხვედრია“; „თხერემ გერაჟი ნაპრისდღ ლი“ — „მგლის ტყავზე მონათლულია“; „ამაბუასდ კამინ გარ ლი, ივა ეჯაბუასდ ლი“ — „სააქაო ერთი მტკაველადაა, სამუდამო საიქიოა“ და სხვა.

3. ჩავიწერე ამბები ოთხი საერთო რვეულის რაოდენობით (333 გვ.). პირველ რვეულშია: ლახამულა ძველად, მეზობელი მოსახლეები, მათგან ლახამულის შევიწროება, იმათი ამოწვევბა, მკაცრე წყალი, ძველი ხატები: ხიდის გიორგი, „გირგაღ“; სოფლის ბელადები: ვიციბი, ქაქეჩელა, ელყან, მამბე და სხვა; ფარის დაჩქელანები, ფარისა და ეცრის დაჩქელანთა ურთიერთი მტრობა, სისხლის ღვრა; მთების ბაქები, ჯამას ხალთა; ლენხერაში ლახამულელთა გადასახლება და მისი მიზეზი; ლენხერა; ტყის ჭრის დაწყება; ადგილობრივი სანათური (კვარი); რძის ნაწარმის კეთება; მწყემსობა და სხვა (93 გვერდი).

მე-2 რვეულშია: თავადთა ფარეში და მოახლე, ტყვეობა, ამბები სოფლის ბელადებზე, პირველი ბაპები, პირველი ვაჭარი, ლაშქრობა, საიქიოზე ამბავი, გრიშობა (დილტანა კაცები), დაცემები; გადმოცემები; ნადირობა; ბურტყლოვანნი, თათოვანნი, დევების ამბავი, კლდის ქალი (დამ), მისი გამოცხადება და სხვ. (98 გვ.).

მე-3 რვეულშია: ა) შელოცვები: ალის შელოცვა (შვიდი ვარიანტი), გულის წყდვა (ზომვა) (ორი ვარიანტი); პეპლებზე და ჩიტებზე ნადირობა (ბავშური); შაკიკის შელოცვა (ორი ვარიანტი), გულის შელოცვა, ფრჩხილის დაზიანების, გველის დასუნვისა, მგლის პირის შესაქრავი და სხვა (სულ 37); ბ) ფერხელის ლექსები, ჭიანჭურზე დასამღერებელი შაირები (სულ 9); გ) „ქვინმეკვლეს“ (კუდიანის) შესახებ ამბები, თილისმა (თელპატასენ); დ) საბავშვო იარაღ-სათამაშოები; ე) მტკურტლეობა (მეჯამეობა, მექოთნეობა), თოფის წამლის მზადება, ქსოვილების მზადება, მტკუდლეობა, ჭრა-კერვა, მესაპნეობა და სხვა (98 გვ.).

მე-4 რვეულშია: მამაკაცის ძველი სახელები 172, დედაკაცისა—73, დამკობითი სახელების მიწერით; მაგ.: მუშკლიან—მუკია, სესრუხვა—წყევა, ვარახან—ვაგა, შარიხილ—შაკი და სხვა; საბავშვო სიტყვები 76; მაგ.: გუჯუ „ხელი“ (ისე კი: ში), ბიტი „შარილი“ (ჯიშ), ბეწია „მწარე“ (მეზიშ), კიჭი „ფეხი“ (ქიშხ) და მდინარე-ღელეგების სახელები 15; საექსპლოატაციო ტყეების სახელები 8; მაგ.: ჭუფრელ (ითარგმნება: „მოხუფული“, ხუფისებრი მდებარეობა აქვს), ყარაზრ („ყავრები“) და სხ.; სოფელთან ახლო მდებარე სახნავი ადგილების სახელები 27, მაგ.: წვრნიშ (ნიშნავს „წითლისა“), ჩირთაზრ (ხრეშები), ნაყდურა (=ნაყდები), ჯეღაშ (=გრძლისა) და სხვ., სოფლის გარეთ მდებარე ადგილების სახელები 55, მაგ.: ხანშანი (ნიშნავს: რისხავს, ანიშნებს), ლეკედერ (მუკლისებური), უსგეშ (=გეგისა), ჩე (თეთრი მებრუღად) და სხვა; მთების სახელები 27, მაგ.: გორ-ზავარ (გორა-ქედი), თეკრეშ (=ნეკერჩხლისა), გელა

(=ჩამონახევი) და სხვა; სანადირო მთა-მწვერვალები 21, მაგ.: ბზაშუქი (ბუქი), მეშხოლ (=შაგები), ყორგულდარ (=პატარა კარები), ჰიშილ (=პეტილი), და სხვ.; საქონლის სახელები: ხარისა 14; ფუსდო (=ფელისა), ბეთქარ (=ფეთქა), ვეფბა (=ვეფხვია), ბურღვა (=ბურია) და სხვა; ძროხისა 14; მაგ.: დოშდელა (=მთვარისა), ქერამ (=ქრელა), წადავ (=წითურა) და სხვ.; თხის სახელები 19: ღვაშარა (=ჯიხვა), ბიწარა (=ფიწალა), თოთობ (=თეთრა), ბიმბლარა (=ბიბლოვანა) და სხვა.; ძაღლის სახელები 26, მაგ.: გიშერა (=გიშერა), ლემლა (=ყორანა), მარკოზ (=მარკოზ); ადგილობრივი სალოცავი უქმე დღეები 53, მაგ.: ტეხშობ (ტეხისა, სულეხის მობრუნებისა), უფლიშერ (=საუფლო), თანაფ (=აღდგომა), ანლაბ (ამალეა), მერობ (=ბუშობა), ჩალგარობ (=კოჭლობა) და სხვა.

მასალებს ხალისით მანვდიდენ ლახამულისა და ლენხერის მცხოვრებნი, ხანში შესული კაცები და ქალები და დიდ ინტერესს იჩენდენ ძველი ამბების სვანურად ჩაწერის საქმეში.

ა. დავითიანი

ზუგდიდისა და წალენჯიხის რაიონები

1937 წ. 1-ლ ივლისიდან 1-ლ სექტემბრამდის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მიერ მივლინებული ვიყავი ზუგდიდისა და წალენჯიხის რაიონებში, სადაც სალექსიკოლოგიო განყოფილების დავალებით უნდა შემეკრიბა მეგრულ-ქართულ-რუსული ლექსიკონისათვის დამატებითი (ახალი) მასალები, სწორედ ის, რაც განყოფილების განკარგულებაში არსებულ მდიდარ მასალას აკლდა (სახელდობრ: თქმები განმარტებითურთ, ზე-ჩვეულებითი ტერმინები განმარტებითურთ, მცენარეთა და ცხოველთა სახელწოდებები და სხვ.).

ზუგდიდის რაიონში (სოფ. ჩხორიაში) ვიმუშავე 15 ივლისიდან 1-ლ აგვისტომდის, ხოლო წალენჯიხის რაიონში (სოფ. ჯვარში) — 1-ლ აგვისტოდან 25 აგვისტომდის.

მასალების ჩაწერას ვაწარმოებდი უმთავრესად არა კერძო პირებისაგან, არამედ მთელი კოლექტივისაგან საერთო საუბრების დროს, და ეს, როგორც გამოცდილებამ დამარწმუნა, უკეთესიცაა. როდესაც ვეკითხებით ვინმეს რისამე სახელწოდებას, მთქმელი ცდილობს, რომ ეს სიტყვა-სახელწოდება თავისებურად „შეაკეთ-შეაღამაზოს“; ან თუ სიტყვის მნიშვნელობას ვეკითხებით და ამისათვის ცალკე სიტყვას ვაწვდით, მას მნიშვნელობას ვერ გვეუბნება, უკეთეს შემთხვევაში სწორად ვერ გვიხსნის მას; საუბრის ბუნებრივს მიმდინარეობაში კი შეიძლება სწორად ჩაიწეროს სიტყვა და მნიშვნელობაც ზუსტად გაარკვიო იმის მიხედვით, თუ რა კონტექსტში ხმარობენ მას. ამ საბით მაქვს ჩაწერილი და განმარტებული მთელი მასალა (როგორც თქმები, ისე სიტყვები). განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს თქმების სრულზე მეგრულ ენაში. არის მთელი რიგი თქმები, რომლებიც სიტყვა-სიტყვით ერთს ნიშნავს, ხოლო თქმის შინაარსი სულ სხვაზე მიუთითებს; მაგ.: „ტურაში აწოლურა“ ('ტურას წინ მოკედომა') ნიშნავს რისამე იაფად შოვნას, რამე საქმეში ადვილად გამარჯვებას; „ჯოლო-



რიში გედიარაფა“ (‘ძალის ზედ დაპურება’)—აბუზად აგდებას, უფუფუნებაში; როტად გამოყენებას ვისიმე მიმართ; „ლუში ბირცხა“ (‘ზუსტად ფრჩხილად’) ნელ ტუნწს; „თოლი წკურილი“ (‘თვალდახუჭული’)—პურძვირს, უპურმარლოს და ა. შ. ასეთი თქმები, როგორც აღვნიშნე, უხვად არის. მე შევკრიბე და განემარტე 1300-ზე მეტი (ზუსტად: 1309).

რაც შეეხება ცალკე სიტყვებს, ჩავიწერე 4103, რომლებიც არსებულ ლექსიკონებში (პროფ. ი. ყაფშიძის მეგრულ-რუსულსა და პ. ჰარაიას მეგრულ-ქართულში) და განყ. მასალებში არ არის. როგორც ვიცი, მეგრული ენა ცნობილია ზმნების სიუხვით, ხოლო ეს უკანასკნელი ქმნის ნაზმნარ სახელთა სიუხვეს; მაგ., ერთი ზმნა „წიკუნცუ“ (‘სვრის’) შეიძლება რამდენიმენაირად ითქვას (ისე კი, რომ თითოეული მათგანი იძლევა შინაარსობლივად განსხვავებულ ნიუანსებს): ხიფუნცუ, დარანჯანც, დგაბურანც, ტკაპურანც, დლაბუშანც, ბაძლურანც და სხვ. თითოეული მათგანისაგან კი იწარმოება რამდენიმე სახელი. ეს ყველაფერი შვეა ლექსიკონში, რადგანაც ენაში არის და ამდენად მეც მივაჭკიე ამას ყურადღება. გვხვდება აგრეთვე სინონიმური ზმნებიც: მაგ. „ლუქუნცუ“ ნიშნავს ‘იჭერს’ და ‘ხურავს’; „ლინჩენც“—‘სევას’ და ‘იჭერს’; „დგუდგუნცუ“ (|| „თქუთქუნცუ“) —‘არტყავს’ და ‘სევას’; „ნისქუნცუ“ ‘ლახავს’ და ‘ჰამს’ და ა. შ. არის შემთხვევა, როცა ერთი ფუძისაგან სხვადასხვა წინდებულის დართვისას სულ სხვადასხვა შინაარსის ზმნებს ვიღებთ, მაგ.: „თორს“—ფუძიდან „დი-თორს“ არის ‘ჩაეფლო’ (ტალახში); „კედა-თორს“—‘მოაზნია’, ‘დაყარა’; „გავმო-თორს“—‘გამოყარა’ (ყვავილმა, წითელამ...); „გნთორსლუ“—‘თონის’; „მი-თორ-სლუ“—‘ჩქარა მიღის’ და სხვ. ესეც შეტანილი უნდა იქნეს ლექსიკონში (არსებულ ლექსიკონებში ყველა არ არის აღნიშნული). გარდა ამისა მომეპოვება ასეთი სიტყვებიც: „ანაყუ“—‘ძვირი’; „კვლები“—‘ძუნწი’, „კენდჯი“—‘ციცაბო’, ‘მთავორიანი’; „გარამა“—‘განიერი’, ‘ფართო’; „ლარჯილი“—‘ენერჯია’; „სია-ბარა“—‘არაქათი’; „ფოტონი“—‘ურაცხვი’; „ერთი-მორთი“—‘მიხერა-მოხერა’ და სხ. ჩაწერილი სიტყვები განმარტებულია მცირე პროცენტის გამოკლებით.

ჩავიწერე აგრეთვე ლექსიკონისათვის საჭირო მასალები: 17 ანდაზა, 150 გამოცანა, 15 ენის გასატეხი და 27 ე. წ. ასოთსამღერალი (ესენი ჯერ არსად არ არის დაბეჭდილი).

დავ. ჰანტურია

ანბარიშები 1937 წლის ეთნოგრაფიული ექსპედიციებისა

ზემო-სვანეთი

1937 წლის ზაფხულში, აკად. მარის სახ. ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტმა მიმავლინა ზემო-სვანეთში დიდი ოჯახის გადმონაშთების შესწავლასთან დაკავშირებით. ეს მივლინება მიზნად ისახავდა, როგორც ჩემ მიერ წინათ შეგროვილი (1935 წლის ზაფხულში) ისე, ლიტერატურაში არსებული ზოგიერთი მასალის შემოწმებასა და დაზუსტებას. სვანური გვარისა და ლამხუბის საკითხის დასმამ აუცილებელი გახადა, საკონტროლო მუშაობის ჩატარებასთან ერთად, ახალი მასალების შეკრებაც. დიდი ოჯახის გადმონაშთების გამოაშკარაებამ ამ სახის საოჯახო ფორმის პერსონიფიკირებული სიების შედგენის საჭიროება გაზარდა. საჭირო იყო აგრეთვე გეაროვნული ხანის სახალხო სასამართლოს წესებისა და კერძოდ მოსისხლეთა შერიგების დროს წარმოთქმული „სარჩელ“-ისა და „გვრცამ“-ის ტექსტის შემოწმება. აგრეთვე სტოიანოვის მიერ მოხსენებული წესის, ე. წ. „ლიშხულ“-ის შესწავლა.

ვინაიდან 1935 წლის ზაფხულში, ჩემს საასპირანტო პრაქტიკაზე ყოფნის დროს, ოჯახურ ფორმათა გადმონაშთების შესწავლა ზ.-სვანეთის შემდეგ საზოგადოებებში: ლახამულაში, ლატალში, მულახში და ხალდეში წარმოებდა, ამიტომ წელსაც განზრახული იყო, უპირველესად ყოვლისა, ამავე საზოგადოებებში ჩამეტარებინა მუშაობა. რის შემდეგ, დროის შესაძლებლობის მიხედვით, უნდა გადავსულიყავი სხვა საზოგადოებაშიც. ვინაიდან მულახის საზოგადოებაში აღწერილი ზოგიერთი გვარები (როგორც, მაგალითად, ჯაფარიძე, მარგიანი და სხვა) მოსახლეობენ აგრეთვე მესტიაში და ტერიტორიალურადაც ეს პუნქტი ჩემს ძირითად მარშრუტს სავესებით უდგებოდა, ამიტომ, განზრახული იყო აგრეთვე მუშაობის ჩატარება მესტიის საზოგადოებაში. „ლიშხულ“-ისა და „ლინთურალ“-ის წესების შესწავლა მოითხოვდა მუშაობას უშგულში, რადგან აღნიშნული წესები როგორც სტოიანოვს ისე ნიქერაძეს უშგულში ჰქონდათ დადგენილი.

მივლინება განზრახული იყო 23 დღით, 7 ივლისიდან 1 აგვისტომდე.

მუშაობის დასაწყის პუნქტად არჩეული იყო მესტიის საზოგადოება, რომელსაც ყველაზე მეტი დრო—შვიდი დღე—დასჭირდა დასახული გეგმის შესასრულებლად, ვინაიდან ერთის მხრივ აქ საჭირო იყო მუშაობის თავიდან დაწყება და მეორეს მხრივ ამ საზოგადოებაში, გვართა სიდიდესა და სიმრავლესაც



ჰქონდა ადგილი. გვართა გენეალოგიებისა და დიდი ოჯახების სიღრმის შემდგენაში წარმოებდა: ადგილობრივი ხელისუფლების დახმარებით მოხუცებთან იმ წესით, რომ თვითველი გვარიდან და ზოგჯერ ლამაზბიდანაც ორი ან სამი პირი ყოფილიყო. უკეთეს შემთხვევაში კი, რომ თვითველ ლამაზებს თავისი წარმომადგენელი ჰყოლოდა. ამ პირებთან მუშაობის ჩატარების შემდეგ ხდებოდა მასალის საერთო შემოწმება, რომელსაც თითო საზოგადოებიდან 40-50 მოხუცი და ახალგაზრდა ესწრებოდა. ამ სახით მესტიისში შედგენილია 15 გვარის გენეალოგია, რომელთაგან უმეტესობა მრავალლამაზბიანია. აღწერილია ხუთი დიდი ოჯახი, ნათესაური ტერმინებისა და ფუნქციონალური ნომენკლატურის დადგენით. შედგენილია მთელი საზოგადოების საერთო ტაბულა, საზოგადოების სოფლებად, უბნებად, გვარებად, ლამაზბებად, „ძირიშ მეტებარპრ“-ად და „ქორ“-ებად დაყოფით. შედგენილია აგრეთვე ხეზე არსებული საგვაროვნო ნიშნების ტაბულა.

შემდეგი სამუშაო პუნქტი მულახის საზოგადოება იყო, სადაც ემუშაობდი ექვსი დღის განმავლობაში. აქ ჩატარებულა იმავე ხასიათის მუშაობა, 27 გვარის გენეალოგიის დადგენით და შე-დი დიდი ოჯახის აღწერით, რომელთა შორის საყურადღებოა თავისი მრავალრიცხოვანებით 56 სულისაგან შემდგარი თახუ ნავერიანის ოჯახი. ეს ოჯახი მხოლოდ ამ უკანასკნელ წლებში გაიყო. აქვე აღწერილია სახალხო სამართლის ზოგიერთი მომენტი, სისხლის აღების წესებთან დაკავშირებით, და შემოწმებულია 1935 წ. ჩაწერილი მომჩივრებისა, „მორტალ“-ისა და „ლუფხილ“-ის მიერ წარმოთქმული „გაკრავ“-ი. აქვე იყო აგრეთვე დადგენილი „ლინთურალ“-ის წესის საყურადღებო დეტალები. უშგულში ემუშაობდი ორ დღეს, სადაც ზემოთ აღნიშნული სისტემით აღწერილია 11 გვარი და სამი დიდი ოჯახი. შესწავლილია „ლიშხტალ“-ის წესი, რომელიც სოციალურ მომენტებში დატულრ ფაქტის სახით აღნიშნულია სტოიანოვის მეტად მოკლე ცნობაში. სტოიანოვი აღნიშნავს, რომ სვანეთში ხშირად ერთად ცხოვრების მიზნით ორი ოჯახი ერთდებოდა, რასაც „ლიშხტალ“-ს უწოდებდენ<sup>1</sup>. რელიგიურ გადმონათობებში კი ეს ფაქტი დადგენილია დოკენტ ვ. ბარდაველიძის მიერ სადღესასწაულო რიტუალში, როგორც გაყრილი ოჯახების შეერთების წესი და ცნობილია „ლიშხტალ“-ის სახელწოდებით. უშგულში ჩემ მიერ აღწერილი „ლიშხტალ“-ის მიხედვით, ერთდება ორი, როგორც მონათესავე, ისე არამონათესავე ოჯახი, რომლებიც შეერთების დროს გარკვეულ რიტუალს ასრულებენ. მთელ უძრავსა და მოძრავ ქონებას აერთიანებენ და ერთად სახლდებიან. მიზანი მათი შეერთებისა ეკონომიური გაძლიერებაა, რის შემდეგ ისინი ხშირად კვლავ იყრებიან. შემდეგი პუნქტი ჩემი მუშაობისა იყო ლატალის საზოგადოება, სადაც მუშაობა ოთხი დღის განმავლობაში მომიხდა. 1935 წელს, ლატალის საზოგადოებაში ჩემ მიერ იყო შედგენილი მხოლოდ ფარჯიანთა გვარეულობის ლამაზბებად და „ქორ“-ებად დაყოფა და იმავე გვარის გენეალოგია სანიმუშო ტაბულის სახით. ახლა კი განზრახული იყო ყველა გვარის გენეალოგიისა და დიდი ოჯახების სიღრმის შედგენა.

<sup>1</sup> «Путешествие по Сванетии», ЗКОРГО, кн. X, стр. 433.





ამგვარად, ლატალის საზოგადოებაში შედგენილია 23 გვარის გენეალოგია და 12 დიდი ოჯახის სია, რომელიც 20-42 სულამდე აღწევს და რაოდენობა მხოლოდ ამ 3-4 წლის განმავლობაში გაიყო. შემდეგი და უკანასკნელი პუნქტი ჩემი მუშაობისა იყო ლახაშულა, სადაც მხოლოდ ორ დღეს მომიხდა ყოფნა. იქაც საერთო წესით შედგენილია შვიდი გვარის გენეალოგია, რომელთაგან საყურადღებოა ქკადუას გვარი, როგორც დიდი, მრავალ ლამხუბთა და განშტოებათა მქონე.

ჩატარებული მუშაობის შედეგად განზრახულია, გარდა აღნიშნული გვართა გენეალოგიური ტაბულებისა და გვარების ლამხუბებად განაწილებისა, გაეთედეს გვარების განსახლების რუკები, რომლებზედაც აღნიშნული იქნება გვარების მოსახლეობა სოფლების მიხედვით. საჭიროდ მიგვაჩნია აგრეთვე, დიდი ოჯახის სტრუქტურის თვალსაჩინოდ წარმოდგენისათვის, არსებული სიების მიხედვით ოჯახის სქემების შედგენა.

შემოწმებული და ახლად შეკრებილი მასალა კიდევ უფრო მეტად ამგვარებს ჩემ მიერ უკვე გამოთქმულ შეზღუდულებას სვანური გვარისა და ლამხუბის ურთიერთობის შესახებ, რის მიხედვითაც სვანური გვარი წარმოადგენს მძლავრად განვითარებულ ნათესაურ კავშირს, რომლის წევრთა ურთიერთობაში გვაროვნული ნიშნები წაშლილია, ხოლო ლამხუბი კი ამ მხრივ მთლიანად მისი შემცველია. ლამხუბი წარმოადგენს ისეთ ნათესაურ ჯგუფს, რომელიც ამჟღავნებს გვაროვნულ წყობილების ძირითად მომენტებს ჰქესოვამიურობისა, განსაზოგადოებული საკუთრებისა და სისხლის აღების წესების სახით. ლამხუბი თავის შიგნით კიდევ იყოფა უახლოეს ნათესაურ მუხლებად, რომელთა წევრებს „ძირიშ მუხუბარარ“-ი წარმოადგენს. ეს მუხლები, ჩვენის აზრით, წინათ დიდი ოჯახები უნდა ყოფილიყვნენ, რომლებიც შემდგომ დაიყვნენ ცალკეულ „ქორ“-ებად და ძველი სახელი განაყოფთა გამაერთიანებლის სახით შეინარჩუნეს. დასასრულ, უნდა აღვნიშნო, რომ „ლინთურალ“-ის წესი, რომელსაც მე პირველად ბეს. ნიკერაძის ნაწერებიდან გავეცანი, ახლად შეკრებილ მასალასთან ერთად სვამს სვანეთში ჰეტერიზმის გადმონაშთების არსებობის საკითხს. მე ეფიქრობ, რომ ქალსა და ვაჟს შორის მომხდარ „ლინთურალ“-ში უნდა იყოს წარმოდგენილი ოფიციალური ქორწინების გარეშე არსებული სქესობრივი კავშირის დამყარების მომენტი, როდესაც მონოგამიური ოჯახისაკენ გარდამავალ საფეხურზე ქალს ქორწინების წინ უნდა მოეპოვებინა ინდივიდუალური შეუღლების უფლება.

ჩატარებულ მუშაობაში დიდი დახმარება გამიწვია, როგორც ხელისუფლების ადგილობრივმა ორგანოებმა, ისე თვითონ მოსახლეობამ. ამ მხრივ ჩემ სასიამოვნო მოვალეობად მიმაჩნია, განსაკუთრებული მადლობით მოვიხსენიოთ მესტიის, მულახის, ლატალის, უშგულია და ლახაშულის მთხრობლები, და ყველა ის პირი, რომელთაც გამიწვიეს დახმარება ადგილზე.



ეროვნული

ბიბლიოთეკა

## იმპრათის ექსპედიცია (ბაღდათის რაიონი)

იმერეთის ეთნოგრაფიულმა ექსპედიციამ იმუშავა ბაღდათის, ჭუთაისის და ჩხარის რაიონებში. ამათგან უმთავრესად ის მუშაობდა ბაღდათის რაიონში, სადაც მას მოუხდა ხანგრძლივად ყოფნა და შედარებით სტაციონარული ხასიათის მუშაობის ჩატარება.

ექსპედიციის მიერ შესრულებული იყო შემდეგი მარშრუტი: ტფილისი—ჭუთაისი—ბაღდათი—წითელი-ხევი (სადემეტრაო)—ვანი—ფარცისოფლი—კაკას-ხიდი—ხელასკური—ზეკარი—კიბეეთი—ხანი—კიკნაველეთი (საკრაულა)—ზეგანი—ბაღდათი—ჭუთაისი—სიმონეთი—ძვერულა—ჩხარი—სკანდა—ზესტაფონი—ტფილისი.

ექსპედიციის მუშაობაში მონაწილეობდნენ: ორი ეთნოგრაფი (ბარდაველიძე, ჩიტაია), ორი ასპირანტი (რეხვიაშვილი, ჩაჩაშვილი—საწარმოო პრაქტიკის მიზნით), მხატვარი (ბრაილოვსკაია), არქიტექტორი (პოპოვი) და ფოტოგრაფი (ბაღდადიშვილი). ექსპედიცია მუშაობდა ერთ თვეს.

ექსპედიცია მიზნად ისახავდა საკვლევე რაიონის მოსახლეობაში შემონახული მატერიალური კულტურისა და ხალხური რელიგიის გადმონაშთების შეგროვებას.

საგნის შესახებ არსებულ ლიტერატურაში დამოწმებულია ბაღდათის რაიონისათვის ვახის უძველესი კულტურა, ასევე ამავე რაიონის არქეოლოგიური ნაშთებიც ძველ კულტურაზე მიგვიჩივებენ. ამას ერთვის ცნობები რაიონის ისტორიულ შარავხაზე მდებარეობის შესახებ (ზეკარი—აბასთ—ჟმანი).

ბაღდათში ჩასვლის უმაღლეს ექსპედიცია შეეცადა გასცნობოდა საბჭოთა დაწესებულებებში რაიონის წამყვან მეურნეობათა მაჩვენებლებს და გამოენახა თავისი მუშაობისათვის გამოსადეგი დამზარე ძალები.

1. გამოიჩვენა, რომ ბაღდათის რაიონის ძირითად წამყვან მეურნეობად ითვლება მევენახეობა შემდეგ სოფლის საბჭოებში: ბაღდათი, დიმი, როკითი, ვარციხე, წითელი-ხევი, ფერსათი, როზი, ობჩა I და II.


2. ამავე სოფლის საბჭოებში მემინდვრობა დამატებითი სახის მეურნეობაა.

3. რაიონის მთიანი ზოლის მოსახლეობაში: ზეგანი, საკრაულა, ხანი, ზეკარი, წაბლის-ხევი—უმთავრესად მისდევენ მემინდვრობას, ხოლო ზეგანსა და საკრაულაში მევენახეობა წარმოდგენილია ფართოდ.

4. მთიანი ზოლის მოსახლეობიდან ხანსა და ზეკარში მემინდვრობასთან ერთად მესაქონლეობა (მეცხოველეობა) წამყვან როლს თამაშობს.

5. ცალკეულ სოფლებში მთიანობებიან ხელოსნები: მკედლები, დურგლები და სხვ.

ამ მონაცემებისა და რაიონის გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით ექსპედიციისათვის შედარებით იოლი შეიქნა სამუშაო პუნქტების ჯდადგენა. რაიონის ძირითადი ხეობებიდან ექსპედიციამ იმუშავა: კარის-წყალზე, ხანის-წყალზე (ბაღდათის ზემოთ) და საკრაულაზე. ამ ხეობებიდან ექსპედიციამ ყველაზე მეტი დრო ხანის საზოგადოებაში დაყო. ექსპედიციის მიერ აქ მრავალი გადმონაშთი იქნა



ექსპედიციის მარშრუტი



დექსირებული. ეთნოგრაფიული მასალის სიუხვის გამო ამ საზოგადოებრივ-ერეთის ხეცურეთი უწოდეს ექსპედიციის წევრებმა.

ამასთანავე უნდა ითქვას, რომ ექსპედიციამ შედარებით ადვილად შესძლო დამხმარე ძალების ადგილობრივ გამოძებნა (გიორგი ახვლედიანი და სხვები). ექსპედიციისათვის ქუთაისისა და ჩხარის რაიონებში მუშაობას უმთავრესად დამატებითი მუშაობის მნიშვნელობა ჰქონდა.

ექსპედიციის წევრებს შორის მუშაობა განაწილებული იყო ასე:

1. მატერიალური კულტურის გადმონაშთების შეგროვება—ერთი ეთნოგრაფი და ერთი ასპირანტი (ჩიტაია და ჩაჩაშვილი). ჩაჩაშვილს ამ დარგიდან მიეცა სპეციალური თემა: ხელოსნობა.

2. ხალხური სარწმუნოების გადმონაშთების შეგროვება—ერთი ეთნოგრაფი და ერთი ასპირანტი (ბარდაველიძე და რეხვიაშვილი). რეხვიაშვილს მიეცა სპეციალური თემა: დემონოლოგია. შრომის ამგვარი დანაწილება ჰგულისხმობდა მუშაობის უმთავრეს და უპირატეს გეზს თითოეული მუშაკისათვის. მუშაობის პროცესში ყოველი ჩვენგანი ობიექტთან შეფარდებით მასალას აგროვებდა საკუთარი თემის გარეშე. დამხმარე ტექნიკური ძალები გამოყენებული იყვნენ საჭიროების მიხედვით ექსპედიციის მუშაობის ორივე დარგში. ექსპედიციამ შეაგროვა მასალები შემდეგ თემებზე:

1. საცხოვრებელი ბინა და სამეურნეო ნაგებობანი. პირველ რიგში დადგინდა კარმიდამოს კომპლექსი და შემდეგ სათითაოდ გაიზომა და აიგემა კომპლექსის ცალკეული შემადგენელი ნაწილები სახეების მიხედვით. კარმიდამოს კომპლექსში წარმოდგენილია: სახლი, ბოსელი-ახორი, ნალია-სასი-მინდვ, ხულა, ქურ-მარანი, საქათმე, სალორე, ცხვის ბოსელი, ქარცა (დახურული ფიცრული, ცალმაგი სვანეთში), კორომა, აგრეთვე ძელური და კარავი.

გაირკვა სახლის შემდეგი სახეობანი: კათხა-სახლი, ძელური, სუკიანი (ლინჯიანი), ფიცრიანი, აფრიანი, კუნჭულიან-გოჯიანი (ბიგი-პოსტაკონი), ქუბიანი, სათოფურიანი და დადგინდა ფაცხის მრგვალი სახის უძველესი ფორმა.


ასევე შესწავლილი იყო სახლის აგების ტექნიკა და საწარმოო იარაღები: შესბული, ხაზიანი, ნარბანდიანი კედელი და იატაკი, ქილუქი, ყურე, ბარამბული, სუხანი, მერჩი, ქალა და ქალაბანი (კარის ზედა და ქვედა ზღურბლი), გონებური, გონტური, ლირსი, ნასული, ნაორთახლი და სხვა. სახლის კომპლექსთან ერთად შეგროვდა ლაზური ორნამენტების მასალა, ხეზე ნამუშევრობის საინტერესო ნიმუშები. ს. ხანში ლაზების ნაგებ სახლებზე აღმოჩნდა წარწერა ქართული და თურქული: „ბათომის გუბერნიის არჰავე ვეზდის ფილარგეთის მცხოვრები უსტა ომერ ეფენდი“. რაიონში სამი ძმა ყოფილა (ომერი, ახმედი და მუსტაფა), რომელთაც აქ უშენებიათ ლაზური სახლები. მათი მიბაძვით ადგილობრივ უსტებსაც ასეთი სახლები უკეთებიათ.

სახლის საკეთებელი იარაღებიდან რაიონის ამ ზოლში დადასტურდა ე. წ. „ქართული ცული“ იმერული ცულის ტიპის არსებობის გვერდით.

შესწავლილი იყო აგრეთვე კერის კომპლექსი თავისი ზესხვან-ოჯინჯალი-თურთ.



2. შიწისმოკმედეხის კომპლექსი. ახალპირის, ანუ უფი ყანის აღება: გახოსგრა, გაჩეხვა, მოწვა, შემოყვერვა, დათესვა გათვლი-  
 ძვითურთ. თესვის წესი, ხენა და სახენელი იარაღები: იმერული კავი და ყუ-  
 რიანი კავი. შალალი და დაბალი კავი. ყურიანი კავი მთიან ზოლშია მოცემული.  
 შესრულებულ იქნა 6 განახომი და ჩანახატი სახენელის ქუსლის ვარიანტე-  
 ბისა. კერდიანი, ეშვიანი (სელიოვა), სამკრელო, შუბიანი და სხვა. დადგინდა  
 აგრეთვე სახნისის სახეები: საბილარი და საჭეიე. ეს უკანასკნელი კეთდება რკი-  
 ნისგან ფოლადის შეურეველად.



იმერული კავის ქუსლის ერთი ვარიანტი

პურეულებს შორის („თავთუხი“, „ხოტორა პური“, „ყირმიზულა“, ქუბი, ფეტვი) „იმერული პურის“ არსებობა დამოწმდა. შემდეგი კვლევა გააჩვენებს ამ მარცვლეულის სახეობას.

შხალელის 22 სახე იქნა ფიქსირებული და შესწავლილი იყო მათი საკმ-  
 ლად გამოყენების წესები (აღამიანისა და ფრინველისათვის).

შეგენახეობის ხაზით ლიტერატურაში უცნობი ვაზის ოთხი ჯიში და-  
 მოწმდა.

1. მანათიანი (თეთრი საადრი)
2. მელოური (თეთრი საგვიანო)
3. ტნძელაძის შავი
4. კირწმაგარა (სიმონეთში)

გარდა ამისა ცოლიკაური წარმოდგენილია აქ ორი სხვადასხვა სახეობის:  
 ბაზალეთ-ცოლიკაური და მელქო-ცოლიკაური ანუ თოლიკაური. ამათ გარდა:  
 ენიშკის შოამბე, ტ. II,



1. ქართულა—თეთრი, გრძელ მარცვალა ყურძნის ჯიში, ჩვენი ყველაზე მოწმებულა სვირის რაიონში. ლიტერატურაში ამ ჯიშის სახელია „ჩრდილო-ცნობილი, ხოლო მისი აღწერილობა და გავრცელების არე არ არის მოცემული.

2. კუნდა-წვანე-თეთრი. ლიტერატურაში ცნობილია „კუნდა“-დ. მისი გავრცელების არედ მიჩნეულია ყვირილისა და ძირულას ხეობა. ჩვენი ცნობებით ყურძნის ეს ჯიში მოიპოვება ბაღდათის რაიონში, სადაც ის ძველის-ძველ ჯიშად არის მიჩნეული და ყველაზე უკეთ სოფელ ხანში გვარობს. ვაზის ზოგიერთი ჯიში, სხვა პროვინციებში ცნობილი, ჩვენ საკვლევ რაიონშიაც გავრცელებული აღმოჩნდა: ტრედისფები, დონდლაბი, ანდრასოული, კაბისტონი, ციკვა.

ამავე რაიონში ფიქსირებულია გარეული ვაზი „ძღვლაში“, რომლის ყურძენს მწვემსები ღვინოდ აყენებდნენ. მაღარების ჯიშები აღმოჩნდა: „ასადასული“, „შესაური“, „ალიკარტი“, „ფლანგა“. ვაზის კომპლექსის სხვა საკითხებიდან აღწერილ-შესწავლილი იყო: მოშენება, მოვლა, რთველი, ღვინის დაყენება (საწნახელ-საქაჯავი), შენახვა და სხვა.

3. მესაქონლეობის კომპლექსი. გაირკვა მესაქონლეობის სამი ზოლი. ბარული (ზამთარსა და გაზაფხულის პირად ქალაში), ზეგნური (აპრილი, მაისი; წიფობისთვე—გურთაში), მთური (ტიტველაში—იენის-იელის-აგვისტო-სექტემბერი) და შემდეგ ისევ ზეგანი და ქალა. ამ ზოლებთან შეფარდებულია მეჯოგე-მწვემის ბინაც—ქალაში და ტიტველაში—ძელური, ზეგანში—კარავი. რძის დაკვეთას აქ ღარკინვა ეწოდება. მსხვილფეხა საქონელი აქ უპირატესად მეგრული ჯიშისაა. აქვეა იმერული ცხვარი, რომელსაც მოკლე კუდი აქვს მეგრული ცხვარის კუდთან შედარებით. იმერული ცხვრის შესწავლამ უნდა გაარკვიოს მისი ურთიერთობა მეგრულ ცხვართან. ცხენის ჯიშებს აქ ეტყვიან ქურთულს, ყაბარდულს და მეგრულ-იმერულს.

4. მონადირეობისა და მეთევზეობის კომპლექსი. მოკლე-ლი ნადირის განაწილების წესი: საშუაარი და სამოკ. დადგინდა მონადირეობის კოლექტიური ფორმების გადმონაშთები; აგრეთვე ნადირობა შუბებით, ჯილა-შშვილდით და კოდალა-შშვილდით. თევზაობა: ხელით, ანკესით, ბადით (სასროლი, კუნჭულიანი, სახობავი), მარცაბით (კვარით და ქინკელით), გოდრით, ფაცრით, ხოკით, „ბომბით“, თხემლის ფოთოლით, ნიგვზის კანით და ლაფნის ფოთოლით.

5. გადასაყვან და გადასაზიდ საშუალებათა კომპლექსი. აღწერილ იქნა: კვანდრიკები (ქოქი ხვესურული), თხილამური, კოჭამარხილი, ხარდნის მარხილი, ფრჩხილა || ლაშკინი, ძარმარხილი, ჩოჩილა ურემი, მაღალი ურემი, ჩალანდარი და ჩალანდრობა, ხიდის სახეები, ოკივარი და სხვა.

6. ხელოსნობის კომპლექსი. ა) კერამიკული წარმოება, განსაკუთრებით ქურების დამზადება (ყუბარი, ქვევრი, ქური), ქურა და სხვა; ბ) მკედლობა. წარმოების პროცესი, პროდუქცია, დაღები და სხვა. გ) მეყავრეობა, დ) მოწვნა, ე) ქვის დამუშავება, ე) საქსლედგომი, ქსოვის წესები (კაკალა, ოროლეი, დანძმური) და მეაბრეშუმეობა.



შესახებ. ლეგენდები ცხრათა ძმათა ნაემართა, ძალთაპირებისა და თეოდორეს ქვაბის შესახებ.

6. აღიწერა დღესასწაულების წლიური ციკლი, 51 დღეობა იქნა მათი ვარიანტები. გაირკვა სათემო, სამო სტესასაკობრივი დაჯგუფების, საოჯახო და ფარული დღესასწაულები. ამათგან სათემო დღესასწაულები პატრიარქალური ხანის მძლავი ნაშთებითაა აღბეჭდილი. სათემო დღესასწაულის ნაწილი განკუთვნილია ცალკეული გვარებისათვის, ხოლო მეორე ნაწილი საკუთრივ სასოფლო დანიშნულებისაა. განსაკუთრებით აღსანიშნავია სამო დღესასწაულები სოფელ ხანსა და ზეკარში, სადაც ამ დღესასწაულებს მხოლოდ მაჰაყაბები იხდიან.



ფარცისოულში აღმოჩენილი მოწილითი

ამავე კომპლექსის ხაზით აღწერილია: „საპურშაო“, მიწის საწირავი, ყენობა, მარიეშლობა || მარიამშენობა || ბუჯირის || თაროს ლოცვა. და სხვა.

დაზვერვის მიზნით ექსპედიციამ გზადაგზა იმუშავა ისტორიულ-არქეოლოგიურ ძეგლებზე. რეგისტრირებული იყო სალხინოს საკულტო ძეგლი. აქ ნახულ იქნა სამარხები, რომლებშიც ნაპოვნი იყო ბრინჯაოს, სამაჯურები და ქანდაკება (პრიაპი). რეგისტრირებული იყო ნაციხვარი (ციხეთი) „დიშში“, ვანის ეკლესია (ნანგრევი) ფრაგმენტალური ფრესკებით, ფარციესოული, სადაც ქრისტიანული ხანის ძეგლებს ვარდა (ქვაჯვრები და ჩუქურთმები) გზის პირად აღმოჩნდა უთუოდ წარმართული ხანის საკულტო დანიშნულების მონოლითები. ეს ადგილი უძველესი ნაქალაქარი ჩანს, რომელზედაც შემდეგში ქრისტიანული საკულტო შენობა უნდა მდგარიყო.

ფიქსირებული იყო კახორის ეკლესია საინტერესო ჩუქურთმებით, ფრესკების ფრაგმენტებით და ორნამენტური საფლავის ქვებით.





ნაციხვარი კიბეეთი (ზეკრიდან ზემოთ), სადაც ოჭროს მდებარეობს უთხარით და საგრძობლად დაუზიანებიათ ძეგლი. საწყვეთია ზეკართან დასავლეთისაკენ დენიშე წლის წინათ ნაპოენი იყო კოლხური (კობანის) ტიპის ბრინჯაოს ცულები.

# სანკუთია ზუკართან

გ. ჩიტაია



ამათგან ორი ჩვენ მიერ იქნა შეძენილი. ეს ადგილიც ნაქალაქარი ჩანს. აქ არის „კინის ჯვარი“ და „ნაჟამარი“. ამათ გავლა „ციხეთია“. ადგილის კონფიგურაციის მიხედვით აქ ფართო კულტურული ფენა ჩანს და მისი გათხრა საჭიროა.

ზეკარ-ხანიდან საკრალლასაკენ მიმავალ გზაზე აღწერილი იყო კინკილეთის ფერდობზე ყოვრით ნაგები კედელი ნასოფლარში „როსტომანად“ წოდებული და „თხილარა“-ში ღზრალად ნაგები ორთველიანი სახლი.

„ქვერეულაში“: პალეოლითის ხანის გამოქვაბული — „საგვარჯილო“ და  
 ეგრეთწოდებული „ტარიელის ციხე“, რომელიც ექსპედიციამ გაზომა.



ექსპედიციის მასალების გამოფენის ერთ-ერთი კუთხე

შემოთქმულს უნდა დაესძინოთ, რომ ექსპედიციაში მონაწილე ასპირანტების მუშაობა დამაკმაყოფილებელი იყო.

ექსპედიციის მუშაობას განსაკუთრებულ ყურადღების იქცევა ადგილობრივი ხელისუფლება. ყოველგვარ დახმარებას გვიწვედა ახალგაზრდობა და პირველ რიგში კომკავშირლები. ამიტომ ერთი ბნელ ღამეში საბიუროს გზით წამოვიდა ექსპედიციის მისაშველებლად. აგრეთვე კარგად გვხვდებოდა ადგილობრივი მოსახლეობა.

#### ექსპედიციის მიერ ჩამოტანილია:

1. ჩანაწერები . . . . .	10	რვეული-
2. სურათი შესრულებული ფერებში . . . . .	32	ცალი
3. ჩანახატი ფანქრით . . . . .	241	„
4. თარგი . . . . .	2	კომპლ-
5. გვეგები და კრილები . . . . .	45	ცალი
6. კარმიდამოს გვეგა . . . . .	4	„
7. ფოტო ვადალები: 9×12 . . . . .	430	„
ლეიკით . . . . .	75	მეტრი-

და 8. ბრინჯაოსა და კერამიკის კოლექცია.

## თელავის რაიონი

1937 წლის ზაფხულს, ნ. შარის სახელობის ინსტიტუტის მიერ მივლენილ ვიქმენ თელავის რაიონში (თვენახევრით) კერამიკული მასალების შესაკრებად ჩენი სადისერტაციო შრომისათვის („კახური კერამიკა“).

მე წინასწარ განვსაზღვრე საექსპედიციო მარშრუტი, სახელდობრ: თელავი, კურდღელაური, ვარდისუბანი, მერე, რუისპირი და იყალითო.

ასეთი მარშრუტის არჩევის მიზეზი ვახლდათ შემდეგი: გაგონილი მქონდა ხსენებულ სოფლებში კერამიკული წარმოების არსებობის შესახებ. 1935 წლის ზაფხულს პროფ. ივ. ჯავახიშვილის დაველებით კახეთში მუშაობის დროს, მე დაერწმუნდი ზემოაღნიშნული გარემოების სისწორეში და მეც წელს ჩემი სამოქმედო ასპარეზი ამ სოფლებით განვსაზღვრე. მუშაობა მომიხდა აგრეთვე შუამთისაკენ მიმავალ გზაზე და სახელდობრ შეშანას ხევთან ისლო მდებარე რაქველებს ახალშენში, რომელსაც კახელები შეცდომით იმერლების სოფელს ეძახიან.

მრავალი საინტერესო ცნობის გამოკითხვასა და ჩაწერასთან ერთად ჩემს მთხრობლებს ვეკითხებოდი აგრეთვე მეზობელი სოფლებისა და რაიონების მდგომარეობის შესახებ მეთიხეობის ხაზით.

მთხრობელთა გადმოცემამ ცოტათი გადაართოვა კერამიკული წარმოების არეალი თელავის რაიონის მასშტაბით და გარკვეული გახდა მთელი შიგნითა კახეთის (ახლანდელი თელავისა და ყვარლის რაიონების) კერამიკის ცენტრების არსებობის საკითხი.

დამოწმდა კერამიკული წარმოების შემდეგი დარგები:

1. მეჭურჭლეობა: ა) წითელი ჭურჭელი და ბ) ქაშანური ჭურჭელი,
2. წყლის მილების მკეთებლობა,
3. მეჭევერეობა,
4. მეთონეობა,
5. მეკრამიტეობა და
6. მეგაფურეობა.

თითოეული დარგის გავრცელებულობა ცალკე სოფლების მიხედვით შემდეგ აურათს იძლევა:

1. მეჭურჭლეობას მისდევენ თელავში, ვარდისუბანში, მერეში, რუისპირში, იყალითოში და თაღლაურში (თელავის მეჭურჭლეები თელავის განაპირა მაწანწრის სახელწოდებით ცნობილ უბანში არიან მოქცეულნი).

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სოფ. მერეს ადგილობრივი მცხოვრებნი ვარდისუბნის ტერიტორიაში ათავსებენ და ხშირად ცალკე სახელწოდებით არც კი იხსენიებენ. ასეთივე გარემოებასთან უნდა გვეკონდეს საქმე ეთნოგრაფიულ წერილებში მოხსენებულ სოფელ არტოზანის მიმართაც, რომელიც ოდესღაც



სოფ. რუისპირის სამხრეთით მდებარეობდა, მაგრამ დროთა განმავლობაში ვერწყო სოფ. რუისპირს და დღეს არტოზანის სახელწოდებით სრულად არსებობს სენიება.

ზემოჩამოთვლილი სოფლებიდან თელავში აკეთებენ მხოლოდ წითელ ჭურჭელს, რუისპირში მხოლოდ ქაშანურს და დანარჩენ სოფლებში-კი ორივენიანი ჭურჭლის მკეთებლობაა დამოწმებული. ამით, რა თქმა უნდა, იმის მტკიცება არ შეიძლება, რომ თითქოს გამოირჩეული იყოს შესაძლებლობა თელავში ქაშანური ჭურჭლის კეთებისა და რუისპირში-კი, პირიქით, წითელი ჭურჭლის კეთებისა. ჩვენ აღვნიშნავთ მხოლოდ ამჟამად არსებულ მდგომარეობას და ამ აღნიშვნით ყურადღების ცენტრში ვაყენებთ ასეთი გარემოების შემქმნელ მიზეზების გარკვევის საკითხს.

ორი წლის წინ თელავშიც იყო ერთი „მექაშანურე“, რომელსაც თავისი სიკაცხლე ქაშანური ჭურჭლის კეთებაში დაებერებინა. მთხრობელთა გადმოცემით რუისპირის მექაშანურეთაგან ორი რამდენიმე წლის წინ წითელ ჭურჭელსაც აკეთებდა, მაგრამ დღეს იქ ვერცერთ წითელ ჭურჭლის მკეთებელს ვერ შეხვდებით.

იჩვენება, რომ წინათ ახალსოფელშიც უკეთებიათ ჭურჭელი, მაგრამ, როგორც ერთ მთხრობელთაგანი აღნიშნავს, ჭურჭელი უკეთებიათ არა ადგილობრივ მცხოვრებლებს, არამედ სხვა სოფლებიდან მოსულ მეჭურჭლეებს.

პირიქითში (საგარეჯო, პატარძლეული, ლილო, მარტყოფი, ხაშში და სხვა), საიდანაც კახელ მეჭურჭლეებს ჭურჭლის დასაქრელებელი მიწა — „წერნაქი“ — მოაქვთ და სადაც, როგორც ისინი ამბობენ, ჭურჭლის მიწაც უნდა იყოს, წითელ ჭურჭელს არ აკეთებენ და შიგნით კახეთიდან წაღებულ ჭურჭელს უქმნიან გამსაღებელ ბაზარს.

რაკველების ახალშენში (ე. წ. იმერლების სოფელში) დამოწმებულია სადღურების, თონეებისა და კეცების კეთება. აქ თიხის დამუშავებას ქალები ეწევიან, იმ დროს, როდესაც კახეთის სოფლებში ეს საქმე მამაკაცთა ხელობად ითვლება. აქ არც სპეციალიზაციაა მოცემული ცალკე დარგების მიხედვით. შეიძლება იმითომაც, რომ ხსენებული საქმიანობა არ ითვლება საშემოსავლო წყაროდ და უმთავრესად შინაურ მოთხოვნილებას აკმაყოფილებს. თუმცა მთხრობელთა განცხადებით მათ მიერ გაკეთებულ სადღურებს და კეცებს მეზობელი სოფლების მცხოვრებლებიც ყიდულობდნენ (კეცებს ახლაც ყიდულობენო), მაგრამ ამას უფრო შემთხვევითი ხასიათი-ჰქონდა, ვიდრე მუდმივი. რაკველი ქალების თქმით წარმოების ამ დარგის ცოდნა თითქმის ყოველი დიასახლისის მოვალეობას შეადგენდა. ამჟამად ისინი მხოლოდ კეცებსა და სადღურებს აკეთებენ, თონეების კეთებისათვის კი თავი მიწუნებებით, რადგან კახელი მეთონეების მიერ დამზადებული თონეებით მიდიან იოლას.

2. წყლის მიღების მკეთებლობა მეჭურჭლეობასთან არის დაკავშირებული, რადგან მზადდება წითელი ჭურჭლის თიხისაგან და იკრება ჭურჭლის ჩარხზე. მილის მომჭრელიც მეჭურჭლეა, მაგრამ ყველა მეჭურჭლე არ მისდევს მის კეთებას, იქნებ იმითომაც, რომ მილს არა აქვს ფართო მოხმარებითი მნიშვნე-



ლობა, როგორც ჭურჭელს და მხოლოდ განსაკუთრებული შეკვეთის შემთხვევაში მზადდება. ამის გამო მიღების კეთების საქმე მხოლოდ ორ სოფელშია შესრულებული — იყალთოს და მის მეზობელ სოფელს — ვარდისუბანს.

3. თონეების კეთებით, თუ მხედველობაში არ მივიღებთ რაჭველების სოფელს, ცნობილი არიან: თელავი, იყალთო, აწყევრი, ახალსოფელი, შილდა, თალლაური, რუისპირი და ვარდისუბანი.

ვარდისუბანში მეთონეების გარდა ხანდახან მეჭვევრეებსაც უკეთებიათ თონეები ქვევრის თიხისაგან.

გალმა მხარის სოფლებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია სოფელი ახალსოფელი, რომელიც, როგორც მიხრობელთა უმრავლესობა აღნიშნავს, წარმოადგენდა და დღესაც წარმოადგენს საუკეთესო თონეებისა და ქვევრების მკეთებლობისა და დახელოვნებული ოსტატების საყოფელ ცენტრს.

4. მეჭვევრეების ცენტრების შესახებ უნდა აღვნიშნოთ, რომ ამჟამად მხოლოდ ვარდისუბანსა და ახალსოფელში თუ შევხედებით ქვევრების კეთებას, წინათ კი საკმაოდ ბევრ სოფელში ყოფილა წარმოდგენილი მისი წარმოება, სახელდობრ: ვარდისუბანში, ახალსოფელში, შრომაში (ყოფ. ვაჩნაძიანი) იყალთოში, კალაურიში, ურიათუბანში, გურჯაანში, ვანთასა და ბუშატში.

უწინ თურმე ამერელი ოსტატები მოდენილან კახეთში და მათ უკეთებიათ ქვევრები, კახელებს კი იმათგან შეუთვისებიათ ეს ხელობა.

ამ გარემოებას ერთხმად ადასტურებენ როგორც მეჭვევრეები, აგრეთვე მეთიხეობის სხვა ოსტატებიც, თუმცა ზოგიერთი მათგანი ეტყვს გამოსთქვამს ამის შესახებ, მიუთითებს კახეთის ეკლესიებთან არსებულ მარნებში აღმოჩენილ ქვევრებზე და ფიქრობს, რომ უწინ კახეთშიც უნდა ყოფილიყვნენ მეჭვევრეებიო, მაგრამ ეს მხოლოდ მოსაზრების გამოთქმაა და ცოცხალი ფაქტები კი მის საწინააღმდეგოს ლაპარაკობენ.

5. მეკრამიტეობას მისდევენ შემდეგ სოფლებში: ვარდისუბანში, მატანში, ალავერდსა, საბუესა, ინგილოების სოფელსა, ვაჩნაძიანსა, ალვანსა და ხოდაშენში. ხოდაშენში თავიდანვე არ სცოდნიათ კრამიტის მოჭრა, ბოლო ხანებში კდით დარწმუნებულან, რომ ხოდაშენის მიწაც გამოდგება კრამიტისათვის და მათაც დაუწყვიათ კრამიტის კეთება.

როგორც ვხედავთ, ალაზნის გალმა მხარიდან მეკრამიტეობის ცენტრების სიაში მხოლოდ თუშების სოფელია წარმოდგენილი. ზოგიერთი სოფლის მიხედვით, სადაც მე პირადად მიუშავია (ვარდისუბანი, მატანი), შეიძლება ითქვას, რომ კრამიკული წარმოების არცერთ დარგს არ ჰყავს იმდენი ოსტატები, რამდენიც მეკრამიტეობას.

6. მეაგურეობის ძირითადი ცენტრი სოფელი კურდღელაურია, უკეთ რომ ეთქვათ, ადგილი, რომელიც თელავის „აგარაკსაც“ ეკუთვნის და კურდღელაურსაც. ადგილობრივი ჰცხოვრებნი მას მამყიანათ აღმართს ეძახიან.

მიხრობელთა გადმოცემით მათს ახალგაზრდობაში თავრიზიდან ყიზილბაშებიც კი მოდენილან აქ აგურის საჭრელად, მათთან ერთად ქართველებსაც უმუშავიათ და შეუსწავლიათ ე. წ. რუსული აგურის კეთება. სხვათა შორის რუ-



სული აგურის შემოღებას მეაგურე ოსტატები თელავში არსებულ აგურების  
აშენების თარიღს უკავშირებენ.

მაშეიანთ აღმართს, ამ აგურის საუკეთესო ლამის მდიდარ საბადოს, სა-  
დაც უწინ ქართული აგური უჭრიათ, განსაკუთრებული სახელწოდებაც კი დაუმ-  
კვიდრებია. დღეს ეს ადგილი კახეთის მცხოვრებთა შორის აგურხანების სახელ-  
წოდებით არის ცნობილი.

აგურს სჭრიან სხვა სოფლებშიც (იყალთო, ვარდისუბანი, კისისხევი, ბუ-  
შატი, ენისელი და სხვა), მაგრამ იქ ის ასეთ ფართო ხასიათს არ ატარებს,  
ზოგან არც მუდმივს და მის მომკრეღთა რიცხვიც თითო-ოროლა აღამიანე-  
ბით განისაზღვრება.

დამოწმებულ იქნა თიხის ექვსი სახე:

1. წითელი ჭურჭლის, 2. ქაშანური ჭურჭლის, 3. თონის, 4. ქვევრის,  
5. კრამიტისა და 6. აგურის.

ნამდვილად რომ ვთქვათ, ყველა მათგანს, როგორც თვით ოსტატებიც  
აღნიშნავენ, არ შეიძლება თიხა ეწოდოს. ქაშანური ჭურჭლის, კრამიტისა  
და აგურის მიწა—ლამია; წითელი ჭურჭლის, ქვევრისა და თონის კი თიხა.  
თონის თიხას მეჭურჭლეები სადღურის თიხას უწოდებენ, რადგან წითელ ჭურ-  
ჭელში მხოლოდ სადღურარი მზადდება ამ თიხისაგან.

ნამდვილ თიხასაც და ლამსაც საუბარის დროს თიხის სახელწოდებითაც  
იხსენიებენ და მიწისაც, მაგრამ ნამდვილი თიხის შესახებ არასდროს არ იტყვიან  
რომ ლამიაო. ხშირად ლამისა და თიხის გარჩევს მიზნით იტყვიან ხოლმე: ეს  
ლამის თიხააო.

ქაშანური ჭურჭლის ლამი რუსპირელებს სოფ. ახტალის თავიდან მოაქვო  
(სახნავე მიწებიდან ვიღებთო), ვარდისუბნელებს—კი თურდოდან და, სახელდობრ,  
მაყანთ უბნის გადმოსწერივ მდებარე ადგილიდან.

ქაშანური ჭურჭელი შეიძლება წითელი ჭურჭლის თიხისაც გაკეთდეს და  
ხანდახან აკეთებენ კიდევ, მაგრამ მის მოთხრის, მოტანას და მისგან გაკეთე-  
ბული ჭურჭლის გაშრობას ვაცილებით მეტი დრო და წვალემა სჭირდება, ვიდ-  
რე ლამისას, კერძოდ ეს ითქმის სოფ. რუსპირისა და ვარდისუბნის მიმართ,  
რომელთათვის ბევრად უფრო მოსახერხებელია ლამის შოვნა, რადგან ორივე  
სოფელი ქაშანური ჭურჭლის ლამის ადგილ-სამყოფელის—თურდოს ხევის,  
ნაპირებზეა დასახლებული და მართლაც ამ სოფლების მექაშანურეები მხოლოდ  
ლამისას აკეთებენ ქაშანურ ჭურჭელს.

ქაშანური ჭურჭლის ლამი განირჩევა თავისი მალაღი ხარისხით კრამიტისა  
და აგურის ლამისაგან; ლამი, რომლიდანაც ეს უკანასკნელი კეთდებიან, არ  
გამოდგება ქაშანური ჭურჭლისათვის.

ქაშანური ჭურჭლის ლამი შედარებით ძნელი საშოვარიც არის და აგური-  
სა და კრამიტის ლამს კი, შერელი მექაშანურის სიტყვით რომ ვთქვათ, „სადაც  
უნდათ მოსჩიქნიან“.

საერთოდ ლამისა და კერძოდ კრამიტისა და აგურის ლამის აღმოჩენა ბევრ-  
გან შეიძლება, მაგრამ წითელი ჭურჭლის თიხის პოვნა კი ასე ადვილი არ  
არის. ერთად-ერთი ადგილი, რომელიც წითელი ჭურჭლის თიხის მდიდარ სა-



ბადოს წარმოადგენს და საიდანაც მიეზიდებიან თიხას თელავის რაიონის ადგილობრივი მკურნალები, ეს, სოფელ იყალთოს ლეთაგების ეკლესიისთან მდებარე გილია, რომლის ფართობი, როგორც იყალთოელი ოსტატები გადმოგვცემენ, ზომით ერთი კვადრატული კილომეტრი უნდა იყოს.

სწორედ იმის გამო, რომ უწინაც და ახლაც მხოლოდ იყალთო წარმოადგენდა ამ შესანიშნავი თიხის საბადოს—„იყალთოს თიხა“ იქცა წითელი ჭურჭლის თიხის აღმნიშვნელ ტერმინად.

რომელ სოფელშიც მეთიხეობის რა სახეობაა წარმოადგენილი, იქ ან მის მახლობელ მიდამოებში უნდა მოიპოვებოდეს მისთვის საჭირო თიხა, ასე მაგ., თელაველი მეთონეები თონის თიხას გიგოს გორის ძირში მდებარე ტყეში სთხრიან. სხვანაირად ამ ადგილს სესიკანთ გუბეებსაც ეძახიან. აქედანვე მიაქვთ თიხა წითელი ჭურჭლის ოსტატებს სადღურების გასაკეთებლად.

ვარდისუბნელი მექვევრეები კვევრის თიხას (ამავე თიხას თონისათვისაც იყენებენ) ამავე სოფლას თავში მდებარე ტყიდან ე. წ. რძიანულიდან ეზიდებიან (რძიანულს წყალს ეძახოდნენ და რაკი ტყეც იქ არის, სადაც კვევრის თიხას ეთხრით, იმ ადგილსაც იმიტომ ჰქვია რძიანული). ვარდისუბნის მეკრამიტეები კრამიტის მიწას ვარდისუბნის სახნავ მიწებში სთხრიან.

საერთოდ წესია, რომ აგურის „ქარხანა“ გამართული იყოს იქ, სადაც ფურის მიწა ითხრება. სწორედ ასეა მოწყობილი ზემოთაღნიშნულ აგურხანებთან, მაგ.—ამ ზოგიერთ სოფელში მეაგურეებს მიწის მიზიდვა უხდებათ; მაგ., ვარდისუბნელი მეაგურეები აგურის ლამს ამავე სოფლის ბოლოში მდებარე — სასროლეს სახელწოდებით ცნობილ—ადგილიდან ეზიდებიან.

ოსტატს ადვილად შეუძლია თიხის გამოცნობა. ეს მათ, როგორც თვითონ ამბობენ, „ხელოსნობით—ოსტატობით“ იციან, მაგრამ ხანდახან ისიც შეიძლება, რომ თიხის დამახასიათებელმა გარეგნულმა ნიშნებმა ოსტატი-ხელოსანი შეცდომაში შეიყვანოს. ეს განსაკუთრებით იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ ოსტატს ახლად მიგნებულ ადგილთან აქვს საქმე.

ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები, რითაც შეიძლება თიხის ერთი სახის გარჩევა მეორისაგან, რამდენიმეა.

წითელი ჭურჭლის ანუ იყალთოს თიხას მოთეთრო-მოყვითალო ფერი აქვს („ჭურჭლის თიხას მოთეთრო ფერი აქვს“—მეთონე ვარდუაშვილი, „ჭურჭლის თიხა თეთრიც არის და მოშავო ფერო ბერია“—მეჭურჭლე პაუნაშვილი, „ჭურჭლის თიხა თეთრია“—მეჭურჭლე აივანაშვილი, „იყალთოს თიხას მოთეთრო-მოყვითალო ფერი დასდევს“—მექვევრე ლეთისიაშვილი) და „კორახია ისე, რომ მოთხრის დროს სულ ბელტ-ბელტი გადმოდის“.

იყალთოს მიწა მეტად ძარღვიანია. სწორედ ამ ძარღვიანობის გამო არის ის განკუთვნილი ჭურჭლის დასამზადებლად. ძარღვიანი თიხა კარგად მისდევს ხელში ოსტატს და ჭურჭელიც თხელი გამოდის, ჭურჭლის სითხელე-კი მის სიკარგეს აღნიშნავს.

„მკედარი“ და „კუტი“ თიხა კი ხელში არ მოსდევს ოსტატს და ჭურჭელიც სქელი გამოდის.



სწორედ თიხის უვარგისობით ხსნიან კახელი მეჭურჭლეები ტელიოსური ქურჭლის სისქელეს.

მეჭურჭლეს, თუ თვალთ ქურჭლის თიხად ცნობის ფაქტის დადასტურება უნდა, შეუძლია მოთხრის დროს იქვე დაასველოს და გაიგოს თიხა ძარღვიანი თუ უძარღვო.

სადღურის თიხა (იგივე თონის თიხა) ფერად წითელია, თონის თიხა კი „მოშავო ფერისაა, შავნარევი თიხაა“, ერთიცა და მეორეც კორახია და აგურისა და კრამიტის ლამთან შედარებით მეტი ძარღვის მქონენი არიან.

ლამი მოყვითალოა, უძარღვოა და „ბოში“. ლამის სხვადასხვა სახეს შორის ყველაზე უძარღვო, კუტი და ბოში აგურის ლამია და ყველაზე ძარღვიანი კი ქაშანური ქურჭლის ლამია.

კრამიტის ლამიც განირჩევა აგურის ლამისაგან არა მარტო უყეთესი ძარღვიანობით, არამედ იმითაც რომ მას აგურის ლამისაგან განსხვავებით „დაობებულეით ზოლები დასდევს“. ხშირად ზდება მათი ერთსა და იმავე ადგილზე აღმოჩენა, ასეთ შემთხვევაში კრამიტის ლამი ყოველთვის აგურის ლამის მომდევნო ფენას წარმოადგენს ხოლმე. თიხებისა და ლამების დამახასიათებელ და ურთიერთისაგან განმასხვავებელ ნიშნებზე დამაჯერებლად ლაპარაკი ჯერჯერობით სპეციალური გამოკვლევის გარეშე ძნელია, რადგან ამ ნიშნებისა და განსაკუთრებით ფერების აღნიშვნის დროს აზრთა სხვადასხვაობას აქვს ადგილი.

ეს გასაგებიც იქნება, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ გარეგნული შეხედულებით და შინაგანი თვისებებით ერთმანეთისაგან განსხვავდებიან არა მარტო თიხის ეს ძირითადი სახეები, არამედ სხვადასხვა სოფელში არსებული, მაგრამ ერთსა და იმავე საგნის დამზადებისათვის განკუთვნილი თიხებიც, მაგ., ვარდისუბნის აგურის ლამი განსხვავდება აგურხანების აგურის ლამისაგან, თელავის თონის თიხა (იგივე სადღურის თიხა) ვარდისუბნის თონის თიხისაგან, ვარდისუბნის კრამიტის ლამი ვაჩნაძიანის კრამიტის ლამისაგან და სხვა.

თიხის დამახასიათებელი ნიშნებისა და კერძოდ ფერების შესახებ არსებულ აზრთა სხვადასხვაობა, რომელიც ზოგჯერ შეიძლება ერთი და იგივე საგნის სუბიექტურად სხვადასხვანაირად ათვისების შედეგი იყოს, სრულიად არ ლაპარაკობს თიხის შემოწმების დროს ხშირი შეცდომის დაშვების შესაძლებლობაზე. პირიქით, ყოველ ოსტატს დაბეჯითებით შეუძლია თიხის სახე ზედმიწევნით გამოიცნოს, თუნდაც მოცემული თიხის გარეგნული შეხედულება მის მიერ მრავალჯერ დამუშავებული თიხის გარეგნულ შეხედულებას ზუსტად არ შეესატყვისებოდეს. ერთი რამ მაინც უდავოდ ცხადია თიხის ოსტატებისათვის, სახელდობრ ის, რომ თიხა ძარღვიანია და „ფიცბი“, ლამი-კი მკვდარია, კუტია, ბოში და „გრილი“. თიხათა შორის ყველაზე ფიცბი სადღურის თიხაა და ყველაზე ძარღვიანი წითელი ქურჭლის თიხა. ლამებს შორის კი ყველაზე უძარღვო და გრილი აგურის ლამია.

თიხისა და ლამის თვისებათა თავისებურებებით აიხსნება ის, რომ თონის, სადღურის, ქვევრისა და განსაკუთრებით წითელი ქურჭლის კეთება სულ სხვანაირ პირობებს საჭიროებს და ქაშანური ქურჭელი, აგურისა და კრამიტის კეთება-კი სულ სხვანაირს.





პირველნი საქორებენ გრილს, უმზეო და ქარისაგან დაფარულ ადგილს, მეორენი-კი პირიქით მზეზე კეთდებიან (ზოგ სოფლებში და კერძოდ ქარხნებში უბანში კრამიტი ვრილოში იჭრება).

როდესაც ამა თუ იმ თიხას მისგან დამზადებული საგნის საბელწოდების მიხედვით აღნიშნავენ, ამით, რა თქმა უნდა, არ ამბობენ იმას, რომ ამ საგნის გაკეთებისათვის მხოლოდ ეს თიხაა საკმარისი, მაგ., სადღურისა და თონის გაკეთებისათვის აუცილებლად საქირთა სადღურის თიხისა და აგურის ლამის გარკვეული რაოდენობით შერევა, ქვევრის გაკეთებას კი ქვევრის თიხისა და შლამის შენაერთი სჭირდება.

მეჭურჭლეების თქმით სადღურის თიხისა და შლამის შენაერთისაგან დამზადებული სადღური მეტად მაგარი გამოდის, ამით უნდა აიხსნებოდეს ის გარემოება, რომ რაქვევლების სადღური, რომელიც ამ წესით არის გაკეთებული, ცნობილია თავისი გამძლეობით.

ზოგიერთ შემთხვევაში წითელი ჭურჭლის, ქაშანური ჭურჭლის, კრამიტისა და აგურის დამზადებაც თიხათა განსაკუთრებულ შერევას შოითხოვს.

ქაშანურად მხოლოდ წვრილი ჭურჭელი იჭრება, დაახლოებით ორ ხელადიანად, წითელ ჭურჭელში კი შედის როგორც წვრილი, აგრეთვე მსხვილი ჭურჭელიც. ქაშანურად მსხვილი ჭურჭლის დამზადება, რაც ძალიან იშვიათად ხდება, მოითხოვს ან ლამისა და იყალთოს თიხის შენაერთს, ან მხოლოდ იყალთოს თიხის გამოყენებას.

წვრილი ჭურჭლის შემადგენლობის მხრივაც სრული იგივეობა არ გვაქვს მოცემული, ზოგიერთი რამ, რაც წითელ ჭურჭელში კეთდება, გამოირიცხულია ქაშანური ჭურჭლიდან და პირიქით.

ჭურჭლის ყოველ სახეს თავისი დანიშნულება აქვს მიკეთვებულო. მზადდება წყლის („კოკა“, „ხელჩაფა“, „სურა“, „ტოლჩა“ და სხვა), ღვინის („გოზაური“, „თუნგიანი“, „ხელადა“, „ჩარეჭა“ და სხვა), საჭმლის („სადღური“, „ჯამი“, „ქვაბქოთანა“, „ბადია“, „საწველელი“, „ლანგარი“ და სხვა), ბავშვის სათამაშოდ („ტიქილა“, „ყულბა“ და სხვა) და სხვადასხვა პროდუქტის შესანახად განკუთვნილი („მწილის ქილა“, „ყველის ქილა“ და სხვა) ჭურჭელი.

ვახეთში კოკა საწყაო ერთეულს არ წარმოადგენს, ის მხოლოდ წყლის მოსატანი ჭურჭლის დანიშნულებას ასრულებს, მაგრამ მისი სიდიდის განსაზღვრა მიიწვით შეიძლება შემდეგ გარემოებათა წყალობით:

წითელ ჭურჭელში არსებობს ოთხნაირი თუ ხუთნაირი გუნდა: 1. ჩარეჭის; 2. ხელადის; 3. თუნგიანის (ანუ სურის); 4. კოკისა და 5. გოზაურის.

ყოველ გუნდიდან მისთვის სახელის მიმკეში ჭურჭლის გარდა სხვა მისი ტოლა ჭურჭელიც კეთდება.

ჩარეჭის გუნდა ორჯერ პატარაა ხელადის გუნდაზე, ხელადის გუნდა ორჯერ პატარაა თუნგიანის გუნდაზე, კოკის გუნდა კი ორჯერ დიდია თუნგიანის გუნდაზე, მაშასადამე წესიერი კოკა ოთხხელადიანი უნდა იყოს, მაგრამ ხშირად კოკისა და სურის ხაზით დიდ-პატარაობას აქვს ადგილი, რაც, რა თქმა უნდა, ნაკლებად დასაშვებია ჩარეჭის, ხელადისა და სხვა საწყაო ერთეულების მიმართ.

ჩვენ სასხვათაშორისოდ აღვნიშნეთ მეხუთენაირი გუნდას და კერძოდ გოზაურის გუნდას შესახებ, რადგან თვითონ მეჭურჭლეებიც უმოთაერესად ოთხნაირ



გუნდას დაასახელებენ ხოლმე და გოზაური გუნდას შესახებ-კი ცალკე-კენიანად ვენ. ეს, ალბათ, იმიტომ უნდა აიხსნებოდეს, რომ გოზაურის გუნდას დასახელება დიდ-პატარაობის თანმიმდევრობას-ზემოთხსენებული ოთხი გუნდას მსგავსად, გოზაური შეიძლება გაკეთდეს კოკის ტოლად, ე. ი. ოთხხელადიანიც, ამაზე პატარაც და ჩაფიანიც.

ასე რომ უმთავრესად მისი გარეგნული მოყვანილობა და არა სიდიდე განსაზღვრავს მის სახელწოდებას.

გოზაური, ქილა, კოკა და სხვა დიდი ჭურჭელი ორნამენტულად იჭრება ანუ როგორც ხანდახან თვითონ მეჭურჭლეები გამოსთქვამენ ხოლმე— „ზარფუშითა კეთდება“. ჯერ იჭრება ზარფუში და მერე გუნდის დარჩენილი ნაწილიდან კეთდება „ტანი“ ანუ „საფილე“, რომელსაც ჩარხზედვე დაედგმება ზარფუში. ქიკილები და სხვა პატარა ზომის ჭურჭელი კოკის გუნდაზე იჭრება, ასე მაგ., კოკის გუნდიდან 15-20 ქიკილა უნდა გამოვიდეს (ქიკილას ჭიკლასაც ეძახიან).

ქაშანურ ჭურჭელში ჯამის გუნდაზე იჭრება ბადია, ლანგარი და სხვა მათნი მსგავსნი. ჯამის გუნდაზე, რომლიდანაც ათი ჯამი გამოდის, მოიჭრება სამი-ოთხი ბადია (წითელი ჭურჭლის, ქაშანური ჭურჭლის, კრამიტისა და აგურის მიმართ ხმარობენ „მოჭრასაც“ და „გაკეთება“-საც, თონესა და ქვევრზე-კი მხოლოდ „გაკეთება“-ს იტყვიან).

წითელი ჭურჭელიცა და ქაშანურიც ერთსა და იმავე ჩარხზე იჭრება, ორივენი იჭრება ოსტატები კეთების დროს ხმარობენ „ხელისფიცარს“, რომელსაც ჭურჭელი „ამოჰყავს“ კიდევ და „ასუფთავებს“ კიდევ.

ხელისფიცარის მოძრაობის შედეგად ჭურჭლის გვერდებს ეცლება ზედაქართიხა, სწორედ ეს ანაფხეკი თიხა, რომელსაც მეჭურჭლეები „დასტაკილს“ უწოდებენ. იხმარება ყურების გასაქეთებლად.

„ყურის მობმა“ ჭურჭლის გაკეთების უმაღლესი შეიძლება, მას შემორობა სჭირდება, ასე რომ, ერთ დღეს გაკეთებულ ჭურჭელს მეორე დღეს, ან იმავე დღეს—თუ კარგი ამინდია და ჭურჭელი „საყურეთ შემოვიდა“—„დაასხამენ ყურებს“, „დაჰყურავენ“.

წითელი ჭურჭელი ქარხანაში გამართულ „ყაფაზეზე“ შრება, ქაშანური კი გარეთ, ეზოში, სპეციალურად მისთვის გამართულ ხარაჩობზე. დაუწველ ჭურჭელს ოსტატები „ალოხს“ უწოდებენ (ალოხი ეწოდება აგრეთვე დაუწველ ქვევრს, თონესს, მილს, აგურს, კრამიტს).

ძველად წითელი ჭურჭლის ოსტატებს თუშების, ფშაელებისა და ზოგიერთ ბარის სოფლებითა დაეალებით „სადღეებლებიც“ უკეთებიათ, მაგრამ მასზე მოთხოვნილების შემცირებასთან დაკავშირებით შეწყვეტილა მისი დამზადება.

წინათ საკმაოდ გავრცელებულ თიხის ჭურჭელს ე. წ. „მარანს“ ახლა იშვიათად აკეთებენ, რადგან დღეს ის მხოლოდ სუფრის სამკაულს წარმოადგენს.

შეიძლება ითქვას, რომ გაბატონებულ ელემენტს წითელ ჭურჭელში წარმოადგენს კოკა და ქაშანურში კი ჯამი. ამ გარემოების სისწორეს შემდეგი ფაქტები ადასტურებენ: წითელი ჭურჭლის თიხას „კოკის თიხაც“ ეწოდება, ქურის სიდიდეც კოკით იხომება, მაგ., იტყვიან ხოლმე, რომ ერთ ურვიან ქურაში 40-50 კოკა უნდა ჩავიდეს და სამასი ჭურჭელი.

ქაშანური ჭურჭლის სიდიდე, პირიქით ჯამით განისაზღვრებენ ქაშანურშიან ჭურჭელში დაახლოებით 1500 ჯამი ჩადის და 200 სხვა ჭურჭელში. ქაშანურის დროსაც ყველა ჭურჭელს «ფასი ჯამითა აქვს» (მაგ., ერთი ტოლჩა ან ხელადა ფასობს 4-5 ჯამს).

ქაშანური ჭურჭელი სხვა სახელწოდებითაც იხსენიება.

უკანა მზარში—პირიქითისაკენ და გლმა სოფლებისაკენ «ჩინურს» ეძახიან, კახეთის ზოგიერთ სოფელში «ინგლისურს» უწოდებენ და თუშ-ფშაველ-ხევსურნი-კი «მოკიქულს» ეტყვიან მას.

ჭურჭელს აქრელებენ მცენარეულის, ადამიანის, ცხოველისა და სხვა სახეობით, ხანდახან რაიმე წარწერასაც (უმთავრესად სახელს) აღნიშნავენ ხოლმე ზედ, მაგრამ თითოეულ სახეს განსაკუთრებული სახელწოდებით არ იხსენიებენ და საერთოდ «დაქრელებას» (თუ წერნაჭით არის მოხატული) და «დაქექნას» (თუ ხელის ფიცარით არის დაკეცილი) უწოდებენ.

დაქრელებას ეძახიან მეთონეებიც, ხელისფიცარის საშუალებით, თონეზე ოდნავ ამოღარული ტალღისებური ხაზების გაკეთებას, ერთ-ერთი მეთონის თქმით მას «დაწერასაც» ეტყვიან.

წერნაჭი თეთრი ფერის მიწაა, მოიპოვება პირიქითში. მის მოსატანად ხან მეჭურჭლეები მიდიან და ხან-კი თვითონ პირიქითილებს მოაქვთ ხოლმე. წერნაჭის ცნობა ყოველ მეჭურჭლენ არ შეუძლია, მის გამოსაცნობად გარკვეული დაკვირვების უნარის ქონაა საჭირო.

იმისათვის, რომ წერნაჭი დასაქრელებელ ნივთიერებად გამოდგეს, საკმარისია მისი წყალში გახსნა. ამგვარად შემზადებული წერნაჭი მოთავსებული ჯამში ან სხვა პირგანიერ ჭურჭელში უდგათ ოსტატებს ჩარხთანვე ახლო—დაზვანზე, ატრიალებენ ჩარხს და თან წერნაჭში დასველებული კალმით სხვადასხვა სახეს ხატავენ უნდილ ჭურჭელზე. კალამი ვარის ფაფარისაგან კეთდება, რადგან ის თავისი თვისებით ნაკლებად დრეკადია და ამავე დროს რბალიც.

ჩემი მუშაობის დროს მე არსად არ შემხედრია ჭურჭელი რელიეფური სახეებით, თუ მხედველობაში არ მივიღებთ გოზაურზე გაკეთებულ ბურცულებს და ზოგიერთი ჭურჭლის ყელის ირგვლივ შემოვლებულ «რგალებს». უწინ-კი ზოგიერთი მეჭურჭლის გადმოცემით, რელიეფური სახეებით შემკული ჭურჭელიც უკეთებიათ.

გოზაურს, როდესაც ყურს მოაბამენ, «თიხის დილებსაც დაასხამენ» ხოლმე ყელის მთელ სიგრძეზე და ყელის ძირის ირგვლივ.

მეჭურჭლეთა განცხადებით ასეთ დილებს მხოლოდ გოზაურს უკეთებენ და ისიც იმ შემთხვევაში, თუ ეს მეჭურჭლის გემოვნებას ეთანხმება.

ცალკე უნდა აღვნიშნოთ მარანის შესახებ. მარანი რამდენიმე, ერთმანეთთან მილის საშუალებით შეერთებული ჭიქლისაგან შესდგება. ერთ ადგილას ჭიქილებს შუა თიხისაგანვე გაკეთებული ცხვრის თავია აღმართული. ცხვრის თავის გვერდზე-კი ადამიანის ფიგურაა გამოყვანილი. ადამიანს, რომლის ფეხები ჭიქილების ძირის გასწვრივ მდებარე ხაზზეა დაზეინილი, თავი ცხვრის ყელის ძირში მიუღვია, მარჯვენა ხელი გაუშლია და ცხვრის ყელისათვის შემოუხვევია. მეჭურჭლეთა განცხადებით ასეთი გამოსახულებანი მხოლოდ მარანზე კეთდება



და ყოველი მეჭურჭლის მიერ გაკეთებული მარანი სწორედ ასეთი მარანი-ბისაა, თუმცა ცხერის თავის მაგიერ შეიძლება გაკეთდეს ირმის, ხარის, მჭკმჭის თავიც.

ცოტა რამ უნდა ეთქვათ ქაშანური ჭურჭლის კეთების ირგვლივაც. ქაშანური ჭურჭელი წითელი ჭურჭლისაგან განსხვავებით ჭრელდება არა წერნაჭით, არამედ „თოგალით“; იწვება არა ერთხელ, როგორც წითელი ჭურჭელი; არამედ ორჯერ.

თოგალი „სპილენძის ქვების ანაფხვია“, „ვერის ცემის დროს ჩამოცვივნილი ანაფხვენია“, მას მექაშანურები მექვაბეებისაგან ან მკედლებისაგან ყიდულობენ.

სპილენძის ამ ნაფხვენს დაფქვავენ სპეციალურად ქაშანური ჭურჭლის საჭიროებისათვის გაკეთებულ „წამლის წისკვილზე“. დაფქვის დროს მას წყალი ესმება, წყლით იფქება და იქცევა მოსქელო სითხედ.

სწორედ ამ შავი ფერის სითხით აჭრელებენ წითლად დამწვარ ჭურჭელს (პირველ დამწვას წითლად დამწვა ჰქვია).

თოგალით დაჭრელებულ ჭურჭელს (თოგალი მალე აშრება ჭურჭელს) შეპლდებავენ თეთრი ფერის წამალში, წამალი დაჭრელებულს მთლად დაჰფარავს, მაგრამ მეორედ დაწვის შემდეგ კვლავ გამოინდება. შავად დაჭრელებული ლურჯად დაიწებს ყურებას და თვითონ წამალსაც ეღვარება მიეცემა.

წამალში ურევია „ტყვია“, „კალა“, „თაგვარილა“ და „შეშა“.

ჯერ ტყვიისა და კალის ნარევი დაიწვება პატარა ქურაზე, ქურა ორად არის გაყოფილი, ერთ მხარეს ტყვია-კალა ყრია და მეორე მხარეს-კი ცეცხლი ანთია.

„რამდენი მალა პირი დაიწება“ ამ ნარევის, იმდენი ცალ მხარეს გადასწევენ, ასე მოქმედებენ მანამ მთლად დაიწვებოდეს.

ამგვარად, დამწვარ ტყვიისა და კალის შენაერთს აურევენ დაფქულ შეშასა და თაგვარილას, წაიღებენ წამლის წისკვილზე და დაფქვავენ ისევე, როგორც თოგალს. დაფქვის შედეგად მიიღება მაწონივით თეთრი და მოსქელო სითხე, ანუ წამალი, რომელსაც ჩაასხამენ თალარში, და მასში, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, შეპლდებავენ თოგალით მოხატულ ჭურჭელს.

ზოგიერთ ჭურჭელს მეჭურჭლეები რამდენიმე სახელით აღნიშნავენ, მაგ., სურა ანუ „კოკურა“, სადღღარი ანუ „ქოთანია“ და სხვა.

ერთი და იგივე დანიშნულებისა და სახელის მქონე ჭურჭლებიც სხვადასხვანაირი მოყვანილობის გამო მათი თავისებურების გამოხატველ სახელწოდებებსაც ღებულობენ, მაგ., ხელადა ორნაირია—„ქართული“ და „დუქნური“. დუქნური ხელადა სხვა სახელწოდებითაც იხსენიება: „მიკიტნური“, „ქუსლიანი“, „კოხტა“ და სხვა. ქართული ხელადაც აგრეთვე იხსენიება, როგორც „სწორპირიანი“, „სადა“, „უძირო“ და სხვა. თითქმის ყველა სოფლის მეჭურჭლე იხსენიებს ქართულ ხელადას, მაგრამ რუისპირში ის თურმე არც-კი გაუგონიათ და ქართულ ხელადას „თუშური“ ხელადის სახელწოდებით აღნიშნავენ.

მილი, როგორც უკვე ვთქვით, ჭურჭლის ჩარხზე იჭრება და ჭურჭლურაში რაში იწყება.

მილიც, რომელზეც ძველად უკეთებიათ, მოყვანილობით ახლანდელის მსგავსი ყოფილა, მაგრამ გამძლეობით-კი ახლანდელზე უკეთესი. თვითონ მილის მკეთებლებიც ამ მხრივ ძველ ოსტატებს ანიჭებენ უპირატესობას. იყალთოელი მე-ჭურჭლე-მემილე სანდრო მრულაშვილი გადმოგვცემს შემდეგს: „რამდენიმე წლის წინათ სოფ. ოკიომ წყლის გამოყვანა მოიწადინა და ამ საქმის გასაძლიერად კაცებიც პირჩაო. ერთმა არჩეულთაგანმა დანარჩენებს უამბო, რომ როდესაც ბაეში ვიყავი ბერხევაზე მილში კვიპრიონის ბუდე ვიპოვე და თუ იმ ადგილას გათხრას შეეძლებო შეიძლება ჩვენთვის გამოსადგვი მილები აღმოვაჩინოთო“. მართლაც დაუწყით თხრა და რამდენიმე ქილა და 2000 მილი ამოუღიათ.

ოკიოელებს მილის მკეთებლებისათვის იმისთანა მილების გაკეთება მოუთხოვიათ, მაგრამ ასეთი დიდი, სქელი და მაგარი მილის გაკეთება მათ ვერ მოუხერხებიათ.

მეთონეები თონეს და კეცს აკეთებენ, მეჭვევრეები კი ქვევრს, ქოცოსა და თალარს (თალარს მეჭვევრეები და წითელი ჭურჭლის ოსტატები მუშაობის დროს საჭირო წყლის ჩასაყენებლად იყენებენ, მექაშანურეები მასში ჭურჭლის შესაღებ წამალს ასხამენ, გლეხკაცობა კი უწინ, და ნაწილობრივ ახლაც, მას ვენახის წამლის დასაყენებლად ხმარობდა).

მეთონეს თონის გაკეთებისათვის არ სჭირდება არც ჩარხი (როგორც მე-ჭურჭლეებსა და მეჭვევრეებს) და არც ყალიბი (როგორც მეგაგურებსა და მეკრამიტებს). მეთონეს სამნაირი ზომის „ფარგალი“ აქვს: დიდი, საშუალო და პატარა. ამის შესაბამისად თონეც სამნაირი ზომისა კეთდება (დიდი, საშუალო და პატარა). მეთონე, როდესაც თონის გაკეთება უნდა, ვაკე და კარგად დასუფთავებულ ნიადაგზე „შემოუსობს ფარგალს“. შემოხაზავს წრეს და დაიწყებს თონის კეთებას. მეთონე თონის კეთებას ბუნებრივი გუნდით იწყებს, რადგან ცეცხლისაგან ყველაზე მეტი ძალა ძირსა აქვს და ბზის არევით კი მას გამძლეობა ეძლევა.

მეორე პირიდან დაწყებული დაახლოებით ერთ მტკაველის შემდეგ მას ბზე აღარ სჭირდება და უბზეო თიხით „ეკლება პირები“. ახლად შემოვლილი პირი ცოტათი რომ შეშრება, „გაიფიცრება“ ფიქვის ხელისფიქრით ანუ „გონგით“.

თუ ძალიან ცხელა, დღეში მეთონე ორ პირს შემოუფლის, თუ არა და ერთს. თონე, კეთების დროს ისე „მოჰყავს“ ოსტატს, რომ ზევით და ზევით თანდათან ვიწროვდება და ბოლოს უკეთდება „პირი“ ანუ „შიპი“.

გამშრალი თონე იჭრება სამ ნაჭრად და ნაჭრებადვე ლაგდება ჭურაში დასაწველად.

თონე ორგვარი მოყვანილობისაა—„პირგანიერი“ და „პირმოხვეული“, პირველი შოთხე პურის დასაკერელად არის კარგი, მეორე კი მრგვალი პურის.

თუმც იშვიათად, მაგრამ ხანდახან მაინც მეთონეები ე. წ. მეჭვევრულ თონეებსაც აკეთებენ მეჭურჭლების შეკვეთით. მეჭურჭლების თონე დიდი ზომისაა, ქვევრით მუცელგანიერია, ძირი და პირი-კი ვიწრო აქვს. ამ თონეს მეჭუ-



რეები თვითონვე გამოწვევენ ხოლმე ზადგმის შემდეგ, რადგანაც ამ თონის ქურაში დაწვა შეუძლებელია. თუ მექვევრემ გააკეთა ასეთი თონე, რასაც ხანდახან ის დასწავს კიდევ ქვევრის ქურაში; იმის გამო, რომ მისი დაწვა ხანდახან ქვევრის ქურაში შეიძლება, იქნება იმიტომაც ჭკვია მას მექვევრული თონე.

მეთონეების განცხადებით ერთ კარგ ხელოსანს კვირაში სამი თონის „გამოყვანა“ შეუძლია.

მეთონე, როდესაც დაამთავრებს მისი ქურისათვის საკმარისი თონეების გაკეთებას, შეუღდება დაწვისათვის მზადებას.

თონის ქურა სხვადასხვა ზომისაა. არის ქურა, რომელიც 12 თონეზე მეტს ვერ იტევს და არის ისეთი ქურაც, რომელშიც ორმოცი თონე ჩადის.

მექვევრეების ჩარხი მეტად პატარაა და მარტივად მოწყობილი, ის მხოლოდ ქვევრის ძირის გასაკეთებლად იზმარება.

ქვევრის ძირის კეთების დროს მექვევრე ჯდება დედამიწაზე, ფეხებს შუა იდგამს ამ პაწია ჩარხს და იწყებს ძირის კეთებას. ასე გააკეთებს რამდენიმე ძირს ერთად და დააწყობს იქვე ქარხანაში გასაშრობად. პირებზე ბურახის ან კომბოსტოს ფოთლებს აფარებს, რომ შემდეგი პირის შემოვლამდე ნედლად შეინახოს. გაშრობის შემდეგ ძირი ჩაიდგმება მაღალ ფეხებიან სკამში, რომელსაც თავი მრგვლად აქვს ამოჭრილი. სკამზე განაგრძობა ოსტატი ქვევრის კეთებას, და როდესაც მას სათანადო სიმაღლეზე მიიყვანს, გადაიღებს სკამიდან და მიწაზე დასდგამს სხვა ქვევრების გვერდით. ამ ადგილას დასრულდება ქვევრის კეთება, ამ ადგილსავე დარჩება ის დაწვის დროის მოსვლამდე.

ერთ ჯერად მხოლოდ ორი პირის შემოვლება შეიძლება, ორი „შემოვლა“, მექვევრული ტერმინით რომ ესთქვათ, ერთი, „მოქნაა“, შემდეგი შემოქნა მხოლოდ ორი-სამი დღის შემდეგ შეიძლება (თუ ცხელა, ორი-სამი დღე ეყოფა გამოშრობას), გრილ ამინდში-კი ერთ კვირასაც გასტანს. ყოველი შემოქნის შემდეგ ქვევრის პირებს ფოთლები ეფარება და რომ არ გადასკდეს ირგვლივ „ხრალი“ ეჭირება „პირის მობრუნებამდე“, როდესაც ქვევრი თავის სიდიდეს მიღწევს და „საყელეთ მოვა“, „შეიყვლება“ და ბოლოს „თავიც მოემებება“.

ყველაზე პატარა ქოცო 5-6 ხელადიანია, ყველაზე დიდი კი საპალნიანი. საპალნიანის შემდეგ მას უკვე ქვევრი ეწოდება. ჩვეულებრივ ექვს საპალნიანზე დიდ ქვევრს მეტად იშვიათად აკეთებენ.

ქურაში ჯერ ქვევრები ეწყობა მწკრეზე და ქვევრებზე-კი ქოცოები ლაგდება.

როგორც ჩანს ქვევრის ქურის სიდიდე გარკვეულ ზომას უნდა ემორჩილებოდეს. ჩემ მიერ დაკითხული მექვევრე-მთბრობლები ერთნაირად აღნიშნავენ იმას, რომ ქურაში ჩადის ექვსი ქვევრი და 20-25 ქოცო.

დღეს მექვევრეები დამოუკიდებლად მუშაობენ. ყველა მათგანს აქვს საკუთარი ქურა და ქარხანა, თიხის მოტანასა, დაზელვისა და ქურის დაწვაზედაც თვით მექვევრე ოსტატს უხდება ზრუნვა, ამიტომ მთელი სამუშაო პერიოდის განმავლობაში (აპრილიდან სექტემბრის გასვლამდე) მექვევრე მხოლოდ ორი ქურა ქვევრის გაკეთებას ასწრებს. წინათ-კი, რადგან მექვევრეობა მოღვაწობას-



თან იყო დაკავშირებული, გაცოლებით მეტის გაკეთება შეიძლებოდა და ექვემდებარებოდა ამავე ხნის განმავლობაში ათი ქურა ქვეერი იწვებოდა (რადგან „აქვემდებარება“ რა ქვეერი მზადდებოდა მთელი ზაფხულის განმავლობაში, ამიტომ მოდგამსაც ათს ანგარიშობდნენ, მაგრამ თუ რომელიმე მოდვამი სამი ქურის დაწვას მოიწადინებდა, მაშინ ის სამჯერ მეთ ხარჯსაც გაიღებდა და მოდვამების რიცხვიც ნაკლები იქნებოდა).

მოდვამებს უნდა მოეტანათ მათთვის თიხა, შლამი და შეშა. მათვე უნდა ექმნათ პური ოსტატისა და მეტალახეებისათვის (ოსტატს ორი მეტალახე უნდა ჰყოლოდა). რა თქმა უნდა, ყველა ერთ დროს არ გაიღებდა ამ ხარჯს, თვით მოდვამებს განაწილებული ჰქონდათ დრო და ჯერ-ჯერად ემსახურებოდნენ მექვეერეს. ერთ-ერთი მექურჭლე-მექვეერის თქმით ამ სამ კაცზე ხუთი პური უოფილა გადაწყვეტილი, ვახშმად კი არაფერი. ღვინო და არაყი-კი ერთნაირად ეძლეოდათ, თითო ქურაზე მოდვამს სამი ჩაფი ღვინო და ერთი თუნგი არაყი უნდა მოეტანა.

ათი ქურიდან ნახევარი მოდვამების იყო, ნახევარი კი ოსტატისა და მეტალახეებისა. ოსტატისა და მეტალახეების წილიც ხუთად იყოფოდა, სამს ოსტატი იღებდა, თითო-თითოს-კი მეტალახეები.

კახელი მეგაურეები აღნიშნავენ ძველად ქართული აგურის მკეთებლობის შესახებ და მეკრამიტეები-კი რამდენიმენაირი მოყვანილობის მქონე კრამიტის არსებობაზე მოგვითხრობენ, მაგრამ ამჟამად მეკრამიტეებისა და მეგაურეების საქმე მხოლოდ განსაზღვრული ფორმის მქონე კრამიტისა და აგურის კეთებით განისაზღვრება.

აგური, რომელიც დღეს იჭრება, რუსულია, წინათ-კი ქართულიც უჭრიათ. „რუსული აგურის“ სიგრძე სიგანეზე ორჯერ მეტია, „ქართული აგური“ კი კვადრატულია, სისქითაც რუსული აგური უფრო სქელია, ვიდრე ქართული.

აგური იჭრება შემდეგნაირად: მეგაურეს დაზგაზე თუ მაკიდაზე უდევს მოხელილი თიხა, იქვე ყრია ალაზნის შლამი, რომელსაც ის „საფანლად“ იყენებს, ტალახიდან ორივე ხელით მოკლევას გუნდას, გააგორ-გამოაგორებს შლამში და ჩაადგებს ყალიბში, რომელსაც აგრეთვე „შლამი აქვს გამოვლებული“. ამგვარად, მოათავსებს ის გუნდებს ყალიბის ოთხივე უჯრაში, ყალიბში კარგად ჩაჯდომის მიზნით ხელით დასტკეპნის გუნდებს და ბოლოს ზემოდან გადაუსვამს ფიცარს, რომელსაც ისინი „სინგირ“-ს უწოდებენ.

მეგაურე ორივე ხელს მოჭიდებს ყალიბის თავსა და ბოლოს გაკეთებულ ხელის მოსაჭიდებს, წაიღებს და მეტად სუფთად გადაფხეკოლ და გავაკებულ მოედანზე წამოაპირქეავენს.

ამის შემდეგ კვლავ დაუბრუნდება თავის სამუშაო ადგილს და ამავე წესით განაგრძობს აგურის ჭრას. აგური რომ შეხმება „ფეხზე აყენებენ“ და როცა საკმარის კარგად შემაგრდება „ხარაის“ დასდგამენ, შემდეგ, როცა სისველე გამოეღვევა, ან პირდაპირ ქურაში ჩაალაგებენ და დასწვავენ, ანდა „ჩარდახში“ მოათავსებენ.

ქართული აგურის ყალიბიც, ისე, როგორც რუსული აგურისა, ხისაა, მაგრამ მისგან განსხვავებით ის ოთხაგურიანი-კი არ არის, არამედ ერთაგურიანია.



ქართული აგურის ყალიბს რუსული აგურის ყალიბისაგან განსხვავებულს ვერაფერზე იხილავთ, რომ ის ჩარჩოსავით უძირთა და ოთხივე მხრივ თანასწორი ზომისაა.

ქართული აგური რომ მოექრა, მეაგურე მიწაზე უნდა მჯდარიყო, გუნდას დაიდებდა წინ — მიწაზე, ხელით გააბრტყელებდა, მერმე ამ გაბრტყელებულ გუნდას დაადებდა წყალში დასველებულ ყალიბს და კარგად გაასწორებდა, მორჩებოდა თუ არა გასწორებას, ყალიბს ამოსწევდა. ზევით და დაბლა კი აგური დარჩებოდა. მუშაობის დროს მას საფანლად წყალი უნდა ეხმარა, ყალიბიც სველი უნდა ჰქონოდა და ხელიც, რომ ტალახი არ მიჰკროდა და ამით აგური არ გაეფუჭებინა.

მეაგურეს უხდებოდა აგრეთვე დანის მსგავსი იარაღის საშუალებით აგურის უსწორ-მასწორო გვერდების გაფხეკა და გასწორება. ერთ აგურს მეორე მიემატებოდა და ამგვარად შეიქმნებოდა აგურების მწკრივი.

უწინ ქართული აგურის გარდა უჭრიათ ე. წ. „ფარგლის აგურიც“, რომელიც მოყვანილობით მოხრილი მკლავის მსგავსი ყოფილა, და წყლის გამოყვანის საჭიროებისათვის უხმარიათ. მეაგურეებს თვითონ არ უჭრიათ, მაგრამ უნახავთ და გაუგონიათ დაჩგრეტილი — „ქსნური აგურისა“ და სხვათა შესახებ.

თუ მეაგურე მარტო მუშაობს, ისე რომ ტალახსაც თვითონ ზელს და გაკეთებითაც თვითონ აკეთებს, დღეში დაახლოებით 400-700 აგურამდე მოსჭრის, მაგრამ თუ მას მეტალახე ჰყავს, დღეში 1000-1200 აგურის მოჭრა შეუძლია.

აგურის ქურაც აგრეთვე სხვადასხვა სიდიდისაა, შეიძლება ქურაც 10.000 აგურიანიც იყოს, 20.000-ც და 50.000-ც.

კრამიტის მოსაჭრელადაც ყალიბია საჭირო. კრამიტის ყალიბიც ხისაა, ჩარჩოსავით უძირთა, გრძელი და ვიწრო (ერთი ბოლო უფრო განიერი აქვს და მეორე კი ვიწრო). შლამმოყრილ დაზგაზე დადებულ ყალიბში მეკრამიტე გააბრტყელებს — „გაიყვანს გუნდას“, ხელით მოუსვამს წყალს, შემდეგ მოგროს სწორ ფიციარს გადაუსვამს ყალიბს და გადაასწორებს. ყალიბში გასწორებულ კრამიტს გადმოიტანს „ქობუნაზე“, სწორედ ქობუნაზე ემღევა მას მოხრილი ფორმა, რადგან თვითონ ქობუნა მოხრილია. მეკრამიტე კრამიტს ქარხანაშივე „დასვამს“ მიწაზე და ქობუნას კი დიდი სიფრთხილით გამოაქლის. კარგ ამინდში კრამიტი მალე შრება და მოჭრის მეორე დღესვე ფეხზე დგება. ფეხზე ამდგარი კრამიტი, თუ კარგი ამინდი შეხვდა, 3-4 დღეში საბოლოოდ გამოშრება და თუ მეკრამიტემ მოინდომა, ქურაშიც ჩალაგდება დასაწველად.

კრამიტის ქურაც სხვადასხვა ზომისაა, არის 1100 კრამიტიანი ქურაც, 1400-ანიც, 1500-ანიც და სხვა.

დღეს, როგორც უკვე მოვიხსენეთ, მხოლოდ ერთგვარი კრამიტი იჭრება, მაგრამ გადმოცემით ირკვევა, რომ კახეთში ძველ დროს სხვანაირი კრამიტი უნდა ყოფილიყო. 118 წლის ვარდისუბნელი მეკრამიტე — იორდანე ქურციკა-შვილი მოგვითხრობს, რომ უწინ წყლის მილივით ვიწრო და მოკლე კრამიტი უჭრიათო; „ამისთანა კრამიტი უწინდელ ჟამში აშენებულ საყდრებსა მხურავესა“.



ის აღნიშნავს აგრეთვე ე. წ. „მოკალული კრამიტის“ არსებობასაც უდაბლესთან დაკავშირებით გადმოგვცემს შემდეგ ამბავს: მოკალული კრამიტის მსოფნაში არსად არ ყოფილა, მაგრამ მისი ნამტკრევეები მინახავსო. ნაქლაქარს იქით ციხე დგას და იმ ციხეს ეხურა მოკალული კრამიტის ნამტკრევებით. უწინ იქ ქალაქი ყოფილა და ქალაქის მცხოვრებთ შიშინაობის დროს იმ ციხეში უფარებით თავიო.

ყოველ თიხას, მანამ დაიზილებოდეს, სჭირდება გახმობა და დაღობა, ლამი-კი ვახმობას არ საჭიროებს და თუ ოსტატმა მოისურვა, მოთხრის უმაღლესე შეიძლება მისი დაღობა.

ყოველი თიხა, რომელი საგნის დამზადებისათვისაც არ უნდა იყოს ის განკუთვნილი, რამდენჯერმე იზილება, ზოგიერთი მათგანი (წ. ჭურჭლის, ქაშანური ჭურჭლის, კრამიტის) გულმოდგინე გარჩევასაც საჭიროებს.

თუმცა დაღობისათვის საჭირო დროში, დაზღვის ტექნიკაში, დასაღობობი და დასაზღვი ადგილების აღნაგობაში და სხვა, ბევრი განსხვავებებია, მაგრამ ამის შესახებ დაწვრილებით აქ არ ვილაპარაკებთ.

იმ ადგილს, სადაც ოსტატს უხდება მჭვობა, ქარხანა ეწოდება, თუმცა სხვადასხვა დარგის ოსტატების ქარხნებს შორის დიდია განსხვავებები, მაგრამ ყველა მათგანი მაინც ქარხანად იხსენიება.

ყველაზე კარგად დაცული მზისა და ქარისაგან წითელი ჭურჭლისა და ქვევრის ქარხნებია. კრამიტის, აგურისა და ნაწილობრივ თონის ქარხანაც კი გვერდება ღიაა. ქაშანური ჭურჭლის ქარხანაც ოთახს წარმოადგენს, მაგრამ მისი ოთახში მოთავსება წვიმისაგან უკეთ დაცვისა და მეჭურჭლის უკეთეს პირობებში ყოფნის მიზნით არის გამოწვეული და არა მზისა და ნიავის შიშით.


ქარხანა უქვევლია ქურასთან უნდა იყოს მიდგმული, რადგან მათი ასეთი სიახლოვე აადვილებს ქურაში ჭურჭლის, თონისა და სხვათა ჩაწყობასა და ამოღებას.

მეთიხეობის სხვადასხვა დარგის ხელოსნების ჭურები ბევრ რამეში განსხვავდებიან ურთიერთისაგან, თუმც ზოგიერთნი ჰგვანან კიდევ ერთმანეთს. მაგ., წითელი ჭურჭლის, კრამიტისა და თონის ჭურები ერთი სისტემის მიხედვით არიან აშენებულნი, ისე რომ, მიუხედავად მათი გარეგნული განსხვავებისა, თონის ჭურაში მაგალითად — წითელი ჭურჭლის დაწვაც შეიძლება და კრამიტისაც.

ამა თუ იმ ხელობის შესწავლისათვის და ოსტატად გახდომისათვის შეგირდად მიბარება იყო საჭირო. შეგირდობის ვადა ხელობის შესწავლის სიძნელესადადვილზე იყო დამოკიდებული. ყველაზე ძნელ შესასწავლ ხელობად ქვევრის კეთება და წითელი ჭურჭლის ქრა ითვლებოდა, ყველაზე ადვილი შესასწავლი აგურის მოჭრა იყო.

ქვევრის კეთება იმდენად ძნელი ყოფილა, რომ მექვევრეების გადმოცემით, ზოგიერთი თავის სიცოცხლეს მექვევრესთან აბერებდა, მაგრამ კიდევ კარგად ვერ იცოდა ეს ხელობა. კარგი გონების ადამიანისათვის-კი სულ ცოტა ორი წელიწადი მაინც იყო საჭირო შეგირდად ყოფნისათვის.

წითელი ჭურჭლის კეთების შესწავლისათვის საჭირო შეგირდობის ვადას მეჭურჭლეები ორი წლით საზღვრავენ, ქაშანური ჭურჭლისას კი ნახევარი ან ერთი წლით.



Երևանի շրջանի քարտեզը

Երևանի շրջանի քարտեզը



აგურისა და კრამიტის მოჭრა ძნელ ხელობად არ ითვლება, არსებობს აზრით გულისყურიანი ადამიანი აგურის კეთებას რამდენიმე დღეში შეიძლება დასრულებს კრამიტის ქრის შესწავლისათვის-კი ორი თვეც საკმარისია.

საკმარისი არ არის მხოლოდ ამა თუ იმ საგნის კეთებაში გაეარჯიშება. კარგი ოსტატი ის არის, ვინც კურაში ჩაწყობისა და დაწვის მალალ ტექნიკასაც შეითვისებს. აგურისა და კრამიტის ხელობის შესწავლა სულ რამდენიმე დღეს და თვეს საჭიროებს, მაგრამ მათი დაწვა საკმაოდ დიდ ცოდნასა და ოსტატურ დაკვირვებას მოითხოვს.

კახელი ოსტატების მიერ დამზადებული ქვევრებით, თონეებით, წითელი და ქაშანური ჭურჭლით, კრამიტითა და აგურით მიდიოდა იოლად მთელი შიგნით კახეთი მისი მთიანი ნაწილის ჩათვლით. ამათგან ჭურჭლის გამსაღებელი ბაზარი არა მარტო შიგნით კახეთის, არამედ მთელი კახეთის ფარგლებსაც კი სცილდებოდა. კახური ჭურჭელი მიჰქონდათ თიანეთის მცხოვრებთ, კახელი მეჭურჭლეების ურუმები ტფილისამდე ჩამოდიოდნენ, დღეს-კი ტფილისსაც სცილდებიან და ხშირად აღბუღახსაც ესტუმრებიან ხოლმე.

კერამიკის ოსტატებიდან მხოლოდ მეჭურჭლე მიდის მყიდველთან, ქვევრის, თონის, კრამიტისა და აგურის შესაძენად-კი თვითონ მყიდველის მისვლაა საჭირო.

ბევრი რამის თქმა შეიძლება კახური კერამიკის სხვადასხვა საინტერესო საკითხების შესახებ, თვით გაყიდვის წესებშიც-კი მეტად საგულისხმო ფაქტები დადასტურდა, მაგრამ აქ მასზე ჩვენ არ ვიმსჯელებთ და ართქმულ ამბებს თქმულთან ერთად სპეციალური მეცნიერული კვლევის საგნად ვაქცევთ.

ცოტა რამ უნდა აღენიშნოთ ჩაწერის ტექნიკის შესახებაც.

ჩემი მუშაობის დროს მე ეცუდილობდი, რომ მთხრობელი, თუ ეს შესაძლებელი იყო, ხშირი შეკითხვებით არ დამებნია, საგულისხმო ტერმინები, რომლებსაც სხვა შემთხვევაში შეიძლება არ იტყოდა, არ დამეკარგა და მისი ნათქვამი სიტყვა-სიტყვით ჩამეწერა.

ამ წესით ჩაწერე მე მონათხრობი კერამიკული წარმოების ყოველი დარგის შესახებ, მთელი პროცესი ამა თუ იმ საგნისათვის საჭირო მასალის მომზადებიდან დაწყებული მის დამთავრებამდე.

გაიზომა, ფოტოგრაფიულად იქნა გადაღებული და ნაწილობრივ ჩახატულიც კეთების ცალკეული მომენტები, თვითონ საგნები, მათ გასაკეთებლად საჭირო იარაღები, ქარხნები და ქურები.

რადგან ხატვისა და არქიტექტურული გაზომის სპეციალურ ცოდნა მოკლებულ ადამიანისათვის ძნელი იყო ამ საქმის კარგად შესრულება, ამიტომ სასურველი და საჭიროც იქნებოდა, რომ ხსენებულ რაიონში მივლენილიყო არქიტექტორი, რომელიც ჩემს მიერ მითითებულ ადგილებში მოახდენდა ქარხნების, ქურებისა და წამლის წისქვილების არქიტექტურულ კრილში მოცემას.

ანგარიშები არქეოლოგიურ კვლევა-ძიებათა  
1937 წლ. გაზაფხულსა და ზაფხულზე

სოფ. არხილო

ალაზნის პირზე წარმოებული არქეოლოგიური კვლევა-ძიება მიზნად ისახავდა ევროთწოდებულ კულტურა „ილირ-თაფას“ აღმოჩენას.

მუშაობა ჩატარებულ იქნა სოფ. არხილოს (მდებარეობს შირაქის ველის მალღობ ნაპირზე) „ძირზე“, ალაზნის ნაპირის მახლობლად.

გათხრების დროს აღმოჩენილ იქნა ძველი სასაფლაო. სამარეები ორი მეტრის სიღრმეზე იყო მიწაში და სრულებით არაერთი ნიშანი არ ეტყობოდა, რომ მიცვალებულები დამარხული ყოფილიყვნენ აკლდამაში ან კუბოში.

ნათლად ეტყობოდა, რომ მიცვალებულები მოკრუნვნილი პოზით იყვნენ დამარხული: მარჯვენა ხელი თავქვეშ ჰქონდათ ამოღებული და გვერდზე მწოლარე იყვნენ დასაფლავებული. ბავშვები დასაფლავებული იყვნენ ქვევრის გვერდის ანამტკრევებზე.

სამარის ინვენტარი შედგებოდა ბრინჯაოს, რკინის, თიხის, შუშის, სერდოლიკისა და სხვა ფორმის მასალისაგან.

ბრინჯაოს ნივთებიდან ყურადღებას იპყრობს დიდი ზომის თავებგახსნილი სამაჯურები, პატარა ზომის რგოლები და ბეჭედი. რკინის ნივთებში აღსანიშნავია პატარა ზომის ნამვალი, დანა ფრაგმენტებად ქცეული, რგოლები და სხ.

კერამიკული ნაწარმიდან მეტად საინტერესოა გრძელნიკარტიანი დოქები, სამფეხა ჭურჭელი და ვაზები სხვადასხვა ფორმის.

გრძელნიკარტიან დოქებს ნისკარტის ძირთან დატანებული აქვს თიხისვე დაფანჯრული საწური. ამგვარი დოქები და ისიც საწურით ცნობილია მცირე აზიაში და მათი წარმოშობის ცენტრად ითვლება ხეთების სამეფოს ტერიტორია.

სამფეხა ჭურჭელი კარგადაა ცნობილი მცირე აზიაში. შლიმანის გათხრებმა ტროიაში ჩვენ მოგვცა ამგვარი სახის ჭურჭელი. კარხემიშვიაც კარგადაა ცნობილი ამ სახის კერამიკა.

აღმოჩენილი ნივთები ჩამოვიტანეთ საქართველოს მუზეუმში და დამუშავების პროცესშია: ხდება მათი რესტავრაცია, სურათების გადაღება და სხვა. გათხრებში მონაწილეობას ღებულობდა, ინსტიტუტის ასპირანტი გ. გობეჯიშვილი.

გათხრები გაგრძელდა გ. წ. 19-დან 30 აპრილამდე.

ს.ო.ვ. კასანი

მუშაობა წარმოებდა 1937 წლ. 16 აგვისტოდან 18 აგვისტომდე.

გაუთხარეთ სამი აკლდამა ფიქალი ქვეებით ნაშენი. აკლდამები მდებარეობენ მდინარე ლეხურას მარჯვენა ნაპირზე, ადგ. ქეჩახურში. შიკვალბულები მისმართულება დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ იყო. ჩონჩხებს მოკრუნხული პოზა ჰქონდათ.

საფლავეებს ინვენტარიდან აღსანიშნავია თიხის ორი პატარა ქურქული და თიხის ფრაგმენტები.

ერთს თავის ქალას ეტყობა მეტოპიზში.

გათხრების ფართოდ გაშლა შეუძლებელი იყო, ვინაიდან აკლდამების ადგილზე შენობა აუგიათ.

გ. ნიორაძე

ბაშკირეთის რაიონი

1937 წლ. 19 აგვისტოდან მივლინებული ვიყავი ბაშკირეთის რაიონში არქეოლოგიური დაზვერვისა და გათხრების ხელშეწყობის მიზნით. მუშაობაში მონაწილეობას იღებდა ინსტიტუტის ასპირანტი გ. გობუჯიშვილი.

გათხრილ იქნა უძველესი დროის სასაფლაო მაღალი ტყით დაფარულ მთის ფერდობზე მდინარე ჰამაშლოს (კარა-სუ) მარჯვენა ნაპირზე, სოფ. საფარლოს მახლობლად. ამ ადგილს კიდევ ეძახიან „შუშის ქარხანას“.

საფლავეები ნაშენი იყო ფიქალი ქვეებით, მიწის ზემო პირიდან ორი სამი მეტრის სიღრმეზე. იყო ისეთი სამარეებიც, რომლებსაც აკლდამები არ ჰქონდათ.

აკლდამებში მოთავსებული შიკვალბულები მჯდომარე პოზით იყვნენ და მარჯვნივ და მისმართულება სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ ჰქონდათ. მათ გარშემო შავი ფერი თიხის ქურქული იყო შემოწყობილი.

შიკვალბულების ჩონჩხთან ერთად, გარდა თიხის ქურქულისა, სამარეებში აღმოჩნდა საკმაო რაოდენობის სამაჯურები ბრინჯაოსაგან ნაკეთები, რკინის რგოლები, სერდოლიკისა და პასტის მძივები, მსხვილთავიანი პრიზმისა და კონუსისმაგვარი ორნამენტები „ქინძისთავები“ (რომლის მაგვარი ფრანგმა მეცნიერმა მორგანმა აღმოაჩინა ლეღვარში), ამულეტები, რკინის შუბის თავები, ბრინჯაოს ისრის წვერები, ფრაგმენტებად ქცეული რკინის იარაღი, ცხენის მოსართავის სამკაულები ბალთების სახით, ძვლის აბზინდი, ობსიდიანი და სხვა.

ერთ-ერთ აკლდამაში აღმოჩნდა ცამეტი ცალი თავებგახსნილი ბრინჯაოს სამაჯური და, რაც მეტად საინტერესოა, მსხვილი ძაფებით ნაკეთები შალის ქსოვილის ნიმუშები, რაც იშვიათ მოვლენას წარმოადგენს იმ დროის სამარეებისათვის.

სასაფლაოს ერთ ადგილზე აღმოჩნდა უსწორმასწორო ფორმის და თანაც დიდი ზომის ლოდი და ამ ლოდს ქვემოთ ორი მეტრის სიღრმეზე აღმოჩნდა ჩონჩხი, რომლის გარშემო ძაღლის თავის ქალა და ცხენის მთლიანი ჩონჩხი ელავა.

ადამიანის ნაშთებთან აღმოჩნდა დიდი ზომის ქინძისთავი, ბრინჯაოს კოჭის წვერი, რკინის შუბის თავი, დიდძალი სერდოლიკის მძივი, ამოღებულია ჯაოსაგან ნაკეთები ბრტყელი ქამრის ფრაგმენტები და სხვ.

ადამიანისა და ცხენის ერთად დამარხვა სხვა ადგილებშიც გვხვდება და იშვიათ მოვლენას არ წარმოადგენს არქეოლოგიაში.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ სამარებში აღმოჩნდა გახვრეტილი კაური. ეს გათხრები დიდ ინტერესს იწვევს, მით უმეტეს, რომ სამხრეთ საქართველო არქეოლოგიურად სრულიად შეუსწავლელია.

ჩვენ მიერ გათხრილ იქნა სასაფლაოს ერთი ნაწილი, გასათხრელი კიდევ ბევრი დარჩა. ამიტომ საჭიროა, რომ ინსტიტუტმა გააგრძელოს ზემოთ აღნიშნული სასაფლაოს გათხრა და თანაც არქეოლოგიურად შეისწავლოს მის მახლობლად მდებარე სხვა ძეგლებიც.

არქეოლოგიური ნაშთები ჩამოტანილია მარის სახელობის ინსტიტუტის ლაბორატორიაში და ვახდენთ მათ დასუფთავებასა და რესტავრაციას.

წინასწარი შესწავლით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენ საქმე გვაქვს მეცნიერებაში ცნობილ ე. წ. ხალდების კულტურასთან.

გათხრების მუშაობას ვაწარმოებდით 1937 წლ. 20 აგვისტოდან 4 სექტემბრამდის.

გ. ნიორაძე

## ა. კალანდაძე

### არმაზის არქეოლოგიური მსხველიცინის წინასწარი ანგარიში

საკ. მეცნ. აკადემიის საქ. ფილიალის ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის არქეოლოგიურ სამუშაოთა დღის წესრიგში 1937 წელს იდგა საქართველოს გმირული და მონათმფლობელური პერიოდების დამახასიათებელ მატერიალურ კულტურის ძეგლების გამოვლინება-შესწავლის საქმე. ამ მტკიცედ აღებული კურსის რეალიზაციისათვის საჭირო შეიქნა ფართო საკვლევადიებო არქეოლოგიურ სამუშაოთა წარმოება ისეთ რაიონებში, რომლებიც ყველაზე მეტად იძლეოდნენ ხსენებული პერიოდებისთვის განკუთვნილ ნივთიერი კულტურის ძეგლთა ნიმუშებს. ასეთ კულტურულ-ისტორიულ ერთეულს გეოგრაფიულად, ცხადია, ყველაზე მეტად დღევანდელი მცხეთა, არმაზი და მათი მიდამოები უპასუხებდნენ. ამიტომ არჩევანი ამ მხრივ თითქოს იმ თავითვე განსაზღვრული იყო.

სწორედ ამ მიზნით ხსენებული ინსტიტუტის მიერ 1937 წლის ივლისში შედგენილ იქნა არქეოლოგიური ექსპედიცია ამავე ინსტიტუტის ასპირანტ-ქალების: ვ. ი. აუმალის, ნ. ბ. ხოშტარას და მეცნ. თანამშრომლის ალ. კალანდაძის შემადგენლობით. ექსპედიციის მუშაობის ვადები 25 დღით იყო განსაზღვრული, ხასიათი მისი უმთავრესად დაზვერვითი, ხოლო მიზანი—საფუძვლის ჩაყრა მცხეთის რაიონის ისტორიული წარსულის შესწავლისათვის. ამასთანავე განსაკუთრებული ყურადღება უნდა ყოფილიყო მიქცეული ძველი საქართველოს საგულევებელი კულტურული ცენტრის, არმაზისადმი, სადაც დაზვერვითი თუ გათხრითი სამუშაოების (ამ უკანასკნელის სანქციაც გააჩნდა ექსპედიციას) მეოხებით შესაძლებელი ყოფილიყო ნიადაგის მომზადება მომავალ, დიდ, სტაციონარულ არქეოლოგიურ სამუშაოთა წარმოებისათვის.

მცხეთის რაიონი, სხვადასხვა ისტორიულ ეპოქათა შესახები ნივთიერი კულტურის ძეგლების სიუხვისდა მიუხედავად, არქეოლოგიური მხრით ვერ არის შესწავლილი, ან უკეთეს შემთხვევაში, სუსტად არის შესწავლილი. თუ რაიმე „წინაისტორიული“ პერიოდის ძეგლები კია დღემდე შემონახული და ჩვენი ცნობილი, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა (რომლებზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი) ამას ბედნიერ შემთხვევას უნდა ვუმაღლოდეთ. ჩვენდა სამარცხვინოდ უნდა ითქვას, რომ ჩვენი მუზეუმების არქეოლოგიურ კოლექციათა უმრავლესობა, რომელიც მცხეთის რაიონიდან წარმოსდგება, შეგროვილია ან ახალ მშენებლობათა ობიექტებზე წარმოებული მიწის სამუშაოების, ან განძის მაძიებელთა მოქმედების, ანდა სრულებით შემთხვევითად აღმოჩენა-მოპოვების შედეგად.



ამ მხრივ გამონაკლისს - შეადგენს: 1) ფ. ბაიერნის მიერ წარმოებული გათხრები სამთავროს სასაფლაოზე გასული საუკუნის 70-იან წლებში (1870-72) პროფ. გ. ნიორაძის გათხრები კარსნისხევის სასაფლაოს ქვაყუთებისა 1925 წელს<sup>2</sup>. გარდა ამისა, სხვადასხვა დროს ადგილი ჰქონდა არქეოლოგიურ გათხრებს (უმთავრესად სამარეების აღმოჩენა-გამოვლინების ხაზით), რომელთაც მეცნიერებაში არ ჰქონიათ საკმაო რეზონანსი და ამიტომ თითქმის შეუმჩნეველად ჩაიარეს<sup>3</sup>.

რაც შეეხება ფ. ბაიერნის გათხრებს, უნდა ითქვას, რომ ამ მეცნიერის ნამუშევარს თითქმის განძის მძიებლობითი ხასიათი ჰქონდა და უმთავრესად ემსახურებოდა სამარეებიდან ძვირფასი ნივთების მოპოვების საქმეს. სამწუხაროდ, ის არ ითვალისწინებდა იმ კულტურულ ფენათა გათხრა-შესწავლას, რომელთა დაკავშირება ყოველ ექვს გარეშე შეიძლებოდა სამარეებში აღმოჩენილ ადამიანთა მატერიალური და ფსიქიკური ცხოვრების დამახასიათებელ მოვლენებთან. მეცნიერების განვითარების მაშინდელი დონის გამო, ხსენებულ ავტორს არ შეეძლო გაეთვალისწინებინა, რომ დასაფლავების ჩვეულებანი და წესები, ჩვეულებები მიცვალებულთათვის ნივთების ჩატანებისა და საერთოდ ამასთან დაკავშირებული ატრიბუტები იდეოლოგიური რიგის მოვლენებს წარმოადგენს და ამდენად მათ შესწავლას შეუძლია მხოლოდ გაგვიშუქოს, ისიც არა სრულად, ადამიანთა სულიერი ცხოვრების ზოგიერთი მხარე, ხოლო უფრო არასრულად, მათი მატერიალური ცხოვრების წარმოების წესი.

ცხადია, ჩვენს ექსპედიციას ეს გარემოება მხედველობაში უნდა ჰქონოდა და, წარსულში ჩატარებულ კვლევა-ძიებათა ცალმხრივობის თავიდან აცილების მიზნით, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცია კულტურული ფენებისა და საერთოდ, საცხოვრებელი კომპლექსების აღმოჩენისათვის.

გათვალისწინა რა ზემოხსენებული გარემოება, აგრეთვე ჩაატარა რა წინასწარი მოსამზადებელი მუშაობა ექსპედიციის ლიტერატურული და ტექნიკური შეიარაღების სახით, უკანასკნელი გაემგზავრა ადგილზე 1937 წ. 18 ივლისს.

პირველი გასვლა სამუშაოზე ექსპედიციის მიერ მოწყობილ იქნა 19 ივლისს, როდესაც დათვალთქრებულ იქნა ადგილი, სადაც 1902 წ. ე. თაყაიშვილის მიერ წარმოებული იყო არქეოლოგიური გათხრები მოსკოვის საიმპერატორო არქეოლოგიური კომისიის დაეალებით<sup>4</sup>.

როგორც ხსენებული ავტორი უჩვენებს, მის მიერ გათხრილ-გამოვლინილ იქნა რიცხვით თორმეტამდე სამარხი-ქვაყუთი კარგად შენახული ჩონჩხებითა და შედარებით მდიდარი ინვენტარით<sup>5</sup>.

<sup>1</sup> იხ. Fr. Bayern — Untersuchungen über die ältesten Gräber und Schatzfunden in Kaukasien; Zeitschr. für Ethn..., 1872, 1878, 1882, 1883, 1884 და 1885 წლებისთვის. აგრეთვე ცალკე გამოცემა.

<sup>2</sup> იხ. გ. ნიორაძე — კარსნისხევის სასაფლაო, საქ. მეზემის შრომები, IV, ტფ. 1926 წ.

<sup>3</sup> მაგ., ექვ. თაყაიშვილის გათხრები ნავთსადენში და არმაზში; იხ. Известия Кавказского отделения имп. Московск. Археолог. Общества, выпуск I, 1904 г. стр. 79 и сл.

<sup>4</sup> იხ. ექვ. თაყაიშვილი, იქვე.

<sup>5</sup> შედარებით ჩვენ მიერ გათხრილი ქვაყუთებისა, რომლებიც ძლიერ დარიბ ინვენტარს იძლევა, იხ. ქვემოთ.



- 1. ԿՈՒՆԻՍՏԱՆ
- 2. ԿՈՆՏԱՆՍ
- 3. ԿՈՆՏԱՆ
- 4. ԿՈՆՏԱՆ
- 5. ԿՈՆՏԱՆ

Կոնստանդնուպոլիսի  
 Կոնստանդնուպոլիսի Կոնստանդնուպոլիսի

Կոնստանդնուպոլիսի ԱԲ կտրվածք



Կոնստանդնուպոլիսի ԿՈՆ կտրվածք



- Կոնստանդնուպոլիսի
- 1. ԿՈՒՆԻՍՏԱՆ
  - 2. ԿՈՆՏԱՆՍ
  - 3. ԿՈՆՏԱՆ
  - 4. ԿՈՆՏԱՆ
  - 5. ԿՈՆՏԱՆ



Ն. 1





ეს რიცხვი კარგად უდგება ამ ადგილზე ახლაც არსებულ, უკვე ბალახითა და ეკლით მოპარდნილ ორმოებს. მის მიერ აქ მოპოებულ ანტილოქტორ ნივთებზე და თვით სამარხ ქვაყუთების მოწყობილობა-ხასიათის შესახებ ჩვენ ვისაუბრებთ ქვევით, როდესაც ჩვენ მიერ გათხრილ ქვაყუთების საკითხს შევხებით. ქვემოთვე გვიქნება აგრეთვე საუბარი იმ დაზვერვითი სამუშაოების შედეგების შესახებ, რომლებიც მიღწეულ იქნა ნაწილობრივ მთავარი ნაგებობის გათხრაზე მუშაობის პარალელურად და, უფრო კი, ამ უკანასკნელზე მუშაობის შეჩერების შემდეგ.

ადგილი, სადაც ექსპედიცია პირველ დღეებშივე შეუდგა გათხრით სამუშაოებს, მდებარეობს სად. მცხეთიდან დასავლ. მიმართულებით  $1\frac{1}{2}$ —2 კილომეტრის მანძილზე, ა.-კ. რკ. გზის შტოს მარჯვნივ, სწორედ იქ, სადაც პატარა ლეღე, არმაზის წყალის სახელწოდებით, თავს აღწევს ვიწრო ხევს და გამოდის მდ. მტკვრის მეორე ტერასაზე. ჩვენი სამუშაოების უბანი მთავსებულია ხსენებული ლელის მტკვართან შესართავთან და უკირავს მისი მარჯვენა ნაპირის უმაღლესი (II) ტერასის ნაწილი.

ეს ტერასა, ვინემ არმაზის წყალი თავის კალაპოტს გასჭრიდა, უხვად ირწყვებოდა ამ უკანასკნელის წყლით და იღარებოდა არმაზის მთების კალთებიდან ჩამორეცხილი ქვა-ლორღითა და წვრილი ქვიშით. ამ დელუვიონური ჩამონარეცხების ნათელ სტრატეგრაფიულ სურათს გვაძლევს ჩვენი გათხრების პროფილები, რომლებზედაც საზღვრითი სიზუსტით გამოიყოფა მათი (დელუვიონური ჩამონარეცხების) სხვადასხვა დროის და სხვადასხვა სიმძლავრის ორი შრე. ეს შრეები ერთი და იმავე გეოლოგიური ეპოქის (გვიანი მეთოხეულის) ორი სხვადასხვა დროის პლუვიალურ პერიოდებს უნდა ეკუთვნოდნენ, რომელთა არსებობა არმაზის წყლის მოქმედების მაქსიმალური განვითარებით მტკიცდება (იხ. ნახ. 1, გათხრების სიგრძივი კრილი CD-ზე, მე-3 და მე-5 ფენა). სიმძლავრე კულტურული ფენისა, რომელიც ხსენებულ ორ შრეს შორის იყოფება, უდრის 0,20-დან—0,75 მეტრამდე (სურათი 1); სიღრმე ნიადაგის თანამედროვე დონიდან 1,20—1,45 მეტრია; მიწა მსხვილმარცვლოვანთა ჯგუფს ეკუთვნის, მოშავო ფერისაა და შეიცავს ძველი ქვის ხანის ნაშთებს ობსიდიანისა და, იშვიათად, კაყის ქვის იარაღებისა, უბრალო ანატეკებისა და წარმოების ნაყარის სახით. გარდა ამ ნაშთებისა, ეს ფენა სხვა დროის კულტურის ნიშნებს, აღრინდელის ან გვიანისა, არ იძლევა.


ამიტომ ამ ფენებიდან წარმოშობილი იარაღების ზემოპალეოლითურისად დათარიღება, ვგონებ, დავას არ უნდა იწვევდეს. პირიქით, ეს თარიღი ერთდერთ შესაძლებელ თარიღად რჩება აქაურ იარაღთა მორფოლოგიისა და მათი პოვნის სტრატეგრაფიული პირობების შესწავლის წყალობით<sup>1</sup>. ეს კულტურული ფენა პალეოლითისა ვრცელდება მთელ მოედანზე, რომელიც კი ჩვენს მიერ იქნა გათხრილი; მისი სიმძლავრე მცირდება მხოლოდ გათხრების მოედნის სამხრეთ-

<sup>1</sup> უნდა ითქვას, რომ მდ. მტკვრის ტერასების გეოლოგიური დათარიღების საკითხი დღემდე მოგვარებული არ არის; მიუხედავად ამისა, ამ მდინარის მეორე ტერასის მეოთხეულის ასაკი ეჭვს არ იწვევს.



დასაყვამით ნაწილი, ე. ი. ღელის მიმართულებით; ეს გასაგებიცაა ეგრეთვე არმაზის წყლის მიერ მისი კალაპოტის გაჭრის დროს ჩამომრეცხვადი ნაწილი. ველი მოქმედება მდინარისა უფრო მეტად შეეხო უკანასკნელის ნოლას (пояма), ვიდრე მისგან დაშორებულ რაიონს.

პალეოლითურ კულტურულ ფენაში აღმოჩენილი ნაშთებიდან უნდა დასახელდეს ობსიდიანის, იშვიათად კაყის, მოგრძო ლამელზე დახელოვებული რეტუსით გაფორმებული საფხეკები სხვადასხვა ტიპისა, დანისმაგვარი მოგრძო გვერდებრეტუსირებული ლამელემა, დამუშავებული ანატკეცები უმთავრესად



სურ. 1.

№ 10 ფართობის მეორე შუალედს O—ტრილი და ნაწილი N—ტრილისა; ხედი SW—მხრიდან.

ობსიდიანისა, მიკროლამელემა რეტუსით მეცლის მხარეზე, საჭრისემა ორივე მასალისგან, წვეტანემა, შვილდისრის წვერი (ერთი ცალი) სამკუთხედის ფორმისა, წნევითი ტექნიკით დამუშავებული, ნუკლეუსემა (ცოტა რაოდენობით) და დასასრულ, დაუქმავებელი ანატკეცემა, ანამტვრევემა და წარმოემის ნარჩენემა საკმაო რაოდენობით.



ჩამოთვლილ იარაღთა ფორმები, ასორტიმენტი და მათი შემადგენლობის ტექნიკურ ჩვევათა კონკრეტული გამოვლინების სახეები, მიგვათითებენ მატერიალური კულტურის განვითარების იმ საფეხურზე, რომელსაც არქეოლოგიური პერიოდინატივისდა თანახმად ზემო პალეოლითის ფინალს ვუკავშირებთ.

შიძლემოდა დასმულიყო საკითხი იმის შესახებ, რომ მატერიალური კულტურის ნაჩვენები ნაშთები არ არის ადგილობრივი წარმოშობის, რომ ის მოტანილია ამ ადგილზე ადამიანთა მიერ რაიმე გარკვეული, მაგალითად, რიტუალური მიზნით; მაგრამ საკითხის ასეთ დასმას ეწინააღმდეგება სამი მეტად საყურადღებო გარემოება:

1. სტრატეგრაფიული მომენტი, რომელიც მიგვათითებს ამ ადგილის ათვისებაზე ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში (ასეთი რიგის ნაშთების შემცველი ფენა ზოგჯერ 0,80 მეტრამდე აღწევს),

2. იარაღებთან ერთად ნუკლეუსებისა და წარმოების ნარჩენების დიდი რაოდენობით ადგილზე პოვნის ფაქტი, რაც ამტკიცებს იარაღების ადგილზე წარმოებას, და

3. რელევიურ-კულტობრივ მიზნებთან იარაღთა წარმოების ასეთი მასური ხასიათის შეუსაბამობა.

მაშასადამე, შიძლება დავასკვნათ, რომ აქ საქმე გვაქვს პირველყოფილი ადამიანის პალეოლითურ სადგომთან არმაზში, რომელიც თავისი ხელსაყრელი ბუნებრივ-კლიმატური პირობების გამო ათვისებული ყოფილა ადამიანის მიერ ხანგრძლივი დროის განმავლობაში. ამ მხრივ ის კვლევის სათანადო დარგში უთუოდ ყურადსაღები მოვლენაა, როგორც ასეთი რიგის მოვლენათა შორის პირველი შემთხვევა აღმოს. საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენისა და ისიც სტრატეგრაფიულად დასაბუთებულისა.

გაცილებით მეტი ხვედრითი წონა ექსპედიციის მუშაობაში, მეტი დრო, ენერგია და სახსრები მოინდომა იმ, ნიადავის ქვეშ სრულიად დაფარული, ძველი ნაგებობის გათხრა-გამოვლინების საქმეში, რომლის უმკველ კვალს წააწყდა ექსპედიცია თავისი მუშაობის პირველ დღესვე.

ექსპედიციის  $2\frac{1}{2}$  თვის მუშაობის შედეგად ადგილზე, მუშათა რიცხვის ცვალებადი შემადგენლობის საშუალებით, გათხრილ იქნა 500-ზე ცოტათი მეტი კვადრატული მეტრი ფართობი, რომელზედაც გამოკლენილ იქნა:

1. უძველესი საყოფაცხოვრებო მნიშვნელობის ნაგებობა აბანოს სახით—საღმწინებლო ხელოვნების მონუმენტალური ძეგლი (მოლიანად არ არის გამოვლენილი, რისთვისაც საჭიროა გათხრების გაგრძელება აღმოს. და დასავლ. მიმართულებით).

2. გვიანი დროის ჯერ კიდევ გაურკვეველი ხასიათის ნაგებობის ნაშთები (საჭიროებს გათხრებს სამხრეთისა და დასავლეთის მიმართულებით), და

3. სამარხი ქვა-ყუთები, რიცხვით 11-მდე.

## I ა ბ ა ნ ო

როგორც აღნიშნული გეკონდა, ეს ნაგებობა მთლიანად არ არის გათხრილი, მისი გამოვლენილი ნაწილი მოიცავს 207 კვადრატულ მეტრ ფართობს (23 მეტრი სიგრძე  $\times$  9 მეტრი სიგანეზე); როგორც ჩანს, სიგრძე შენობისა  $2\frac{1}{2}$ -ჯერ (ცოტა მეტრითაც) აღემატება მის სიგანეს; გარდა ამისა, ეს შეფარდება უძველესად გაიზრდება სიგრძის სასარგებლოდ შენობის აღმოსავლეთი ნაწილის გამოვლინების შედეგად. ნაგებობის კედლები, როგორც ნათქვამი იყო, მთლიანად დაფარული იყო მიწით 0,45—0,50 მეტრის სიღრმეზე დედამიწის თანამედროვე ზედაპირიდან. საერთოდ შენობა ერთ მთლიან, მონუმენტალურ ძეგლს წარმოადგენს მტკიცე, კომპაქტური დეტალებით; მისი კედლები ამოშენებულია ადგილობრივი შთის ჯიშების მოკრილი (пшани) ქვებისა და ფილებისაგან  $0,26 \times 0,11 \times 0,7$  მეტრიდან  $0,51 \times 0,33 \times 0,12$  მეტრამდე ზომებით; ქვები შეკავშირებულ-შემტკიცებულია კირ-ლამით; აქ ჩვენ საშუალება გვაქვს ნათლად დავინახოთ საშენებელ ქვათა წესიერი წყობის, მათი გადაბმისა და შედუღაბების, შენობის საფუძვლისა და ცოკოლის, აგრეთვე ცალკეული არქიტექტურული დეტალების გაფორმების საკმაოდ განვითარებული დახელოვნება. შენობის საკმაო სიმაღლე უზრუნველყოფილი იყო 0,95—1,00 მეტრის სისქის მასური კედლებით, საზღვრითი კედლების სისქე კი 1,50 მეტრსაც აღწევს.


1937 წლის გათხრების მეოხებით მოხერხდა სამი სადგომის მთლიანად გათხრა, ხოლო ორისა ნაწილობრივ, რომელთაგან ერთი წარმოადგენს კალორიფერის ნაწილს ნაგებობის აღმოს. ნაწილში, მეორის ფუნქცია ჯერ გარკვეული ვერ არის და მდებარეობს მის დასავლეთ ნაწილში (ნახაზი 2, 3—გათხრების გენერალური გეგმა; ნახაზის დატუშული ნაწილი).

დავიწყეთ უკანასკნელიდან: ამ სადგომის (№ 1) კედლებიდან ჯერჯერობით გვაქვს აღმოსავლეთი და სამხრეთი კედლები, დბ დასავლეთი კედლის უმეტესი ნაწილი. სადგომის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში არის კედლის წყვეტილი 0,80 მეტრის სიგრძისა, რომელიც თავის დროზე, ალბათ, სადგომში შესავალს წარმოადგენდა (ნახ. 2, II, მარცხნივ); ის გათხრამდე სრულებით ამოცხვებული იყო მიწით და ამნაირად იმაგრებდა სადგომის ამ კუთხიდან დაწყებულ, სამხრეთის კედელზე არასიმეტრულად დაშენებულ ვიწრო მეორად კედელს (ნახ. 2, s მარჯვნივ). სადგომის შინაგანი კვადრატურა უდრის 49,83 მეტრს.


სადგომი № 2, შინაგანი კვადრატურით 25,0 მეტრი, გამოვლენილია მთლიანად; მისი სამხრეთი კედლის სიგრძე 4,60 მეტრია, სისქე 1,30, ხოლო სიმაღლე 1,50 მეტრი, შემდეგ კი მიდის მოშავო ფერის მიწის ფენა ბალეოლითური ნაშთებით და უძველესი დელევიონი; კედელი 1,20 მეტრის სიმაღლეზე კარგად არის ამოყვანილი და კირითაა შედუღაბებული; ამის ქვევით, სიღრმეზე მიდის საფუძველი შეუდუღაბებელი, დაუდევრად ჩაწყობილი ქვების სახით; კედელს შუა ნაწილში აქვს 1,20 მეტრის სიგრძის და 0,55 მეტრის სიმაღლის

Գլխու  
 Վարդապետական Եկեղեցի  
 Երևան քաղաքի Կենտրոնում

- |             |            |
|-------------|------------|
| 1 Արևմտյան  | 11 Մուտք   |
| 2 Արևմտյան  | 12 Կապույտ |
| 3 Կապույտ   | 13 Կապույտ |
| 4 Արևմտյան  | 14 Կապույտ |
| 5 Արևմտյան  | 15 Կապույտ |
| 6 Արևմտյան  | 16 Կապույտ |
| 7 Արևմտյան  | 17 Կապույտ |
| 8 Արևմտյան  | 18 Կապույտ |
| 9 Արևմտյան  | 19 Կապույտ |
| 10 Արևմտյան | 20 Կապույտ |



Տվ. 2



683

Գլխի  
 Գրասենյակի և Գրասենյակի մեջ  
 Գրասենյակի և Գրասենյակի մեջ




ՀՀ ԳՆԱԿԱԿԱՆՈՒԹՅԱՆ  
 ԱՐԿԻՏԵԿՏՆԱԿԱՆ ԳՐԱԿԱՆԱԿՈՒԹՅԱՆ  
 ՆԱԽԱՐԱՐՈՒԹՅԱՆ ԳՐԱԿԱՆԱԿՈՒԹՅԱՆ  
 ԳՐԱԿԱՆԱԿՈՒԹՅԱՆ ԳՐԱԿԱՆԱԿՈՒԹՅԱՆ



ՀՀ ԳՆԱԿԱԿԱՆՈՒԹՅԱՆ ԱՐԻՏԵԿՏՆԱԿԱՆ ԳՐԱԿԱՆԱԿՈՒԹՅԱՆ ՆԱԽԱՐԱՐՈՒԹՅԱՆ ԳՐԱԿԱՆԱԿՈՒԹՅԱՆ

წვეტილი, რომელიც შენობის მეორე იარუსში სამხრეთიდან შესვლის ნაშთ-  
 წარმოადგენს (ნახ. 2, ი, მესამე მარჯვნიდან, აგრეთვე ნახ. 3).<sup>1</sup> კედლის სიგრძე—6,50, სისქე—1,30, სიმაღლე—2,20 მეტრია. კედლის კარგად  
 ამოყვანილი, კირით შედუღებული, ზემო ნაწილის სიმაღლე 1,10 მეტრია;  
 შემდეგ მიდის უწესრიგოდ ჩაყრილი ქვები შემაკავშირებელი მასალის გარე-  
 შე—საფუძველი, რომელიც აგრეთვე 1,10 მეტრის სიმაღლეზე იქნა გამოვლენი-  
 ლი (ის კიდევ ღრმად მიდის მიწაში) და სიმაღლით შეეფერება: 1. პალეოლი-  
 თური ფენის მომდგენო ღია ფერის თიხის ფენას 0,55 მეტრის სიმაღლით,  
 2. უძველესი დელევიონის ფენას 0,35 მეტრის სიმაღლით და, 3. ლიოსისე-  
 ბური თიხნარის მიწის ფენას 0,20 მეტრის სიმაღლით<sup>1</sup>. ამ კედელში სა-



სურ. 2.

სამარხი № 1 და 2 სადგომების სახლივით კედელში O—მხრიდან; სამარხის  
 კედლების წამოშვებული ნაწილების შესამარგებლად მათ ქვეშ დატოვებულა  
 მიწის ფენათა ბუნებრივი განლაგება.

დგომის სამხრ.-დასავლ. კუთხიდან 1,70 მეტრის, ხოლო ჩრდ.-დასავლ. კუთხი-  
 დან 3,0 მეტრის მანძილზე კედლის განივად დუღაბიანი კირ-ქვით ჩაშენებული-  
 იყო სამარხი (განაზომები და სხვა ცნობები იხ. ქვემოთ), რომლის კედლების  
 წამოშვებული ბოლოების ქვეშ ფენათა თანმიმდევრობის თვალსაჩინოებისათვის  
 დატოვებულ იქნა მიწის ფენათა მონოლიტები (ნახ. 3 და 2; სურათი 2).

<sup>1</sup> ამ უკანასკნელი ფენის სიმაღლერე გაცილებით მეტია, მაგრამ რაკი კულტურული  
 ფენები უკვე ამოწურული იყო და აგრეთვე ნაგებობის საფუძველი ადგილ-ადგილ გამოჩვენ-  
 ლი, უფრო ღრმად წასვლა ზედნს მიხანს აღარ შეადგენდა.




აბანო

მცხეთა

ზემო იარუსის გეგმა

არქიტექტურული გათხრობი არძაბში 1937 წ

- ა) საბინი
- ბ) საკმარები
- გ) არხები მხალი ქაართათის
- დ) საღებრი მხალი ქაართათის
- ე) საღებრი შიდა ქაართათის
- ვ) ნახაარ-არხ ნიშანი
- ზ) ზონიკა
- თ) წაღწაღწი მიღები
- ი) მდინარის იარუსი
- კ) გარდაღები
- ლ) კიბე



საქართველოს რევოლუციური არქიტექტურის ინსტიტუტი



ს. პ. ბერიძის მიერ შედგენილი არქიტექტურული გეგმა

ჩრდილო კედლის სიგრძე—4,60; სიმაღლე (გამოვლენილი ნაწილის) 1,10, ხოლო სისქე 1,50 მეტრია. მისი ზემო ნაწილი, ისე როგორც დასავლეთი კედელი, 1,10 მეტრის სიმაღლეზე ცოტად თუ ბევრად მოხერხებული ფილებით არის აშენებული და ჩადღობებული; ამის შემდეგ კი სიღრმეზე იწყება რიყის დიდი ქვებისაგან, შემაკავშირებელი მასალის გარეშე, აშენებული ნაწილი კედლისა, რომელიც ფუნდამენტის დასაწყისი უნდა იყოს. ამ სადგომის აღმოს. კედელი არის თალიანი ნიშის შქონე № 3 სადგომის დასავლეთი კედელი; მისი სიგრძე 4,50, სიმაღლე 2,70, ხოლო სისქე 0,95 მეტრია. 1,85 მეტრის სიმაღლეზე კედელი სუფთად არის ნაშენები; შემდეგ მიღის ერთწყებად დაწყობილი კირით შემტკიცებული დიდი ქვები, ზომით 0,24×0,19 მეტრიდან 0,57×0,32 მეტრამდე (კრილში). ამ სიმაღლეზე კედლებს კარგად ეტყობა, რომ ისინი გარედანაც



სურ. 3

საცეცხლის საერთო ასახელობა NW—შარიდან გაშენების შემდეგ.

კირით ყოფილა გალესილი; უფრო ღრმად მიღის რიყის ქვებისაგან ნაშენი ფუნდამენტი, რომელიც გამოვლენილ იქნა 0,52 მეტრზე; აქაც საძირკველი ღრმად მიღის მიწაში; 1,75 მეტრის მანძილი ამ კედლისა ამოშენებულია ხუთწყება ქვებისაგან შედგენილი უბეში კედლით, სიგრძით 1,75, სიმაღლით 0,80 და სისქით 1,30 მეტრი.

№ 3 სადგომი წარმოადგენს პატარა ოთახის-მაგვარ ნაგებობას, რომლის შინაგანი ფართობი უდრის 7 კვადრატულ მეტრს. სადგომის დასავლ. კედელ-


მცხეთა

არქეოლოგიური გათხრები არმაზში 1937წ

ახანო

ქვემო იარუსის გეგმა

- ა) სასახლე
- ბ) კალონივერი
- გ) ნიშები
- დ) ხეჩუცილები



საქართველოს  
მეცნიერებათა  
აკადემია




ინჟინერ-არქიტექტორი ივანე ჯავახიშვილი

მეხეთა

არქეოლოგიური გათხრები არაბში 1957წ

ურთი EF-ზე




ნა. 6

ქართული  
მეცნიერებათა  
აკადემია





ში გარკვევით ჩანს შემდეგ ჩაშენებული ნაწილი, რომელიც თავის დეტალურ აღწერაში ბათ, ნაგებობის ქვედა იარუსში შესაეაღს წარმოადგენდა. სამხრეთ-აღმოსავლეთით კი გომის სამხ.-დასავლ. კუთხეში აქვს 1,05 მეტრიანი წვეტილი, საიდანაც ქვის საფეხურების საშუალებით შეიძლება საცეცხლეში ჩასვლა (ნახ. 2, ი, მესამე მარცხნიდან; აგრეთვე ნახ. 3 და 4, პ). სადგომის სამხ.-აღმოს. კუთხესთან, აღმოსავლეთ კედელში გამართულია 1,65 მეტრის სიმაღლის თალიანი გამჭოლი ნიში, რომლის კონქი (კამარა) კიდებდადაცეცილი ბრტყელი კრამიტისა და



სურ. 4.

საცეცხლე და სვეტებიანი სადგომი № 1 W—მხრიდან; გასავალი პიორელიდან მეორეში „კამერების“ ქვეშ.


კვადრატული აგურებისაგან კირის საშუალებით მტკიცედ შეკრულს ნახევარ-წრეს წარმოადგენს (სურ. 3; აგრეთვე ნახ. 5, 4, 6).

კამარის უდიდესი სიფართოე უდრის 1,00 მეტრს; რადიუსი კი 0,50 მეტრს. სიღრმეში კამარა ვიწროვდება კამარის შიგნით დამატებითი მიშენების შედეგად, და უკვე პატარა ხერცხლის საშუალებით უერთდება მეორე იარუსზე მოწყობილ კამერის მსგავს ნაშენობას; საფუძვრებელია, რომ ეს პატარა ხერცხილი ემსახურებოდა სითბოს გადაცემას საცეცხლიდან მეორე იარუსში და სა-



კიროების მიხედვით იღებოდა და იხურებოდა რომელიმე ლითონის ქვეყნის მშენებლობით. ნიშის შესავალიდან უბრალო კირ-ქვის ფილებისაგან მონაკვეთებისაგან ტამენტზე დევს დიდი ქვა, რომელიც ერთი შეხედვით en face უხეშად გამოყვანილ „მ“-ს მოგვაგონებს. თუ ეს ჩვენ მიერ აღწერილი არქიტექტურული დეტალი კალორიფერის საცეცხლეს წარმოადგენს, მაშინ ეს ქვა ცეცხლის ნორმალური განაღების ერთ-ერთ უზრუნველყოფ მომენტს უნდა წარმოადგენდეს; რომ აქ მართლაც საცეცხლე უნდა იყოს, ამის დამამტკიცებელ ფაქტს ამ სადგომის საგანგებოდ დატკეპნილი იატაკის მთელ ფართობზე და თვით საცეცხლის იატაკზე წარმოქმნილი 0,50 მეტრის სიმაღლის ნაცრის ფენა და ხის ნახშირის ფრაგმენტები წარმოადგენს.

როგორც მე-4 ფოტო-სურათიდან აშკარად ჩანს, საცეცხლის ხერეტილს მიყვავართ № 4 სადგომში, რომელმაც თავისი გაფორმების სინტერესო დეტალები შემოინახა. პირველ ყოვლისა აქ ჩვენ გვაქვს კალორიფერი (ნახ. 5, ქვემო იარუსის გეგმა, ხ, აგრეთვე სურ. 5, 6 და სხვა). იატაკის მთელ ფართობზე




სურ. 5.

№№ 1 და 2 სვეტებიანი სადგომები მოსაზღვრე კედლით, რომელშიაც ჩანს გასავალი და 3 შემავრთებელი ხერული ო მხრიდან.

(12 კვ. მეტრი) გარკვეული წესის დაცვათ ამოყვანილია 1,10 მეტრის სიმაღლის, მრგვალი აგურებისაგან შემდგარი სვეტები (ა). მანძილი სვეტებს შორის მერყეობს 0,30—0,34 მეტრს შორის. სვეტები კედლების გასწვრივაც არის ამართული და მაშინ ისინი პატარა ზომის პილასტრებს მოგვაგონებს; უკანასკნელ



შემთხვევაში აგურის ფორმა უმეტესად ოთხკუთხია, ან კვადრატული (0,25x0,25), ან მოგრძო ფორმის (0,30x0,20). აგურების უმეტესობა ტიპურია (0,20 მეტრი დიამეტრით) სისქით 0,03—0,04 მეტრი. სვეტების საფუძვლად ხშირად გამოყენებულია ასეთივე მრგვალი აგურები, მხოლოდ შედარებით მოდილო ზომისა (0,22—0,23 დიამეტრით, ნახ. 5—ორმაგი წრეები). № 5 ნახაზზე (ქვემო იარუსის გეგმაზე) 1-ით აღნიშნული დეტალები წარმოადგენენ ზევით აღნიშნულ პილასტრებისმაგვარ ნახევარსვეტებს; უკანასკნელთა და საშრეთ კედელს შორის დატოვებულია სიცილიერე ცხელი ჰაერის სამოძრაოდ.



სურ. 6.

№ 1 სვეტებიანი საფეხში NO—მხრიდან დიდი ფილაქვის გამაგრების შემდეგ.

სვეტების საფუძვლები, როგორც იყო ნათქვამი, მოთავსებულია უშუალოდ იატაკზე, რომელიც სპეციალურადაა მოტკეპნილი კირითა და მიწით. სვეტების შემადგენელი ცალკეული აგურები ერთი მეორესთან აგრეთვე კირის საკმაოდ სქელი ფენითაა შემტკიცებული. გარდა ამისა, თვით სვეტები ყოველმხრივ შემოლესილია კირ-ლამით, რომელშიაც მსხვილად დანაყილი კარგად გამომწვარი აგურის ნამცეცები უნდა ერიოს. კირისა და დანაყილი აგურის ან კრამიტის ერთმანეთში გახსნა და შემოსავლეს მასალად ქცევა არ ეწინააღმდეგება ფაქტებს სააღმშენებლო ხელოვნების ისტორიიდან; პირიქით, ასეთი ხსნარი ძველად საუკეთესო ცეცხლგამძლე საშუალებად ითვლებოდა<sup>1</sup>.



<sup>1</sup> შტრ. В и т р у в и й, Десять книг об архитектуре, изд-ство Вессоуж. акад. арх-ры, Москва, 1936 г., V, 10.3 стр. 107. აგრეთვე Realencyclopedie Pauly-Wissowa, სიტყვის Signinum opus—ქვეშ.

ცხელი NP-ზე

მცხეთა

არქეოლოგიური გათხრები აკმაპში 1937წ

- ბ) საძირკვლის პილოტი
- ბ) პილოტი
- ვ) პილოტი
- კ) საძირკვლის
- ჩ) პილოტი
- ღ) საძირკვლის პილოტი
- ც) პილოტი
- ძ) საძირკვლის პილოტი




გვ. 7

საქართველოს  
არქიტექტურის  
ინსტიტუტი





ამ სადგომში შემონახულია სულ 33 სვეტი; როგორც ამას, გვეჩვენებენ ჩვენებს (ნახ. 5—ქვემო იარუსის გეგმა) მათი რიცხვი 39 უნდა ყოფილიყო ამ ადგილის დროზე. როგორც ჩანს, სვეტები ზევიდან პერმეტულად გადახურული ყოფილა თიხის კარგად გამოწვეარი სბეციალური ფილებით (ნახ. 7, კრილი N 1-ზე, 1; აგრეთვე ნახ. 1, განივი კრილი AB-ზე, სვეტებს ზემოდან შავად დატუშული ზოლი), რომლის ნაშთებს-ღა მოვასწავრით სადგომის ჩრდილო კედლის გასწვრივ ამართულ ოთხი სვეტის თავზე (სურ. 7); ეს კერამიკული



სურ. 7.

№ 1 სვეტებიანი სადგომის ჩრდილო ნაწილი, სვეტებზე დაყრდნობილი ექსტერიით.

ფილები კარგად არის შენახული სადგომის სამხრეთ ნაწილში, საცეცხლის გასწვრივ აღმოსავლეთისაკენ „კამერების“ ქვეშ (სურ. 6 და 8); მათი ზომა უმნიშვნელოდ ცვლადობს  $0,55 \times 0,60 \times 0,03$  მეტრიდან  $0,60 \times 0,63 \times 0,04$  მეტრებში. სვეტებზე ისე იყო ფილა დადებული, რომ უკანასკნელის 4 კუთხე 4 უახლოესი კოლონის თავის მეოთხედებს ეყრდნობოდა; რაც შეეხება კედლების გასწვრივ ამართულ სვეტებს, ფილა აქ მათი თავის უკვე ნახევარზე იყო დაყრდნობილი.


კერამიკული ფილების ნაწიბურებს შორის არსებულ გადაულაზავ სივრცეს, ალბათ, ავსებდნენ ცეცხლგამძლე ხსნარით<sup>1</sup> (კირისა და დანაყილი კრამიტისა), ხოლო შემდეგ ზევიდან გლესდნენ კირის სქელი ფენებით, რომლებიც იმავე დროს

<sup>1</sup> Витрувий, 1, 2, 3.



წარმოადგენდა ზემო იარუსის იატაკს (სურ. 6—გათლილი ქვის უკანკუწული ხის ფილების ნაშთების ზემოდან; 4 და 8, ხის საბჯენებს ზემოდან<sup>1</sup> ქვითა და ხე-  
ვე ნახ. 4, 7 და 8, x). ხსენებული კერამიკული ფილების კალორიფერისკენ მიქცეულ ზედაპირებზე ვხვდებით ობისმაგვარ ნაფიფუს, რომელიც, უმკველია, სითბოს ინტენსიური მოქმედების შედეგია. ყოველი კერამიკული ნაწარმი ზედ-  
მეტი გამოწვის შედეგად თავის ზედაპირზე ასეთ მოთეთრო-მონაცრისფრო ფერს ითვისებს.

ამგვარად, № 4 სადგომი ასეთი საგულდაგულო გადახურვის შედეგად შიგნიდან წარმოადგენდა ზედმიწევნით მჭიდროდ შეკრულ სივრცეს, უზრუნველ-



სურ. 8

№ 1 სვეტებიანი სადგომის აღმოს. ნაწილი N—მხრიდან.

ყოფილს ჰაერის ნორმალურა ცირკულაციით, აგრეთვე სადგომის კუთხეებში ვერტიკალურად ჩატანებული თიხის მილებით (სურ. 7, აგრეთვე ნახ. 4, ზემო იარუსის გეგმა, d; 2 ძირითადი ნაგებობის გეგმა, d; 1, განივი კრილი AB-ზე, d). ჩრდ.-დასავლ. კუთხეში ჩატანებული მილი (ერთი მეორეზე წაბმული ორი ან სამი) ოდნავ გადაბრლია ჩრდილოეთისკენ, რომლის ქვედა ბოლო კარგად ჩანს ჩრდილო-დასავლ. კუთხეში ამოყვანილი სვეტის ახლოს; ასევე გადაბრლია სამხრეთისაკენ სამხრ.-აღმოს. და სამხრეთ-დასავლ. კუთხეებში


<sup>1</sup> მე-8 სურათზე სვეტის თავზე ჩანს შემოსავლენი მასალის ფრაგმენტი, ჩვენს მიერ ექსპონირებული.

ქრონიკა DC-ზე

- 1) ნაპოვნი
- 2) ნაპოვნი
- 3) ნაპოვნი ძველი ქვეყნის
- 4) ნაპოვნი
- 5) ნაპოვნი
- 6) ნაპოვნი
- 7) ნაპოვნი
- 8) ნაპოვნი
- 9) ნაპოვნი
- 10) ნაპოვნი
- 11) ნაპოვნი
- 12) ნაპოვნი
- 13) ნაპოვნი
- 14) ნაპოვნი
- 15) ნაპოვნი
- 16) ნაპოვნი
- 17) ნაპოვნი
- 18) ნაპოვნი
- 19) ნაპოვნი
- 20) ნაპოვნი
- 21) ნაპოვნი
- 22) ნაპოვნი
- 23) ნაპოვნი
- 24) ნაპოვნი
- 25) ნაპოვნი
- 26) ნაპოვნი
- 27) ნაპოვნი
- 28) ნაპოვნი
- 29) ნაპოვნი
- 30) ნაპოვნი
- 31) ნაპოვნი
- 32) ნაპოვნი
- 33) ნაპოვნი
- 34) ნაპოვნი
- 35) ნაპოვნი
- 36) ნაპოვნი
- 37) ნაპოვნი
- 38) ნაპოვნი
- 39) ნაპოვნი
- 40) ნაპოვნი
- 41) ნაპოვნი
- 42) ნაპოვნი
- 43) ნაპოვნი
- 44) ნაპოვნი
- 45) ნაპოვნი
- 46) ნაპოვნი
- 47) ნაპოვნი
- 48) ნაპოვნი
- 49) ნაპოვნი
- 50) ნაპოვნი
- 51) ნაპოვნი
- 52) ნაპოვნი
- 53) ნაპოვნი
- 54) ნაპოვნი
- 55) ნაპოვნი
- 56) ნაპოვნი
- 57) ნაპოვნი
- 58) ნაპოვნი
- 59) ნაპოვნი
- 60) ნაპოვნი
- 61) ნაპოვნი
- 62) ნაპოვნი
- 63) ნაპოვნი
- 64) ნაპოვნი
- 65) ნაპოვნი
- 66) ნაპოვნი
- 67) ნაპოვნი
- 68) ნაპოვნი
- 69) ნაპოვნი
- 70) ნაპოვნი
- 71) ნაპოვნი
- 72) ნაპოვნი
- 73) ნაპოვნი
- 74) ნაპოვნი
- 75) ნაპოვნი
- 76) ნაპოვნი
- 77) ნაპოვნი
- 78) ნაპოვნი
- 79) ნაპოვნი
- 80) ნაპოვნი
- 81) ნაპოვნი
- 82) ნაპოვნი
- 83) ნაპოვნი
- 84) ნაპოვნი
- 85) ნაპოვნი
- 86) ნაპოვნი
- 87) ნაპოვნი
- 88) ნაპოვნი
- 89) ნაპოვნი
- 90) ნაპოვნი
- 91) ნაპოვნი
- 92) ნაპოვნი
- 93) ნაპოვნი
- 94) ნაპოვნი
- 95) ნაპოვნი
- 96) ნაპოვნი
- 97) ნაპოვნი
- 98) ნაპოვნი
- 99) ნაპოვნი
- 100) ნაპოვნი

მცხეთა

არქეოლოგიური გათხრები 1957 წ.



ნახ. 8





ჩატანებული მილებიც, რომელთა ქვედა ბოლოებიც ჯერჯერობით არ არის მი-  
გნებული. მილების სიგრძე უდრის 0,40—0,42 მეტრს, უდიდესი <sup>1</sup> (ნახ. 1) —  
0,18 მეტრს; მილის კედლის სისქე 1,5 სანტიმეტრს. მანძილი მილებს შორის  
უდრის 3,0 მეტრს. ცხადია, უკანასკნელთა საშუალებით ხდებოდა კალორიფე-  
რის ვენტილაცია.

e და f (ნახ. 4 და 2) წარმოადგენენ პატარა „კამერების“ მსგავსს, შიგნი-  
დან შრუწველობით გაღვსილ მოპირკეთებულ ოთხკუთხე ნაგებობებს (f ზომით  
1,07×1,07 მეტრია; e 1,07×1,40 მეტრი), რომლებიც, საფიჭრებელია, გამო-  
ყენებული იყო ცხელი და ცივი ქვაბებისთვის (სურ. 3); მათ შორის e შესაძლე-  
ბელია, — ცხელისთვის, როგორც საცეცხლესთან (a) ახლოს მყოფი და მასთან  
ხერტილით შეერთებული. „კამერებს“ ურთიერთისაგან ჰყოფს თითქმის კვად-  
რატული (სიმაღლე—0,95 მეტრი) კარგად გათლილი ფილაქვა, რომლის ორი-  
ვე ზედაპირიც აგრეთვე შეღვსილია (ნახ. 8, ჭრილი DC-ზე, y); მათ ჩრდილო  
მხრიდან იატაკის დონეზე ეკვრის დიდი ზომის (2,10×0,55 მეტრზე) ოსტატუ-  
რად გათლილი ფილაქვა (ნახ. 4, 7, 6 და 2; აგრეთვე სურ. 3—და სხვ.).

ამ (№ 4) სადგომის ჩრდილო კედელში მოწყობილი იყო ექსედრა — ნა-  
ხევრად მრგვალი ნიში, რომლის რკალის სიგრძე 1,96, ხოლო სიმაღლე 1,17  
მეტს უდრის, ექსედრის ჭორბა—1,75 მეტრს; ექსედრის შინაგანი ვერტიკალუ-  
რი ზედაპირი ამოყვანილია ერთ დონეზე გამწკრივებული, ერთი-მეორესთან  
მკიდროდ მიდგმული და ვერტიკალურად დაშვებული კიდებგადაკეცილი  
ბრტყელი კრამიტებით (სურ. 7, აგრეთვე ნახაზი 4 და 8, c); ადგილზე შემონა-  
ხული კრამიტების რაოდენობა 7-ია. კრამიტების გადმოკეცილი მხარეები, რო-  
მელთაც შუაზე სეგმენტისებური ამონაჭრები აქვს, გარემოჭყუულია და კედლებზე  
მკიდროდაა მიყრდნობილი; ასევეა იზოლირებული „კამერების“ შეღვსილი შიგა  
კედელი <sup>1</sup> შენობის ძირითადი კედლისაგან (იგივე და 8 ნახაზი, g). ბრტყელი  
კრამიტების ასეთი განლაგება და მათი გადმოკეცილი კედლების სეგმენტისებუ-  
რი ამონაჭრების ერთ ჰორიზონტალურ ხაზზე მოთავსება ექსედრის, აბაზანისა  
და „კამერების“ შიგა კედლებსა და შენობის ძირითად კედლებს შუა ჰქმნიდა  
არხისმაგვარ მოწყობილობას, რომელშიაც მოედინებოდა ცხელი ჰაერი, ათბობ-  
და რა კედლებს, რაც სასიამოვნო და ჯანმრთელობისათვის უფრო სასარგებ-  
ლოც ყოფილა <sup>2</sup>. თვით ეს ნახევარმრგვალი ნიში—ექსედრა უნდა ყოფილიყო  
ის ადგილი, სადაც აბაზანებს ღებულობდნენ <sup>3</sup>.

<sup>1</sup> სანამ ეს კედლები მიწაში იყო, მათ თავიანთ ზედაპირზე შემოინახეს მიხაკისფერი  
ელფერი, რომელიც მზეზე მალე გახუნდა.

<sup>2</sup> იხ. O. Шуган, История архитектуры, т. I, Москва, 1937 წ. გვ. 545. შდრ. С. О.  
Цыбульский, Римский лон, С.-Петербург, 1902 წ. გვ. 31.

<sup>3</sup> ამ სადგომთან (№ 4) დაკავშირებით უნდა აღინიშნოს ერთი გარემოება. სადგომის  
ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში, ოთხ სვეტს შუა, იქ, სადაც ასო b—არის დასმული (იხ. ქვემო  
იარუსის გეგმა, ნახ. 5) ნახული იქნა ბაგშეების (ორი თუ სამი) თავის ქალის ფრაგმენტები;  
მაგრამ მალე ცხადი შეიქნა, რომ ეს მეორადი მოვლენა იყო; ე. ი. მას შემდეგ, რაც ნაგებობა  
თავის პირდაპირ დანიშნულებას აღარ ასრულებდა, ადგილი ნაგებობითურთ, რომელიც ნაწი-  
ლობრივ მიწით იყო დაფარული, შემდეგ თაობას სასაფლაოდ გადატყვევია; ხოლო დროთა  
განმავლობაში იატაკის ჩაქცევამ თან ჩაიტანა ზედა პირზე დასაფლავებულთა ჩონჩხებიც, ჩაქ-  
ცეული სახურავის, იატაკის ნაწილებსა და კერამიკის სხვადასხვა ნაშთებთან ერთად არეული.

აქ დავამთავრებთ № 4 სადგომის აღწერილობას და გადავავლით № 4-დან მიყვებით 3 სხვადასხვა ზომის, მთლიანად მოწყობილი იარუსის მოთავსებულ ხერცეილს, რომლებიდანაც ერთი პირველი „კამერის“ ქვეშ არის მოწყობილი (სურ. 5, მარცხნივ; აგრეთვე ნახ. 5, 8, i, 1 განივი კრილი AB-ზე). შუალა ხერცეილს ზემოდან ახურავს დიდი ფილაქვა, რომელიც ამავე დროს მასზე ზევით მოთავსებული გასავლის იატაკს წარმოადგენდა; ეს გასავალი, როგორც ჩანს, აკავშირებდა № 4 და 5 სადგომებს ერთი მეორესთან და მთლიანად ეკუთვნოდა შენობის ზემო იარუსს (სურ. 5; ნახ. 4—ზემო იარუსის გეგმა, n; განივი კრილი AB-ზე, ნახ. 1, n).

როგორც ზევით იყო ნათქვამი № 5 სადგომი მთლიანად არ არის გათხრილი; რაც გათხრილია, ისიც არაფერს არ იძლევა შენობის ზემო იარუსის-



სურ. 9.

№ 2 სექტებიანი სადგომის ნაწილი, „აუსილით“<sup>1</sup> N-კედელში.

დან, გარდა ერთი შესავლის ნაშთისა სადგომის სამხრეთ კედელში (ნახ. 4, ზემო იარუსის გეგმა, n მარჯვნივ). რომ ეს სადგომიც № 4-ის მაგვარად უნდა ყოფილიყო მოწყობილი, ამას შენობის საერთო დაგეგმარება გვიჩვენებს (ნახ. 5, 4, 2). აქაც ისეთივე ექსედრა უნდა ყოფილიყო ამოშენებული, როგორც № 4-ში გვაქვს; ამას ამტკიცებს ნახევარმრგვალი ნიში ჩრდილოეთის კედელში (ნახ. 4 და 2, c; სურათი 9).

როგორც გამოირკვა, შენობის ეს ნაწილი ნამეტნავადაა დანგრეული შედარებით სხვა ნაწილებთან, რის გამოც ზემო იარუსიდან არაფერი არ შემონა-

<sup>1</sup> ვინაიდან აუსიდა წმინდა საეკლესიო აუტოტეკტურული ტერმინია, ამიტომ მას ჩვენს მაგალითში პირობით ვხმარობთ.



ხულა; რაც შეეხება ქვემო იარუსს, აქ კი გვაქვს კალორიფერის სვეტები, ესე-  
თივე როგორც № 4 სადგომში, იმ განსხვავებით, რომ 30 სვეტები უნდა  
ქაოდენობიდან მხოლოდ 14-ია ამოყვანილი მრგვალი აგურებით, დანარჩენი  
16-კი კვადრატული, უფრო ხშირად მოგრძო ფორმის აგურებიდანაა (ზომები-  
იხ. ზევით) გაკეთებული. ამასთანავე სვეტები თავისი სიმაღლის ნახევარზე მეტი  
ზომით გადანგრეულია (სურ. 5 და 9; ნახაზ. 8, კრილი DC-ზე, ა). მანძილები  
სვეტებს (ა) შორის აქაც იგივეა და უკანასკნელები იმავე ზომის თიხის ფილე-  
ებით იქნებოდნენ გადახურულნი როგორც № 4—სადგომში.

ცხადია, რომ № 5 სადგომიც კალორიფერის ერთ-ერთ განყოფილებას  
წარმოადგენს.

საკითხი თუ როგორ მიეწოდებოდა წყალი აბანოს, რამდენიმედ წყდება-  
შენობის სამხრეთ კედლის გარეთა ზედაპირის გასწვრივ ჰორიზონტალურად გა-  
ყვანილი მილების აღმოჩენით (ნახ. № 4 და 2, 0; № 3—გათხრების გენერალური  
გეგმა); სამწუხაროდ მილები ისეთ ფრაგმენტალურ მდგომარეობაშია, რომ და-  
მატებითი ფართობების გათხრების გარეშე შეუძლებელია იმის გამოკვლევა, თუ  
საიდან იღებდა მილები სათავეს, ან რანაირად უერთდებოდა აბანოს სათანადო  
ადგილებს. მილებს თითქოს ეტყობა, რომ ისინი მიემართებოდნენ საცეცხლის  
მიმართულებით, მაგრამ შემდეგი მათი მიმართულება ჯერჯერობით გაურკვევე-  
ლია; მათ, უეჭველია, უნდა ჰქონოდათ შეერთების მუხლი, მაგრამ, ვიმეორებთ,  
მილების ცუდი შემონახულობის გამო, ვერც მას მოვესწარით ადგილზე.

ამით შეიძლება დამთავრდეს ნაგებობის ადგილზე ფაქტიურად არსებული  
დანაშთის აღწერილობა; თუ როგორ გამოიყურებოდა ის თავის ზემო იარუსში,  
ან რა დამატებითი დეტალები გააჩნდა მას, საიდან იყო მთავარი შესავალი შე-  
ნობაში, მისი ფასადი და სხვა ამასთან დაკავშირებული საკითხები, ჯერჯერო-  
ბით უპასუხოდ რჩებიან; არ ვიცი აგრეთვე როგორი გადახურვა ჰქონდა ნა-  
გებობას; არ არის დარჩენილი არც ჩალანგრები და მათი ზამინები, არც კოჭე-  
ბი და სხვა რაიმე ხის საალმშენებლო მასალა (თუ კი ასეთი იყო გამოყენებუ-  
ლი). ცხადია მხოლოდ ერთი გარემოება, რომ სახურავ მასალად გამოყენებუ-  
ლი ყოფილა კრამიტი, რომელთა შორის ორი სახეა გასარჩევი: 1. ბრტყელი,  
მასიური, ბოლო ფართო და კიდებგადაკეცილი, და 2. მრგვალი, ლარიანი,  
აგრეთვე მასიური, ცერისმავგარი ქიმიტ ვიწრო ბოლოსთან (მეორე კრამიტის  
შესამაგრებლად), მათ უამრავ ნაშთებს ვპოულობთ ადგილზე ცალკეული ფრაგ-  
მენტების, ძლიერ იშვიათად, მთელი ეკზემლარების სახით<sup>1</sup>.

მსგავსი ნაგებობანი სათანადო ლიტერატურაში ცნობილია ჯერ კიდევ  
ვიტრუვის დროიდან<sup>2</sup>. თუმცა საიმპერატორო რომის საზოგადოებრივი მნი-  
შენლობის გრანდიოზული აბანოები (thermae) ხსენებული ავტორის დროს არ

<sup>1</sup> ლარიანი კრამიტების უმეტესობა ქიმის, წამონახარდის ბოლოსთან (იშვიათად კერა-  
მიკული ნაწარმის სხვა სახეებით) ატარებენ დაღს, ნიშანს, კედის სხვადასხვა ტიპისა და მოყვა-  
ნილობისა. მათდამი განსაკუთრებული ინტერესის გამო, ისინი სპეციალურ გამოკვლევას საჭი-  
როებენ.

<sup>2</sup> იხ. Витрувий, იქვე.



არსებობდნენ, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, მის მიერ მოცემული სტრუქტურა ძელად დაედო რომის დიდ თერმებს<sup>1</sup>.

ო. შუაზი, სამწუხაროდ არ იძლევა ჩვენთვის საინტერესო ნაგებობათა ისტორიული განვითარების სურათს; სამაგიეროდ ეყრდნობა რა ფაქტებს სტრუქტურულად, ვიდრე ვიტრუვიუსს, დაწვრილებით ასწერს გვიანი დროის რომის თერმებს, რომლებიც თავისი სიდიდით, სპეციალური განყოფილებებით (სავარჯიშო, სამკითხველო, ექსედრები და სხვა) და თავისი ძვირფასი შორთულ-მოკაზმულობით ძლიერ ნაჭლებ მიაგავან ჩვენს ნაგებობას; მიუხედავად ამისა, კალორიფერის სისტემა, სისტემა წყლით მომარაგებისა და საერთოდ აბანოს გათბობისა, ისევე როგორც იატაკის გამართვის ხერხები და სხვა, არმაზის ნაგებობაში თითქმის ისეთია, როგორც ამას ვიტრუვიუსი აღწერს. მართალია, ჩვენი ნაგებობის სვეტების სიმაღლე (1,10 მეტრი) თითქმის ორჯერ მეტია ვიდრე ვიტრუვიუსის მიერ აღწერილისა (სვეტის სიმაღლე = 2 რომაულ ფუტს = 0,592 მეტრს), მაგრამ თვით პრინციპი მათი განლაგებისა, ისევე როგორც ფორმა და შემადგენლობა მასალისა, ორივე შემთხვევაში ერთნაირია. კალორიფერის გამართვის ასეთ წესს არც იმპერიის დროს განუცდია მნიშვნელოვანი ცვლილება, რასაც ავრიბის, ტიტას, კარაკალას და სხვა აბანოების მაგალითები გვიჩვენებენ<sup>2</sup>. სათანადო არქეოლოგიური საბუთების პუბლიკაციების ხელთუქონლობის გამო ჩვენ არ გვაქვს საშუალება გავითვალისწინოთ ასეთი რიგის ნაგებობათა შემდეგდროინდელი ისტორიული განვითარების გზა.

თუმცა ძველებური აბანოები, უკვე ფეოდალური დროისა, ცნობილია დმანისიდან, თელავიდან, ახალციხიდან, აგრეთვე ამბერდიდან და ანისიდან (სომხეთი), მაგრამ მათ შესახებ ლიტერატურაში ცნობები ჯერჯერობით, გარდა ანისისა, არ მოაპოვება<sup>3</sup>, რის გამოც ჩვენი ნაგებობის მათთან შედარება შეუძლებელი ხდება. რამდენადაც ზეპირი ცნობები გვაქვს ზემოხსენებულ აბანოებსაც კალორიფერის გამართულობის ისეთივე წესი ახასიათებს, როგორც არმაზისას, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ პირველებში სვეტები და მასზე დაყრდნობილი (ზემო იარუსის) იატაკი თლილი ქვებისაგან შესდგება და არა მრგვალი აგურებისა და კერამიკული ფილებისაგან, როგორც ეს არმაზშია. უნდა სიმართლე ითქვას, რომ ეს გარემოება უძველესად წინ აყენებს არმაზის აბანოს მოხსენებულებთან შედარებით, ვინაიდან სითბოს კონდენსაციის უნარი აგურს და საერთოდ კერამიკულ მასალას უფრო მეტი ხარისხით გააჩნია, ვიდრე ქვას; ეს გარემოება კი ასეთი დანიშნულების ნაგებობისათვის არსებითი და მეტად მნიშვნელოვანია.

<sup>1</sup> იქვე, შენიშვნა მეხუთე თავისათვის 277 გვერდზე.

<sup>2</sup> О. Ш у а в и, იქვე, გვ. 547, ნახაზ. 393. შდრ. С. О. Шибельский, იქვე, ნახაზი 15.

<sup>3</sup> Н. Я. Марр, Аля, книжная история города и раскопки на месте городища, ОГИЗ, Ленинград. — Москва, 1934 г., Известия ГАИМК, выпуск 105, стр. 68, 70—71; таб. XXXII рис. 114, 114а; таб. XXXIV, рис. 133. აბანო აღმოჩენილია ვიშგოროდის (მოჯნაბერდის) სასაბლის გათხრის დროს 1907, 1908 წ.წ.; ის გაცილებით პატარაა არმაზისაზე, — აქვს კალორიფერის მხოლოდ 6 სვეტი მთლიანი ქვისაგან გამოკვეთილი, რაც შეეხება აბანოს შენების წესს, მილგაყვანილობას და ზოგიერთ სხვა დეტალებს, ის საკმაოდ მიაგავს ჩვენსას.



რაც შეეხება ძველის დათარიღების საკითხს, უნდა ითქვას, რომ სათანადო უცილობელი ფაქტები არ გავაჩნია, ამ საკითხზე ვადაქტივდები მხოლოდ ხის მოცემა არა თუ მარტო ძნელია, შეუძლებელიცა<sup>1</sup>.

ამ მხრივ თითქოს განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს გეოლოგიური დაკვირვებანი ადგილზე.

იმ ისტორიული პერიოდისათვის, რომელიც მოიცავს დროის მონაკვეთს არმაზის ნაგებობიდან ჩვენს დღემდე, ძნელია დაშვებულ იქნას დენუდაციურ-ეროზიულ მოვლენათა განვითარების ისეთი ტემპი და დიაპაზონი, რომელთა მოქმედების ეფექტისათვის საუკუნეების ერთეულები ყოფილიყო საკმარისი. ეს გარემოება, დაშვებული ჩვენს მიერ, ძველს საკმაოდ ძველად ხდის; ყოველ შემთხვევაში ის არ უნდა გადმოსცილდეს ჩვენი წელთაღრიცხვის დამდეგის ფარგლებს.

## II

ზემოაღწერილ ძველ ნაგებობასა სამხრეთის და დასავლეთის მხრიდან აკრავს მეორე ნაგებობის ნაშთები. ჯერ კიდევ საკითხია, იყო აქ რაიმე ნაგებობა თუ არა. ქვის ისეთ სუსტ წყობას, როგორიც აქ არის, საეჭვოა, რომ შესძლებოდა მასზე დაშენებული შენობის გაძლება; მას არა აქვს, და არც თვით არის საფუძველი; ის ქვის ორს ან სამს, იშვიათ შემთხვევაში ოთხ, წყებას წარმოადგენს, ერთიმეორეზე შეუკავშირებლად დალაგებულს (ნახ. 1, გათხრების განივი კრილი AB-ზე; მარჯვნივ, კულტურული ფენის ზემოდან). ქვები დულაბით შეკავშირების არავითარ კვალს არ ატარებს, გარდა ქვის წყობისა, რომელიც № 1 სადგომის დასავლეთი კედლის თითქოს გაგრძელებას წარმოადგენს სამხრეთის მიმართულებით (იხ. ძირითადი ნაგებობის გეგმა, ნახ. 2 და 3); მისი ზოგიერთი ნაწილი ერთი წყების სახით № 1 სადგომის სამხრეთ კედელზე არა სიმეტრიულადაა დაშენებული (იგივე გეგმა, s). ქვის ნაშენის სისქე არ არის მუდმივი ოდენობა და ცვალებადობს 0,25—0,95 მეტრებში.

ამ უკანასკნელს ძირითად ნაგებობასთან არავითარი კავშირი არ უნდა ჰქონდეს; მაშინ, როდესაც ძირითადი ნაგებობა (აბანო) ორიენტირებულია OW (აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ), ეს მეორე რიგის ნაშთები ვერ ინარჩუნებს ერთხელ აღებულ ორიენტაციას. საკმარისია ერთი ზერეღე შეხედვა (ნახ. 3, გათხრების გენერალური გეგმა) და დაფრწმუნდებით, რომ ეს ნაგებობანი ერთიმეორესთან არავითარ უნისონში არ არიან.

თუ აბსოლუტური დათარიღება ამ ნაგებობისა ჯერჯერობით ძნელია, სამაგიეროდ მისი შედარებითი თარიღის გამორკვევა შესაძლებელია ძირითადი ნაგებობის გენერალურ გეგმასთან დამოკიდებულებაში. 3 და 2 ნახაზებზე გამოხა-

<sup>1</sup> განსაკუთრებით ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ნაპოვნთა ასოტიმენტო მტად ღარიბია და შეიცავს კრამიტის (ორივე სახის) აგურებისა და თიხის ფილების უამრავ ფრაგმენტს; ეს ვასაგებიცა თვით ნაგებობის ხასიათისა და დანიშნულებისა გამო. რაც შეეხება თიხის კტრკლების, შუშის ნაწარმთა და ცხიველთა ძელების ფრაგმენტებს, ისინი უთუოდ მეორად მოვლენას წარმოადგენენ და ამდენად (აგრეთვე თავიანთი ზემოწვენიით ფრაგმენტულობის გამო) დამათარიღებელ მომენტად ვერ გამოდგება.





ტული ქვის წყობა, s-ით აღნიშნული, როგორც ნათქვამი იყო, ნაშენებელი თადი შენობის კედლებს ზემოდან; მაშასადამე, მისი დონე უფრო ვიდრე აბანოს კედლების დონე; გარდა ამისა, ის ნაშენებია იმ კულტურული ფენის ზევით, რომელიც დროში წინ უსწრებდა ამ ნაშენს და რომლის ნორმალური დაფენების პირობები არ არის დარღვეული რაიმე გარეგანი მიზეზების ჩარევით (ნახ. 2 და 3, № 1 სადგომის - სამარეთ-აღმ. კუთხეში არსებული გასაქალი). ქვის ამ ნაშენობის ნაშთებს ვერ დაითარილებს ის ბიზანტიური (იმპ. ირაკლის დროის, VII საუკ.) ვერცხლის მონეტაც, რომელიც ნაპოვნი იქნა აქ 0,25 მეტრის სიღრმეზე; ის უფლად იქნა ნახული და ნაშთებთან არავითარ დამოკიდებულებაში არ არის; ის შემთხვევით დაკარგულიც შეიძლება იყოს. იქნებ ამ სუსტ ნაგებობის ჰასაკის დასადგენად მეტი საბუთები შეგვეძინოს იმ სამარხების მონაცემების შესწავლამ, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ ამ სუსტი ნაგებობის ფარგლებში იმყოფება.

### III. ს ა მ ა რ ხ მ ბ ი

სამუშაო პუნქტზე A, ნაგებობაზე მუშაობის პარალელურად, ექსპედიციის მიერ გათხრილ იქნა 11 სამარხი ქვაყუთი, რომელთა შორის 7 ბავშვთა საფლავებს წარმოადგენს; დანარჩენი ოთხი კი მოზრდილებისაა.

ბავშვთა სამარხი № 1, წარმოადგენს ოთხ ფილაქვისაგან (კირქვის) შეკრულ მინიატურულ სამარხს, რომელიც გადახურულია ზველიან აგრეთვე ბრტყელი ფართო ფილაქვით, ზომით  $0,91 \times 0,57 \times 0,05$  მეტრზე. ქვაყუთის ორიენტაცია WO მიმართულებისაა NW-სკენ უმნიშვნელო გადახრით. სამარხის შინაგანი განაშობები შემდეგ ციფრებს იძლევა:  $0,37 \times 0,31 \times 0,27$  მეტრი. გარეგანი— $0,47 \times 0,31 \times 0,28$  მეტრი.

W კედელი არ ჩადის სხვა კედლების სიღრმეზე; ის ვერტიკალურად დაშვებულია ჰორიზონტალურად დადებულ ქვაზე, რომელიც თითქოს W კედლის საფუძველთან საფეხურს აკეთებს (ზომით  $0,37 \times 0,16 \times 0,06$  მეტრი).

სამარხის სახურავი ნიადაგის ზედაპირიდან 0,40 მეტრის სიღრმეზე იქნა აღმოჩენილი. იმის გამო, რომ კედლების უსწორ-მასწორო ბოლოები მჭიდროდ ვერ ეკვროდნენ ერთმანეთს, სამარხი სავსე იყო წყლის მიერ შემოტანილი მიწით, რომლის ნაწილობრივ ამოწმენდის შემდეგ ნახული იქნა ბავშვის თავის ქალა, რამდენიმე ნეკნის ძვალი და მალეები (ნახ. 3—გათხრების გენერ. გვერ. 1 სადგომის სამარხითი მხრიდან; აგრეთვე სურათი 10). თავისი იშვიათობისა გამო, ეს სამარხი, ისევე, როგორც ბავშვთა სამარხი № 2, სათანადო ტექნიკურ საშუალებებით დაუშლელად იქნა ამოღებული დედამიწიდან და ჩამოტანილი იქნა სამუზეუმო ექსპოზიციისათვის ტფილისში. ამიტომ მისი ჩონჩხის საბოლოო პრეპარაცია ადგილზე არ მოგვიხდენია.


<sup>1</sup> მისი დონე თანამედროვე ნიადაგის ზედაპირიდან იმყოფება 0,20—0,25 მეტრის სიღრმეზე.



ბავშვთა სამარე № 2 აღმოჩენილ იქნა იმავე სიღრმეზე (0,40 მეტრი), № 1-დან NW მიმართულებით 0,66 მეტრის მანძილზე მისგან, გადის ზომა— $0,67 \times 0,41 \times 0,07$  მეტრზე.

ქვაყუთი შესდგება 4 შოლიანი ფილაქვისაგან; მისი შინაგანი განაზომებია  $0,52 \times 0,20$  მეტრზე, სიღრმით ჩამორჩება № 1-ს, მასზე ვიწროა, მაგრამ უფრო გრძელი. ესეც სავეს იყო მიწით, რომლის ნაწილობრივ გაწმენდის შემდეგ, ორი ბავშვის თავის ქალა იყო ნახული. ქვაყუთი ჩამოტანილია მუზეუმში.

ბავშვთა სამარე № 3 შესდგება 3 ერთიანი ფილაქვისაგან, რომლებიც სამარის S, O და N კედლებს ჰქმნიან; მისი სახურავი და W კედელი არ ყოფილა შემონახული. აღმოჩენილია ის 0,30 მეტრის სიღრმეზე; ორიენტაცია—WO. სამარბინ გარეგანი ზომა— $0,67 \times 0,26 \times 0,25$  მეტრს; შინაგანი— $0,60 \times 0,25$  მეტრს. წინა სამარეებთან შედარებით, ეს უფრო ვიწრო და გრძელია. ესეც ამოვსილი იყო ნალვარევი მიწით, რომლის ამოწმენდის შემდეგ,



სურ. 10.

ბავშვთა სამარბი—ქვა-ყუთები №№ 1 და 2 O—ზარიდან.

ცენტრში, 0,10 მეტრის სიღრმეზე ნახულ იქნა პატარა ბრტყელი ქვა, ზომით  $0,17 \times 0,20 \times 0,02$  მეტრ., რომელიც სახურავის ნაშთი უნდა იყოს, ხოლო 0,15 მეტრის სიღრმეზე კი ზედმიწევნით ცუდი შენახულობის 2 ბავშვის ჩონჩხი; განსაკუთრებულ მსხერვედ მდგომარეობაშია თავის ქალები, რომლებიც ხელის ფრთხილად მიკარების გამოც კი იშლება. სამარეში ნახული იქნა ერთად-ერთი მძივი შუშისა, რომელიც ისეთი მყიფე გამოდგა, რომ ძაფზე წამოცმის დროს დაიფხვნა ნაწილებად.



ბავშვის სამარე № 4 მდებარეობს № 10 ფართობის კუთხეში (ქვემოთაა) კრილთან N ბ მიმართულების ქვის წყობის ბოლოში (ნახ. 3, გვერდი 394); ალმოჩენილია 0,29 მეტრის სიღრმეზე; შესდგება 4 ერთიანი ფილაქვისაგან, რომლებიც გადახურულია ფილაქვით ზომით  $0,56 \times 0,39 \times 0,05$  მეტრი. სამარე ორიენტირებულია—WO. სამარის გარეგანი ვაზომვა  $0,43 \times 0,29 \times 0,28$  მეტრი; შინაგანი— $0,40 \times 0,25$  მეტრი. W კედელი სიგრძივ გამობილი იყო ორად; S-კი ფენებად იყო დახეთქილი, რომელიც სამარის წმენდის დროს თითქმის სავსებით დაიშალა.

სამარე სავსე იყო პირამდე წყლის მიერ შემოტანილი მიწით; 0,22 მეტრის სიღრმეზე აღმოჩნდა პატარა ბავშვის ჩონჩხი: ზედმიწევნით ჩაქეულ-დაზიანებული თავის ქალა, მინიატურული თითების ფალანგები, ძალიან სუსტი ნეკნის ძვლები და სხვა. ჩონჩხის პატრონი ახლად დაბადებული ბავშვი უნდა ყოფილიყო, რასაც ამტკიცებს თუნდაც ბარძაყის ძელის სიგრძე (8 სანტიმეტრი), მზრის ძელის სიგრძე (6,5 სანტიმეტრი) და სხვა (ეპიფიზები, რა თქმა უნდა, შემონახული არ არის). თავის ქალა იდო ომბკუთხ ქვაზე (ზომით  $0,28 \times 0,16 \times 0,11$  მეტრი), რომლის W კედლებზე გარდობოდა W კედელი და N და S კედლების W ბოლოები. ქვა „სასთუმლის“ მაგიერ უნდა ყოფილიყო გამოყენებული.

სამარეში არაერთარი ინვენტარი არ ყოფილა აღმოჩენილი.

ბავშვთა ქვაყუთი № 5 აღმოჩენილი იყო 0,45 მეტრის სიღრმეზე № 10 ფართობის მეორე შუალედში (ნახაზი 3, 1—კრილი AB-ზე; აგრეთ. სურ. 1—თაბაშირით დაგოზილი სამარე); ის შესდგებოდა 7 ფილაქვისაგან, რომელთაგან 4—სამარის 4 კედელს ჰქმნიდა, 3-კი სახურავად იყო გამოყენებული. სამარის შინაგანი განაზომი  $0,69 \times 0,46$  მეტრია. სამარის სახურავ ქვებს ფარლიატი, ნაპრალეები ჰქონდა, რომლებიც სამარის სახურავზე გაზრდილი ეკლიანი ბუჩქის ძირების სამარეში შესვლის შედეგია. ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ სამარე სავსე იყო მიწით (ზოგჯერ კერამიკის უმნიშვნელო ფრაგმენტებითაც), რომელიც დროთა განმავლობაში თანდათან იტკუნებოდა. სამარის წინასწარი პრეპარაციის დროს აღმოჩნდა 3 ბავშვის თავის ქალა: 1—სამარის NW კუთხეში, 2 — W კედელთან, ბოლო 3—NO კუთხეში<sup>1</sup>. გარდა აღნიშნულისა, შემდეგ პრეპარაციას ამნელებს ის გარემოება, რომ ჩონჩხები ერთსა და იმავე დონეზე არ იმყოფება; ასე მაგალითად, ჩონჩხები №№ 1 და 3 (სამარის N კედლის გასწვრივ) უფრო მაღალ დონეზე არის მოთავსებული, ვიდრე № 2, რის გამოც, წმენდის დროს, პირველთა ცალკეული ძვლები № 2-ის ძვლებში ირეოდა და ამგვარად ჩონჩხთა განლაგების სრული სურათის აღდგენას შეუძლებელს ხდიდა. მიუხედავად ამისა, შედარებით უკეთესად გამოირკვა № 2 ჩონჩხის (საფლავის S—კედლის გასწვრივ) ძვლების განწყობილება: ის შე-

<sup>1</sup> სამარის პრეპარაცია ამ ფაზაში იყო, როდესაც გადაწყვეტილ იქნა მისი ტფილისში გადატანა; ის მართლაც ჩამოტანილ იქნა ტფილისში, მაგრამ, სამწუხაროდ, სახელოსნოში გადატანის დროს ძლიერ დაზიანდა: ყუთი, რომელშიაც ჩასმული იყო თაბაშირით შემოვლილი ჩონჩხები, გასკდა, თაბაშირი მოშორდა და გამოჩნდა კიდევ ცალკეული ძვლები.



დარებით თავისუფლად ძვეს სამარეში მკაცრად გაქიმულ მდგომარეობაში და უკირავს საფლავის საერთო შინაგანი ფართობის  $0,69 \times 0,20$  მეტრს. შინ, როდესაც №№ 1 და 3 ჩონჩხები მკიდროდ მიწვეულ-მიტმასნილი არიან სამარის N კედელთან და ამავე ფართობის  $0,69 \times 0,20$  მეტრს მოიცავენ. გარდა ამისა, № 2 ჩონჩხის დაშორება N და S კედლებიდან 5-6 სანტიმეტრს უდრის, ხოლო №№ 1 და 3-ის დაშორება W და N კედლებიდან 1,0 სანტიმეტრს. ეს გარემოება უეჭველად მიგვითითებს იმაზე, რომ აქ ჩვენ გვაქვს დამარხვა არა ერთდროული, არამედ სხვადასხვა დროს. №№ 1 და 3 ჩონჩხი იმიტომ არის მკიდროდ მიწვეული ერთი მხრით, რომ ადგილი გაეთავისუფლებინათ გარკვეულ დროის შემდეგ დასამარხავ № 2 გვამისათვის. უფრო დაწვრილებითი პრეპარაციის შედეგად ნახულ იქნა 4 წყვილი მენჯის ძვალი, ამდენივე წინა მხრის და ბარძაყის ძვალი და სხვა, რაც გვაფიქრებინებს, რომ ამ სამარეში 3-ზე მეტი ჩონჩხი უნდა ყოფილიყო მოთავსებული, თუმცა თავის ქალა მეტისა არ შემონახულა. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ აქ ჩვენ ვხედავთ მიცვალებულთა ტრადიციული ორიენტაციის დარღვევის შემთხვევას; ასე მაგ., მაშინ, როდესაც №№ 1 და 2 ჩონჩხები ჩვეულებრივად WO (დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ) არიან ორიენტირებულნი, № 3 ჩონჩხი პირუკუ ორიენტაციას (OW) გვიჩვენებს. ეს უკანასკნელი და № 1 ჩონჩხები თავბოლო შექცევით არიან სამარეში მოთავსებულნი.

სამარეში, № 2 ჩონჩხის კისრის მიდამოში ნახულ იქნა ცილინდრული ფორმის მძივი, ერთი ცალი, ხოლო გულის არეში ლამაზი ხელობის ბრინჯაოს ფიბულა რკინის ენით, რომელზედაც შერჩენილია რომელიღაც ქსოვილის (ტილოს?) ნაწილი.

ბავშვის<sup>2</sup> სამარე № 6 აღმოჩენილია 0,44 მეტრის სიღრმეზე და მდებარეობს № 10 ფართობის მეორე შუალედში № 5 სამარის ჩრდილო-დასავლეთით, მისგან 0,95 მეტრის მანძილზე (ნაბაზი 3—გათხრების გენერალური გეგმა). სამარე ორიენტირებულია—WO; აქვს 4 მთლიანი ფილაქვებისაგან მკიდროდ შეკრული 4 კედელი; სახურავი არ შემონახულა. საფლავის გარეგანი ზომა— $0,87 \times 0,62 \times 0,42$  მეტრია; საფლავის შინაგანი ზომა— $0,69 \times 0,35 \times 0,39$  მეტრი.

0,33 მეტრის სიღრმეზე, ჩონჩხის მაგიერ, რიყის ქვა აღმოჩნდა ზომით  $0,38 \times 0,10 \times 0,10$  მეტრი; სამარე ჩაღრმავებულ იქნა 0,40 მეტრზე, მაგრამ ჩონჩხის კვალი მაინც არ ჩანდა; ალბათ, ის თავიდანვე ცარიელი თუ იყო, მომზადებული გვამის მისაღებად და შემდეგ გამოუყენებლად დარჩენილი.

ბავშვის სამარე № 7 იმყოფება ძირითადი ნაგებობის (აბანოს) N კედლის გარეთა მხარეს ანუ № 3 სადგომის N კედლის გარეთა მხარეს (ნაბაზი 3—გათხრების გენერალური გეგმა; იქ, სადაც ასო E არის დასმული).

<sup>1</sup> № 2 ჩონჩხის მენჯის ძვალზე ჰორიზონტალურად დადებული იყო ბრტყელი, კიდევბადაკეცილი კრამიტის ფრაგმენტი ზომით  $0,17 \times 0,13$  მეტრი.

<sup>2</sup> მართალია, ამ სამარეში ჩონჩხი სრულდებითაც არ აღმოჩენილა, მაგრამ მისი განაზომები გვიჩვენებს, რომ ის უსათუოდ ბავშვისთვის იყო განკუთვნილი.



O—კედელი სამარეს არა აქვს, W—კედლად გამოყენებულია მისი—O კედლის გარეთა მხარე; S კედელი ძირითადი ნაგებობის N კედელს ეკვრის და შესდგება ორი, ძირისკენ ვერტიკალურად დაბრლი, ფილაქვისაგან; ასევე N კედელიც; ასე რომ სამარეს პირი უფრო ფართო აქვს, ვიდრე ძირი-საფუძველი, ამიტომ მანძილი N და S კედლების ზემო შიგნითა მხარეებს შორის 0,42 მეტრს უდრის; ქვემო შიგნითა მხარეებს შორის კი—0,22 მეტრს. სამარეს W—ბოლოს განი—0,42 მეტრია, O—ბოლოს კი—0,37 მეტრი. მისი შინაგანი ზომა— $0,80 \times 0,42 \times 0,26$  მეტრს.

სამარე გადახურული იყო ბრტყელი, კიდეებგადაკეცილი კრამიტით (ის 3 ფრაგმენტისაგან შესდგებოდა) და ერთი პატარა ფილაქვით, ამოვსებული იყო ფხვიერი მიწით და შეიცავდა ზურგზე გაკიმულ, WO ორიენტირებულ და ცუდად შემონახულ ჩონჩხს (ბავშვის). მიცვალებულთან არავითარი ნივთი არ იყო.


სამარე № 1, აღმოჩენილია 0,25 მეტრის სიღრმეზე № 9 ფართობის ცენტრალურ ნაწილში, ორიენტირებულია WO; სამარის გარეგანი განაშობი  $1,91 \times 0,92 \times 0,70$  (სიმაღლე) მეტრს უდრის. სამარის შინაგანი განაშობი  $1,77 \times 0,77 \times 0,70$  მეტრს.

საფლავს ეხურა ორი დიდი ზომის ბრტყელი ფილაქვა; W და O კედლები თითო მთლიანი ფილაქვისაგან შესდგება, ხოლო N და S კედლები ამოშენებულია მოკრილი ფილაქვების დაუდევარი წყობით უდულაბოდ და საერთოდ, რაიმე შემამტკიცებელი მასალის გარეშე (ნახაზი 3—გათხრების გენ. გეგმა, მარჯვნივ); სამარე ამოვსებული იყო მიწით, რომლის ამოწმენდის შემდეგ აღმოჩნდა 2 მოზარდის ჩონჩხი თითო N და S-კედლების გასწვრივ, ხოლო მათ ზემოდან ერთი მოწითფული ადამიანის ჩონჩხი. S-კედლის გასწვრივ მდებარე ჩონჩხის თავის ქალა ძლიერ თხელკედლიანი იყო, ამიტომაც მეტად ცუდად იყო შემონახული. ეპიფიზები ყველა ლულოვან ძვალს ჩამოცილებული ჰქონდა, მაგრამ ადგილზე მანც იყო შემონახული. N კედლის გასწვრივ მდებარე ჩონჩხს თავი რამდენიმედ დაბრლილი ჰქონდა მარცხენა მხრისაკენ. მოწითფელი ადამიანის ჩონჩხი პირით რამდენიმედ მიბრუნებული იყო ჩრდილოეთისკენ და თავი მასაც დაბრლილი ჰქონდა მარცხენა მხრისაკენ. საერთოდ სამივე ჩონჩხი იწვა პირალმა, გაკიმულ მდგომარეობაში. მოწითფელი ადამიანის ჩონჩხის თავთან, უმთავრესად შუბლთან, ნაპოვნი იქნა ბრინჯაოს 2 ქინძისთავი სფეროსებრი თავებით, მათი წვეტანების 2 ფრაგმენტი და ასეთივე ფორმის რკინის ქინძისთავების ხუთი ფრაგმენტი.

სამარე № 2, იმყოფება სამხრეთ-აღმოსავლეთით № 1-დან; აღმოჩენილია 0,15 მეტრის სიღრმეზე; ორიენტაცია WO; გადახურულია ორი დიდი ზომის ფილაქვით; W და O კედლები შედგენილია თითო-თითო ფილაქვით; N და S კედლები, ისე როგორც № 1, ამოშენებულია უდულაბებული ფილაქვების უხეში წყობით. სამარის შინაგანი განაშობი— $1,84 \times 1,08 \times 0,94$  მეტრს. ესეც ისევე, როგორც № 1, ამოვსებულია ნალვარევი ჩამორეცხილი მიწით. 0,25 მეტრის სიღრმეზე საფლავში ნაპოვნი იქნა მოთეთრო შუშის „საცრემლეს“ ყ-



ლი. 0,50 მეტრის სიღრმეზე უკვე კარგად გამოინაკეთა მოწიფულე ადამიანის 3 ჩონჩხი (სურ. 11). ჩონჩხები წვანან ზურგზე გაჭიმულ მდგომარეობაში, ერთი-მეორის გვერდით ერთ პორიზონტალურ სიბრტყეში. სამივე თავის ქალა ხელოვნურად წაგრძელებული, დეფორმირებულია. საფლავის N კედლის



სურ. 11.

№ 2 სამარხი—ქვა-ფული მ ჩონჩხით O—მხრიდან, საზურავი და S, O და N კედლები მოხსნილია.

გასწორვ და შუაში მდებარე ჩონჩხებს სხივისა და მაჯის ძვლები მოთავსებული აქვთ მენჯის არეში. საერთოდ ძვლები აქ კარგად არის შენახული.

საფლავის S კედლის გასწვრივ მდებარე ჩონჩხის მუცლის არეში ნახული იქნა ერთი მოცისფრო შუშის „საკრემლე“ და 19-მდე შუშისა და პასტის მძივი, აგრეთვე მათი ფრაგმენტები.

სამარხე № 12<sup>1</sup>, მდებარეობდა გათხრების ფართობისა და რკინიგზის შტოს შორის; ორიენტირებული იყო WO; სამარხე 9 დიდი ფილაქვისაგან შესდგებოდა, რომელთა შორის 3 ვეებერთელა ზომის ფილაქვა სახურავად იყო გამოყენებული; W და O კედლები თითო ფილაქვისაგან შესდგებოდა, რომელთა ვერტიკალური კედლები იმნიერად იყო ამოღებული, რომ მათში მკიდროდ

<sup>1</sup> №№ 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10 და 11 სამარხების გამოვლენა და პრეპარაცია 1938 წლისათვის იქნა გადადებული.

შედიოდა N და S კედლების ბოლოები; ეს უკანასკნელები თითოეულ ორ-ორი არათანასწორი ფილაქვისაგან შესდგებოდა. სამარის გარეგანი,  $3,08 \times 1,73 \times 1,04$  მეტრს. სამარის შინაგანი განზომილება  $= 2,50 \times 0,98 \times 0,97$  მეტრს.


სამარის საგულდაგულო შენების შედეგია ის გარემოება, რომ ის თითქმის თავისუფალი იყო გარედან შემოტანილი მიწისაგან; ეს უკანასკნელი სამარის მხოლოდ ძირს ფარავდა. SO კუთხეში სამარეს ჰქონდა ღრუ, ხვრეტილი, რომლის საშუალებით შეუტანებიათ განძის მიძიებელთ სამარეში და გაუძარცვათ ის. ამის დამამტკიცებელი იყო სამარეში უწყსრივად მიმოხნეული ძვლები, ნაშალი მიწა და სხვა. ძვლები ეკუთვნოდა ერთ ინდივიდს, ფიზიკურად მალალს, მსხვილს ატლეტურ ადამიანს; მაგ., მაშინ, როდესაც საშუალო სიმაღლის ადამიანის ბარძაყის ძვლის სიგრძე 0,43—0,44 მეტრს უდრის, აქ ნაპოვნი ბარძაყის სიგრძე 0,49 მეტრამდე აღწევს. ნაპოვნი იქნა რკინის ნივთების ძნელად გამოსაცნობი ფრაგმენტები, — შეიძლება ქინძისთავეებისა და სარტყლის აბზინდების ნაწილები იყოს.

სამარე №№ 1 და 2, სადგომების შოსახლერე კედელში, სამარე ამოშენებულია განივად № 1 სადგომის O, ანუ რაც იგივეა № 2 სადგომის W კედელში; ორიენტირებულია WO; სადგომის სამხრეთ კედელს დაშორებულია 1,70 მეტრით, ჩრდილო კედელს 3,00 მეტრით. მისი შინაგანი ფართობი უდრის  $1,80 \times 0,83 \times 0,60$  მეტრს; იატაკის ფართობი კი  $- 1,12 \times 0,83$  მეტრს. სამარეს აღმოსავლეთი კედელი არა აქვს; W-კედელი კი ოდნავ რკალისებურადაა მოყვანილი (ქორდა  $= 0,73$  მეტრს; რკალის სიმაღლე  $= 0,06$  მეტრს). ეს კედელი, ისევე როგორც N და S კედლები, კირით შედგება და მათი თაა ამოშენებული, სწორედ იმგვარად როგორც თვით ძირითადი ნაგებობის კედელი (ნახაზი 1, 8; აგრეთვე სურ. 12). საფლავის N და S კედლების ბოლოები წაშვერილია № 2 სადგომის ფართობზე; ბოლოების ქვეშ, დასწვრივ მიწის სვეტები განზრახ არის დატოვებული ფენათა მორიგეობისა და განლაგების დასახასიათებლად, რომელზედაც ზევით გვქონდა ლაპარაკი (სურ. 2). ეს გარემოება უძველესად სამარის კედელში მოწყობას მერმინდელ (ძირითადი ნაგებობის დაგდების შემდეგდროინდელ) მოვლენად, მაშასადამე, სამარეს ამ ნაგებობაზე უფრო ახალგაზრდად ხდის.

სამარეში მოზრდილი ადამიანის ცალკეული ძვლები იყო თავმოყრილი საფლავის S-კედლის გასწვრივ; თავის ქალა გადაჯვარედინებულად დადებულ წინამხრის ლულოვან ძვლებზე იყო მოთავსებული (სურ. 12). ქვედა ყბის ძვალი O-სკენ იყო დაკურებული. ძვლების ასეთი განლაგება მიცვალებულის მჯდომარე პოზით დამარხვის შედეგად შეიძლებოდა წარმოშობილიყო, ერთი ფრიად საყურადღებო გარემოება რომ არ ყოფილიყო. საქმე იმაშია, რომ ადგილზე ჩონჩხის ნაწილების მკირე რაოდენობა იქნა ნახული, რასაც ნორმალურ პირობებში გვამის მჯდომარე (თუნდაც წოლით) პოზით დამარხვა გამოირიცხავს. იქნებ ძვლების ეს ნაკლებობა მეორადი დამარხვის ჩვეულებით აიხსნებოდეს, როდესაც საკმაო ინტერვალის შემდეგ მეორედ ასაფლავებდნენ გახრწნილი გვა-

მის ძვლებნაკლულ ჩონჩხს. ამასთანავე არ იყო სავალდებულო (და არც შესაძლებელი) დაცული ყოფილიყო ჩონჩხის აღნაგობის სისწორე — ძვლების კონსისტენციის მიმართების მართებულობა. სამარის ძირის გაწმენდის დროს ნახულ იქნა მოგრძო, წინამხრის ძვლის მოყვანილობის, მოთეთრო ფერის „საცრემლე“.

ზემოაღწერილი სამარეები (უკანასკნელის გამოკვებით) გვაოცებს თავისი ერთფეროვნებით და საფლავის ღარიბი ინვენტარით. თუ თავისი შენების წესით, საფლავის განაზომებით, მიცვალებულთა ორიენტაციით, ჩონჩხების რაოდენობითა და მათი შემონახულობის ხარისხით არმაზის სამარეები თითქმის



სურ. 12.


სამარხი №№ 1 და 2 სადგომების სახეობით კედელში NO-მხრიდან.

იმეორებს ამავე ადგილზე 1902 წელს ე. თაყაიშვილის მიერ შესწავლილ სამარეებს, სამაგიეროდ პირველნი ბევრად ჩამორჩება უკანასკნელთ თავისი მინიმალური მონაცემებით ინვენტარის მხრივ. ჩვენმა სამარეებმა ბრინჯაოს და რკინის უკიდურეს სიჭრწვსთან ერთად, სრულებით არ იცის ოქრო, არც ვერცხლი და სპილენძი. მიუხედავად ამისა, ეს გარემოება არავითარ განსხვავებას არ ჰქმნის დროში გამოკვლეული სამარეებისათვის. არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ჩვენს მიერ გათხრილი სამარეების სუბიექტთა სულიერ ცხოვრებასა და საიქიოზე წარმოდგენასა და რწმენას ისეთი ვარიაცია განეცადოს, რომ მათ ასე ზეღაღებით ყველაფერი ეკეთებინათ თავიანთი სააქაო კეთილდღეობისათვის და სრულებით არ ეზრუნათ მათ გარდაცვლილ მკვიდრთა მოჩვენებითი უზრუნველყოფისათვის, უფრო მოკლედ, ოქრო და, საერთოდ ძვირფასეულობა, თავიანთთვის მოეხმარათ და არა სამარეებში დაეფლათ. არა, აქ დროს



დისტანცია არაფერ შუაშია, და არსებითად მას აქ აზრც აქვს ადგილი. გვეგონია, საქმე აქ იმაში უნდა იყოს, რომ სხვადასხვა დროს გამოკვლეული სამარხების წინა ორივე რიგი ადგილობრივ მკვიდრთა ერთიდაიმავე დროის სხვადასხვა საფეხურებზეა დაფუძნებული. ცხადია, ხსენებული ავტორის მიერ აღმოჩენილი სასაფლაო საზოგადოების მაღალი წრის სასაფლაოა, მაშინ როდესაც ჩვენს მიერ გათხრილი სამარხები მისი ღარიბი ნაწილის კუთვნილებას შეადგენს; მაშინ როდესაც მაღალი წრე საფლავში განძეულობის ჩატანებით მატერიალურად ამტკიცებდა თავის რწმენას საიქიო ცხოვრებისადმი, დაბალ ფენას სამარხში ჩასატანებლად, საიქიოზე წარმოდგენის მეტი, არავითარი სახსარი არ გააჩნდა.

რაც შეეხება სამარხის დათარიღების საკითხს, უნდა ითქვას, რომ უცილობელი ფაქტების უქონლობის გამო, კატეგორიული პასუხის შესაძლებლობა ჯერჯერობით გამოირიცხულია. ის გარემოება, რომ სამარხებში ვერ ვხვდებით



სურ. 13.

გათხრების სავსეთო ასახულობა.

იარაღებს, ჭურჭლეულობას, ფულს და სხვა რაიმე უცილობელ დამათარიღებელ მომენტს, მათ არ სწევთ ისტორიის სიღრმეში, ჩვენი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნეების უფრო ადრე. პირიქით, დამარხვის ჩვეულება, მიცვალებულის ორიენტაცია, სამკაულის დამზადების ხერხები და სხვა, მათ აახლოებს კარსნისხევის სამარხებთან (იხ. პროფ. გ. ნიორაძე, იგივე შრომა), რომლებიც მიახლოებით ამავე (ჩვენი წელთაღრიცხვის 3-5 საუკ.) დროისაა. ამ მხრივ რამდენადმე მნიშვნელობას იძენს რომაული ტიპის შუშის „საცრემლეები“, რომელთა მაქსიმალური გავრცელება ქრისტიანული ერის წინა და შემდგომ პირველ და მეორე საუკუნეებზე მოდის.



## IV

უკრაინული

დაბოლოს, ექსპედიციამ მოაწყო ექსკურსიები შიო მღვიმის, სედახნისა და ჯვარის მონასტრებზე. სხვათა შორის ამ უკანასკნელის კედლებიდან გადმოხატულ იქნა ქვებზე ამოკვეთილი ოსტატთა 40-მდე დაღნიშნები. მოვილილ იქნა არმაზის ხეობა, სადაც დათვალეირებულ იქნა წმ. ნინოს ეკლესია და არმაზის უძველესი ციხე, ჯერ კიდევ მძლვდ ამართული უდრეკი მასიური კედლებით. დათვალეირებულ იქნა აგრეთვე არმაზის ციხის პირდაპირ დასავლეთისკენ კლდეში გამოკვეთილი გამოქვაბული, რომელშიც კულტურული ფენის არაერთარი კვალი არ აღმოჩნდა.

დაზვერილ იქნა არქეოლოგიურად კარსნისხევისა და მუხათგვერდის მიდამოები. თვალსაჩინო შედეგი მოგვცა ამ უკანასკნელის დათვალეირებამ. მუხათგვერდის (ხელმუხების) ძველი ნასოფლარის ადგილზე, მთის ფერდობზე აშკარად ჩანს ძველ ნაგებობათა ნაშთები. წინასწარი აღრიცხვით მათი რიცხვი 11-მდე აღწევს. ნანგრევები იმდენადაა მიწასთან გასწორებული, რომ დაკვირვებული ადამიანის თვალი თუ გაარჩევს საფუძვლების შოლოდ ნაშთებს. მათ გარშემო კი, აწ გადახნულს დაქანებულ მინდვრებზე, შეკრებილ იქნა სხვადასხვა დროის მზრუნველობით ორნამენტირებული კერამიკის ნიმუშები, ამფორებისა და შუშის ნაწარმის ფრაგმენტები; საშუალო საუკუნეების დროინდელი, ოსტატურად მოქიქული და იშვიათი ხელოვნებით ორნამენტირებული კერამიკის ნიმუშები და სხვა.

ყველა განაზომი და ნახაზი შესრულებულია ხეროთომოდვარ ვლ. წილოსანის მიერ. ფოტოსურათები გადაღებულია ენიმკი-ს ფოტოგრაფის ივ. სოლომონიანის მიერ.

